

644/  
1964/4

ՀԱՅԿԵՆԻ  
ՅՐՏՆՈՒԹՅՈՒՆ

0 3 6 0 6 0 1 9 6 4



ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ

6



მეულის პორტრეტი



# სილსაქი



1696

## შინაარსი

### პოეზია

ოთარ ზილაძე — ადამიანი გაზეთის სვეტში. პოემა	3
ლადო სულაბერიძე — ლექსები	26
ტაგუ მებურიშვილი — ლექსები	34
ქეთევან გოგუა — ლექსები	40
გაბრიელა მისტრალი — ლექსები. ესპანურიდან თარგმნა ლია ქავჭავაძემ	44

### პროზა

ოთარ იოსელიანი — რუსთავის დღიური	9
მირონ ხერგვანი — ფარვანა. მოთხრობა	29
არჩილ ჩაჩიბაია — წაბლა. მოთხრობა	36
ვაჟა ჯანდიერი — კაცი და ჯირკი. მოთხრობა	41
მედა ჯავლიაშვილი — ცამეტი მიხაკი. მოთხრობა	49
ჰაბუა ამირეჯიბი — მესამე თვალი. მოთხრობა	52
მარია ბელახოვა — ვაჟიშვილი. მოთხრობა. თარგმნა ვიორგი გრიგორაშვილმა	65

# 6

035060

# 1964

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საბართმელოს ალბ. ც. ტ-სა და მუშაბალთა კავშირის ორბანო

## ლიგერაგურული კრივიკა

- მტია გაჰკორია — „ლიანვი“ 81  
 ზურაბ ჭუმბურიძე, თინათინ კოკ-  
 ლაბაძე — სამარცხვინო თარგმანი 105

## პუბლიცისტიკა

- დავით მაისურაძე — პარტია და ლი-  
 ტერატურა 107  
 ვლადიმერ მაჰაზარიანი — სასწაუ-  
 ლები და მითები 117  
 ნატალია ორლოვსკაია — მორფი-  
 ლის ნაშრომები ქართული ფილო-  
 ლოგიის დარგში 135

## რუსთაველის ნაკვალევი

- დომიტრი ჭუმსიშვილი — მოქმედების  
 განვითარების დრო „ვეფხისტყაო-  
 სანში“ 143

- ყოველი მხრიდან 157

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
 ხარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯი-  
 კიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ჭელი-  
 ძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.



# აქამანი გაზეთის სკეჭი

გაზეთი „ივესტია“ ამა წლის 6 მარტს წერდა: „პანამის არხის ზონაში მომხდარი სისხლისმღვრელი შეტაკების დროს დაღუპულ ამერიკელ ჯარისკაცთაგან ერთი თავისიანებმა მოკლეს. მან არ ინდომა მონაწილეობა მიეღო პანამელი პატრიოტების დასჯაში“.

ამერიკელი ჯარისკაცი კრუს ხიმენესი სისხლის გუბეში აგდია პირქვე. ჯერ არ შემწყდარა ექო სროლისა და ტრიალებენ ცაში ჩიტები, მავთულებიდან აფრენილები. ამერიკელი ჯარისკაცებიც და პანამელი პატრიოტებიც დაბნეულები არიან ოდნავ, მაგრამ ყველანი გრძნობენ გუმანით, რომ დიდი ამბის გახდნენ მოწმენი.

მზეზე ბრჭყვიალებს პანამის არხი, არხზე — ბუქსირი. ხოლო ნაპირთან დგანან პალმები და ამწეები.

მე მარცვალი ვარ, ღმერთის კალთიდან გადმოვარდნილი და ღმერთმა იცის, რა მელოდება: ჩიტის ჩიჩახვი თუ ქვის საწოლი, ეკალბარდები თუ თბილი ხნული.

მე არ მეგონა, თუ ასე ძნელი იყო სიკვდილი. სუსტი ყოფილა ადამიანი, რადგან არ იცის, როგორ იმართლოს, ან ვის წინაშე იმართლოს თავი.

ამიტომ ვკვდები და ველოდები სამარადისო წყვდიადს და ღუმელს. თანდათან ველარ ვარჩევ სახეებს უიარაღო დემონსტრანტების, რომლებიც უკან იხევენ ნელა და მკაცრ პეიზაჟს უერთდებიან. უერთდებიან ან ისე ჰგვანან, რომ უკვე ველარც გამირჩევია: ხისგან სხეული, ქვისგან სახე, ცისგან თვალე-ბი...

ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია. ხოლო სამ-



შობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს. არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა და გინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც.

ბედნიერია ყოველი თვალი, თუკი სიმართლეს უყურებს იგი. მე ასე მჯერა და ჩემი სული ნათდება, როგორც მინდვრის ნაწილი მამხალის შუქზე. მაგრამ მთავარი წყვედიაღში რჩება, რადგან იმ მინდორს არც საწყისი აქვს, არც დასასრული.

ამიტომ ვკვდები. ვკვდები და ჩუმად, საკუთარ სისხლის გუბეში ვწევარ და ველოდები სამარადისო წყვედიადს და დუმილს.

ჩემი სხეული სისხლის გუბეზე ხიდივითაა გადამხობილი, დასასჯელებს და დამსჯელებს შორის.

მალე დასრულდა ჩემი ცხოვრება: შეუგნებელიც და შეგნებულაც. მაგრამ სიცოცხლე ჯერ არასოდეს არ მდომებია ასე მტანჯველად. ასე არასდროს მომნატრებია დედა და წყალი და ძველისძველი ჩემი საწოლი. მე იმ საწოლზეც ვწვებოდი ხოლმე ასე უძრავად, რომ დამესვენა და განმეცადა საამო გრძნობა თავისუფლების. ასე საგანი აწვება საგანს, გამოთიშული ტანის სიმძიმით.

ახლა ჩემს ტანში სხედან ტყვიები, როგორც მხეცები ღრმა სოროებში. და თუ ქვეყანას მართლა მოაკლდა ეს რამდენიმე გრამი სიკვდილი, მე კმაყოფილი ვიქნები ამით. მაგრამ არ მინდა და არც მგონია, რომ ჩაეტიოს გაზეთის სვეტში ჩემი ვნებები და სურვილები.

ჩემი სიკვდილის ერთადერთ მიზეზს სიცოცხლე ჰქვია. ხოლო გაზეთი ადვილად კვდება, როგორც ფრინველი. სამარადისოდ მოვწყდი ქვეყანას, რადგან სამხედრო წესდების მუსხლებს მთლად ვერ დაემთხვა ჩემი სურვილი. ვერც ამ მუნდირმა ვერ გამიდევნა მარადიული ეჭვი და შიში. და მეც ტკივილით მოვწყდი ქვეყანას, როგორც წყდებიან საკრავს გამეზი.

ხნულს ვერ მონახავს ყველა მარცვალი, რომ პურად იქცეს და დააპუროს მშიერი ხალხი. ანდა ხედ იქცეს და მის

ტოტებზე ჩამოჯდეს ხოლმე ჩიტების  
გუნდი.

ამიტომ ვწევარ და ველოდები სამა-  
რადისო წყვილად და დუმილს.

ჯარი სამშობლოს მტრისაგან იცავს  
და სიცოცხლესაც მხოლოდ სამშობლო  
მოსთხოვს ჯარისკაცს. ვერც ჯარისკაცი  
ვერ ეტყვის უარს, თუ აქვს და იცის  
საკუთარ ჭერის და პურის გემო. თუ  
მზეს აფასებს და თუ კუსავით ყოველ-  
თვის თან არ დაათრევს ჯაგმანს. თუ  
შეუძლია, რომ მოიკვეთოს ფეხი, რო-  
მელსაც გადაყავს გზიდან, და დაითხა-  
როს თვალი, რომელიც აცდუნებს მხო-  
ლოდ...

ფიქრის უფლება ყოფილა, თურმე,  
ყველაზე ძვირი, რადგან ცხოვრების  
აგანჩავანი ფიქრში ირკვევა. ხოლო სი-  
ცოცხლეს ვერ დაგვიბრუნებს ვერც ერ-  
თი ღმერთი.

მე კი ვფიქრობდი, გზითა და სიცხით  
გაბრუებულიც და დაქანცულიც. ყა-  
ზარმის დოლით და საყვირებით დაფე-  
თებულიც. ჯერ არ არსებობს ტვინის  
რენტგენი და ვერ გაიგებ, რას ფიქრობს  
კაცი. მაგრამ გჯეროდეთ, რომ ვერასო-  
დეს ვერ შეათავსებს ბოროტს და კე-  
თილს. ბევრი კანონი არსებობს ქვეყ-  
ნად, მაგრამ მე მწამდა ერთი კანონი:  
თავისუფლების და სიყვარულის.

მაინც ყველასთვის უცხო ვარ ახლა.  
ამხანაგებმა დამცხრილეს ტყვიით, ხო-  
ლო საბრალო დემონსტრანტებში ჯერ  
არ ჩამქრალა ეჭვი და შიში.

არ შეიძლება, რომ მტრები იყვნენ  
უიარაღო დემონსტრანტები. არ შეიძ-  
ლება, რომ უსასრულოდ მხოლოდ ძლიე-  
რი იყოს მართალი. მაგრამ თუ სხვებიც  
არ მიეხმარნენ, როგორ დაიცავს სიმარ-  
თლეს სუსტი.

მე კი ჩუმად ვარ, როგორც მარცვა-  
ლი, ღმერთის კალთიდან გადმოვარდნი-  
ლი. და ღმერთმა იცის, რა მელოდება:  
ჩიტის ჩიჩახვი თუ ქვის საწოლი, ეკალ-  
ბარდები თუ თბილი ხნული.

იმ დღეს ურემი მოყავდა გოგოს. მე  
გზასთან ვიდექ და ვუყურებდი. ის კი  
თავისთვის ფიქრობდა, ალბათ, და მო-  
დიოდა შარავნის მტვერში.

სინათლეს ფენდა მშობლიურ ბორ-  
ცვებს სიცოცხლით სავსე მისი სხეული.  
მკერდით მოჭქონდა მინდვრის სურნელი.  
თიშებში ჩაწვნოდა თივის ბულუღი.

რატომღაც ცრემლი მომაწვა ყელში.  
ცრემლი მომაწვა ყელში ბურთივით და  
უცებ ისე შემეკრა სუნთქვა, თითქოს გა-  
ყინულ წყალში ვხტებოდი.

მე რა მინახავს ამ ქვეყანაზე და მა-  
ინც მჯერა, რომ ვერაფერი ვერ შეედ-  
რება იმ მტანჯველ თრთოლვას, რომ-  
ლითაც ვნება იღვიძებს ჩვენში.

ის მოდიოდა შარავნის მტვერში და  
როცა იგრძნო ჩემი თვალები, შეშფოთ-  
და, როგორც სუსტი ცხოველი და  
არა ქალი... რადგან მე მხოლოდ მკაც-  
რი მუნდირი ვიყავი მისთვის.

არ ეშინია ქალს მამაკაცის. მოსაჩვე-  
ნებლად შეკრთება ხოლმე. არ ეშინია,  
როგორც ხეობას არ ეშინია შლეგი  
მდინარის. ან როგორც გვირაბს არ ეში-  
ნია აგუგუნებულ მატარებლების.

მე შემეჯავრა ჩემი მუნდირიც და ავ-  
ტომატიც. და მთელი ღამე საწოლზე  
ვიჯექ ბნელში, ბუსავით. ირგვლივ  
ხვრინავდნენ ამხანაგები და გულზე  
ყველას ეჯდა კოშმარი. შორს კი ბრწყინ-  
ავდა პანამის არხი. მძიმედ ფეთქავდა  
დევის ყელივით და უზარმაზარ ლუკმე-  
ბის მსგავსად ნელა მისდევდნენ გემებს  
გემები.

თანდათან ძალას იკრებდა ქარი. თა-  
მამდებოდა და კარვებს შორის დააგო-  
რებდა ვეება მთვარეს. როგორც უგო-  
ნოდ მთვრალი მედოლე. დააგორებდა  
მთვარეს დოლივით. მთვარე კი მართლა  
იყო გაზრდილი უაზრო სევდით და სი-  
მარტოვით და გულუბრყვილო კაცის  
ფიქრებით.

ჩემი ფიქრებიც მთვარეზე ავლენ,  
რადგან მთვარეზე ადის ყოველი, რასაც  
მიწაზე არ ჰყავს გამგები. მთვარეზე ავ-  
ლენ და მიიღებენ უცნაურ ფორმებს  
სტალაქტიდების. და ოქროსფერი სტა-  
ლაქტიდები შეეჩვევიან ცდასა და დუ-  
მილს. ვიდრე მთვარეზე არ ავა კაციც,  
რომ დააბრუნოს ისევ მიწაზე ადრე ნა-  
ნატრი და ნაფიქრალი.

მე მთელი ღამე ვიჯექი ასე. არ მომე-  
კარა არაფრით ძილი. მაგრამ სულ



თვალწინ მედგა ქალაქი, ჩემი გამჩენი და გამკითხავი.

ემშაკმა იცის, რას არ ვფიქრობდი, რას არ ვისმენდი და არ ვხედავდი. ხან მომეჩვენა, რომ ის ქალაქი ნელა ქრებოდა სილის ბორცვივით. თითქოს ვიღაცა აცლიდა საყრდენს და იშლებოდა სილის ბორცვივით. ხან კი ვიღაცა იპყრობდა ქალაქს. მე კი ვიცავდი და ავტომატურა მჭახედ მღეროდა, რომ იმ სიმღერით ჩაეკლა ჩემში სიკვდილის შიში. მე კი სრულებით არ მეშინოდა, რადგან სიკვდილი მერჩია მაინც მონობის უღელს. და ჩემი გულიც აფეთქებოდა დინამიტივით, თუ ველარაფერს ვერ ვიღონებდი.

ხოლო ის გოგო, იმ დღეს რომ ვნახე, ჩემს გვერდით იდგა და მიყურებდა აღტაცებული და ბედნიერი. მეც ვგრძობდი ქალის მხურვალე სუნთქვას და მიხაროდა, რომ მხოლოდ ჩემთვის სუნთქავდა იგი მთელი არსებით.

და ხარ თუ დედა, სატრფო თუ ცოლი... პატიოსანი ხარ თუ მეძავი, ღმერთმა შეგინდოს ყველა ცოდვები, ამ თრთოლვისათვის.

ასე თანდათან გავიდა ღამე, უკანასკნელი და უცნაური. მე ჯერ მინდოდა, რომ მესარგებლა ღამის წყვილივით და დემონსტრანტებს შევერთებოდი. და ჩემი სისხლი მიმეცა მათთვის, როგორც ნიშანი პატივისცემის და ერთგულების.

პატივისცემის ღირსია ყველა, ვისაც სამშობლო შერჩა და უყვარს. ვისაც სამშობლო უყვარს და ცდილობს, აღარ დაადგას ქედზე უღელი. არ დაამციროს ადამიანთა ყველაზე დიდი მონაპოვარი, ყველა ნაყოფზე ტკბილი ნაყოფი: თ ა - ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა !

მე წასვლა მსურდა, მაგრამ გუშაგი სიგარეტს წევდა და სიგარეტის წითელი თვალი გზას მიკეტავდა. ხოლო ჯარისკაცს, რომელიც ბანაკს ტოვებს თავისით, გუშაგის ტყვია ელის კეფაში. მე არ მჯეროდა, რომ გაიგებდა ჩემს პატიოსან სურვილს გუშაგი. არც ის მინდოდა, რომ ასე ადრე მოეჭრათ ჩემი ცხოვრების ტოტი, ძლივს ამოზრდილი და მოხიბლული ამქვეყნიური წვიმიით

და ქართ, მზითა და თოვლით, ცითა  
და ზღვებით და იმ სოფლელი გოგოს  
სურნელით.

ნუთუ საკუთარ სისხლის გუბეში უნ-  
და მეცქირა ჩამავალ მზისთვის... ნუთუ  
ვერასდროს ვერ მოერევა და ვერ გან-  
დევნის ბოროტს კეთილი. თუ სიკეთეა  
სულის საწყისი, ვილას ჭირდება ამდენი  
სისხლი. და რატომ კვდება ადამიანი,  
თუ დამტკიცება უნდა სიმართლის. რა-  
ტომ ვერ ძლება ყველას სტომაქი კუთ-  
ვნილი პურით, წყლით და ჰაერით...

ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ჰკონია.  
მაგრამ აქამდის ვერ უპოვია საბრა-  
ლოს თავი. და გადის მისი მოკლე  
ცხოვრება შურში, მტრობაში და სი-  
ძულვილში. შენ რატომ უნდა გეძინოს  
ცუდად, მე თუ რაღაცით ვარ ზედნიე-  
რი... ან რატომ უნდა გეძინოს მშვიდად;  
როცა მე ვწევარ სისხლის გუბეში.


უცნაურია, მაგრამ ჩემსავით ბევრს  
ჩაუყვალაპავს ბოლო ცრემლები: სიმ-  
წრის, სიბრაზის და სინანულის.

მეც, რა თქმა უნდა, ვნანობ სიცოცხ-  
ლეს. ძალიან მალე დასრულდა იგი.  
მაგრამ არ ვნანობ, ასე რომ მოვკვდი.  
რაღაცას ნიშნავს ასე სიკვდილიც. რა-  
ღაცას ნიშნავს, რადგან ამქვეყნად ბო-  
როტის გვერდით არის კეთილიც. ბევ-  
რია ჩემზე პატიოსანიც, ჩემზე ჭკვია-  
ნიც და მოყვარულიც. და როგორც  
ტყიდან მეორე ტყეში გადაააქვთ ქარებს  
თესლი ხეების, ასე გადადის გულიდან  
გულზე ჩვენი ფიქრები და სურვილები.

ცა ხომ ვრცელთა, მაგრამ ამ ცაშიც  
ეჯახებიან ღრუბლებს ღრუბლები. ამ  
შეჯახებას მოსდევს ქუხილი, ქუხილს  
კი ცეცხლი, რომ ცეცხლის შუქით გზა  
გაინათონ წვიმებმა ბნელში. ხოლო  
წვიმები კლდესაც რეცხავენ და კაცის  
გულსაც. და როგორც ბროლის მაღალ  
ტაძარში, მთელი ქვეყანა შედის წვი-  
მასი.

კვლავ მავთულებზე დასხდნენ ჩიტები. ველზე დაეშვა სადამოს ბინდი.  
არხში თანდათან გამუქდა წყალი. გაქრნენ პალმები და ამწეები. ხოლო ბრჭყვი-  
ალა ავტომატებმა კვლავ ხალხს მიაპყრეს მკაცრი თვალები. ხალხმა კი მაღლა  
ასწია მაინც ამაყი თავი და პლაკატები.





დღეს 1963 წლის 24 მაისია. რუსთა-  
ვის მეტალურგიულ ქარხანაში მივდი-  
ვარ სამუშაოდ. სცენარისტთვის მასალა  
მინდა შევაგროვო.

რუსთავი სუფთა, წყნარი ქალაქია.  
სასტუმროში დავბინავდი და ქარხნისა-  
კენ გავეშურე.

კარებზე განყოფილებასთან დიდი  
რიგია გაჭიმული. ზაფხულობით ახლო-  
მახლო სოფლებიდან ჩამოსული გლე-  
ხები სამუშაოდან გათავისუფლებას  
თხოულობენ, ოჯახებს უბრუნდებიან.  
სოფელში სახლი, ბოსტანი, ბაღი, უდარ-  
დელი მასლაათი, ახლად გამომცხვარი  
პური და ხილი მიეღიო, ქარხანაში კი  
გოგირდისა და ნახშირმჭევა გაზის სუნის  
დგას, კვამლი, მტვერი, მჭვარტლი, ხმა-  
ური და აუტანელი სიცხეა. რიგში ჩაე-  
დექი. კაცმა რომ თქვას, ამ შეხლა-შე-  
მობლას რიგი არც ეთქმის. ვიღაცა მძიმე  
სამუშაოს უჩივის, მეორეს სოფელში ჭა-  
დარჩენია გასათხრელი, სხვას სახურავი  
ჭქონია შესაკეთებელი.

კარებში მაღალი, ცისფერკაბიანი.  
მკერდსავეს ქალიშვილი გამოჩნდა, დო-  
ნჯი შემოიყარა და ზიზლით გადმოგვ-  
ხედა, გზა მომეცითო, გვითხრა. გავიწ-  
გამოვიწიეთ. თავს გვარიღებდა, კაბას

რუსთავის

და დიუნი



უფრთხილდებოდა, რამდენიმე კაცი ფრთხილად გასწია გვერდზე და კარი მიიჯახუნა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა. სუფთა ქაღალდები მოჰქონდა, ისევ ამრეზილად აუარა გვერდი მუშებს. თეძოების რხევით მიიფარა თვალს. გულცივი, ბოროტი და ლამაზი იყო. ყური მოეკარი, როგორ წაისისინა: „ეს ჭუჭყი ზედ რომ არ შემომახოცოთ, ისე ხომ ვერ მოისვენებთ!“

მარტენის საამქროში გამგზავნენ.

გაგარეარებულ ღუმელებს გუჟღენი გააქეთ. ნაპრალეებიდან გამოხეთქილი ალი ქშუის, ქერქვეშ ამწეები დახრიგინებენ, ლითონით სავე უზარმაზარი ციცხვები გადააქეთ. ირგვლივ ჯოჯოხეთური ხმაურია. მუშებს კარგად მორგებული ქეჩის ქურთუკები აცვიათ. ზრდილობიანად მესალმებიან, მათვალაიერებენ, მეცნობიან.

დღეის შემდეგ ლურჯი სათვალე უნდა ვატარო და ღუმელში ფოლადისთვის საჭირო მასალა შეეყარო. მარდად და მარჯვედ ვიმუშაო, სახე ხელებით დავიფარო, თორემ დამეწვება. არ გამიმართლა: სამი მუშა დაბრუნებულა ჯარიდან აღრინდელ სამუშაოზე და ჩემი ადგილი დაკავებული დამხვდა.

ბრძმედის საამქროში ვარ. თუჯის ოქროსფერი მდინარეები შავ იატაკზე მოედინება და ციცხვებში იღვრება. ვაგონეტების თავზე ელვარე ნაპერწკლები ირევა.

მამუკა მინდელი გაკვირვებით მომაჩერდა. მიმართვა წაიკითხა, ისევ შემომხედა. გავიბღინძე, წელში გავიმართე, გავიარ-გამოვიარე, სასურველი შთაბეჭდილება მაინც ვერ მოგახდინე. მინდელი ახალგაზრდა კაცია, თვალეები ავადმყოფურად აქვს ჩაწითლებული, სახეც ისე შეშუპებულია, იტყვი, გამოძინება ვერ მოუსწრიაო.

— სასიკვდილოდ გაკიმეტეს? — მითხრა მან, პირზე ხელი მოისვა, ერთხელ კიდევ ამხედ-დამხედა და უარი მტკიცა, ვერ მიგიღებო.

დიდხანს ვარწმუნებდი, ვეუბნებოდი, თავს არ დაფოგავ, კარგად ვიმუშავებ, არც ისეთი სუსტი ვარ, როგორც გეჩვენებო.

ნებით-მეთქი. მინდელმა მისმინა, მისმინა და ბოლოს ვალის მოსახდელად ჩემს სამედციონო უწყებას დახედო, მარტენი აიჩეჩა და ხელი მომიწერა. როგორც კი ზურგი შემაქცია, მაშინვე დავავიწყდი.

სანამ ღურგალი ქოშებს მიმზადებდა, შემთხვევით ვისარგებლე და გაზი ვთხოვე. მინდოდა ჩალურსმული კარადა გამელო, რომ შივ ჩემი სპეცტანისამოსი შემენახა.

— ვერ გაგატან, — არ მენდო ღურგალი.

გირაოდ ფიცრებზე ქუდი დავავდე და თვალებით ვკითხე: „ახლა?“ ღურგალმა თავი დამიქნია. ჩავკეტე ჩემი სპეცტანი-სამოსი და მთელი დღე ქარხანაში ხეტიალს მოვანდომე.

გულაღმა ვწევარ. თავი მიბჟუის, სახსრები მტეხს. ნაცემივით ვარ.

დღეს, 10 საათზე, ბრძმედიდან ჩემი პირველი თუჯი წამოვიდა. ოსტატი დიდხანს მიხსნიდა წესებს. ყურადღებით ვუსმენდი, დროდადრო თავს ვუქნევდი და რადაცას ვეკითხებოდი.

წერაქვით და ნიჩბით ვასუფთავებდით ორმოცმეტრიან საწიდე თხრილს. კაპიტალური შეკეთების შემდეგ ბრძმედს ახალა დაუწყია მუშაობა, ამიტომ ჯერჯერობით ცუდად მუშაობს; გახურებული, მაგარი წილის ფენა ძალიან სქელი იყო და როცა ძალაყინით ვჩიჩქნიდით, არც კი მეგონა, თუ რამეს დავაკლებდით, მაგრამ სამმა კაცმა, როგორც იქნა, თავი გაგართვით. თუ ნაჭერი მძიმე იყო, კავს მოვდებდით და ამწეთი მივათრევდით. „ახალი ბრძმედი ახალი ფენსაცმელივითაა, მალე კარგად მოჯდება და ამდენს აღარ გაგაწვალებს“, — ამბობდა შოთა. დაბალ-დაბალი, მარდი მელუმელე ხშირ-ხშირად მეკითხებოდა, ხომ არ დაილაღეო და მამხნევებდა.

მეც მხნედ ვიღიმებოდი, ხელს ავიქნევდი: აქაო და, დღლა რას მიქვიაო, გულში კი ვამბობდი: „დავილაღე კი არა, მგონი ვკვები“. ნიჩაბი ხელიდან მისხლტებოდა, ფეხები მეკეცებოდა, სახეზე ცხელი ოფლი მასხამდა. ხან მცხელოდა, ხან მციოდა, ბოლოს თითიც მოვიჭმეყვე. მივათრევდი წილის სამფუთიან ნაჭერს

და ვფიქრობდი: „რა ჩემი საქმეა ეს, სადა მამქვს ამის ღონე, რა თქმა უნდა, ჩემით არ მოვიტხოვ გათავისულებას. მაგრამ დღის ბოლოს ამ ყოფაში რომ მნახავენ, ალბათ, სხვაგან გადამიყვანენ. ხომ არის ქარხანაში ამაზე იოლი სამუშაო, რაღა მაინცადამაინც აქ გამომიშვებს?“ ონკანთან ცივ წყალს დავეწოფე, მერე წიდის ნაჭრებს ყუთებში ვყრიდი, ყუთს ამწეზე ვამაგრებდი, ხელს ვიქნევდი და ზევით ვიყურებოდი, თავზე რამე არ დამეცეს-მეთქი.

როგორც იქნა, გავასუფთავე ჩემი არხი, შიგ თეთრი სილა ჩავყარეთ, დავტკეპნეთ, სამ ადგილას გადავტახრეთ და პაპიროსის მოსაწევედ გავედით.

ბრძმედი გულისგამაწვრილებლად ზუოდა, ორთქლში ვახვეული ორი მუშა რაღაცას მიათრევდა. გარეთ წვიმა ცრიდა. სიგარეტს ვეწეოდი, ვუყურებდი წვიმას და არაფერზე არ ვფიქრობდი. ქვემოთ ორთქლმავალმა ჩაიარა.

მძიმე ქოშები გავიძრეთ და დიდხანს უხმოდ ვისხედით სკამზე. ჩვენ ოთხნი ვართ, ჯერ არც ერთის სახელი არ ვიცი. სკამის კიდეზე დაბალი, მარდი მებრძმედე ზის, ოდნავ წახრილი სიარული იცის, მკლავები მუდამ დაძაგრული აქვს, თითქოს რაღაცას ელის და უნდა მზად დახვდესო. აქვეა მეორე მებრძმედე, ფერმკრთალი და გამხდარი კაცი. მას თვალი ოდნავ მოუჭუტავს და ერთ წერტილს მისჩერება. უფროსი მებრძმედე ასე, ორმოციოდე წლის კაცია. ხათრიანი და შინაურული, საქმიანია, მაგრამ ტყუილუბრალოდ ფაცი-ფუცი არ უყვარს, შავი თვალებით შემომცქერის და, ასე მგონია, რაღაცას მეკითხება.

ჩვენი ბრიგადის მეხუთე წევრი — ვერცხლისკბილებიანი კაცი — დუმელთან დარჩა, ის თავიდანვე სულ მსაყვედურობს, მაგრამ სიტყვიერად კი არა, — ამ ხმაურში სიტყვებს ვერც გაარჩევ — ხელებით ან თვალებით მანიშნებს რაღაცას და თითქოს მტუქსავს.

დადამდა: სადისპექტიროდან ოსტატი გამოვიდა, ცოტა ხანს დაჰყო ჩვენთან და მერე წავიდა. უფროსმა მელუმელემ გადააფურთხა, ხელთათმანები ჩაიცვა,

ამოიხვნემა, სიგარეტი ჩააქრო, თვეები ქოშებში წაჰყო, ერთხელ კიდევ ამაღირობრა და ბრძმედისაკენ გაემართა. ჩვენც მძიმე ქოშების ბაკუნით უკან მივეყვიეთ.

ყველა თავის ადგილას დადგა, მე საწიდე თხრილთან გავჩერდი.

შეგუდექით წმიდათა წმიდა საქმეს. ხერელს, საიდანაც თუჯმა უნდა იდინოს, ჯერ ბურღავენ, მერე ქანგბადით წვავენ. დიდხანს ჯიუტობს იგი და უცებ!.. ლომისებური, დიახ, ლომისებური ბუხუნით გამოხეთქავს ალი. აცვიგდება ნაპერწკლები, ავარდება ბოლი. ყველა უკან გარბის. თუჯი კი ზარ-ზეიმით და ზანტად მოემართება, ჩამოდის ქვემოთ, ავსებს ორმოს, მიძვრება იქით, ჩასადენისკენ და ეს თეთრი ნაკადი, ციცხვში იღვრება. „თუჯი, თუჯი!“ ვიმეორებ გულში და ვგრძნობ, რომ ვღელავ.

ხიდურზე ოსტატი დგას, სახეზე ხელები აუფარებია და თუჯს უთვალთვალეებს, რაღაცას ყვირის, ხელებს იქნევს. სადღაც მივრბივართ, არ ვიცი კი, სად. ჰო, საფარისკენ. ვაღებთ საფარს, საშინელი სიცხეა, სახე მიხურს, ოსტატი კი კვლავ ხელებს იქნევს, სილათ, გვანიშნებს. სწრაფად ვიმარჯვებთ ნიჩბებს და რიგრიგობით ვყრით სილას ცეცხლოვან თხრილში. მდღოვრედ მოედინება თუჯი, მდინარესავით მოაგორებს ტალღებს, ყველა დამშვიდდა; ნიჩბები სილაში ჩავარტყეთ და დავსხედით.

წამოვიდა წიდა, ალის ენები ლოკავს ყველაფერს. წიდით ორი ციცხვი ავაგსეთ, ორთქლმავალმა დაიკივლა, ციცხვები წაიღო; ძაბრი თიხით ამოვლესეთ, წყალი დავლიეთ, ცოტა ხანს ვენტილატორთან გავგრილდით, ხელთათმანები გავიძრეთ, მივიხედ-მოვიხედეთ და ცვლაც დამთავრდა.

ძალიან დავიღალე, მაგრამ ჯერჯერობით კიდევ ვერა ვგრძნობ ამას, საშხაპეში მუშები ტანს იბანენ. ერთი სიცილ-ხორხოცი აქვთ, ხელს კრავენ ერთმანეთს, ან წყნარად უშვეგრენ სახეს

ოთარ იოსელიანი  
რუსთავის დღიური

თბილ, სასიამოვნო ნაკადს და განცხრო-  
მას ეძლევიან.

სწრაფად გავიმშრალე ტანი, სბე-  
ტანისამოსი კარადაში შევიწახე; დაღ-  
ლილობამ თითქმის გამიარა, გამოვედი  
და დაქეცილი თითის შესახვევად მხიარ-  
ული სტენით საეჭიშო პუნქტისაკენ  
გავეშურე.

წვიმას გადაუღია, ცაზე ვარსკვლავე-  
ბი კიაფობენ. თბოსადგურის მაღალი მი-  
ლიდან ცისკენ ზანტად მივირგანება  
კვამლის ქულეები. ჩვენი საამქროდან გა-  
სასვლელამდე ორი კილომეტრი იქნება,  
იქიდან სასტუმრომდე — ამდენივე. და-  
რავმა ორის ნახევარზე გამიღო კარი,  
ძლიერდღივობით ავადწიე ჩემს ოთახამდე,  
შარვალი სათუთად გადავკიდე საწოლზე,  
საბანი წავიხურე და უძილობას შეჩვე-  
ულმა, ჩვეულებისამებრ, წიგნის კითხვა  
დავაპირე, მაგრამ ვერ შევძელი, მაშინ-  
ვე ჩამძინა.

სიზმარი არ მინახავს, არც გვერდი  
მიცვლია. თვალი რომ გადახილე, უკვე  
გათენებულიყო. ოჰ, როგორ მტკიოდა  
ხელები!

ძალიან მეზარება სამუშაოზე წასვლა,  
ტანში მტებს, ყურები მიბჟუსი! არადა,  
უკვე წასვლის დროა. რაც უფრო ვუახ-  
ლოვდები ქარხანას, მით უფრო მეტი  
თანამგზავრი მყავს, ქარხანაში კი უკვე  
ჯგუფ-ჯგუფად შევდივართ, უხმოდ და  
სწრაფად მივაბიჯებთ. გასასდელში მუ-  
შები ერთმანეთს ესალმებიან, ტანსაც-  
მელს იცვლიან. მესმის კლიტეების ჩხა-  
რუნი, კარის ჯახუნე; საამქროში რომ  
ავედი, დამცეცხლა: ისევ ეს ხმაური, სი-  
ცხე, ნიჩაბი...

ბარემ ნიჩაბზეც ვიტყვი. ნიჩაბი ფარ-  
თო და გრძელტარიანია, ფუთამდე სი-  
ლას ან წიდას იტევს, ხელში ვერ ვიმაგ-  
რებ, გადამიტრიალდება ხოლმე და სი-  
ლა იატაკზე მეზნევა, ყველა უკმაყოფი-  
ლოდ აქნევს თავს. ვწითლდები, მრცხე-  
ნია, ცვდილობ როგორმე რიგიანად და-  
ვიჭირო ნიჩაბი, ეს კიდეც არაფერი, ნი-  
ჩაბი უნდა მოვიქნო და წიდა ყუთებში  
ჩავყარო, ყუთები კი შორსაა. რამდენს  
მოვიქნევ, იმდენი აცდება! მერე გაზნე-  
ული წიდას მოსუფთავება მევე მიხდე-

ბა. რიგრიგობით ყველა მასწავლის, რო-  
გორ დავიჭირო ნიჩაბი, როგორ უნდა  
მოვიქნო იგი, როგორ ავიღო <sup>წიდას</sup> <sup>წიდას</sup> <sup>წიდას</sup> <sup>წიდას</sup>  
უკვრით, რა მოგივიდა, არასოდეს არ  
კიმუშავია? შეწუხებულნი უყურებენ  
ჩემს წვრილ თითებს. მაგრამ ვის სცა-  
ლია, დრო მიდის, სამუშაო ბევრია. ასე  
თუ ისე, ბოლოს მეც შევეჩვევი ნიჩაბს.  
ხანდახან მამოწმებენ ხოლმე, როგორ  
ვმუშაობ და კმაყოფილებით უკან ბრუნ-  
დებიან. მუშაობით კი ვმუშაობ, მაგრამ  
ვაი ამ მუშაობას! სხვებთან შედარებით  
სუთჯერ მეტ ენერგიას ვხარჯავ. საოცარ-  
ი კია: რაც უფრო ვიღლები, მით უფ-  
რო მხნედ და მხიარულად ვარ. საქმეს  
რომ მოვრჩები, სკამზე ვჯდები, რკინის  
გრილ საზურგეს ვეყრდნობი და უზო-  
მოდ კმაყოფილი ნეტარებას ვეძლევი. რა  
სჯობია ამას!

ახლა ქოშებზე მოვახსენებთ: ეს ქო-  
შები ძალზე მოუხერხებელი და უხეშია.  
ფეხი წამისწამ მიბრუნდება. დღეს ხომ  
თავი მომეჭრა, სამარცხვინოდ გავიშ-  
ლართე და ნიდაყვი რკინას დაეკარი.  
ილო, შოთა და რეზო უხმოდ მომაჩერ-  
დნენ. მკვირცხლად წამოვხტი და მხნედ  
განვაგრძე მუშაობა, ვითომც არაფერი  
მომხდარიყოს.

დღეს წიდა უფრო თხელია. მარტოკამ  
გავწმინდე მთელი თხრილი, როცა ლი-  
თონი წამოვიდა, თვითონვე ჩამოვასხი  
სინჯი და ლაბორატორიაში წავიდე.

ღუმელი რომ დახურეს, თხრილები  
წყლით უნდა გამეცივიებინა. შევუდექი  
საქმეს, ყველაფერი ოხშივარში გაეხვია.  
ალარაფერი ჩანდა, წყალს მაინც ვასხამ-  
დი, ვასხამდი დაუღვევრად, სადაც მო-  
მიხდებოდა. ვილაც გააფთრებით მეძგე-  
რა, ერთიანად წყლით იყო გალუმბული,  
მიყვირის, ხელებს მიქნევს, მე კი უცოდ-  
ველად ვილიმები, ვერაფერი გამოიგა.  
წიდა შიშინებს, ბრძმელი, თხრილები.  
მთელი საამქრო სადღაც გაქრა. ორნიდა  
ვდგავართ ორთქლში გახვეულნი. რა აყ-  
ვირებს ამ კაცს? შოთამ ონკანი დაკეტა.  
წყალი შეწყდა, ორთქლი გაიფანტა. ქვე-  
მოთ თავით ფეხებამდე დასველებული





კაცი დგას. იმდენად გაოგნებულა, გაბრაზებულა ცერ ასერხებს. „რა უნდა ელაპარაკო ამ საწყალს!“ ერთი ახალბედა არ იყო!..“ ახალბედა რომ არ ვიყო, ეს ხომ ბოროტი ხუმრობა იქნებოდა! ჩაიქნია ხელი და შარვლის გასაწურავად წავიდა. თან მეცინება, თან მწყინს. რომ არ დამავიწყდეს, ახლავე მინდა ვთქვა — აქ არასოდეს გინება არ გამიგონია. უბრალოდ და ზრდილობიანად ლაპარაკობენ.

ერთი წუთით მოცლა არა მაქვს, — ბუნეკერს სილიანი ვაგონები მიუყენეს. შოთა ზევითაა, მე — ქვევით: „მანია!“ „ვირა!“ — ვყვირი. კავი მძიმეა, ისე მძიმე, რომ ძლივს ვერევი. კავეები დიდი ყუთების ყურებში უნდა გავუყარო, მერე გავეცალო, ყუთები ზევით ააქვთ და როცა ცარიელებს უკან დააბრუნებენ, სწორად და წესიერად უნდა დაგაწყო.

ამწეს მართვა მასწავლეს. ამწეს სახურავებზე, კედლიდან კედლამდე დადის, მთელ საამქროს თავს დასტრიალებს, გადასწევს სახელურს და კავი ქვევით ეშვება. მოსაწყენი სამუშაოა!

ოსტატმა უსაფრთხოების ტექნიკაში გამომცადა, დაახლოებით ასე მეკითხებოდა: „შეიძლება თუ არა გადაახტე გავარვარებულ თუჯს?“ ბოლოს მაცდური კითხვა დამისვა: „შეიძლება თუ არა ფიცრის გახერხვა ჯოხით?“ არა-მეთქი, ვუთხარი. „აბა, რით შეიძლება?“ ხერხით“. „ჰოდა, ისწავლე, ბიძია, ნიჩბის ხმარება, მაგასაც ცოდნა უნდა...“

კვლავ თუჯი და თუჯი! როცა ტიხრებს ვარდევით, თხრილში წითელი კვამლი ამოვარდება ხოლმე. ძალიან ლამაზი საცქერია, მუშები ძალაყინით და კავეებით ტიხრებს ამტვრევენ და უკან გამოორბიან. მათ ღრიალით მოსდევს შავ-წითელი კვამლი.

ოთხი დღე ზედოზედ ვმუშაობთ რვა-რვა საათს და შემდეგ ორ დღეს ვისვენებთ. ასე იმიტომაა დაწესებული, რომ ბრძმედმა განუწყვეტილად იმუშაოს.

მუშაობის შემდეგ ფიქრი და წერა ძალიან მიძნელდება. ეს, იმის ბრალია, რომ ვიღლები და ცოტა აზრიც მეფანტება. მარტო ფიზიკურ ძალას კი არა,

სულიერ ენერჯისაც ვახმარდებით. რამდენი სამუშაოა! ახლა უკვე ცვლადი ორჯერ ვმუშავებთ თუჯს, ესე იგი, ორჯერ მეტს ვმუშაობთ. რაც დრო გადის, მით მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. უფროსმა ერთხელ ამიხსნა და მერე სულ არ ენადღელება, სწორად ვმუშაობ თუ არა. მაგრამ როცა ცვლები, დაუზოგავად მიყვირის.

ბირველ ხანებში ძალიან მიძიმდა მუშაობა მესამე მეტრძმედესთან, ვალიკოს რომ ეძახდნენ, მაგრამ მაღლობა დმერთს, კარგა ხანია სამუშაოზე აღარ გამოჩენილა. იმთავითვე დამიჯანბნა, თუ, მაგალითად, ჟანგბადის მძიმე ბალონის გადატანა იყო საჭირო, ის წინიდან მოუდგებოდა — ასე უფრო მოსახერხებელი იყო — მე კი უკან დამაყენებდა ხოლმე, მძიმე ტვირთისაგან წელში ვწყდებოდი, გზას ვერ ვხედავდი, ვბორძიკობდი, ბალონი ხელიდან მისხლტებოდა, თითები მიბრუნდებოდა. მივდიოდი და კბილებს ვაკრატუნებდი. თავიდანვე არ მომივიდა თვალში ეს კაცი, ახლა კარგა ხანია აღარ გამოჩენილა. ბრიგადაში ოთხნილა დავრჩით. როცა საუბარი ვალიკოზე ჩამოვარდება, რეზო და შოთა შუბლს იჭმუნნიან. მიხარია, რომ არ შეეცდი ამ კაცის შეფასებაში. ჩვენ ოთხნი ვართ, ახლა მთელი თხრილი მე მახარია, დამაწინაურეს — მეექვსე თანრიგის ნაცვლად მეშვიდე მომცეს.

სამუშაოს დაწყებამდე ცვლას მე ვიბარებ: ვამოწმებ, სუფთაა თუ არა თხრილი, სწორად არის თუ არა დაყენებული გამცხრილავი ნიჩაბი, ლიანდაგზე ხომ არ დაღვრილა წიდა. ამის შემდეგ თხრილში ვყრი სილას, ვტყეპანი, ვუყვირი მემანქანეს, როგორ დააყენოს ციცხები ქვემოთ, ვასწორებ გადასასვლელებს და სხვა გამცხრილავ ნიჩბებს, გზას ვუკვალავ წიდას, ვავსებ სამ ციცხებს, ისევე ვასუფთავებ ღარს და ვამზადებ წიდის ძირითადი ნაკადისათვის. თუჯი რომ წამოვა, მთლად ოფლში გაწურული სინჯებს ვიღებ, წიდას ძალა-

ოთარ იოსელიანი  
რუსთავეის დღიური

ყინით გზას ვუკვლევ, ერთიმეორის მი-  
ყოლებით ვხსნი გამცხრილავ ნიჩბებს,  
ივსება ციციხეები, ვდარაჯობ, რომ წიდა  
არ გადმოიღვაროს, ვყვირი, ვუსტვენ,  
დავბრვიარ, სილას ვყრი, გუნდებდად  
ვისვრი თიხას. ბოლოს რეზო ნაკადს კე-  
ტავს. მორჩა! სინჯები ლაბორატორიაში  
მიმაქვს, მერე ზევით ავდივარ, ბრიგადის  
წევრები მერხზე სხედან, ნებივრობენ.  
მეც ვჯდები, ქოშებს ვიხდი და განცხრო-  
მას ვეძლევი.

სიცოცხლის სრული შეგრძნება, სი-  
ლამაზის და სიხარულის განცდა, ადა-  
მიანებთან დაახლოება, მათთან სული-  
ერი ურთიერთობა მხოლოდ მაშინ ხერხ-  
დება, როცა სამუშაოს დაამთავრებ, ზი-  
ხარ შენი ამხანაგების გვერდით და ნა-  
ჯაფი ხელები მუხლებზე გიწყვია.

ვიდრე მხარდამხარ ვმუშაობთ, უსი-  
ტყვოდ ვეხმარებით თუ ხელს ვუშ-  
ლით ერთმანეთს. მე დაახლოებით  
ვხვდები ჩემი ამხანაგის ხასიათს, იმასაც  
ისე, ზედაპირულად, მაგრამ როცა მუ-  
შაობას ვამთავრებთ და ვისვენებთ, მხო-  
ლოდ მაშინ, სიმშვიდეში დგება ურთი-  
ერთშეცნობის წუთი. კაცს მაშინ გაიც-  
ნობ, როცა იცი, რაზე ოცნებობს, რაზე  
დარდობს ან რას ფიქრობს იგი.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ მუშაობის  
დამთავრების შემდეგ ილო, მეორე მეზ-  
რძმდე, ღვინოზე მივიპატიქე. მაგრამ  
ამაზე შემდეგ.

დნობისთვის ყველაფერი რომ მოვამ-  
ზადეთ, დავსხედით და წავისაუზმეთ.  
ამოვალავეთ, ვისაც რა გეჭონდა წამო-  
ღებული შინიდან, მე ცივი წყალი მო-  
ვიტანე, რეზომ იატაკზე მოირთხა ფეხი,  
ნიორი ამოიღო, თითო კბილი დავვირი-  
ვა და უხმოდ შევუდექით ჭამას. საუზმე  
მოვათავეთ, პურისა და ყველის ნარჩე-  
ნები გაზეთში შევახვიეთ, ნამცეცები ჩა-  
მოვიბერტყეთ.

სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, წყლის გამ-  
ყვანი დათა ჩამარცვლით კითხულობდა  
გაზეთის ნახევს. ტუჩები ბავშვურად  
აბურცოდა. უცებ გაზეთი გამომიწოდა:

— ჰა, ეს, ალბათ, გაინტერესებს,  
— სულაც არა, — მივუბე, ფეხბურ-  
თის კალენდარი იყო.

— არ გიყვარს ფეხბურთი?

— არა, შენ?

დათამ გულგრილად ჩაიქნია ხელი,  
შოთაც ამირიზა, რეზო კი დაცინვით  
შემეკითხა:

— მერედა, რატომ არ გიყვარს?

მხრები ავიჩიჩე.

— სად არის მაგის დრო, — აღელ-  
და ილო, — აი, ჩვენი ფეხბურთი, —  
ხელი ბრძმედისკენ გაიწვდინა.

გულზე მომხვდა მისი ნათქვამი და  
სიტყვასიტყვით ჩავიწერე. დამამახსოვრ-  
და, ბოლოს როგორ გაიღიმა და შუბლი-  
დან ხელუკულმა მოიწმინდა ოფლი. შო-  
თამ ირონიულად ჩამიკრა თვალი, გაიზ-  
მორა და წამოღდა.

გივი შეყვარებულია. დღეს დილის  
ცვლაში რომ გამოვედით, მივხვდი, რომ  
გივი შეყვარებულია.

დილის ცვლაში ჩვენს ბრიგადას ერთი  
ამწეზე მომუშავე ეკუთვნის. ყუთების  
კავზე მიმაგრება მე მაქვს დავალებული.  
ძალიან გამიკვირდა, როცა ყველა ყუთი  
ცარიელი დამხვდა. ზევით ავიხედე —  
ამწეს ჯიხურში ლამაზი, დინჯი ქალი-  
შვილი დავინახე. ხან თვალს მიეფარება,  
ხან ისევ გამოჩნდება. თავზე რუხი ხი-  
ლაბანდი წაუკრავს. თვლები ლურჯი  
უნდა ჰქონდეს. გივი გულმოდგინედ  
ანიშნებს: უფრო მარცხნივ! მარჯვნივ,  
გაჩერდი, ქვევით, ზევით! ქალიშვილი  
უჯერებს, ამწეს ხან მარცხნივ, ხანაც  
მარჯვნივ გადაადგილებს, კავს აჩერებს,  
ზარს რეკავს, იცდის. გივი გვიყვირის  
მე და მეორე მეზრძმედეს. ჩვენც ვაკრო-  
ვებთ საამქროს მთელ ნაგავს. გივი კონ-  
ტინერს კავზე ამაგრებს, კონტინერს  
ზევით ააქვს ნაგავი და მტერის კორიან-  
ტელს აყენებს. ყველას ხველა აკვივარ-  
და. ნაგვის მოხვეტა ჩვენი საქმე არ  
არის, არც ყუთების დაცლა გვევალება.  
გივი ნაღდად შეყვარებულია! თვითონაც  
დაიტანჯა, ოფლში გაიწურა, გაიმურა  
და ჩვენც გვაწვალებს. კონტინერიდან

გადმოყრილი მტვერი შავ ბურუსად წვიბა საამქროში. საწყალ გოგოსაც ახველებს.

ყველაფერი მივალაგ-მოვალაგეთ. კავი დამცინავად ქანაობს გიგის ცხვირწინ. გივი ქუდით იგრილებს სახეს და ეძებს, კიდევ რა მიაბას კავზე. რეზო, ილო, დავითი და მე ნიჩბებზე დაყრდნობილი ვდგავართ, ვუცდით. ყველაფერი მილაგებულა!

კავი ზევით აცურდა. ჯიხური კედელთან მისრიალდა.

ქალიშვილს მაყვალა ჰქვია. ის აურჩაბრებლად ჩამოვიდა ამწედან, ბაკაბუკით ჩამოიბრინა რკინის კიბე, გვერდით ჩავიარა და მოგვესალმა. მწვანე თვალეები ჰქონია; ცოტა ჩასუქებულია, თორემ ისე კარგი გოგოა. გაბაკუნდა და სკამზე ჩამოჯდა. ერთხელაც არ გაღიმებია. ჩამოჯდა და ფეხის ქნევა დაიწყო.

ღროა შრომას შევუდგეთ. სანამ მუშაობას დავიწყებდე, არ შეიძლება წყალი რომ არ დავლიო. წყალი ღუმელის უკან გვაქვს. სამნაირი — თბილი, ძალიან ცივი და გაზიანი. დღეში ექვს ბოთლს ვსვამ. წყალი დავლიე და მოგტრიალდი. სადაა ჩემი ნიჩაბი? გუშინ და გუშინწინ ნიჩაბი მქონდა. ილოს თავისი აქვს, რეზოს — თავისი, სულ სამი ნიჩაბი გვაქვს.

— სადაა შენი ნიჩაბი? — მეძახის რეზო, — თხრილში სილა გვაქვს ჩასაყრელი.

- ნიჩაბი არა მაქვს!
- რატომ არ შეუქვეთე?
- მქონდა.
- ის სხვისი იყო.
- არ ვიცოდი.
- ახლავე იშოვე ნიჩაბი!
- სად ვიშოვო?
- მაშ, უნიჩაბოდ იმუშავე?
- კი მაგრამ, სად ვიშოვო?
- სამი ნიჩაბი გვქონდა: შოთას თავისი აქვს, ილოს — თავისი. შენი სადაა? არ დამენახო, სანამ ნიჩაბს არ იშოვი! — ღრიალებდა უფროსი მებრძმედე, ფართო, შავ თვალებს მიბრიალებდა, კისერზე ძარღვები დაბეროდა და სახე გაწითლებოდა. არც მე ვუთმოზბდი.

მოვიდა ოსტატი, წყნარი, მსუქანი ყრწვილი, გვიყურა, გვიყურა და წავიდა. სანამ მე და რეზო ვყვიროდით, ღარს სილა მოაყარა, შემდეგ მომიახლოვდა და თავისი ნიჩაბი გამომიწოდა.

რეზო კიდევ დიდხანს დუდლუნებდა, მე ვმუშაობდი. სამუშაო ბევრი მქონდა, ილომ მთელი თავისი წიდა ჩემს თხრილში გამოუშვა. სამი ტუჩი გახსნა, სამი ციცხვი აავსო. თუჯის გამოშვებამდე კი ოცი წუთილა რჩებოდა — უნდა მომესწრო. თხრილიდან ყუთებში ვისროდი ჯერ კიდევ ცხელ წიდას, გოგირდოვან კვამლში სული მეხუთებოდა და მახველებდა. საქმე ჯერ არ დამემთავრებინა, რომ თუჯი წამოვიდა. დაცხა და იძულებული გავხდი ქეჩის ქურთუკი ჩამეცვა. ამას ისიც დაერთო, რომ პირველ თხრილში წიდა დაგროვდა. კოვზით მოვურიე, გრძელი, მძიმე ქოკით ქერქი გავხვრიტე, დავხტოდი გახურებულ ხიდურებზე, ავარგარებულ თუჯთან ახლოს მივდიოდი. წიდა რომ არ გადმოღვრილიყო, გაცხარებული ვატყებებდი თიხას თხრილის ნაპირებს და ბოლოს იმდენი ვიმარჯვე, რომ უცაბედად ტიხარი დავანგრეე, წიდა კი საცაა ციცხვიდან გადმოიღვრებოდა. რეზო გააფთრდა, ილო ყვირილით დარბოდა, მე ვცდილობდი გადასავალი თიხით აღმედგინა. ნაპერწკლები ციცინათელებივით გარს მეხვეოდა, ხელთათმანი დამეწვა. როგორც იქნა, გადავრჩით! წიდა არ გადმოღვრილა, ნაღნობი შეწყვიტეს, გავიგონე თიხის ზარბაზნის ბათქი და უცბად მოვეშვი, მაღლობა ღმერთს!

მუშაობისას სულ მახსოვდა ნიჩბის ამბავი და გულზე მწიწკნიდა. ქურთუკი გავიძრე და გაბრაზებული, ნაწყენი ცივი წყლის დასალევად წავედი. ხუთი თუ ექვსი ჭიქა დავცალე და ონკანთან შოთას დაგუთმე ადგილი. მანაც ბლომად დალია. რიგში ილო და რეზო იდგნენ. მერე ვენტილატორებისაკენ გავემართეთ, ჩავრთეთ, ავრიალდნენ ვენ-

ოთარ იოსელიანი  
რუსთავის დღიური



ტილატორები, ამოვარდა ძლიერი ქარი. სამოსი ხელად შეგვაშრა ტანზე.

ჰაერის ცივი ნაკადი გვეცემს ზურგში, სახეში, მკერდში. ოთხ კაცს ხელები ცისკენ გვაქვს აპყრობილი, თავები დაგვიხრია, ნელ-ნელა ვტრიალებთ. ქარი გვიბერავს და ჩვენს ტანსაცმელს აფრიალებს. წმინდა მოწამეებს დაემსგავსებოდათ. ვუყურებ ამხანაგებს და მიხარია, ჯან-ღონით სავე ბიჭები არიან.

ვტკბებით დაღლილობით და უმოქმედობით. ცოტას ვლაპარაკობთ, ადვილად გვესმის ერთმანეთის, ვზრუნავთ ერთმანეთზე. შოთა გულლიად, სიყვარულით ჩამტკერის თვალეში, მე რეზოს მიგჩერებოვარ. მე და რეზოს სასაცილოდ არ გვეყოფნის ჩვენი ამასწინანდელი ჩსუბი და ვილიმებით. ილო კი, ჩვეულებისამებრ, მეკითხება: „რავა საქმე, ოთარ?“ მუდამ ასე მომმართავს. ვიცი, რასაც ნიშნავს მისი კითხვა „რავა საქმე, ოთარ?“ ხანდახან, როცა ბრძმედი ძლიერ ხმაურობს, უსიტყვოდ, ხელებით მეკითხება. მეც ხელითვე ვანიშნებ — კარგად, კარვად-მეთქი.

ლაბორატორიაში რუსიკო და თინა მელოდებიან. განვებ მივაბრახუნებ ქოშებს, ნელა ჩავდივარ, ხარბად ვისუნთქავ სუფთა ჰაერს და სიამოვნებით ეფიქრობ, რომ სამი საათის შემდეგ ცვლა დამთავრდება და გაეთავისუფლდება. მაგიდაზე ვაგდებ სინჯს, თუჯის გარდა წიდაც მომაქვს. იგი თიხის ნაჭერზე მიდევს. წიდასაც მაგიდაზე ვაგდებ, ხოლო თიხას კედელზე ვატყეებ. თუ არ მიეკრა, ბევრი სამუშაო გვექნება, ასე მაქვს ჩათქმული.

— გამარჯობათ!

— გამარჯობა, დაჯექი.

რუსიკო და თინა სულ რაღაცას ჭამენ. გაუთავებლად იღეჭებიან. როცა სინჯი მომაქვს, ჭამას თავს ანებებენ, ჩუმად შემომოქცერიან, თავებს აქნევენ, ოსრავენ — ვეცოლები!

ვზივარ გამურული და ჭუჭყიანი, თავი მომწონს ასეთი მუშაკაცი რომ ვარ, მყუდრო, ნათელ ლაბორატორიაში სუფთა სკამზე ვზივარ და მიხარია.

რუსიკოს და თინას კი ვეცოლები, მე-

კითხებიან, ბევრს თუ მუშაობ. კარგად თუ მოდიოდა ნაღობიო, ორ ჰქონდა წყალს ვსვამ, რიხიანად ვაასუხობ, სულელურად და მხიარულად ვხუმრობ.

— ნახვამდის!

სვედიანად მაყოლებენ თვალს.

როგორ გვიხარია, როცა გამონადნობი კარგია. სინჯში ბევრი თუჯი აღმოჩნდა, ნამდვილი მარტენული. ეს ნიშნავს, რომ ბრძმედი მთელი ძალით ამუშავდა, გახურდა. ადრე თუჯს მძიმე და სქელი წიდა მოჰყვებოდა, ახლა კი წიდა გათხელდა და სწრაფად მოედინება. თუჯიც სხვანაირია — მთლად თეთრი. უამრავი მსუბუქი ნაპერწყალი დაფრინავს თხრილში. როცა ნაღობი გათავდა, ჩემი ღარები დავათვალეიერე, წიდა ცოტა დამიხვდა — თხლად ეფინა ფსკერზე.

ცვლა სწრაფად გადავებარე, მაგრამ მაინც სხვებმა დამასწრეს. სკამზე ისხდნენ და საუბრობდნენ.

რაღაც ხუთიოდე წუთის საქმე გვექონდა, შენ კი ნახევარ საათს მოუნდი, — მისაყვედურა შოთამ.

— შეეჩვევა, არაფერია, — შეაგება ილომ.

— ერთ და იმავე ადგილზე ათჯერ არჭობ ნიჩაბს, — წაიზულუნა რეზომ.

— ჩქარა უნდა გაინძრე, მუხლი მიაშველო, — მირჩია დათამ და თან უტეებ, ყველასათვის მოულოდნელად უმისამართოდ თქვა: — პირველად მეც მტკიოდა ხელები, ცვლის შემდეგ მთელი დღე მეძინა, ისე მიჭირდა, ისე ვიღლებოდი, რომ ვეღარც კი ვჭამდი. წელის ტკივილმა სამ თვეს სიცოცხლე გამიმწარა. მკვლევები, თითები, ყველაფერი მტეხდა. არ შეშინდე, შეეჩვევი. შენზე უფრო ჯანიანი ვიყავი, ბევრად უფრო ჯანიანი, გაგიჭირდება, აბა რა იქნება! უფრო მსუბუქი სამუშაო ვერ გამოგიძენეს? ამ ხელებით მუშაობა შეიძლება? — თითებზე ფრთხილად შემახო ხელი და თავი გააქნია.

რეზომ გული გამიკეთა:

— არაფერია, შეეჩვევი, მერე აღარ გაგიჭირდება; მე თხუთმეტი წელია ვმუშაობ და მაინც ვიღლები. შენ კი შრომა გიყვარს, კარგია, რომ ცდილობ

და გულს უდებ. თუმცა ჯერ კიდევ ვერ მუშაობ, როგორც წესი და რიგია. მაგრამ არა უშავს. მუხლი, მუხლი შეაშველე ხოლმე, მარტო ხელებით ნუ მუშაობ! არაფერია, მაგასაც ისწავლი. თქვენ რომ ასე იღლებოდეთ, — მიუბრუნდა იგი შოთას, — როგორც ეს იღლება, სული ამოვძვრებოდათ.

ილოს კაცის გამხნელება უყვარს, არც სწავლებას დაგზარდება, მართალი და მოხერხებული კაცია. რეზო მხიარულია, ცოტა ფიცხიც, მაგრამ წყენას გულში არ ჩაირჩენს. შოთა ნერვიულია და მეოცნებე. დათა კი — მზრუნველი, ჩუმი და წყნარი. ისინი ჩემი ამხანაგები არიან.

ყოველი განვლილი დღე, ყოველი წამი შემდეგ მოგონებებში იძირება და აღარასოდეს განმეორდება. ჩემი ახლანდელი სამუშაოც და ეს საამქროც მოგონებებში ჩაიძირება. ეს მოგონება, ალბათ, ძალიან დიდხანს გამყვება.

ვწერ ამას და ვფიქრობ: იქნებ სწორი არაა ჩემზე რომ ვწერ? იქნებ „მასალის შეგროვება“ ამას არა ჰქვია? შეიძლება კი აწერო ადამიანები და მოვლენები ისე, ვითომ შენ არც კი ყოფილხარ იქ?

ჩემი ქეჩის ქუდი ფართოფარფლიანია. ფარფლი ხან ზევით აიკეცება, ხან თვალებზე მეფარება და ხელს მიშლის. შოთამ მოსინჯა ჩემი ქუდი, დაკეცა და ილოს გაუწოდა. ილომ დანა ამოიღო და ქუდს ფარფლი შეაჭრა. შოთამ დიდის ამბით დამახსურა ქუდი: „ახლა ნამდვილი მებრძმედ ხარ!“ დათა წამოდგა და გავიდა. დახუღი, ჭუჭყიანი, დამწვარი კები მოიტანა: „აჰა, სინჯე!“ კები მომერგო. როცა ნაპერწკლებს სახეს ვარიდე, მაშინ არც ქეჩის ქუდი გვჭირდება, უკებოდ კი არ შეიძლება — მტვერია. ძალიან გამახარა კებმა. რეზომ, ჩვეულებისამებრ, ნიორის თითო კბილი ჩამოგვირიგა. საუზმეს შევუდექით.

დღევანდელი დღე როგორღაც უხერხულად დაიწყო: ციციხეები ისე შემოიტანეს, ვერ გავიგე. ხოლო როცა შევნიშნე, ორთქლმავალი უკვე წასულიყო. ყოველთვის, როცა ციციხეები შემოაქვთ, დიდი სიფხიზლე მმართებს, რომ ისინი თავ-

თავის ადგილზე დავაყენო, თორემ მემანქანე ზუსტად ვერ მოზომავს. წავა და მერე აღმოჩნდება, რომ ციციხეების ტუჩებს ქვემოთ არ დგას, წიდა ციციხეს ასცდება და ლიანდაგზე დაიღვრება. ეს საშინელება!

დავფაცურდი, ოსტატი ვიხმე. ოსტატმა ორთქლმავალი გამოიძახა. როგორც იქნა, ორთქლმავალიც მოვიდა. მე და მემანქანე ერთმანეთს ვეჩხუბებით — ის ქვევიდან მიყვირის, მე ზემოდან დავჯაჯლანებ. გაბრაზებულები ციციხებს ვასწორებთ, მე წინ-მეთქი, ვუყვირი, ის უკან იხევს, როცა მინდა უკან წავიდე, ის წინ მოიწევს. ხმა ჩამიწყდა, ვცდილობ დავუსტვინო, არ გამომდის. ჩემდა საუბედუროდ სტვენა არ ვიცი. ამ ხმაურში და აურზაურში მარტო სტვენით თუ მიიპყრობ ყურადღებას. რამდენჯერმე გსინჯე, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩავიდე ორ თითს პირში, ვუბერავ, ვუბერავ, შენც არ მომიკვდე! ჩემთვის თუ დავუსტვენ რამე მელოდის ან, თუ დამჭირდა, ტაქს გავაჩერებ, ეს არის და ეს.

დიდის ვაი-ვაიგლახით ციციხეები მაინც დავაყენეთ, მაგრამ თუჯი უკვე წამოვიდა, მე კი გადასასვლელები ჯერ არ გამიკეთებია. სასწრაფოდ მომაქვს სილა, ვჩქარობ, სილა მებნევა. ყოველი გადასასვლელისთვის ოთხი-ხუთი ნიჩაბი სილა და ორი ნიჩაბი საგოზავია საჭირო. წამოვიდა წიდა, ქეჩის შარგლისა და ქურთუკის ჩაცმა ვერ მოვასწარი. კარგი წიდა მოდის, თხელი, თეთრი, სწრაფად მოედინება. გროვდება, ქერქს იკრავს. ქერქს მოკლე ჭოკით ვამტვრევ — გრძელი სადღაც დამეკარება. ტანი მიხურს, ოხნივარი ამდის. ამ ფაცაფუცში ბოლო გადასასვლელის გაკვალვა დამავიწყდა და კრიჭის დახურვის შემდეგ წიდა თხრილში მოგროვდა. გვიან შევნიშნე, თხრილი უკვე ავსებულყო. ხელი ჩავიქნიე, რუსიკოსთან და თინასთან წავედი. მაგიდაზე დაუყარე სინჯები, კედელს თიხა ვესროლე — არ

ოთარ იოსელიანი  
რუსთავის დღიური

მიერა, ესე იგი, ბევრი მუშაობა მომიწევს.

ჩენს სკამზე ჩამოვხედით, დავისვენით. „რაფაა საქმე, ოთარ?“ ცერს მალა ვწევ — „კარგად“. ილო ნაღვლიანად ილიმება. არაფერია, — ვფიქრობ ჩემთვის, — როგორმე გავძლებ ბოლომდე, ყველაფერს გავაკეთებ, ხვალ ხომ დასვენებაა!

ხვალ დასვენებაა. გამახსენდა და გამეღიმა. მითავარი ის არის, რომ დღევანდელი დღეც გაივლის. ცვლის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ექვსი საათია, თხრილი ჯერ არ გამოწმენდია, გავწმენდ, კარგ გადასასვლელებს გავაკეთებ, ხვალ ხომ დასვენებაა! ვიძინებ და ვიძინებ, გულს ვიჯერებ ძილით, მერე ვიკითხავ და ვისეირნებ კიდევ.

მთლად ოფლში ვიწურები, მაგრამ ეშში შევდივარ — სხვა რაღა გასაკეთებელი? თხრილი გავწმინდე, სილა ჩაეყარე, გადასასვლელებიც გავაკეთე. კიბეზე რეზო ამოდის. ორი გრძელი საქანებადე მილი გაუდვია მხარზე. მივეშველე. ცალი თვალით უფროს მებრძმედეს ვუყურებ, დადლილა საწყალი, ხელთათმანებით სახეს იგრილებს, ხარბად სვამს წყალს.

სამუშაო მოედნები გავასუფთავეთ, ნიჩბები მივაწყვეთ და სუფთა ჰაერზე გავედით. შოთამ და ილომ ხელთათმანები გაიძრეს, მეც ასე მოვიქეცი. დათა განზე გაიწია, ადგილი დაგვითმო. მხრებში გავსწორდით. მერე მოვიხარეთ, ერთმანეთს გადავხედეთ, ხელთათმანები სკამზე დავყარეთ. თუმცა გუგუნ-გრიალი იქაურობას აყრუებს და თბოსადგურიდანაც გაბმული შიშინი ისმის, — მომჩვენა, რომ სრული სიჩუმე ჩამოწვა, მოვიდა რეზო და გვერდით მოგვიჯდა.

გზივართ და პაპიროსს ვეწევით. ხმას არავინ იღებს. სამუშაოს დამთავრებამდე ნახევარი საათია დარჩენილი. ქარი არ ქრის, თბოსადგურის მაღალი მილიდან ცისკენ სწორ სვეტად მიიწევს ბოლი. ჩენს ქვემოთ ხელისგულივით გადაშლილა ქარხანა: ლიანდაგები, მილები, სამჭროებისა და სახელოსნოების სახუ-

რავები. ყველგან მუშაობენ, ყველგან ჩენა ვართ: ილო, რეზო, შოთა, დავითი! გაოფლილი ხალათები ზურგზე გავწმენება. ყველას თავ-თავისი ოჯახი, თავ-თავისი საზრუნავი აქვს. ებრძვიან ლითონს, იმარჯვებენ და მარცხდებიან, ამაყობენ და იღლებიან, ყველას კეთილი ღიმილი და კეთილი სალამი აქვს.

საერთოდ, ყველაფერი, რასაც აქ ყოველდღე ვხედავთ, საკმაოდ მოულოდნელი და თითქმის უჩვეულოა ჩემთვის. ზუსტად ვერც კი ამიხსნია ყველაფერი. შევეცადე, რეალურად ამეწერა, რაც აქ ვნახე. იქნებ სასვებით დაწყობილი და მხატვრულად გამართული არ გამოვიდეს, მაგრამ მაინც ვალდებული ვარ, რომ ვთქვა.

მაშ ასე, ზოგიერთი ყოფილი ქურდი, გამფლანგველი და ხულიგანი მუშაობს ქარხანაში, ზოგი სამუშაოს ვერ შეეგუა, გაიქცა, სხვები კი დარჩნენ. თავდაპირველად ძალიან გაჭირვებიათ, პატიოსან ხალხში მოხვედრილ მუქთამჭამელებს ზიზღით უცქერიან მანამ, სანამ ისინი შრომითა და ოფლით არ ჩამოირიცხავენ სამარცხვინო ლაქას და სხვებს არ გაუტოდებიან. შემდეგ კი ისინი აღარასოდეს დაკარგავენ შრომის ფასად მოპოვებულ ღირსებას, თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან მას და არც აღრინდელ ცხოვრებას დაუბრუნდებიან.

აქ იმ ადამიანებსაც შევხვდებით, ფეხი შემთხვევით რომ დასხლტომიათ ცხოვრების გზაზე. სულმოკლესა და სუსტს გული ადვილად უტყდება, ბოროტდება, ირგვლივ მხოლოდ სიმდაბლესა და უმაღურობას ხედავს. სიკეთეს, სიყვარულს, ადამიანობას კი ვერ ამჩნევს.

როცა დღის ბოლოს მეორე ბრიგადა გვცვლის, ჩვენ ვღელავთ. იოსები, უფროსი მებრძმედე, ცვლის დაწყებამდე 45 წუთით ადრე ცხადდება. უქმად რომ არ მოცდეს, ზარბაზანს ტენის თიხით. 15 წუთის შემდეგ დანარჩენებიც მოდიან. ისინი ხუთნი არიან, ჩვენ — ოთხნი. ძალიან ჭირვეული ხალხია, ცვლის გადაბარება გვიჭირს. როცა ისინი ბაკუნით



ამოდიან კიბზე, ჩვენ მერსზე ვზივართ და თამბაქოს ვეწევით. „თქვენ ხუთნი ხართ, ჩვენ კი — ოთხნი“, — უკბენს ხოლმე მათ შოთა. მერე უბრალოდ, გულლიად ვესალმებით ერთმანეთს და მეოთხე ბრიგადა საამქროში იფანტება და სამუშაოს იბარებს.

ძლივს ვიკაგებ ღიმილს. ჩემს ადგილზე მოსული მებრძმედე საოცრად არ მგავს აგებულებით. იგი გაკრიალეზულ საწიდე თხრილს ათვალეირებს და ალმაცერად, ეცვით იცქირება ჩემკენ. ვერ ეგუება იმ აზრს, რომ მე და ის ერთნაირ სამუშაოს ვასრულებთ. ამ კაცს გოგი ჰქვია, უშველბელი ხელბი და ხარივით სქელი კისერი აქვს, ჩასხმულია, მხარბეჭიანი. როცა ცვლას მესამე ბრიგადა გვაბარებს, იგივე სცენა მეორედება. ყველანი ახოვანი, ძვალმსხვილი ბიჭები არიან. ეუხერხულბათ, რომ ორმოცმეტრიან თხრილს ამ გაძვალტყავეზულ, ჩხირივით კაცს მაბარებენ. არ ვიმჩნევ, მაგრამ გულში სიხარულით ცას ვეწევი.

— რად მიგიყრია იქ წიდა?

— ვისაც მიუყრია, მანვე აწმინდოს.

— მერე ვინ მიყარა, მე?

— მიდი, გასინჯე, თუ ერთი ნაჭერი მაინც აღმოჩნდება თბილი, ახლავე ავწმინდ.

გოგი სინჯავს, წიდა ცივია, მაშასადამე, მე არ დამიყრია; ოპ, ეს ოხრეზიო, — ყვირის იგი. ეს მესამე ბრიგადას ეხება. „შენც მეეწვი, რა თავს იკლავ“. „შევეწვები, მაშ რას ვიზამ!“ იწყება ჩვეულებრივი კინკლაობა. ეს წიდა ვილაცამ დაყარა ერთი კვირის წინ. მას შემდეგ სულ ვეძებთ დამნაშავეს და ვერ გვიპოვია.

ცვლა ჩაბარებულია. წასვლის წინ იოსები მხარზე ხელს მარტყამს და გოგის ეკითხება: „როგორაა საქმე, ყველაფერი გაუკეთებია?“ „ყველაფერი“, — პასუხობს გოგი და ალბათ უკვე მეოცედ მეუბნება: „ძნელია აქ მუშაობა, არა? არაფერია, შეეჩვიე“. მიყურებს, მიყურებს და მეოცედვე იმეორებს:

„ეპ, რა დირიჟორი ფუჭდება!“

მეორე ბრიგადა კომუნისტური შრო-

მის ბრიგადის სახელს ატარებს. ვერაფერს იტყვი, კარგი ბრიგადაა, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლები! ერთმანეთსა და მეგობრობენ? ჩვენც ხომ ვმეგობრობთ. ერთმანეთზე ზრუნავენ? ჩვენც ხომ ვზრუნავთ. ჩვენზე უკეთესად მუშაობენ? იქნებ რალაცით მაინც გვჯობდნენ? დიდხანს ვაკვირდებოდი, ისეთი ვერაფერი შევნიშნე და ბოლოს იოსებს შევეკითხე: „რატომაა, რომ თქვენ კომუნისტური შრომის ბრიგადა ხართ და ჩვენ კი არა?“ იოსებმა ყვირიმალე მოიფხანა, რა ვიციო, თქვა და ღიმილით მხრები აიჩეჩა.

როცა ერთი ორჯერ ცვლა ვადმოგვაბარებს, მართალი გითხრათ, შემშურდა. სანიმუშოდ ტოვებდნენ ყველაფერს. რეზოც კი ვერ პოულობდა საბუზღუნოს, თუმცა ეს უფრო აბრაზებდა.

ნელა ჩავდივარ კიბზე. ილო, შოთა და დავითი კისრისტეხით გარბიან გარდერობისაკენ. შესვენებაა. მიყვარს ის წუთები, როცა დაძაბული მუშაობა სრული უმოქმედობით იცვლება. ბევრს რომ მუშაობ, ფიქრობ: „რა კარგი იქნება, რომ არაფერს აკეთებდე, თავი ბალიშზე გედოს და გეძინოს“. მაგრამ დიდხანს უქმად ყოფნა უგუნებოდ გხდის, რალაც გაწუხებს. რა სჯობს, როცა დაქანცულ მკლავებს მძიმე ტვირთისაგან გაითავისუფლებ. მშენიერი ია ის წუთიც, როცა დასვენებული და გაზანტებული უცებ გამოიცივლები, წამოიკიდებ ტვირთს და შენ გზას დაადგები.

შოთა და რეზო სწრაფად იხდიან ტანთ, ისაბნებიან, ზურგს უხეხავენ ერთმანეთს, გამოდიან, დამინახავენ და გაბმულად ყვირიან: „ეეე!“ ზუსტად ასევე მიყვირიან, როცა ჩაფიქრებული ვიჩიჩქნები ჩემს თხრილში.

გარდერობში ამ ძახილს უკვე ყურადღებას აღარ ვაქცევ. ზანტად ვიჩეჩავ მხრებს და ვიხსნი ფეხსახვევებს. გახდას კარგა ხანს ვუნდები, ვიზმორები, წესიერად ვალავებ კარადაში ქოშებს, შარვალს, ქურთუკს, ხელთათმანებს, ქუდს.

ოთარ იოსელიანი

რუსთავის დღიური

დღეს ხელფასს გვაძლევენ. სალაროს-  
თან უამრავი ხალხი ირევა, ყველა აღგზ-  
ნებულია. ფულს ითვლიან, სახარჯოს  
ერთ ჯიბეში იდებენ, საოჯახოს — მეო-  
რეში.

მაყვალამ ჩაგვიარა. ცისფერი კაბა და  
თეთრი ფეხსაცმელი ეცვა. ზედაც არ შე-  
მოუხედავს, ისე მოგვესალმა და სახე  
წამოუფაკლდა. გივი სასწრაფოდ გამო-  
გვეთხოვა და გაედევნა. გასამხნიველად  
მხარზე ხელი დავარტყით და თვალი გა-  
ვაყოლეთ. გასასვლელამდე ორი კილო-  
მეტრია, გზაზე ისე ივლიან, თითქოს  
ერთმანეთი ვერ შეამჩნიეს. ავტობუსთან  
გივი დაეწევა მაყვალას, ორივე გაიკვირ-  
ვებს ამ „შემთხვევით“ შეხვედრას. მერე  
აღმოჩნდება, რომ ორივეს ერთი გზა  
აქვთ, ფეხით გაუყვებიან დაჩრდილულ  
ქუჩას, მღელვარების დაფარვას შეეცდე-  
ბიან.

ქარხნის გზა. ათასი ფეხი მიზაკუნობს  
ასფალტზე. მიდიან სწრაფად და ჩუმად,  
ჯგუფ-ჯგუფად. ჩვენც ჩუმად მივაბი-  
ჯვებთ: რეზო, ილო, დათა და მე. წინაც  
ხალხია, უკანაც; ზოგი წინ გვისწრებს;  
ღონიერ მკლავებს, ფართო ზურგებს,  
განიერ მხარ-ბეჭს ვხედავ. დალილი  
ხალხი დუმს და თითქოს სალაპარაკოც  
არაფერი აქვს.

დათა და რეზო გამოგვემშვიდობნენ  
და მეორე გასასვლელისაკენ წავიდნენ.  
მე და ილო, როგორც იქნა, მოედანზე გა-  
მოვედით. ქარხნის სამმართველოს რომ  
გავუსწორდით, ილოს ვანიშნე, დავლი-  
ოთ-მეთქი. მაშინვე დამეთანხმა. მალაზი-  
აში არაყი, ძეხვი და ყველი ვიყიდეთ,  
ილომ პური მოიტანა, ორი ბოთლი ღვი-  
ნოც გავიყოლეთ, ჭიქა ვიშოვეთ და პარ-  
კისაკენ გავსწიეთ.

წინათ მეგონა, რომ მუშები სამუშაოს  
დამთავრების შემდეგ ხშირად თვრე-  
ბოდნენ. ნამდვილად კი აქ იშვიათად სვა-  
მენ, თუ სვამენ—ცოტას. ნამთვრალეზე  
მუშაობა ჭირს, ყურადღება გეფანტება,  
მკლავი გისუსტდება, სწრაფად იღლები,  
მოდუნებული ხარ. ერთხელ დათა ნამთვ-  
რალევი მოვიდა, ძილი ერეოდა, ოხრავ-  
და, ხგნეშოდა და ბოდის იხდიდა, —

ვბრაზობდით, მაგრამ მაინც ვმუშაობდით  
მის მაგივრად.

„დღეს შეიძლება დალევა, — განსაცხ-  
და ილომ, — დღეს დასვენებაა“. ყველი  
დაჭრა და ფაქიზად დააწყო ქალაღზე,  
ჩამოასხა არაყი, მაგრამ სანამ გამომიწ-  
ვიდა, მკითხა: „ჩხუბი ხომ არ იცი სიმ-  
თვრალეში?“

მზე არ აცხუნებდა, ხის ჩრდილში  
გრილოდა, ბალახზე ფეხმორთხმული  
ვისხედით, ვსვამდით, სასიამოვნო სად-  
ღეგრძელოებს ვამბობდით.

დაკვირვებული, ენერგიული მებრძმე-  
დებ ილო; მეოცნებე, მზრუნველი მამა და  
ჩემი კარგი ამხანაგი. დინჯად საუბრობს,  
მეკითხება, ეპასუხობ. ილოს უხარია, ასე-  
თი მონდომებული რომ ვარ, რომ არ  
ვბრაზდები, როცა მლანძღვენ, დალლას  
რომ ვიტან და არ ვწუწუნებ. მიყვება  
თავის შვილებზე, ყველა კარგად სწავ-  
ლობს თურმე, მამასაც ეხმარებიან. ილომ  
რამდენჯერმე მოიყვანა ქარხანაში ისინი,  
უჩვენა როგორ ვმუშაობთ. საღამოთი  
უფროსი შვილები წიგნებს უკითხავენ.  
ილო სულ ახალგაზრდა წაუყვანიათ  
დონბასში, ფრონტის მაგივრად ქარხა-  
ნაში აღმოჩნდა — რესპუბლიკას კადრე-  
ბი სჭირდებოდა. მერე რუსთავეში გად-  
მოიყვანეს.

„ახლა შენ მომიყვი, — მეუბნება  
ილო, — ღვინო გულის გასაღებია“. მეც  
ვეყვები, ილო თავს მიქნევს, იქნებ ზო-  
გი რამ არც ესმოდეს, მაგრამ არ მაწყვე-  
ტინებს. ძალიან მიყვარს ილო. ჩვენ  
ერთნაირად ვმსჯელობთ ცხოვრებაზე,  
ბავშვობაზე, მშობლებზე და ამხანაგებ-  
ზე; „დავლიოთ, ოთარ! დღეს ამ ბალახზე  
ორმა კაცმა გაიცნო ერთმანეთი, —  
წიკაპურტით ძირს აგდებს გაზეთზე ამო-  
ცოცებულ ჭიანჭველას, — ორმა კაცმა  
გაიცნო ერთმანეთი“. დიდხანს ვდუმ-  
ვართ. მომჩერებია კუბრივით შავი თვა-  
ლებით, ასე ვზივართ ერთ ხანს, ერთმა-  
ნეთს თვალბეჭში შევცქვირით და მხიარუ-  
ლად ვამბობთ: „დავლიოთ! გავიმარ-  
ჯოს!“

ცოტა შევთვრით. გრძნობები მოგ-  
ვიზღავდა, აზრები გაბუნდოვნდა: უცებ  
გვერდით მოგვისხდნენ შოთა და დავითი,

ჩუმად გატეხეს პური, დაისხეს ღვინო. ახლა ჩრდილში ოთხნი ვზივართ. გახარებულმა ილომ ღონივრად უთაქა დავითს კისერში. ღვინო გამოგველია, ავდექით.

ღვინოც ვიყიდეთ და მკავე კიტრიც. რეზოს მივადექით შინ, შევწვით ძეხვი. ვსვით, ვიმღერეთ, ვიცეკვეთ კიდეც — რეზო ფანდურზე უკრავდა.

სწრაფად მიჰქრის დრო. ორმა დღემ თვალისდახამამებაში გაიარა.

სადალაქოში ქალები სხედან, თმები დაუხუჭუჭებიან და იშრობენ. იქ მშვიდი სინათლეა და მაკრატლის წკარუნი ისმის. მე კი ისევ სამუშაოზე მივდივარ. ქუჩა თანდათან ივსება ხალხით. მუშები ისევ ჯგუფ-ჯგუფად მოდიან, ერთმანეთს ეხუმრებიან, ათას წვრილმანზე ლაპარაკობენ, იხედებიან სადალაქოს გაღებულ ფანჯრებში და ცოტა ხნით ჩუმდებიან, თითქოს რაღაც საიდუმლოს ეზიარნენ.

როგორც არ უნდა გაგიჭირდეს, როგორი მოქანცულიც არ უნდა იყო, როცა სამუშაოზე წასვლის დრო მოვა, რაღაც ძალა შენდაუნებურად წამოგადგებს და წაგიყვანს საამქროში. ინსტიტუტში ხანდახან ლექციებს ვაცდენდი. გვიან ვიღვიძებდი და რაკი მაინც დაგვიანებული ვიყავი, არხეინად ვიცვლიდი ხოლმე გვერდს და ისევ ვიძინებდი. დღესაც გვიან გამეღვიძა, მუშაობის დაწყებას ორმოცი წუთი აკლდა. ის იყო, წინანდებურად გვერდზე გადაბრუნება დავაპირე, რომ რაღაც ძალამ ზეზე წამომავდო. „ჩვენ ხომ მხოლოდ ოთხნი ვართ ცვლაში!“ — გაფიქვრე და გაფაციცებით, სულმოუთქმელად შევედექი ჩაცმას!

გარედან უზრუნველი სიმღერა შემომესმა. ვიღაც მთვრალეები ხმაჩახლეჩილნი უშნოდ მღეროდნენ, მღეროდნენ კი არა, ღრიალებდნენ. თავხედური და ქედმაღლური იყო ეს სიმღერა. წარმოვიდგინე მსუქანი, აქინჯილიებული და ბრიყვული სახეები, გადმოკარკლული თვალები. აქოშინებული მივებოდი ავტობუსისაკენ და ყურში ლანძღვასავით ჩამესმოდა ვიღაც მუქთახორების გულისამრევი სიმღერა თუ ღრიალი.

გამიმართლა! ავტობუსში შევედი და დავმშვიდდი. ნახევარი საათი მქაქეს. მხრით ვეხებოდი მეზობლის ნიერ მკლავს, ირგვლივ მშვიდად იდგა უბრალოდ ჩაცმული ხალხი.

ხმაურით გადმოვცვივდი ავტობუსიდან. სხვებივით მეც შევიხედე სადალაქოში. ვიღაცამ მხარი გამკრა, — „შოთა!“ ჩუმად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. „გვაგვიანდება“, მითხრა შოთამ და ნაბიჯს უმატა.

ახლა, როცა შოთას მივყვებოდი, უცებ მივხვდი, რამდენი რამ მაკავშირებდა ქარხანასთან. შორიდან დავინახე თეთრი ცის ფონზე ჩაშავებული ჩვენი ბრძმეები და გული შემეკუმშა. მივდიოდი და გულაჩუყებული ვუყურებდი ყველაფერს: დარაჯებს, ხიდის მოაჯირს, გზის გაყოლებით ჩამწკრივებულ თუთის ხეებს, ტრანსფორმატორებს. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს დიდი ხნის შემდეგ შინ ვბრუნდებოდი.

რადიოთი საზეიმოდ იუწყებოდნენ ტერეშკოვასა და ბიკოვსკის დაბრუნებას კოსმოსიდან. კითხულობდნენ ლექსებს და მღეროდნენ.

სულ ახლოს ისმის ჩვენი ბრძმეის გუგუნი და სტვენა. მესამე ბრიგადა ჯერ კიდევ მუშაობს, ჩვენ გველოდება. მე კი შინიდან წამოსვლასაც არ ვაპირებდი!

ხელისგულები დამისივდა, თითები დამისკდა, მარცხენა ხელი ალაგ-ალაგ მსუბუქად დამიწვავს. მარჯვენა თითქოს დამგრძელებია. ხელთათმანებით ვმუშაობ, მაგრამ ხელები მაინც დამიკოჭრდა. კმაყოფილებით ვისინჯავ კუნთებს მკლავზე.

მაინცადამაინც არ დამგვიანებია. რეზო და ილო უკვე მიბაკუნობენ კიბეზე, დათა გრძელ მილს მიათრევს.

სასწრაფოდ ვიბარებ ცვლას, გამომაქვს ჩემი იარაღი. ისმის საყვირის ხმა, „დაიწყო“, — ამბობს გულში ყველა ჩვენგანი. — შესვენებამდე ოთხი ცვლაა.

ოთარ იოსელიანი  
რუსთავის დღიური



ცვლის ჩაბარებისას შოთამ ვერ შენიშნა, რომ მესამე ბრიგადამ განაპირა სათუჯე ღარი გაუწმინდავი დატოვა, ყელი თუჯის მძიმე ნაჭრებით არის ამოტენილი. მოიტანეს ცარიელი ციციხეები. თუჯის ნაჭრებს პირდაპირ მოედნის კიდიდან ვისროდით ციციხეში. ერთ ნაჭერს როგორღაც უხეიროდ მოვეჭიდეთ და მესამე მოქნევაზე კინალამ თან გადამიყოლა. შოთამ იმარჯვა და შარვალში მტაცა ხელი. „ციციხე ცარიელი კია, მაგრამ ძალიან ცხელია. რომ ჩავარდნილიყავი, კვერთხით გამოცხებოდი“, — მშვიდად გამაფრთხილა ილომ. ორი საათის შემდეგ ისევ შემემთხვა მარცხი. რეზინის მილით თხრილში წყალს ვასხამდი, რაკი შორს ვიყავი, მიღს თანდათან მაღლა ვწევდი. უცაბედად წყლის ქავლმა დენის მავთულები დაასველა. გაისმა გამაყრუებელი ჭახანი და მავთულებმა ნაპერწკლები გაყარა. რეზო აყვირდა, შოთას ფერი ეცვალა. „მილი რომ სველი ყოფილიყო, ადგილზე გაგათაებდა“, — მითხრა ილომ და ონკანი გადაკეტა.

სხვა მხრივ, მუშაობას შევეჩვიე, ისე აღარ მიჭირდა, ნაკლებად ვიღლებოდი, ცოტა მომეწყინა კიდეც, სამუშაო ერთფეროვანი მომეჩვენა. ყველაფერი სწრაფად გავაკეთე, სულ არ დავდლიღვარ, მზეზე ვიჯექით და ვმასლაათობდით. კარგი თუჯი მოდიოდა.

ესტრადაზე თავმოტვლებილი, სახედაწარმოებული პატარა კაცი გამოვიდა, გატყვიცინებული ტანსაცმელი ეცვა, ხელში მანდოლინა ეჭირა. ცხვირწაწვეტილმა, მკერდჩავარდნილმა ქალმა ტუჩები კეკლუცად მოკუმბა, სიჩუმეს დაელოდა და მჭახე ხმით გამოაცხადა: „ფერენც ლისტი, მეორე რაფსოდია“.

თავმოტვლებილმა პიჯაკი გაიძრო, სკამზე გადაჰკიდა და ლისტის მეორე რაფსოდია ააჟღარუნა.

ფილარმონიის მსახიობთა კონცერტია, მეტალურგის სახლის საკონცერტო დარბაზში ვზივართ. შოთა თვლემს, ძალით შემოვართიეთ აქ. დადლილია, ძარღვებაშლილი და გაბრაზებული. მაგრად წავეჩხებეთ მთავარ ოსტატს: ნადნობი

ცუდი გამოდგა, სამუშაო ყელამდე იყო, ძლივძლივით გავართვით თავი, მაგრამ იმდენად დავიღალეთ, რომ მოქნევაზე სუფთაგება ველარ მოვასხერბეთ. თუჯი მძიმე გამოდიოდა, ამაში უფროსი ოსტატია დამნაშავე, მისი მიზეზით გავგაწვალა მაგარმა წიდამ და თუჯის ქერქმა, ამიტომაც ველარ მოვასწართო მოედნის მოსუფთაგება! ოსტატი აგვიყვირდა და ჟურნალში ჩავგიწერა, დავალება ვერ შეასრულესო. რაკი ჩვენი სიმართლის დამტკიცება ვერ შევძელით, შინ მოღუშულნი და გაბრაზებულნი ვბრუნდებოდით. „მოდო, კონცერტზე შევიდეთ“, — თქვა უცებ ილომ. ჩვენ მხრები ავიჩჩეთ: „შევიდეთ“.

ჯერ მომღერალი გამოვიდა ბაიანისტთან ერთად, შემდეგ ძალოსანი აკრობატები — ორი ქალი, ერთი გოგონა და ერთი კაცი. ქალებს ჭრელი საბანაო კოსტუმები ეცვათ. კაცმა სამივენი მხარზე შეისვა, მძიმე ტვირთმა ძაგძაკი დააწყებინა, მაგრამ მაინც ბოლომდე გაუძლო. ტაში დაუკრეს.

ილო ბურტყუნებდა, დათა ხანდახან გადმოგვხედავდა და მორცხვად იღიმებოდა. მალე მომღერალი ქალი გამოვიდა და ბოხი ხმით ყოჩაღად წაიმღერა ორი საზიგო მარში შრომასა და გამარჯვებაზე. ხმის აწვევისას ნიკაპს ამაყად აკანკალებდა. დიდის ამბით გვაპირდებოდა, ბოლომდე ვიბრძოლებ თქვენს მხარედამხარო. როცა ფილარმონიიდან მეტალურგებთან მოდიან, ყოველთვის მოაქვთ ორი-სამი ასეთი ნომერი, ვითომ აი, რა ახლოს ვართ წარმოებასთანო. დარბაზი მრჩილად უკრავდა ტაშს, იგრძნობოდა ჩვეულებრივი მორცხვობა. რას იზამ, მომღერალი მოვალეა იმღეროს, ჩვენი ვალაია — მოვისმინოთ. უგემური, უხეირო და უნიათო იყო ყველაფერი. გამახსენდა, როგორ უკრავდა რეზო ფანდურზე და როგორ ვმღეროდით. გამახსენდა და ამოვიოხრე. ილომ მუჯლუგუნი წამკრა. დავიწყანეთ, — აბა, რას ჰვავს! ხეირიანი რამე მაინც იყოს! უცებ დარბაზში თითქოს მაცოცხლებელმა სიომ დაბერა. აღარავინ ახველებს, აღარც სკამს აპრიალებს, ჩამიჩუმი არ ისმის. ვერც



კი შევნიშნე, როდის დაიწყო: ვიოლინოს რბილმა, ნაზმა ხმამ წამით შემაკრთო. საიდანღაც, თითქოს ხმაურიდან ამოტივტივდა იგი, მაშინვე მიყურდა ყველა. ვიოლინო რაღაცას გვპირდება, გვაფრთხილებს. რა მოხდა? სცენაზე ტანწვრილი, არც თუ ისე ახალგაზრდა ქალი დგას, რუხი კაბა აცვია, მუქი თმები მოკლედ შეუჭრია. დგას ქალი და მოცარტს უკრავს. „არ დამთავრო, კიდევე, კიდევე!“ საიდან, როგორ მოხვდა ეს ამ „გასტროლიორებში“? დარბაზმა სული გაკმინდა, სმენად იქცა.

სუფთა, მსუბუქი მელოდია ირხევა პაერში, სმენად გადავიქეცი; ნაღველს სიხარული მოსდევს, დაღლას — აღტყინება. ყოველ ფრაზას ახალი რამ მოაქვს, უცნობი და ახლობელი. აღარავის უნდა, რომ დამთავრდეს ეს მუსიკა! „არ დამთავრო, კიდევე, კიდევე!“

შოთა მომბრუნდა და ისე მომაჩერდა, თითქოს რაღაცას მთხოვს, რაღაცას მეკითხება. დარბაზი ყვირის და ღრიალებს, გაცხარებული უკრავენ ტაშს. დათა მორცხვად იღიმება. იქნებ ძალიანაც გადავაჭარბე, მაგრამ დაე ისე დარჩეს, როგორც დაგწერე, — ახლახან განვიცადე ეს ყველაფერი. კონცერტიდან რომ ვბრუნდებოდი, სულ იმას ვფიქრობდი, რომ ხელოვნებაში, ცხოვრებაში, ურთიერთობაში ხანდახან სიყალბეს ვითმენთ ხოლმე. შევეჩვიეთ და ზოგჯერ როგორღაც ვამართლებთ კიდეც. კარგი, ვთქვათ, შეიძლება იცრუო ექსპრომტად, მაგრამ წლობით როგორ წერენ ყალბ ნაწარმოებს, სიმფონიას, ხატავენ სურათს, იღებენ ფილმს? რამდენ ძალას და ენერგიას ხარჯავენ, რომ შექმნან რაღაც სიყალბე, როგორ, რანაირად ხდება ეს?

დარბაზში ხუთასი კაცი ზის, შენ ორ საათს ართმევ მათ. ორ საათში შეგიძლია გადაუშალო გული, ალაგზონ ისინი საკუთარი ფიქრებით, გრძნობებითა და მღელვარებით. ხალხი სიამოვნებით დაგითმობს ამ ორ საათს, აღელდებიან, იტირებენ და იცინებენ შენთან ერთად. აი, რა შეუძლია ჭეშმარიტ ხელოვნებას! არ უნდა იცრუო მაშინ, როცა ადამიანი თავის ფიქრებს განდობს. ორი საათის

სიცოცხლეს გიძღვნის ხუთასი კაცი, ვანა შეიძლება იცრუო ამ დროს? ხუთასიდან ერთს თუ მაინც გაუზიარებ შენს სიხარულს, ერთი მაინც თუ ამოიხიბრებს, ან გაიხარებს შენთან ერთად, შემდეგში კიდევეც რომ დაავიწყდეს განცდილი, მართო ამისათვის ღირს იყო ხელოვანი, მართო ამისათვის არ უნდა იცრუო!

დღეს მეტალურგის დღეა. ზეიმია.

რეპორტიორები, ფოტოკორესპონდენტები და კინომუშაეები შესევნიან ქარხანას, აჩხაკუნებენ ფოტოაპარატებს, რაღაცას იწერენ ბლოკნოტში. მოგვწონს, როცა სურათებს გვიღებენ. ილო, რეზო და შოთა მთლად გამოიცვალნენ, რაღაც უხერხულად მოძრაობენ, მთელ დღეს არ გაუძვრიათ ქეჩის ქურთუკები, განგებ ფაციფუცობენ, საქმიანი სახეები აქვთ და ერთმანეთის რცხენიანთ.

კინოოპერატორები და ფოტოკორესპონდენტები ისე გვექცევიან, თითქოს მანეკენები ვიყოთ. გვაყენებენ არაბუნებრივ პოზაში, გვთხოვენ რაღაც უაზრო სამუშაო შევასრულოთ და თუ ასეთს ვერაფერს ნახულობენ, მაშინ პირდაპირ გვეუბნებიან: „აიღე ჩაქუჩი, ხელი მოჰკიდე ბორბალს, ვითომ მუშაობ“. „გაიღიმე, სათვალე გაიკეთე, ვითომ თუჯს უყურებ“. გავარღვიეთ ტიხარი, გავარებული წიდა ციცხვში იღვრება, ისინი კი გვიყვირიან: „კარგია, აბა, ერთხელ კიდე!“ დიდხანს დაფაცურობდნენ და როგორც იქნა, მორჩნენ საქმეს, გულზე მოგვეშვა, დათა სამალავიდან გამოძვრა, შოთამ რეზოს გასცინა, ფოტოაპარატის წინ როგორ იჭიმებოდიო. ჩვენი ოსტატი, მგონი, ცოტა ნაწყენია — იგი არ გადაუღიათ. წავიდნენ კორესპონდენტები, გაიკრიფა უცხო ხალხი.

მუშაობის შემდეგ საზეიმო კრება ჩატარდა. სიტყვებს ამბობდნენ უფროსები და მუშები. ჩვენ პირველ რიგში ვისხედით და მოუთმენლად მოველოდით, როდის გამოვიდოდა ჩვენი ამხანაგი. ელირსა! „სიტყვა ეძლევა საბრძმედე საამქ-

ოთარ იოსელიანი  
რუსთავეის დღიური

როს მებრძმედეს“. მებრძმედე, ჩვენი ამხანაგი, დგას ტრიბუნაზე, სულ სხვანაირია, სერიოზული. კითხულობს ნაწერს, ვერ არჩევს, ენა ებმება. ის სიტყვა ქარხნის სამმართველოში ვიღაცას დაუწერია მისთვის. საწყალი! რა ჩახლართულ ფრაზებს წარმოთქვამს! თანაც სულ ტრაფარეტულს. ილომ და დათამ გაიღიმეს. ხალხმა წყნარად დაუკრა ტაში. სწორედ ისე, როგორც ამას წინათ კონცერტზე უკრავდა. ჩვენი ამხანაგი ტრიბუნიდან ჩამოვიდა და გვერდით მოგვიჯდა. აღელვებული იყო, მაგრამ არ იმჩინებდა. გული დამწყდა: ჭკვიანი კაცია, გაბედული, მუყაითი, თავისი საქმის მცოდნე და ეს რატომ მოუვიდა? რაში დასჭირდა სხვისი ნაჩხაბნის წაკითხვა? საზეიმო ნაწილის შემდეგ კონცერტი გამართეს. კრება უბრალოდ და მხიარულად ჩატარდა.

კინოსტუდიაში ვარ, ყველაფერი ძველებურად დამხვდა. თითქოს გუშინ დავტოვე აქაურობა. „გამარჯობა“, „გაგიმარჯოს“. ჩემი გამოჩენა არავის უკვირს, შევირბინე ლაბორატორიაში, ხმის საამქროში, სამონტაჟოში, რედაქტორებთან: „გამარჯობა“.

ბედნიერები საათს არ უყურებენ. დრო გაჩერებულია. რა აზრი აქვს ჩემს „გამარჯობას“. ორი თვე გავიდა! და ჯე წარსულს დავუბრუნდი, დღესაც ისეთივე დღეა, როგორც ორი თვის წინ, ხალხი ისევ ისე ტრიალებს სტუდიაში, ეზოში ჯგუფ-ჯგუფად დგანან და ხარხარებენ. „გამარჯობა! გაგიმარჯოს!“ კარს ვიღაცა აღებს. ყველა მისჩერებია შემოსულს. ისიც ხვნიშის და კითხულობს: „როგორაა საქმე?“ მეც ვხვნიშობ და დერეფანში გავდივარ. აქ ხმამალა კამათობენ ფეხბურთზე, რბილ სავარძელში ავტორები ჩურჩულებენ, ორი აყლაყულა ასანთს ათამაშებს მაგიდაზე.

კარგია ეს თუ ცუდი? არ ვიცი. მოსაწყენი კია. ვის მოვუყვებ, როგორ ვცხოვრობდი ამ ორ თვეს, ვის გავუზიარო ჩემი სიხარული და გამოცდილება? გაიცინებენ, რასაც ვიტყვი, ანეგლოტად მიიღე-

ბენ, ან ახირებაში ჩამომართმევენ. შეიძლება სულაც არ დამიჯერონ!

მოსალამოვდა. ნუნუს დამადგინებს დღეზე ვეწვიე. ცოტა დამაგვიანდა, სტუმრები უკვე სუფრას უსხდნენ. საუბრისთვის ჯერ ვერ მოეცალათ, ჭამდნენ! გრძელი მაგიდა დიაგონალურად იდგა ოთახში, ჭერში ჭადი კაშკაშებდა, სტუმრები ბლომად იყვნენ. „გამარჯობათ!“ „გაიცანი — ციალა, მანანა, ნატაშა“. გოგოებმა გამიღიმეს კეკლუცი ქალური ღიმილით და მათ მაშინვე მივაგვიწყდი. ბიჭებს თითქმის ყველას ვიცნობ. ნუნუმ თავის სკამზე დამსვა და თვითონ გოგოებთან გადაინაცვლა.

„იცოცხლე, ნუნუ!“ „გმადლობთ. მირთვით!“ მეც შეგუდექი ჭამას. ვსვამდით თეთრ ღვინოს, ვამზობდით სადღეგრძელოებს, ვკითხულობდით ლექსებს, ვსულელობდით. გოგოები ცოტათი იპრანჭებოდნენ. თავი ყველას ლამაზი და ენამახვილი ეგონა. ყველა რაღაცნაირად აღვზნებული იყო, რაღაცას ელოდა. ეს ყველაფერში იგრძნობოდა: ბიჭების ქურდულ გადახედვაში, გოგოების ამოუცნობ, ოდნავ დაბნეულ ღიმილში, მათ მსუბუქ და კეკლუც მიმობრაში. კითხულობდნენ ბლოკს, გალაკტიონს, ვაჟას, პუშკინს.

ვადღეგრძელებთ ბებია, მეორე ოთახიდან გამოვიყვანეთ და დიდხანს ვაჭახუნებდით ჭიქებს, პატივისცემით და აღტაცებით წარმოვთქვამდით რაღაც გაურკვეველს. ბებია რომ შემოვიდა, ყველანი ფეხზე წამოგვივიდით, ისიც მორჩილად გვიკრავდა თავს და ეშმაკურად გვიღიმოდა.

მერე ვიცეკვეთ შემოიტანეს ხილი, ყავა და ტკბილეული. უკვე დაწყვილდნენ, ბევრს და ჯიუტად ცეკვავდნენ. ზოგი დათვრა, ისხდნენ ცარიელ სუფრასთან და კამათობდნენ; ერთმანეთს არ აცლიდნენ, სიტყვას აწყვეტინებდნენ. ბოლოს ყველა მოიქანცა. მეზობელ ოთახში შევიხიდე. ნუნუს მამა — ოჯახის უფროსი — სავარძელში იჯდა, მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო. წყნარი სინათლე უნათებდა ჭადარა თავს, მაგარ კისერს და მოშვებულ მხრებს. ღამის სამ საათზე



დავიშალეთ. ერთი ამბით დავეშვიტო მა-  
ლალ კიბეზე და ქუჩაში გამოვეფინეთ.

მეორე დასვენებას ვატარებ თბილის-  
ში. თორმეტ საათზე უნდა მივიდე ღამის  
ცვლაში, ეს ჩემი ბოლო ცვლა იქნება.  
გულდაწყვეტილი და ნაღვლიანი ვშორ-  
დები ამხანაგებს. უცებ ცხადად ვიგრძე-  
ნი და მივხვდი, რას ნიშნავდა ჩემთვის  
ეს ორი თვე, ჩემი ახალი ამხანაგები, ჩე-  
ნი ერთობლივი მძიმე შრომა. სახსრებში  
უკვე აღარ მტეხს და წელიც აღარ მტკი-  
ვა, შევეჩვიე მუშაობას. ვისწავლე ძალა-  
ყინის, ნიჩბის ხმარება, თუჯის ხარისხის  
გამოცნობა. დამემსხვრა მწიგნობრული  
წარმოდგენები შრომასა და მშრომელე-  
ბზე. აღრეც შევხვედრივარ მშრომელ ადა-  
მიანებს, მაგრამ სულ სხვაა, როცა თვი-  
თონ მუშაობ, სიცხეში იხრაკები და  
მტვერს სუნთქავ. ძალიან მიჭირდა წერა,  
მაგრამ რომ არ დამეწერა, უაღრესად  
მნიშვნელოვან წვრილმანებს დავკარგავ-  
დი, რისგანაც მთელი ჩემი ნაფიქრალი  
და ნააზრევი შედგებოდა. ქარხანაში  
ყოფნისას არც ვინმეს შევჯახებოვარ, არც  
რამე განსაკუთრებული გადამხდენია  
თავს, ცუდიც არაფერი შემმთხვევია. უბ-  
რალო, მარტივი ცხოვრება მქონდა. ვი-  
ყავით ხუთი ამხანაგი, ხუთი კეთილი და  
შრომისმოყვარე ადამიანი.

ჩემი რვეულები გადავიკითხე, წინ კი-  
დედ დიდი სამუშაო მელის. ამბები, შთა-  
ბეჭდილებანი და აზრები, ყველაფერი  
რაც ჩავიწერე, ებიზოდებისთვის გამო-  
მადგება.

დილით მამუკა მინდელთან შევედი,  
გამომშვიდობება მინდოდა. ყველას —  
საამქროს უფროსს, მთავარ ოსტატს და  
მთავარ ინჟინერს ერთ ოთახში მოეყა-  
რათ თავი. „არ გაგიშვებ!“ — მოკლედ  
მომიპრა მინდელმა, როცა ჩემს განცხა-  
ლებას დახედა, ზურგი შემაქცია. არ მო-  
ვეშვი. ცოტა ხნის შემდეგ ნამძინარევი  
თვლები მომაპყრო და ჩამომიმარცვლა:  
„ვერ გაგიშვებ, ხალხი არ მყოფნის. ოთხ-  
ოთხი კაცი მყავს ბრიგადაში, რატომ მი-  
ღიხარ?“ ამას ვერ გავუმხელდი. მოკ-

ლედ და გამომწვევად ვუპასუხე: „აღარ  
მინდა თქვენთან მუშაობა!“ ამამუკამ  
მხრები აიჩიჩა: „ვერაფერს ვერ მოგიწერ-  
ხებ, კადრების განყოფილებაში მიდი“.   
ილო, რეზო და შოთა გარეთ მელოდებო-  
დნენ.

— გაგიშვა? — ერთდროულად მკი-  
თხა სამივემ.

— არა.

შეწუხდნენ, ძალიან უნდოდათ, დამხ-  
მარებოდნენ. რაღას ვიზამდი, წავედი  
კადრების განყოფილებაში, რიგში ვი-  
დექი, ვილაცას ვურეკავდი. სამი დღის  
შემდეგ გამათავისუფლეს.

ამხანაგებთან გამოსათხოვრად ქარხა-  
ნაში წავედი. უჩვეულოდ და უცნაურად  
ვერძნობდი თავს, როცა ხავერდის შარ-  
ვალში გამოწყობილი კიბეზე ავდიოდი.  
მოდითოდა თუჯი. აქოშინებულა, ოფლში  
გაწურული ბიჭები გავარგარებულ თხრი-  
ლებთან დარბოდნენ. გადასასვლელებს  
ამტვრევდნენ. ხიდის მოაჯირზე დაყრდ-  
ნობილი ვუცქეროდი მათ. არავის დავუ-  
ნახივარ.

მერე ყველამ წყალი დალია და ვენტი-  
ლატორთან დადგნენ. მეც დავლიე წყა-  
ლი, — უგემური მეჩვენა, ორი ყლუპი  
მოვსვი და გადავღვარე. შოთა და დათა  
ჩემს გვერდით სკამზე ისხდნენ, რაღაცას  
მეკითხებოდნენ, პაპიროსს ეწეოდნენ და  
მძიმედ ქშინავდნენ. ჩემი თავი ექსკურ-  
სანტი მეგონა. დასვენებული და სუფ-  
თად ჩაცმული ვიჯექი, არ მსიამოვნებდა,  
რაღაც მეხამუშებოდა.

ილომ წილის ლამაზი ნაჭერი მომიტანა  
სახსოვრად. „რავაა საქმე, ოთარ?“ —  
მშვენივრად მესმის, რასაც ნიშნავს ეს  
კითხვა. „კარგად, ილო“. „აბა, რავა  
გეგონა!“

შეხვეწება თავდება. „ნახვამდის, და-  
ვით. ნახვამდის, რეზო“. „ნახვამდის!“

---


ოთარ იოსელიანი  
რუსთავის დღიური



## ღაღო სულაბერიძე

### ბახტრიონის ჩრდილი

აქ ხმალშემართულს შეხვდები ლუხუმს,  
გაღებულ კართან დაგხვდება ლელა.  
გალავანს მათი მკერდები უხურს,  
ამ ქვებზე მათი ჭრილობა ელავს.  
გაფრინდაულის ქუხილს და ბუხუნს  
აზიდავს ქარი და შესძრავს მწვერვალს.  
აკდია ჩრდილი, — თათარი მუხლით  
გალავანისაკენ მიხობავს ნელა, —  
ის ხმალშემართულს გაურბის ლუხუმს  
და ეპარება ცახცახით ლელას.



### ზვილის მებოვრებს

თქვენ შემოდინხართ თანდათან ჩემში  
და ჩემი სულის ფარდებს ეხებით.  
წყაროს წყალივით მოგაფრქვევთ პეშვით  
ღიმილს, როს უცებ შემეჩებებით.

ჩემი ოჯახის მით გადმოხეთქილ  
ანკარა დელეს თქვენ უერთდებით.  
ამქვეყნად თითქოს მიტომ მოხვედით,  
შემიკრთოთ ყრმობის სილუეტები.

თქვენ შეუმჩნევლად გააღეთ კარი,  
არ მახსოვს,

ასე როდის მომაცხრით.  
შემომეხლება მე თქვენი ქარი  
და ჭადარაზე ნისლს შემომაცლის.

თქვენ შეუმჩნევლად გააღეთ კარი,  
შემიკრთეთ ყრმობის სილუეტები.  
მერე დარეკეთ ჩემს სულში ზარი  
და გამახსენეთ,  
რომ მე ვბერდები.

რომ მე ვბერდები  
და რაც დაგვარგე,  
ვეძებ და ახლა ვერ მივაგენი.  
ჩემი ბავშვობის ჰგავს სიაგვარგეს  
თქვენი ბავშვობის სიაგვარგენი.

თქვენ შემითრთოლეთ ყრმობის ლანდები,  
საფლავებიდან გამოპარულნი.  
მათთან მისული ლიანდაგები  
არ ბრუნდებიან უკან ჟღარუნით.

ნუმც გაპყლოდეთ იმ გზებს ეკლიანს,  
გაინაწილეთ ჩემი ხანძარი.  
აგერ, სამასი ლომის ძეგლია,  
ეგერ, — ქართული სულის ტაძარი.

სულს მისხალ-მისხალ ჩამოგირიგებთ,  
გაგინაწილებთ ღიმილს პეშვებით.  
ავედევნები მე თქვენს ბილიკებს  
და თქვენს მორევში გადმოვეშვები.

თქვენ შეუმჩნევლად გააღეთ კარი,  
არ მახსოვს, ასე როდის მომაცხრით.  
შემომეხლება მე თქვენი ქარი  
და ჭალარაზე ნისლს შემომაცლის.

☆  
ლ  
მ  
დ  
ო  
ს  
უ  
ს  
უ  
ბ  
ე  
მ  
ე  
რ  
ი  
მ  
ე  
☆  
ლ  
ე  
მ  
ს  
ე  
მ  
ი  
ე









## მოთხრობა

გოჯიმ ყავარი გამოხადა და სხვენზე აზიდა, სახლის გადახურვას შეუდგა, შეუსვენებლად მუშაობდა. შუადღისას საშინლად ჩამოცხა.

— ცოტა შეისვენე, მამა, — უთხრა ნათემ. — აგრილდება.

— ბარემ მოვრჩეთ დღეს, სიცხეს არავინ მოუკლავს, — უთხრა გოჯიმ და ცოტა ხნის მერე წაუღიღინა: — ჩემი გოგო ლევაბიდან მკავე წყალს თუ ამომირბენინებს...

— ახლავე, მამა, ხომ არ გგონია, დავილაღე? უკვე დიდი გოგო ვარ! — ნათე თითის წვერებზე შედგა და წელში გაიმართა.

— უ, შე ეშმაკო, არ თქვა, გასათხოვარი გავხდიო, თორემ ისეთ ბიჭს გაგაყოლებ, შიშისაგან ტირილი დაიწყო, — გაეხუმრა გოჯი.

ნათე წამოწითლდა, სპილენძის თუნგს ხელი დაავლო და გაიქცა. «ვის უნდა გამაყოლოს ისეთს? თუ ჯუნისზე ამბობს, მას ხომ ჯერ არავინ აუტირებია», — ფიქრობდა ნათე.

ჯუნისი მათი მეზობელი იყო. ბავშვობაში სულ ერთად თამაშობდნენ, საქონელსაც საძოვარზე ერთად ერეკებოდნენ. ერთხელ ჯუნისი პანტიდან ჩამოვარდა, ხელი მოიტეხა, მაგრამ ხმა არ

ამოუღია. ნათე კი ტიროდა, — ეცოდებოდა ჯუნისი. ამ ამბის მერე სოფელში ღიმილით ამბობდნენ, გოჯის გოგოს ჯუნისი უყვარსო.

ნათემ თუნგი აავსო და უკან გამობრუნდა. გზაზე ისევ ჯუნისზე ფიქრობდა. სამ კვირაზე მეტია, არ უნახავს. სწორედ იმ დღის მერე, გოჯიმ სათიბის მიჯნის თაობაზე ხანჯლით რომ დაჭრა ნინაშების სავათი. ნინაშები ჯუნისის ნათლიები იყვნენ და, რა თქმა უნდა, ჯუნისი მოერიდებოდა ნათესთან შეხვედრას. «კი მაგრამ, როდემდის გაგრძელდება ასე?» ნათემ წინაღლით ყური მოჰკრა, ჯუნისი ჯარში უნდა წაიყვანონ, წელს თუ არა, გაისად მაინცო. ჯუნისი ომში შეიძლება აღრეც წასულიყო. განა თვითონ არ უთხრა ნათეს, რომ არ წამიყვანონ, შინიდან გავიპარებიო? სმენია ნათეს, ომიდან ყველა ვერ ბრუნდებაო. იქნებ ჯუნისიც... უი, არა, არა!

ფიქრებიდან თოფის ხმამ გამოარკვია. ნათემ მიყოლებით ჩამწკრივებულ კომპეტებს გახედა. ნინაშების მურყვანზე შეაჩერა მზერა. სათოფურს ღრუბლის უწყინარ ფთილასავით აკვროდა კვამლი. მალე კივილიც გაიგონა. მერე შეეშინდა, თვი-

თონაც არ იცოდა, რისი შეეშინდა და გაიქცა.

ეზოში ხალხი შეგროვილიყო. ქალებს თავსაფრები მოეძროთ და ჰკიოდნენ: — ნათე! ნათე!

ნათეს გული გადაუტრიალდა. ნელ-ნელა აიხედა ზევით: ნახევრად გადახურულ სახურავზე მამამისი გაშოტილიყო. ხელში ყავრის დასამაგრებელი ქვა ეჭირა, თითქოს ფეხი დასხლტომოდა და ქვას ორივე ხელით ჩაბლაუჭებოდა, რომ არ ჩამოვარდნილიყო. პირველად ასე მოეჩვენა ნათეს, იმედიც მიეცა და მამას დაუძახა:

— მამა, ნათე ვარ, წყალი მრგიტანე!

მაგრამ გოჯის ხმა არ გაუცია, არც კი განძრეულა. უცებ ნათეს თვალთ დაუბნელდა, სისხლი დაინახა. სისხლი ყავარიდან მოწვეთავდა და ბზინავდა.

ახლა კი ყველაფერს მიხვდა ნათე და... მეტი არაფერი ახსოვს. არც მეორე დღე ახსოვს. მესამე საღამოს, გონს რომ მოვიდა, დარბაზში თივანზე იწვა. პირისახე უხურდა, თითქოს ბარდებში დაკარგოდა. მარტო თვალებიღა შერჩენოდა გაუკარავი. გარედან ხალხიც ჩოჩქოლი მოისმა, ნათე ფეხზე წამოდგა და დერეფანში გავიდა. შავთავსაფრიანმა ქალებმა და ქუდმობდილმა კაცებმა თვალი აუჭრელეს. მალე ყურისწამლები და შიშისმომგვრელი ზარი გაისმა. მაჩვიბიდან ახლად გათლილი ფიცრებისაგან შეკრული კუბო გამოიტანეს და მთელი სოფელი სასაფლაოსკენ დაიძრა. მერე კუბო ისევ გამოჩნდა სოფლის შუკაში, იგი ოთხ კაცს მიჰქონდა, უკან კი შავ სამოსელში გახვეული ხალხი მისდევდა. კუბო ირწოდა და თეთრად ანათებდა. ნათეს ისევ თვალთ დაუბნელდა, აქანავდა დერეფანი, მთები, ღრუბლები...

ნათესავეები და მეზობლები არ შორდებოდნენ ნათეს, ანუგეშებდნენ, დახმარებას სთავაზობდნენ. გოგონა ყველას მადლობას ეუბნებოდა, მაგრამ მათი სიბრალულნარევი კილო გულს უთუთქავდა. „მე თვითონ მოვუვლი ჩემს

თავს, — ფიქრობდა ნათე, — შესაბრალებელი რა მჭირს! იქნებ ჰგონიანთ, ქალი რომ ვარ, თავს ვერ უმჯობესებ, ორი ხელი მეცა მაქვს...“

ნათე მამას ჰგავდა, ყველაფერი თვითონ უნდა გაეკეთებინა. შეძლებდა თუ არა, მაინც უნდა ეცადა.

„ვინ თქვა, რომ მარტო ვარ? — ფიქრობდა ნათე: — ჯუნისი ოშშია, ჩამოვად...“ — ხანდახან ეჭვი გულს ატკენდა: — რომ არ ჩამოვიდეს?

ნათემ კაბა გაიხადა, მამის შარვალი გადაიკეთა და მოირგო, კაცის ქალამნები ჩაიცვა.

მერე და მერე მეზობლებსაც მოსწყინდათ უშედეგო ჩიჩინი, იშვიათად თუ მოაკითხავდნენ ხოლმე. ხანდახან ქარი ქვემეხის ხმას მოიტანდა. „ჯუნისი!“ — გული შეუხტებოდა ნათეს: — „ჯუნისი!“

გადიოდნენ დღეები, თვეები. ეს გრძნობაც გულის სიღრმეში მიიწვედა, ბინდს იფარებდა, თითქოს ნათეს ემალებოდა. ახლა ქარს ქვემეხის ხმაც აღარ მოჰქონდა. ჯუნისიც თითქოს იმ ხმას სადღაც შორს წაჰყოლოდა.

ნათე მაჩვიბის ფანჯარასთან დაიჩოქებდა და ჩურჩულებდა:

— მშვიდობით დააბრუნე ოშში წასული ბიჭები, გამარჯვებულები დააბრუნე ყველანი, ყველანი!

ვის ევედრებოდა? ცას, ღრუბლებს, მთებს, ყველაფერს...

ახლა იგი ქვიდან გამოთლილსა ჰგავდა. დაკერებული შარვალი ეცვა. ბეჭებსა და თავზე გახუნებული, ნაცრისფერი შალი შემოეხვია. თავი ხელებში ჩაერგო. გაქვავებული თვალები დერეფნის ფიცრებისათვის მიეშტერებინა. გაუნძრევლად იჯდა და ელოდა.

ყავარზე კენჭები ცვიოდა. ნათემ იცოდა, კენჭებს ბავშვები ისროდნენ: მარტოხელა, უსიტყვო ქალი ყველაზე მეტად ბავშვებს ეუცხოებოდათ.

— შარვლიანო, შარვლიანო! — ეძახდნენ ისინი.

ნათეს ერთხელაც არ უფიქრია, გარეთ გაგარდნილიყო და ონავარებს გასწყრო-



მოდა. იჯდა და ყავარზე კენჭების რაკუნს უსმენდა. გულის სიღრმეში სიამოვნებდა კიდევ. პატარების ყიჟინი ბავშვობას აგონებდა, უდარდელ ბავშვობას. „ჯუნისი, ჯუნისი!“

თითქოს ჯუნისიც იმ ბავშვებში ერია, კენჭებს ისიც ისროდა. „ნათე! ნათე!“ — იძახდნენ კენჭები.

ბავშვები მის სახლთან ცოტა ხანს ჩერდებოდნენ, მერე შუკას აუყვებოდნენ და ტრიალ მინდორში ომობანას თამაშს იწყებდნენ. ნათემ ზუსტად იცოდა, ბავშვები მის სახლთან რამდენ ხანს დაჰყოფდნენ.

უცებ კენჭების სროლა შეწყდა. ნათეს გაუკვირდა, ბავშვები ასე ადრე არ უნდა წასულიყვნენ. თავი ასწია, ყური მიუჯღო: „რა მოხდა?“

გარეთ გამოვიდა, ბავშვები თავქუდმოდგეჯილები გარბოდნენ.

„რა მოხდა?“

ბავშვები აშკარად ვიღაცამ დააფრთხო. ნათემ მიიხედ-მოიხედა, არავინ ჩანდა. „ნეტავ ვინ იყო?“ სირბილ-სირბილით აუყვა შუკას, თითქოს უნდოდა ბავშვებს დასწეოდა, ეკითხა, ვინ იყო, ვინ დააფრთხო ისინი...

აი, სარავიც! გამოჩნდა. აქ იყო ონაერების თავშესაყარი ადგილი. მაგრამ ახლა აქ არავინ დახვედრია. ცოტა ხანს იდგა, მერე შუკას უკანვე ჩამოყვა.

ეზოში სახურავიდან ჩამოცვენილი ქვების შეგროვებას შეუდგა. ერთად დაახვავა, მერე უხეშად დაწნული გოდორი მოიტანა, ქვები შიგ ჩაყარა, მხარზე მოიგდო და რიყისკენ გასწია. დოდაშების ნაწისქვილარის ახლოს გოდორი გადმოაპირქვავა, იქვე, წითელ ქვებს შორის მოწანწკარე წყაროსთან ჩაიმუხლა, წყალი პეშვით სახეზე შეისხა. მერე წამოდგა და შინისაკენ გასწია. საღამოს საქონელი გომურში შერეკა. ქანდარაზე ქათმებს ახედა, თუ არიანო. ერთხელ კიდევ შეათვალიერა კარ-მიდამო და მერე ქვის კიბეს აუყვა. ბუხართან კარგად გამხმარი კვარი მოძებნა, აანთო და კვა-

რის შუქზე ივახშმა, მერე გახუნებული ტანსაცმელი გაიძრო და დაწვა <sup>გაქრული</sup> <sup>გაქრული</sup> გულაღმა უყვარდა წოლა. <sup>განთქმული</sup> კვარს უყურებდა და ფიქრობდა. რაზე არ ფიქრობდა. ამ ფარვანა პებლებზეც ფიქრობდა. ნათეს ძალიან ეცოდებოდა ისინი. როგორც კი კვარს აანთებდა, პებლები სიბნელიდან გამოვიდოდნენ და ცეცხლს ეთამაშებოდნენ. სმენოდა, ფარვანები მიცვალებულთა სულეზიით. ფიქრობდა, იქნებ მამაჩემის სულიც აქ დაფრინავსო. ანთებულ კვარს ფარვანებს განგებ უტოვებდა ხოლმე.

დილით ადრე გამოეღვიძა. სცადა გაეხსენებინა წუხანდელი სიზმარი, მაგრამ ვერ შეძლო. „თუ მაშინვე ვერ გაიხსენე, მთელი დღე გაგაწვალებს...“ მთელი დღე იმის ცდაში იყო, როგორმე ის სიზმარი გაეხსენებია. გუმანით გრძნობდა, კარგი სიზმარი არ იქნებოდა. რა უნდა ყოფილიყო ისეთი?

მზე ჩასულიყო. მისი სხივები შორს, მაღალი მთების მწვერვალებზე ლიცლიცებდნენ. გრილი, წყნარი საღამო იდგა. ნიავს გამხმარი თივის სურნელი მოჰქონდა. ნათე მარხილზე იჯდა და გრძელი წკებლით ხარებს მიერეკებოდა, ლეგაბის სათიბიდან ბრუნდებოდა. ხარებმა სოლთანშების ვიწროები გაიარეს, ღიაზე გავიდნენ. უცებ ორღობეებს იქით, გზის ორივე მხრიდან, სოფლის ბიჭები წამოიშალნენ, ერთი ყვირილი და ალიაქოთი ატეხეს.

— ქალაბიჭა! ქალაბიჭააა! — გაიძახოდა ერთი.

— ფარვანა! ფარვანა! — ყვიროდა მეორე. ნათეს წარბიც არ შეუხრია. ხარებიც თითქოს არაფერიო, მშვიდად მიუყვებოდნენ შუკას. ბიჭები კი სტვენა-ყიჟინით მისდევდნენ მარხილს, არ ცხრებოდნენ:

— ქალაბიჭა! ქალაბიჭა!

— ფარვანა! ფარვანა!

ერთი კაჭკაჭის ხმას ბაძავდა, მეორე

1 სარავი — ხის ღარით გამოყვანილი წყალი.

ძალღივით ყუფდა. უცებ ნათეს წუხან-  
დელი სიზმარი გაახსენდა: მთაში იყო  
და ხარებს დაეძებდა, მერე გამოქვაბულ-  
ში შევიდა. გამოქვაბულში ბნელოდა.  
ნათეს არ შეშინებია, თვითონაც გაუკ-  
ვირდა თავისი გამბედაობა. მერე ვილა-  
ცამ ბოხი ხმით დაუძახა:

— შენ იმიტომ გებრალეებიან ფარვა-  
ნები, რომ თვითონაც ფარვანას ჰგავხარ!

ნათეს ყოველთვის ეშინოდა ბოხხმი-  
ანი კაცებისა. რატომღაც ეგონა, ისინი  
სიბნელიდან ელაპარაკებოდნენ. ბიჭებმა  
ყვირილს უმატეს, მაგრამ ნათეს გამო-  
წვევა რომ ვერ მოახერხეს, მეთაურს —  
ქოჩორა ბიჭს — შეაჩერდნენ, ხომ არ  
გმეყოფათ.

— აბა, ბიჭებო, ქვები, ქვები! — და-  
იძახა მეთაურმა, მაგრამ მას არავინ აპ-  
ყოლია. ბიჭებმა ნელ-ნელა უკან დაი-  
ხიეს.

— ხარებს ვესროლოთ, ხარებს! — არ  
ცხრებოდა მეთაური.

ბიჭები ხმას არ იღებდნენ, ეტყობა,  
ქვის სროლა არ ეხალისებოდათ.

— ჰა, თქვე ქალაჩუნებო! — არ გაი-  
ტეხა იხტიბარი მეთაურმა, ქვას დასწვ-  
და და ხარებს ესროლა.

ხარები დაფრთხნენ, მარხილი გაიტა-  
ცეს და თავდაღმართში დაეშენენ. მერე  
მარხილი გადატრიალდა. ნათე ჭიგოს  
მოექვიდა. ხარებმა რამდენიმე მეტრზე  
კიდევ გაათრიეს მარხილი და გაჩერდ-  
ნენ.

ნათემ თვალი გაახილა. მთელი ტანი  
საშინლად სტკიოდა. წამოდგომა სცადა,  
მაგრამ ტანი ვერ აიტანა. თავი მოატრი-  
ალა და ბავშვებისაკენ გაიხედა, ვიღაცა  
მალალ კაცს ის ქოჩრიანი ბიჭი დაეჭირა  
და ყურს უწევდა, თან რაღაცას ხმამალ-  
ლა უყვიროდა. ნათემ ვერ გაარჩია, რას  
ეუბნებოდა კაცი ბიჭს. ბიჭმა უცებ ტი-  
რილი დაიწყო, მერე კაცს ხელიდან  
დაუსხლტა და გაიქცა. სხვები უკვე  
ფერდობზე არბოდნენ. მალალი კაცი ნა-  
თესკენ გამოემართა. ნათემ თავს ძალა  
დაატანა, კიდევ უფრო ფართოდ გაახი-  
ლა თვალები: კაცს ჯარისკაცის ჩექმები  
ეცვა. „ჯუნისი... ჯუნისი!“

მაშინვე გული წაუვიდა. ჯარისკაცი  
გულწასული ქალს დასწვდა, მკლავებზე  
გადაიწვინა, აიტაცა და შინ წამოიყვანა.  
ფართო, მტკიცე ნაბიჯით გაუყვა გზას.  
გზაზე ნათესავები შემოხვდნენ, გახე-  
დნენ, აფორიაქებული მხერა გააყოლეს.  
ჯარისკაცმა ქალი მკერდზე უფრო მაგ-  
რად მიიკრა. ქალს გულისპირი გახსნო-  
და, ქათქათა მკერდი მოუჩანდა.

აღარ დავხედავ, — გაიფიქრა ჯარის-  
კაცმა:—მეტს აღარ დავხედავ.—ნათესა-  
ვების მხერას გრძნობდა და თითქოს  
მათი ჩურჩულიც ესმოდა, „ნინაშები  
შენი ნათღიებია, მათი მტერი შენი  
მტერიცაა“.

ჯარისკაცი აღმართზე აღიოდა და  
გულწასული ნათე ატატებული მიჰყა-  
და. ასეთი ნაბიჯით სდია მტერს მთელი  
ორი წელიწადი. თითქოს ახლაც ვილა-  
ცას მისდევდა. ახლაც ებრძოდა უხილავ  
მტერს, კოშკებისა და მაჩვიბების უკან  
რომ ჩასაფრებულებიყო, ბნელი ჭუჭრუტა-  
ნიდან დამეზნებინა მისთვის თოფი.  
ჯარისკაცს მათი სულაც არ ეშინოდა,  
აღარ ეშინოდა.

„ნათე... ნათე!“

ნათეს ბავშვური, უმანკო სახე ჰქონ-  
და. საოცარი იყო, გულწასულიც ილი-  
მებოდა.

ჯარისკაცმა ნათეს ეზოს ჭიშკარი  
შეაღო, ქვის კიბეზე ფრთხილად ავიდა  
და ნათე საწოლზე დაასვენა. შარვლის  
ტოტი ხანჯლით გაუჭრა, ჭვინთზე ჩა-  
მოკიდებული ხალათი ჩამოხსნა და  
ნაღრძობი ფეხი შეუხვია. მერე ეზოში  
ჩამოვიდა, გომურიდან ვაცი გამოიყვანა,  
დაკლა, გაატყავა, ხორცი იქვე კავებზე  
ჩამოჰკიდა, ტყავი კი აარბენინა და ნათეს  
ახლა ამ ტყავით შეუხვია ფეხი. ისევ  
გარეთ გამოვიდა, შუკას ვახედა, ხარები  
სათიბებისაკენ მიდიოდნენ, თან დამტვ-  
რეულ მარხილს მიათრევდნენ: ხარებს  
დაეწია, მოაბრუნა და ეზოში შემოიყ-  
ვანა.

ნათე დროდადრო ამოიხრებდა ხოლ-  
მე. ჯუნისი მის ფერხთით ჩამომჯდარიყო  
და დასცქეროდა. ნათეს ღიმილი გადაჰ-

ფენოდა სახეზე. თუმცა ბნელოდა, ჯუნი-  
სი ნათეს ღიმილს მაინც ხედავდა. უფრო  
და უფრო ჩამოხედა. თითქოს ბნელს  
ნათეს ღიმილის წართმევა ეწადა. ჯუ-  
ნისი წამოდგა და კვარი აანთო. კვარის  
ყვითელმა შუქმა ნათეს ღაწვეები მზის-  
ფერად შეუფაქლა, თითქოს ბავშვური  
სახე დაუბრუნა.

• ჯუნისის მოუნდა რაღაცა ეთქვა ნათეს-  
თვის, თუნდაც უაზრო, ბავშვური რამ,  
მაგრამ ვერაფერი უთხრა. სათქმელი  
ყელში მოაწვა, ქვასავით გამაგრდა და  
კინალამ დაახრჩო. მერე თავისი ხმა გაი-  
გონა, გაუკვირდა და ყური მიუგდო. ხმა  
ცახცახებდა, მღეროდა:

ნანილ, ნანილ, ნანილა,  
ნანილა, ნანილა...

აქამდე არასოდეს ემღერა ეს სიმღერა,  
ბიჭები ხომ ნანას არ მღერიან! მერე  
ნელ-ნელა ხმას აუწია:

ჩუ ლახუქნან დოიდ მიშგუ,  
ნანილა, ნანილა...

ეს ნანა კი არა, გამარჯვების სიმღერა  
იყო! მერე თვალი ცრემლმა აუვსო. აც-  
რემლღებული თვალებით დასცქეროდა ნა-  
თეს, რაც აქამდე უნდა ეთქვა, რაზედაც  
სანგარში ოცნებობდა, ახლა ეუბნებოდა.  
უცებ იგრძნო, ნათეს ხელი მის მარჯვე-  
ნას რომ ეაღერებოდა, ისე ნაზად, თი-  
თქოს ზედ დამჩნეული ჭრილობა ჯერაც  
მოუშუშებული ჰქონოდა. მერე ნათემ  
თვალი გაახილა, ჯუნისის შეაცქერდა და  
წაიჩურჩულა:

— გახსოვს, პანტიდან რომ ჩამოვარ-  
დი? — და თვითონაც ცრემლი წასკდა,  
სინარულის ცრემლი...

---

მირონ ხერგიანი  
ფარვანა






## გაგუ მებუჩიშვილი

### განშორება


ღიმილი გშვენის,  
ღიმილი გშვენის,  
არ დამანახო ცრემლის მორევა...  
მივდივარ შენგან,  
მივდივარ შენგან  
და მე მაფიქრებს ეს განშორება.  
ბაქანზე ხალხის არ არის ტევა,  
ვიწრო ბაქანი ცოტა ხალხს იტევს;  
ერთბაშად ფარავს ელმავლის სტვენა  
დამშვიდობების ნაღვლიან სიტყვებს.  
გულში იჭვები განაგრძობს ფათურს —  
ვნების და სისხლის ამჩქროლებელი...  
არ უკვირს სადგურს,  
არ უკვირს სადგურს  
შეხვედრები და განშორებები.  
წასვლამდე დარჩა სულ ორი წამი,  
ნახვამდის, ვამბობ  
და მეც ვლონდები...  
და ცივ რელსებზე გაწოლილ ღამეს  
ხენეშით გადუფლის მძიმე ბორბლები.



### თვითმფრინავიდან

უფრო ღვივდება სურვილი ფრენის,  
შიშს სადღაც ფრთხილი თვალებით ღვიძაფს...  
ძლიერი ფრთებით  
და თეთრი ფრთებით  
თანდათანობით ვშორდები მიწას.

დაბლდება ზეცის მაღალი ქერი  
და გზა ეხსნება გაბედულ წადილს.  
მიწას სიმძიმე მოაკლდა ჩემი  
და ჩემი ტანის პატარა ლანდი.  
დაუოკებელ წყურვილით, ქინით,  
მზე ისევ ანთებს მათა ხავერდებს...  
და თვითმფრინავის მსუბუქი ჩრდილი  
ჭიუხზე გასულ ჯიხვებს აფეთებს.  
და ღრუბლის ფურცლებს  
ქარები ხევენ,  
ჩვენი ქარები,  
თბილი ქარები,  
და საქართველოს დაკორძილ სხეულს  
ეალერსება ჩემი თვალები.



### გოშეპი

მაისის მთვარით სავსე ღამეში  
მე ვიხედები იმ მხარეს მხოლოდ,  
სადაც ტყის პირას, ვიწრო კარვებში  
ერთი პატარა ქვეყანა ცხოვრობს.


დასაბამიდან ხეტიალს ნაჩვევთ  
არ უყვარდათ და არ ჰყავდათ მეფე,  
ისე ხალისით ჰყიდიან ჯაჭვებს,  
თითქოს იხსნიან შებორკილ ხელ-ფეხს.

მზით იკაჟებენ სულსა და კუნთებს  
და განსაცდელი ველარ ერევათ...  
და არ არსებობს ლამაზი კუთხე,  
რომ არ შეეძლოთ მისი შელევა.

ასე რომ იყოს, ვივლიდი მანამ,  
სანამ მსოფლიოს გზებს არ დავლევდი...  
მაგრამ არ ძალმიძს, ვენახს და ყანას  
ვუცქირო მათი ცივი თვალებით.

მათ არ აწუხებთ გამოცვლა ბინის,  
ბედის ნავებით ზღვას გასცურავენ...  
დარში, ავდარში, წვიმაში, თოვლში  
ივლიან ქვეყნის დასასრულამდე...

და გარუჯულებს ცისფერი ბოლით  
ტკბილად აძინებთ ჩიტთა გალობა,  
ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს  
მთავრდება მათი უსახლკარობაც.



მოთხრობა

ბონდო ღია ფანჯარასთან წევს. გალურჯებული მთებიდან მონაბერი ნიავი ტყის სურნელებით ავსებს ოთახს. ეს თითქოს ერთგვარად შვებას აძლევს მას, მაგრამ მერე რა? განა ბონდომ არ იცის, რომ ეს წარმავალია, მისი გადარჩენა ძე-ხორციელს არ ძალუძს; დღე-დღეზე ძალა ელევა, სანთლის ფერი ედება და სანთელივით დნება. ბონდოს მეუღლე, ეკა, ქმრის გაცრეცილ სახეს რომ შესცქერის, მზად არის მოთქმით იტიროს, მაგრამ არა, ქმარს ის ცრემლს არ უჩვენებს, არ შეაძრწუნებს. პირიქით, ახლა ყოველნაირად ცდილობს, ბონდოს იმედი ჩაუნერგოს და სიკვდილის ცივი შიში გაუქროს. ბონდოს თითქოს სჯერა კიდევაც მისი ნათქვამი და ღრმად ჩავარდნილ თვალებში ხანდახან ნაპერწკლებად გამოღვივდება იმედიათი მზერა, გამხდარი ცივი ხელით ეკას მოეფერება, მის ხელს გულზე მიიკრავს...

ეკა ფეხაკრეფით გადის ოთახიდან. ლაფაროში ცაცხვის ჯირკზე ჩამოჯდება და ნელყუნად იცრემლდება.

— ჩემო ბონდო, ჩემო იმედო და სი-

ცოცხლე, უშენოდ რა უნდა გავაკეთო; რა ვქნა, ჩემო საყვარელო, შენ გენაცვალე, შენ! მხარმოტეხილი უნდა დამტოვო?

ლაფაროში ჯირკზე ჩამომჯდარ ეკას როგორც კი დაინახავს ბონდოს ცხენი წაბლა, ყელს მოიღერებს, ყურებს აცქვეტს, ერთს დაიფრთხვინებს და მაშინვე მასთან მიიბრუნს; ჯერ ფართო თვალებს მინდობილად და სევდიანად მიაპყრობს, მერე კისერს წაიგრძელებს და ეკას მუხლებზე თავს ნებეირად დაადებს.

ამ დროს მისი წაბლისფრად მბზინავი ლამაზი ტანი თრთის. ცრემლმორეული ეკა ცხენს ფაფარზე ხელს სათუთად გადაუსვამს და ჩურჩულით ეტყვის: „გვიკვდება!“

წაბლას თითქოს ესმის ეს სიტყვა — ღია ფანჯარას მიადგება, სადაც ბონდო ეგულება და გაბმით დაიჭიხვინებს, თითქოს ეძახის მხედარს, მაგრამ ამაოდ... ბონდოს წელის წამოწევაც კი არ შეუძლია.

ერთი კვირის წინათ, სანამ ბონდოს ძალ-ღონე ჯერ კიდევ შესწევდა, იგი ყოველთვის წამოდგებოდა, ფანჯრის რა-



ფაზე გადმოეყუდებოდა, ხელებში მოიქცევედა წაბლას თავს, ყურებს უსრესდა, ფაფარს სიყვარულით უსწორებდა, ეალერსებოდა, შაქარყინულის ნატეხს აჭმევდა და როგორც კი დაჰკვივლებდა — ჰაიტ! წაბლა, ჰაიტ, ჰაიტ! — ცხენი შეტრიალდებოდა, კისერს კობხად მოიღერებდა, ფეხით მიწას მოტორავდა, უცებ ჰაერში გაიფრებდა და ისეთი ნახტომით გაიჭრებოდა, თითქოს ღრმა და ფართო თხრილს შურდულივით გადაუარაო.

„სწრაფია და უშიშარი ჩემი წაბლა!“ — სიამოვნებდა ბონდოს და ცხენს ერთხელ კიდევ გასამხნეველად გადასძახებდა. — ჰაიტ, წაბლა, ჰაიტ, ჰაიიიტ!

წაბლა ახლაც ჭიხვინებდა ღია ფანჯარასთან, თან მიწას ტორავდა, მთელი ტანით თრთოდა და კანკალებდა, ელოდა პატრონის გამოჩენას, ელოდა, მაგრამ ბონდოს წამოდგომის თავი აღარ ჰქონდა.

ეკას მოუხმო. შაქარყინული მოატანინა.

დამჭკნარი მკლავი ფანჯრის რაფას გადაადო. წაბლამ ჭიხვინი შესწყვიტა და მხედრის ხელისგულზე დადებულ შაქარყინულს ფრთხილად მისწვდა. ბონდომ იგრძნო წაბლას გრილი, ხაოიანი ენა, იგრძნო და ტანში გააზრიალა.

არასოდეს ასე ძლიერ არ მონდომებია, წაბლა თუნდაც წამიერად დაენახა, ფაფარზე ხელი ერთხელ კიდევ გადაესვა და სიყვარულით მიალერსებოდა. წამოიწია, მაგრამ უღონობა და არაადამიანური ტკივილები ვერ იქნა და ვერ დასძლია, და ისევ ბალიშზე მიესვენა.

წაბლამ შაქარყინული შეახრამუნა. ამით ნასიამოვნებმა კვლავ დაიჭიხვინა, შემდეგ კისერი მოიღერა და პატრონის დაღეულ ხელისგულზე თავი ფრთხილად, მსუბუქად დადო. ცოტა ხანს ასე იყო გატრუნული, თითქოს უნდოდა პატრონს ეგრძნო მისი მოსიყვარულე გულის თრთოლა. კაცს ეს ძლიერ ესიამოვნა, მაგრამ მალე დაიღალა და ფანჯრის რაფიდან ხელი ნელ-ნელა ჩამოიღო.

ასე გავიდა კიდევ ერთი კვირა. წაბლა

ღია ფანჯარას მიადგებოდა, დაიხვნინებდა, მაგრამ არც პატრონი ჩანდა და არც მისი ხელი.

წაბლას მოუსვენრობა შეიპყრობდა: ხან მარცხნივ მიტრიალდებოდა, ხან მარჯვნივ, მერე ისევ დაიხვნინებდა, მხედარს ეძახდა, მაგრამ არა, კაცს უკვე აღარ შეეძლო თავის წამოწევა... იგი ფანჯარასთან დადგმულ საწოლზე იწვა უსასოდ. წუხდა, შფოთავდა ხმისამოუღებლად.

ეკა გულდათუთქული უყურებდა წაბლას და იცრემლებოდა, ყოვლისშემძლე ძალას მღუღარე ცრემლით შესთხოვდა ქმრის გადარჩენას.

წაბლა კი დაბალ ბოკონებზე შემდგარ ოდა-სახლის ფანჯარასთან იდგა, თრთოდა და ნელა ხვიხვინებდა, თავს ხან ფანჯრისაკენ მიატრიალებდა, ხანაც ეზოსაკენ, თითქოს სადღე მინდორზე უხმობდა პატრონს, რათა კვლავ მოხიბლონ და აღაფრთოვანონ მაყურებელი...

მაშინ წაბლაც გრძნობდა მხედრის სიამაყეს და თვითონაც გვერდ-გვერდულად, მოკლე ნაბიჯით, ხტუნვა-ხტუნვით ჩაუვლიდა ხალხს, მთელი ტანი ისე დაძაგრული მიჰქონდა, კაცი იფიქრებდა, აი, საცაა თავს აიწყვეტს, ლეგამს გამოყრის და სივრცეს ქარივით შეეხეთქებაო.

ბონდოს ძლიერ უყვარდა წაბლა. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ზაფხულობით მთის საძოვრებზე აჭყავდა, თითონაც იქ ისვენებდა. ცხენიც გრძნობდა პატრონის სიყვარულს, სხვას არავის იკარებდა, უნაგირს ბონდოს გარდა ვერავინ დაადგამდა. ბონდოს ხმას ცხენი შორიდანვე ცნობდა, უფრო მეტიც, ფეხის ხმაზედაც კი იცნობდა პატრონს. საკმარისი იყო, ბონდოს ხმადაბლა დაეხველებინა, წაბლა მაშინვე ჭიხვინს მორთავდა. ბონდო მივიდოდა მასთან, ჯერ ხელისგულზე დადებულ შაქარყინულის ნატეხს მიაწოდებდა, შემდეგ ყელზე ხელს შემოახვევდა, თავს მკერდთან მიიდებდა, ეალერსებოდა და ეს-

არჩილ ჩაჩიბაია

წაბლა

ყვარულეობდა. მერე ფაფარს საგულდა-  
გულოდ დაუსველებდა და წვრილ-წვრი-  
ლად მაგრად დაუნწავდა.

ბონდო ცხენს მორთოლვარე მუცელზე  
ხელს მოუთათუნებდა, მერე წაბლას  
ეზოში გაიყვანდა, სველ ფაფარს მზეზე  
გაუშრობდა. წაბლას ლამაზ კისერზე  
წაბლისფერ ტალღებად გადმოშლებო-  
და ფაფარი და ამ წაბლისფერ ბზინვა-  
ში იგი ძალიან ლამაზი, თვალმიმტაცე-  
ბელი იყო. კაცი ერთ ხანს სტკბებოდა  
მისი ცქერით, მერე ისევ შაქარყინულს  
მისცემდა, ზურგზე ხელს გადაუსვამდა  
და კარგა ხანს ავარჯიშებდა. მინიშნე-  
ბულ ძახილზე წაბლა ხან ნაბიჯ-ნაბიჯ  
უფლიდა წრეს, ხან ჩორთით, ხან კი  
შურდულივით სჭრიდა სივრცეს.

საოცარი რამ იყო: წაბლას პატრონის  
ყოველი სიტყვა ესმოდა. ამიტომ უყ-  
ვარდა იგი კაცს და წაბლაც ებუღუ-  
ლებოდა პატრონს. მთელი სამეგრელო  
გაოცებული იყო ბონდოს ცხენწრთო-  
ბით. ყველას სურდა გაეგო, თუ როგორ  
ახერხებდა ბონდო ცხენის ამგვარად გა-  
წვრთნას, მაგრამ ტყუილა ცდილობდნენ  
მისი საიდუმლოების ამოცნობას.

— აბა, როგორ უნდა შეგასწავლოთ,  
ჩემო ბატონო, ა? — ამბობდა ბონდო. —  
ცხენი გონიერი ცხოველია, ბატო-  
ნო. ჰოდა, როგორც ადამიანს უნდა და-  
უმტკიცო სიყვარული, ცხენსაც უნდა  
დაანახო შენი გული... მერე ყველაფერს  
გაგიგონებს...

ბევრ მოჯირითეს წაბლას ჯავრი  
სჭირდა. ყველგან, სადაც კი მარულა  
გაიმართებოდა, პირველობა მუდამ წაბ-  
ლას რჩებოდა. ვერ იქნა და ვერც ერთ-  
ხელ ვერ აჯობეს წაბლას. იგი არა მარ-  
ტო სიმკვირცხლით, გარეგნობითაც ყვე-  
ლას ხიბლავდა, ყველა აღტაცებაში მოჰ-  
ყავდა. მარულაზე ველს გრივალევით გა-  
დაუფლიდა. ერთს შეჰკვივლებდა მხედა-  
რი — ჰაიტ, წაბლა, ჰაიტ! — და თით-  
ქოს ცხენს ახალ ძალას მატებდა. გამარ-  
ჯებული მხედარი ფინიშთან წითელ  
დროშას მალლა რომ აიტაცებდა, ხალხის  
ყიჟინა, შეძახილები და ტაში დიდხანს,  
ძალიან დიდხანს აღარ ცხრებოდა.

ყოველივე ეს, როგორც სანამბონო  
მოგონება, მიმქრალ დღეებში ჩაიფერფ-  
ლა. ახლა კაცი ფანჯარასთან მიდგმულ  
საწოლზე იწვა და სიკვდილს ებრძოდა,  
სწყუროდა სიცოცხლე, წაბლას ნავარ-  
დი, მარულას ყიჟინა, მაგრამ არა, ბონ-  
დოს სული კბილით ეკავა.

იწვა და თვალწინ ეღვა ის საბედის-  
წერო შემთხვევა ცხრამუხასთან გამარ-  
თულ მარულაზე: იმ დღესაც პირველი  
მისი წაბლა მოჰქროდა მინდორზე. მისმა  
ერთმა მეტოქემ ელვისებურად ცხენი ისე  
მოატრიალა და წაბლას დააძგერა, რომ  
წაბლა წაიქცა, ხოლო ნეკნებჩამტვრე-  
ული, სასიკვდილოდ დაღწილ-დაჯაჯ-  
გული ბონდო ლოგინად ჩააგდო. ახლა  
კი სულს ღაფავდა.

იმ დღიდან მოკიდებული წაბლა ფან-  
ჯარას არ შორდებოდა. ესმოდა კაცის  
კვნესა, ხვნეშა თუ ხველება და ზოგჯერ  
ისე უცნაურად მორთავდა ჭიხვინს, რომ  
შინაურები შემკრთალი იყურებოდნენ  
ფანჯრისაკენ.

„ცხენის ჭიხვინი უფრო შეაწუ-  
ხებს!“ — გაიფიქრა ერთხელ ეკამ და  
წაბლა უკანა ეზოში დააბა. იმ საღამოს  
კაცი დიდხანს ელოდა ცხენს, მაგრამ მი-  
სი ჭიხვინი არ გაუგონია.

— ეკა, ნუ დაუშლი წაბლას ფანჯა-  
რასთან ღგომას! ხომ იცი, მე აქ ვეგუ-  
ლები... ცოდვია! — უთხრა ბონდომ  
ცოლს.

და იმ დღიდან ყოველთვის, შებინდე-  
ბისას საძოვრიდან დაბრუნებული წაბ-  
ლა კაცის ფანჯარას მიადგებოდა. კაცი  
ძლივძლივობით გადადებდა ხელს ფან-  
ჯარაზე და ხელისგულზე დადებულ  
შაქარყინულს ცხენს მისცემდა. წაბლა  
შაქარყინულს შეახრამუნებდა და ფან-  
ჯარას მოშორდებოდა.

დასრულდა კაცის ტანჯვა. გარდაიც-  
ვალა. გლოვის დღეებში წაბლა არავის  
გახსენებია, საძოვარზე იყო გაშვებული.  
ორი დღის შემდეგ საღამო ხანს ჯოგის



მწყემსმა წაბლა შინ მოიყვანა. იგი მა-  
შინვე ფანჯარასთან მივიდა, ფრთქვი-  
ნავდა, მიწას ტორავდა, პატრონს ეძახ-  
და, მაგრამ ფანჯრიდან ჩამიჩუმე არ  
ისმოდა.

— ეკას გააღვიძებს! ძლივს ჩაეძინა  
საწყალს, მთელი კვირა თვალი არ მო-  
უხუჭავს! — თქვა დასაფლავებაზე ჩა-  
მოსულმა ეკას დედამ და ბიჭი შეაღვი-  
ძა: — ადექი, ბიჭო, ეგერ ბუხარზე შა-  
ქარყინულია, ერთი ნატეხი გაუტანე,  
თორემ ამ ღამეს საშველს არ მოგვცემს!

ბიჭი წამოდგა, შაქარყინული ხელის-  
გულზე დაიდო, როგორც ეს ბონდომ  
იცოდა, და ხელი ფანჯრის რაფაზე გა-  
დადო.

ფანჯარაში გამოწვდილი ხელი რომ  
დინახა, წაბლამ ნელა ჩაიხვიხვინა და  
ახლოს მივიდა, მაგრამ სანამ შაქარყი-  
ნულს ენას მოუსვამდა, ხელი დაყნოსა,

დაიფრუტუნა, მიხვდა, ის ხელი მისი  
პატრონისა არ იყო. შაქარყინულს ბიჭი  
არ მიაკარა, ერთ ხანს ბნელში ჩუმად  
იდგა და ფანჯარას შესცქეროდა, მერე  
ნელა მიტრიალდა და ფანჯარას გაე-  
ცალა.

ბიჭი უზომოდ გაოცებული დაბრუნდა  
თავის ოთახში.

— ცხენმა ტირილი იცის? — ჰკითხა  
მან დედას.

— რა ვიცი, შვილო! დარდი და ნა-  
ღველი ყველა სულიერს აწუხებს, რა-  
ტომ მკითხე?

— არაფერი, ისე! — უთხრა ბიჭმა,  
თუმც ახლა იგი ათას ხატზე დაიფიცებ-  
და, რომ იგი დედას სიმართლეს არ  
ეუბნებოდა.

---

არჩილ ჩაჩიბაია  
წაბლა





## ქეთევან ზოზუა



მთათ რომ არწივი გვაჩუქეს,  
მისი საფერი რაი ვთქვა?  
ვაჟკაცი იყო ფშაველი,  
ვაჟა-ფშაველა დაირქვა.  
ერის ტკივილი სტკიოდა  
მოურჩენელად, მწარედა,  
რალა ვაჟობა ეთქმოდა,  
მჯდომ იყო მგლოვიარედა,  
— ყველაფრის ენა ესმოდა,  
გაეგონა და...  
არ ეთქვა?!



## კვიპაროსი

ათონის ქედზე დასხდნენ ღრუბლები,  
გაავდარდება ალბათ...  
მოდი, ჩემს ტოტებს შემოეფარე,  
არ დაგისველდეს კაბა.

რაც რომ აქა ვარ და შენს ლოდინში  
მწყდება წიწვები ნელა,  
როგორც ხალიჩა დასაბრძანებლად  
ძირს მიფენია ყველა.

ათონის ქედზე დასხდნენ ღრუბლები,  
ზღვაც... გესმის, როგორ გმინავს?  
მოდი, ჩემს ტოტებს შემოეფარე,  
არ დაგასველოს წვიმამ.





# ასი და ჩირკი

მოთხრობა

კაცი გამთენიას გამოვიდა შინიდან. ხელში ხერხი ეკავა, ქამარში ცულის ტარი ჰქონდა გაყრილი. სიარულის დროს ტარი ბარძაყზე ეხახუნებოდა, მაგრამ კაცი მიჩვეული იყო ამას. დროდადრო ხერხს მხარზე ჩამოიკიდებდა, მკლავს პირზე გადაატარებდა და ჯიბეში ითბობდა ხელს; როცა მობეზრდებოდა, ისევ ხელში დაიჭერდა ხერხს. კაცი ფართო ნაბიჯს ადგამდა, მაგრამ არ ჩქარობდა. ის ყოველთვის ასე დადიოდა. „აცივდა და სამუშაოც იქნება“, — გაიფიქრა კაცმა.

მერე კონკას დაუსადა, ჩაჯდა და შუა ქალაქში გამოვიდა.

ქალაქში წვიმა სცრიდა. ადამიანებს პალტოს საყელოები აეწიათ და ფრთხილად აბიჯებდნენ წყლის გუბებზე. ნისლი ჩამოწვა, ეტლები ნელა მოძრაობდნენ; თვლები კვალს ტოვებდა სველ ასფალტზე, მერე იშლებოდა კვალი და მის ადგილას სხვა ჩნდებოდა.

კაცი ერთ-ერთ ქუჩას აჰყვა.

— გამარჯობათ! — მიესალმა კაცი. ისინი სამნი იყვნენ, ორს მუხლებს შო-

რის მოექციათ თავიანთი ხერხები, ხელში ქლიბები ეკავათ და ხერხს ლესავდნენ. მესამე ნაჯახს პირავდა. ორმა თავი დაუკრა კაცს. ის, ნაჯახს რომ პირავდა, ჩუმად იჯდა, კაცისთვის არც შეუხედია, ეტყობა, ვერ გაიგო. კაცმა ქამრიდან ნაჯახი ამოაძრო და იქვე დაჯდა.

— დაგიჩლუნგდა? — ჰკითხა ერთ-ერთს კაცმა.

— მთელი ზაფხული არაფერი დამიხერხია, დაჩლუნგებით არა, მაგრამ მაინც ვუხახუნებ, უსაქმური კაცი, ხომ იცი!..

— მეც დიდი ხანია არ მიმუშავია, — თქვა კაცმა.

ცულს რომ პირავდა, გაათავა, ხერხი აიღო და ფეხებშუა მოიმარჯვა. კაცი არ იცნობდა მას. იმ ორს კი კარგად იცნობდა. ყოველ შემოდგომას ერთად ისხდნენ და მუშტარს ელოდნენ. მომხდარა, რომ მთელი დღე უცდიათ და არავის წაუყვანია. შინ მაინც არ მიდიოდნენ, ისხდნენ და უცდიდნენ. „უპ, რამდენი ხანია არ მიმუშავია, — ფიქრობდა კაცი: — დღეს იქნება მუშტარი, აუცილებლად იქ-

ნება! ხალხს შემა სჭირდება. როგორ ცივა, სამუშაო მაინც იყოს, გავთბობოდი!“

ვიღაც კაცი მოვიდა და ის წაიყვანა, ნაჯახს რომ პირავდა. მერე დანარჩენებზე წავიდნენ. კაცი მარტო დარჩა. წავალ, ეზოებში შევივლი; გაიფიქრა მან.

კაცი შედიოდა ეზოებში, იყურებოდა აქეთ-იქით, თუ ვინმეს დაინახავდა, კითხავდა, მხერხავი ხომ არავის უნდაო.

ერთ ეზოში ჯირკს მოჰკრა თვალი. ეზოში არავინ არ იყო. კედელთან, პატარა გომურში, ძაღლს ეძინა. მერე ვიღაც ქალი გამოჩნდა, ვედროთი ხელში.

— ეს ვისია? — ჰკითხა კაცმა.

— აი იმ კარზე დააკაკუნე.

— ეს ჯირკი შენია? — კართან დაბალი, ღიპიანი კაცი იდგა.

— ჩემია, მერე რა?

— დაგიბობ, თუ გინდა, — თქვა კაცმა.

— რამდენად დააბობ?

— სამი შაური მეყოფა.

— სამი ძვირია, ორი შაური, თუ გინდა.

— ძალიან დიდი ჯირკია, თანაც მაგარი, — თქვა კაცმა.

— რა არის მაგარი, შე კაი კაცო, უკვე ერთი წელია აქ გდია.

— მაინც მაგარია, ბევრი წვალემა დასჭირდება.

— ორი შაური კარგი ფასია, თუ გინდა, დააბე.

— ბევრი კორძი აქვს, ასე ადვილად არ გაიბობა.

— რას მევაჭრები ახლა, თუ გინდა, დააბე, თუ არა და...

— კარგი, იყოს შენებურად.

კაცმა ხერხი კედელს მიაყუდა, ნაჯახი მოიმარჯვა და მუშაობა დაიწყო.

ძალიან დიდი იყო ჯირკი. რამდენიმე ადგილას კორძები ამოეშვირა. კაცი ზედ შედგა და ცუელი მოუქნია. ფოლადი ღრმად შეიჭრა ხეში. ძაღლმა გაიღვიძა და გომურიდან გამოძვრა. იჯდა და უყურებდა კაცს. „რამდენი ხანია არ მიმუშავია, — ფიქრობდა კაცი. — ძალიან მაგარი ჯირკია, კარგა ხანს მოვუნდები. წვიმა მაინც არ მოდიოდეს, ეს ოხერი“.

კაცი თავგამოდებით იქნევდა ცუელს, მაგრამ არ ნებდებოდა ჯირკი.

კაცმა ნაჯახი ჯირკში ჩატოვა და ჩამოჯდა. წვიმის წვეთები შუბლზე ეცემოდა, ოფლის წვეთებს უერთდებოდა და ლოყებზე ნელა მიიკლაკნებოდა. კაცმა ცხვირსახოცით მოიწმინდა შუბლი.

„ძალიან მაგარი ჯირკია, მაინც გავაბობ! სოლებს გავაკეთებ და იმით გავაბობ. შენ რას მიყურებ, ძაღლო? მოდი, მომხმარე. თუ დაბმული ხარ? დაბმული ყოფილხარ; რატომ არ მუშაობ? თუმცა შენი მუშაობა ხომ ენ არის — ზიხარ და სახლს დარაჯობ, სხვა რა უნდა გააკეთო?“

კაცმა სოლები გამოთალა, ბზარში ჩასო და ნაჯახის ყუა დაარტყა. ბზარი გაფართოვდა, სოლი ბოლომდის შეიჭრა ხეში. ახლა მეორე სოლი ჩასო, ის უფრო სქელი იყო. ბზარი ოდნავ გაფართოვდა, ჯირკი ტკაცუნობდა, მაგრამ არ ნებდებოდა კაცს.

„აქ კორძია და იმიტომ არ სკდება, ძალიან მაგარია. მე მაინც გავაბობ, ჯირკო, იმიტომ, რომ შენზე ძლიერი ვარ! ხომ მოვერევი, ძაღლო, ა?“ — კაცს უყვარდა ხმამალა ლაპარაკი, როცა მარტო იყო. ლაპარაკობდა და პასუხიც არ სჭირდებოდა, თვითონ იცოდა პასუხი.

უკვე მეორედ ისვენებდა კაცი.

ფანჯარასთან ჯირკის პატრონი იდგა და კაცს უყურებდა. „ნეტავ რას წვალობს ამდენს? — ფიქრობდა ის. — ორი შაურისთვის არა ღირს ამდენი წვალემა; მართლა მაგარი ყოფილა ჯირკი. ცოდოა ეს კაცი, უნდა მიმეცა, რაც მთხოვა. არა ღირს ამდენი წვალემა ორი შაურის გულისთვის!“

კაცმა კიდევ გამოთალა სოლები. ეს უკვე დიდი სოლები იყო. კაცი ღრმად სუნთქავდა და მთელი ძალით ურტყამდა სოლს ცულის ყუას. ჯირკმა ნელ-ნელა დაალო პირი. კაცს ეჩვენებოდა, რომ ჯირკი სუნთქავდა, სუნთქავდა ხშირად და ღრმად. როცა ნაჯახი სოლს ხვდებოდა, ჯირკი კვნესოდა, ოხრავდა, მერე ჩერდებოდა და ჩუმად ზგენუშოდა. ჯირკი აღარ იყო კაცისთვის უსუ-



ლო, მკვდარი საგანი, იგი გადაიქცა ძალიან ღონიერ და ჯიუტ კაცად. ეს ჯიუტი კაცი სუნთქავდა, კენესოდა, მაგრამ მაინც არ ნებდებოდა მხერხავს. კაცს ეცოდებოდა ეს ჯიუტი და ღონიერი არსება, რადგან იცოდა, რომ მოერეოდა მას.

„შენ ძალიან მაგარი ხარ, მე შემძლო შენი დახერხვა. დახერხვა ადვილია, მაგრამ შენ არ გეკადრება ეს. მე მინდა ცულით მოგერიო: შენ ადრე ტყეში იყავი, დიდ ტყეში, ძალიან მაღალი იყავი, ყველა ხეებზე მაღალი და ღამით ვარსკვლავებს უყურებდი. მერე მოგჭრეს ადამიანებმა იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ მოგერეოდნენ. აიღეს გრძელი ბირდაბირი და გადაგხერხეს! შენს ტანს მოერივნენ, შენ კი ვერაფერი დაგაკლეს. ძალიან მაგარი ჯირკი ხარ, მაგარი და ჯიუტი. მე მაინც მოგერევი, კაცი ვარ და იმიტომ. ცოდო ხარ, მაგრამ რა გიყო, ძალიან მინდოდა მუშაობა, ხელებს არ შეუძლიათ, არ იმუშაონ. როცა დიდი ხანია არაფერი გაგიკეთებია, მერე უფრო მოგინდება მუშაობა. ხელებს არ შეუძლიათ უსაქმოდ ყოფნა“.

წვიმა აღარ მოდიოდა, მაგრამ კაცს მაინც სველი ჰქონდა სახე. ძალიან თვალს ადევნებდა ცულს: მაღლა ნელა ააყოლებდა თვალს, დაბლა კი უცბად დაუშვებდა. მერე გომურში შეძვრა და დაიძინა. კაცი კი მუშაობდა და მუშაობდა.

როცა მეოთხედ დაისვენა და ნაჯახი მოიქნია, ჯირკმა მაგრად დაიკვნესა, თი-

თქოს ვილაცას შევლას თხოვდა: მერე გაჩუმდა ჯირკი და აღარ ვცხენოდა, კაცს აღარ ესმოდა მისი სუნთქვა, ის იდგა და ეზოში გაბნეულ ნაფოტებს უყურებდა, ბოლოს ერთ ადგილას შეაგროვა ნაფოტები, მერე ჩუმად იჯდა და აღარ ლაპარაკობდა.

კაცმა ხელები დაიბანა და ცხვირსახოცით შეიმშრალა. ეზოში ჯირკის პატრონი გამოვიდა.

— აჰა, შენ ორი შაური, — თქვა ღიპიანმა.

— გამომართვი, კაცო!

— არ მინდა, — კაცმა ნაჯახი ქამარში გაირჭო, ხელში ხერხი აიღო და კარისკენ წავიდა.

— თუ გეწყინა, კაცო, სამ შაურს მოცემ, — უთხრა ღიპიანმა.

— სულ არ მინდა, ისე დაგიბე, ტყუილად.

— რა ვიცი, იმდენი მევაჭრე და... — „სულელია, ნამდვილი სულელი“, ფიქრობდა ღიპიანი.

ჩამოღამდა. ქალაქში წვიმა სცრიდა. კაცს ხერხი მხარზე ეკიდა, ნაჯახი ქამარში ჰქონდა გაყრილი, ტარი ბარძაყზე ეხახუნებოდა, მაგრამ კაცი ვერ გრძნობდა ამას. ის ფიქრობდა ძალიან ღონიერ და ჯიუტ კაცზე, ცოტა ხნის წინ რომ მოკლა.

---

ვაჟა ჯანდიერი  
კაცი და ჯირკი





გაბრიელა მისტრალი — ლუსილა გოდოი ალკოიაგა სახელგანთქმული ჩილიელი პოეტია. იგი დაიბადა 1889 წელს, ქალაქ ბეკუნიაში. პროფესიით მასწავლებელი იყო, ოცდაათიანი წლებიდან — ჩილის კონსული ვეროპისა და ამერიკის რიგ ქვეყნებში. 1908 წელს გამოაქვეყნა ლირიკული ლექსების კრებული „ხმა ელკიდან“. 1914 წელს სანტ-იაგოს ლიტერატურულ კონკურსზე მისმა „სიკვდილის სონეტებმა“ პრემია დაიმსახურა და მისტრალი კონკურსის ლაურეატი გახდა.

გაბრიელა მისტრალის მთავარი ნაწარმოებებია ლექსთა კრებულები: „განწირულება“, „ეკლიანი ხე“ (1938), „ხმა ელკიდან“ (1908), „სიკვდილის სონეტები“ (1914), „პოემა თეთრ ღრუბლებზე“ (1930), „საწნახელი“ (1957).

1945 წელს მიენიჭა ნობელის პრემია.

მისტრალი გარდაიცვალა 1957 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თავისი მეგობრის სიკვდილზე პაბლო ნერუდა წერდა: „გაბრიელა მისტრალის გარდაცვალებამ უღრესი მწუხარება გამოიწვია ჩილიელ ხალხში. თითქოს კორდილიერებს უზარმაზარი კლდე მოსწყდა და 7 000 მეტრის სიმაღლიდან ჩილიელ ხალხს გულზე დაეცა“. ასე მხურვალედ უყვარდა სამშობლოს თავისი დიდი პოეტი.

## ფერხული ეკვადორის სეიბას ირგვლივ

დედამიწაზე არის სინათლე  
და სინათლეში არის სეიბა,  
და მწვანე ხეში არის სინედლე,  
და იმ სიმწვანეს დღეს ამერიკა  
ავგაროზივით გულზე შეიბამს.  
ზევით, სეიბა, ზევით, სეიბა!

ტოტები ლურჯი ცისკენ მიდიან  
და თითქოს ხეა მარადიული,


ის არ დაურგავს არც ერთ ინდიელს  
და არცა რწყავდა წყალი ღვთიური,  
თითქოს მოვიდა დაუბადებლად  
და ოცი გველის მაღალ სახურავს  
ცისაკენ იწვდის მთვარის საძებნად,  
და შავ ღამეში ფოთლების შუქით  
რალაცას წერს და მიწას ახურავს,  
ზევით, სეიბა, ზევით, სეიბა!

მას ვერ მისწვდება ფარა და რემა,  
ცულიც კანკალგებს და ეშინია,  
ისარი რჩება ტოტების ქვემოთ,  
ცეცხლის ენებიც ჩუმად წვივან.

წყრომით ევსებათ ტოტებს თვალები,  
თითქოს ქარიშხალს დაუხვდნენ რისხვით  
და ამღერდება აღფრთოვანებით,  
თუმცა არ ესმის სიმღერა თვისი.  
ზევით, სეიბა, ზევით, სეიბა!

გავუწვდით ხელებს მიწაზე ყოველს,  
დედას, მეუღლეს, პატარძალს ლამაზს,  
და მთვარის შუქზე ისინი მოვლენ  
და ხესთან ერთად დავიწყებთ თამაშს.

დედამიწაზე არის სინათლე  
და სინათლეში არის სეიბა,  
და მწვანე ხეში არის სინედლე  
და იმ სინათლეს დღეს ამერიკა  
ავგაროზივით გულზე შეიბამს.  
სეიბა, ზევით, ზევით, სეიბა!



### ჰიმნი ტროპიკების მზეს

ნაწყვეტი .

მზეო ინკების, მზევ მაიასი,  
ამერიკულო მწიფე ნაყოფო,  
მითხარი, შენი მწველი მზერის ქვეშ,  
მუქი მაია<sup>1</sup> როგორ ამყოფე.

მაგ ანთებული სხეულისათვის,  
რომ გიჟდებოდა კიჩუას<sup>2</sup> კაცი,  
და ტანი ძველი აიმარასი<sup>3</sup>  
როგორ შეღებე წითელი ცარცით.

<sup>1</sup>, <sup>2</sup>, <sup>3</sup> — ინდიელ ტომთა სახელები



შენ ხარ მხატვარი, შენ ხარ მტვიფრავი,  
ლეობარდის და კაცთა ტომიდან,  
შენ მზე ხარ მათათა და უდაბნოთა,  
და ვით მდინარე, გვაგნებ შორიდან.

შენ მზე ხარ ველის და წყაროების,  
ჭალამ, მინდვრებმა გიწოდეს ღმერთი,  
შენ წითელ ხოხობს ჰგავხარ მოსვლისას  
და ხარ წასვლისას ხოხობი თეთრი.

შენ უვალ გზებზე მიგვიძღვი ხოლმე,  
ოქროს მდევარი, მარად ცოცხალი,  
მიწაზეც, წყალშიც — შენა ხარ დროშა  
და ძმათა ჩემთა ხარ სალოცავი.

თუ დავიკარგეთ, დაგვეძებნეთ, სადაც  
ცხელი კლდეების ჩნდება ნაბზარი,  
ეს არის მიწა პურის ხეების,  
ეს არის მიწა პერუს ბალზამის.

კუსკოს<sup>1</sup> ველებზე, უდაბნოს ზევით,  
ჩუმად თეთრდები, შუქის ზიარო,  
შენ ხარ მექსიკის დიდი სიმღერა,  
მაიაბის<sup>2</sup> ცად  
რომ ხეტიალობს.

ჰგავხარ საოცარ, ცეცხლოვან მაისს,<sup>3</sup>  
რომელიც ყველგან სწყურიათ ბაგეთ,  
როგორც სწყუროდათ და მოელოდნენ  
ციურ მანანას სიკვდილის აქეთ.

მინდვრების ზევით გაირბენ ლაქვარდს,  
სილურჯე მარად მაღლა გეწევა,  
ირემო თეთრო და ხან წითელო,  
შენ დაჭრილი ხარ, დაჭრილი მძიმედ,  
მაგრამ ვერავინ ვერ დაგეწევა.

☆ —————

## ბალადა

მან ჩამიარა თვალწინ  
და მიჰყვებოდა სხვას,  
ჰქროდა მსუბუქი ქარი,  
იყო მშვიდობის გზა,

<sup>1</sup> — დეპარტამენტი პერუში

<sup>2</sup> — ნახევარკუნძულ იუკატანს ასე ეძახდნენ ინდიელები.

<sup>3</sup> — სიმინდი

მან ჩამიარა თვალწინ  
და მიჰყვებოდა სხვას.  
მან შეიყვარა იგი,  
გაჰყვა ყვავილთა ველს,  
მკვდარი სიმღერის იქით  
მან მიმატოვა მე.  
მან შეიყვარა იგი,  
გაჰყვა ყვავილთა ველს.  
ის ეხვეოდა ლხენით,  
ო, ეხვეოდა სხვას,  
და იყო თოვლისფერი  
ტალღაზე მთვარის გზა,  
მე კი ხელი მკრა, ხელი,  
ო, იმ უძირო ზღვაში.  
მან ჩამიარა სხვასთან,  
ექებს სამოთხის მზეს,  
რა სიჩუმეა ცასთან  
(დუმილი უყვარს ღმერთს),  
მან ჩაიარა სხვასთან,  
ექებს სამოთხის მზეს!

☆ —————

## ჩამეხუტე გულში

ჩემი სხეულის ნამცეცო,  
გფარავდა სიღრმე უძირო,  
ჩემო მცივანა ბუმბულო,  
ჩამეხუტე და იძინე.  
მწყერს ჩაეძინა და ესმის —  
დადის ჩიტი და იცინის,  
შენ ჩემი სუნთქვა არ გიშლის?  
ჩამეხუტე და იძინე.  
ჩემო მთრთოლვარე ბალახო,  
დედილოს ნუ მოიცილებ,  
შენს აპრილს ჯერ ეშინია,  
ჩამეხუტე და იძინე.  
მე მოსვენება დაგკარგე,  
ღამეში არ გამიცვიდე,  
ო, ჩემს ხელებზე, პატარავ,  
იძინე, ტკბილად იძინე.

☆ —————

## შუალამი

ციკლიდან „მოჩვენებანი“

ამ შუალამის მიღევის ხანზე  
მე მესმის თეთრი ვარდების შიში,

☆ ლექსები ☆  
☆ მისტრალი ☆  
☆ გაბრიელა ☆

სიცოცხლის ძალა მწვანე რტოსკენ მიიწვეს თრთოლვით,  
ვიგრძენ საზღვარი, ბევრი საზღვარი,  
ო, არა სიზმრად, ვიგრძენი ცხადში,  
და ის საზღვარი ფერადია, ვით ვეფხვის ზოლი.


და ახლა ერთი სიმღერა ჩემი  
შუალამეში გამდიდრდა უცებ,  
და მთვარისაკენ აიმართა, ვით ქვიშის ტალღა,

ღამე მიჩვენებს ჩემს სათნო დედას  
და სიამით ვგრძნობ ორ ამოსუნთქვას,  
(მე მძინავს მასში ხუთი წლიდან და ვარ კვლავ ბაღლი)

მესმის როდანის ჩუმი ძახილი,  
როგორ დაბლდება და მომელის, ვითარცა მამა,  
ტალღის ძნას შეგკრავ სიხარულით, არა გოდებით,

აღარაფერი არ მესმის მერე,  
რადგან შევყურებ არლესის კედლებს,  
და სასოებით დაჩოქილი მზეს ველოდები.

ესპანურიდან თარგმნა  
ლია ჭავჭავაძემ





# საქართველოში



## მოთხრობა

ვინ იცის, მერამდენედ გადაანაწილა ფული. მუფტაში გაყრილ ხელის თითებზე ჩამოთვალა საყიდლები და მანც ვერ გადაწყვიტა, რა იყიდა. ყველაფერს მამასისხლად აფასებდნენ. დაგვიანებული ბაზარი იყო და დახლებზე სასტვენის ხმა და ქარი დაჰქროდა მხოლოდ. გასაყიდად აქა-იქ გამოტანილ დაკლულ ინდაურსა და გამხდარ, აჭყივლებულ გოჭს იმდენი ხალხი დაესეოდა ხოლმე, რომ გამყიდველი ერთიორად უმატებდა ფასს. ამ დროს უკვე საახალწლო სუფრებს შლიდნენ, ის კი ახლა არჩევდა სასყიდლებს. არაფრის მომზადებას არ აპირებდა, მხოლოდ ტკბილეულის გაწყობას ფიქრობდა.

მან ახლაც მოულოდნელად დაურეკა, ახალწლის მოსალოცად გამოგივლიო, და... მაშინვე აქეთ გამოქანდა, მაგრამ აღარაფერი დახვდა.

— რას აფასებ, ქალო, მაგ ქათამს? — დაასწრო კითხვა ვიღაც სქელმა ქალმა.

— რვა მანეთს!

— რას ამბობ, ქათამია, ინდაური ხომ არ არის? — ჩაერია საუბარში.

— მოითმინეთ, ქალბატონო, მე თქვენ-

ზე ადრე მოვედი, — შემოსწყრა სქელი ქალი.

— ქათამია, — გამოაჯავრა გამყიდველმა, — ქათამი თუა, იმ დამხრჩვალ ინდაურს აღარ სჯობია, თორმეტ მანეთად რომ აფასებს ის კაცი? აბა, ამის ქონს დამიხედეთ! ამ დღისთვის დავკალი, თორემ ამისთანა კვერცხისმდებელ დედალს ადამიანი გაიმეტებს?

— მოიტა აქ ეგ ქათამი, ქალო, რასაცხარობ, მე ხომ არ გევაჭრები? — მსუქანმა ქალმა კრაველის ბეწვის ქურქი შეიხსნა და შიდა ჯიბიდან ორად გაკეცილი ათმანეთიანების დასტა ამოიღო.

გულამღვრეული გამობრუნდა უკან. ერთხელ კიდევე შეხედა მელიის საყელოში ჩამძვრალ, დაბალ, მსუქან კისერს და ის იყო, დახლის პირას შემოდებულ ღორის ბარკლისაკენ დააპირა წასვლა, რომ ბაზრის აღმოსავლეთ კართან გაჩერებულ პატარა ბიჭს მოჰკრა თვალი. ბიჭს გრძელყელა მიხაკები ეჭირა. პალტო მუხლამდე არა სწვდებოდა. გაყინულ ცხვირს წამდაუწუმ ასრუტუნებდა, მაგრამ ყვავილები ისე ღამაზად ეჭირა ხელში, გეგონებოდათ, მეჯლისის დაწყებას

უცდის, რომ თავის გულის რჩეულს მია-  
რთვასო.

მაშინვე მისკენ წავიდა. შავ თვალე-  
ში ვარსკვლავები აციაგდნენ.

— რა ღირს, ბიჭიკო, მიხაკი? — გა-  
ულღმა ტკბილად.

— სამი ცალი ორი მანეთი.

— რა ამბავია, სამი ცალი ორ მანე-  
თად, ოქროსია? — წაიბუზღუნა იმ  
სქელმა ქალმა.

„საიდან გაჩნდა ასე უცებ ეს გაფუე-  
ბული დედაკაცი?“ — გაიფიქრა უკმა-  
ყოფილოდ. ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

— რამდენი ცალია? — ისევ ტკბი-  
ლად შეეკითხა ბიჭს.

— ცამეტი.

— სულ რა ღირს?

ორივემ ერთად იანგარიშეს.

— მოიცა, ბიჭიკო, ეს ორკაპიიანი  
დამიტოვე ავტობუსისთვის, დანარჩენი  
წაიღე.

— გამდლობთ, დეიდა! — ბიჭმა ფუ-  
ლი ჯიბეში ჩაიდო. ჯიბე ილღიასთან  
ასვლოდა დამოკლებულ პალტოს.

ისე მოდიოდა, თითქოს მთელი ბაზა-  
რი თან მოჰქონდა: — თავაწუული, გულ-  
ამღერებული. ყვავილებიანი ხელი სათუ-  
თად მიეკრა მკერდთან. ყვავილები კი  
გრძელ ფეხებზე ყელყელობდნენ, უცხო  
სურნელით აბრუებდნენ. რამდენჯერმე  
მის ბაგესაც შეეხნენ და ქალმა ნაზი  
ამბორით უპასუხა.

ქუჩა სავსე იყო მოფუსფუსე ხალხით,  
თუმცა ვერავის ამჩნევდა, მაინც ტრო-  
ტუარის კიდეზე მიდიოდა, ყვავილებს  
რომ ვინმე არ შეხებოდა. შავი თვალე-  
ბი უღელავდა; იმ შავი, ბედნიერი თვალე-  
ბით უღიზოდა წითელ მიხაკებს და ქვეყანა  
თავისი ეგონა.

სულსწრაფები უკვე ღიღინითა და  
ბარბაკით მიდიოდნენ ქუჩაში, დაგვიან-  
ებულები კი სავსე ბადურებით დატ-  
ვირთულნი მიიჩქაროდნენ ოჯახებისკენ.

„ახალი წელი ყველა დღესასწაულზე  
უფრო ტრადიციულია, — გაიფიქრა ღი-  
მილით, — მაისსა და ნოემბერში ხალხს  
სულ ქალაქკარეთ ვასვლაზე უჭირავს  
თვალი. საახალწლოდ კი, სადაც არ უნ-  
და იყოს, ყველა შინისაკენ მიიჩქარის,  
50

ყველას უნდა საკუთარ ოჯახში შეხვედ-  
რა დაიბედოს თავისიანებთან ერთად.  
დაცარიელებულ ოჯახში ბედნიერი დღეს  
არავის უხარია“. — ღიმილი შეაშრა ბა-  
გეზე. ისევ წითელ მიხაკებს შეხედა და  
ნაზად მიეფერა.

„რომელ ქალაქში იყო? ოთარი და  
სოსო ნასვამები მოდიოდნენ თურმე ქუ-  
ჩაში. ტროტუარზე ვიღაც მთვრალი მიგ-  
დებუდიყო და ღრმად ეძინა. ოთარს და-  
უხედა იმ გონებადაკარგულისთვის და  
ბრძნულად დაურიგებია სოსო: „აი, სო-  
სიკო, კაცმა ამაზე მეტი არ უნდა და-  
ლიოს“.

ერთი მიხაკი წინ გადმოიხარა. შეე-  
შინდა არ გადატეხილიყო და ხელი შე-  
აშველა, სულ გადაავიწყდა ავტობუსით  
რომ აპირებდა წასვლას. გრძელი აღ-  
მართი ისე აირბინა, დაღლა არ უგრძე-  
ნია, არც ოთახში დახვედრილი სიცივი-  
სათვის მიუქცევია ყურადღება. ელექტ-  
რორადიატორი ჩართო და ყვავილების  
მოვლა-პატრონობას შეუდგა — ორ მა-  
ღალ ლარნაკში გაანაწილა, მხატვარი-  
ვით ათჯერ მაინც შეუცვალა ადგილი.  
მერე დივანზე ჩამოჯდა და იქიდან შე-  
ხედა. თვალეები უცმციმებდა, სიმღერა  
ეძალეზოდა. ელვის სისწრაფით მიალა-  
ვა ისედაც გაკრიალებული ოთახი. მა-  
გიდაზე ტკბილეული დააწყო. ყველაზე  
საპატიო ადგილას მიხაკები ჩადგა, მეო-  
რე ლარნაკი კარადის თავზე შემოდგა  
და ქვემოდან შესცინა. მერე თავის მოვ-  
ლა-მორთვას შეუდგა.

„კი მაგრამ, რომელ საათზე მოვა —  
რვაზე, ცხრაზე, ათზე? ან რომელ საათ-  
ზე წავა, თერთმეტზე წავა, თერთმეტ-  
ზე, თორმეტზე, პირველზე?“... — გული  
შეეკუმშა და ისევ მიხაკებს შეანათა  
თვალი. უფრო ახლოს მივიდა, დაყნოსა  
და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად შეა-  
ხო ტუჩი.

„ეს ტრადიციული დღესასწაულია და  
სადაც არ უნდა იყოს კაცი, თავის ოჯახ-  
ში უნდა შეხედეს ამ დღეს... — უმტ-  
კიცებდა ვიღაცას. — შეიძლება მთელ  
წელიწადს ცოლს ზედაც არ შეხედოს,  
მაგრამ ამ დღეს პირველი კოცნა და მი-  
ლოცვა ცოლს ეკუთვნის მაინც“...

ფანჯარაში გაიხედა და ისე გაუკვირდა, მაშინვე ფარდა გადასწია. პაერში ფანტელები ირეოდნენ. ბაღში ფოთლებ-გაძარცული ხეები საახალწლოდ თეთრ სამოსში ეხვეოდნენ. მშრალ მიწას თოვლი სწრაფად ეფინებოდა. ყველაფერი უცებ იცვლიდა სახეს: ლამაზდებოდა და ფაქიზდებოდა. როცა მიხაკებისაკენ შემობრუნდა, თოვლს შეჩვეულ თვალს კიდევ უფრო ღაღანა ეჩვენა მათი წითელი ფერი.

„ამბობენ, ყვავილებისა და ზაფხულების მოყვარული კაცი უსათუოდ კეთილი უნდა იყოსო. ყველაზე კეთილი კი ალბათ ის არის, ვინც დახრას არ დაიზარეს და ტყისპირას თვალგახელილ იას ჩხიმალს მოაშორებს, ზრდა არ დაუშალოსო...“

რა კარგი იქნებოდა ცხოვრება, ასე იოლი რომ იყოს ავ-კარგის გარჩევა... მაინც რომელ საათზე მოვა? — ისევ სარკმელს გახედა, — რამოდენა თოვლი მოსულა!“

ვიღაცას თუ რაღაცას გაუცინა და ფარდა გაასწორა. მერე დათვის ტყავი რადიატორთან მიაცურა, ზედ პატარა ზაფხუვით მოიკუნტა და სითბოს მიეფიცხა.

„კარგი საახალწლო საღამო კია ჩემთვის! — ღიმილს სამსალა გაერია, — როგორ არ მიყვარს ლოდინი და აკი არ ამცდა, ისიც ასეთ საღამოს. მაინც რამდენმა დამირეკა დღეს, ახალ წელს ერთად შევხვდეთო. ჩემი მარტოობა უჩუყებთ გულს. იმას რომ არ ეთქვა, გამოვივლიო, სად წავიდოდი? ელიკოსთან? არა, იმათი გაპრანჭული წესიერების ცქერით გული შემიწუხდება. ციალასთან? უჰ, მთელი საღამო უნდა მეცქირა მისი მრავალმეტყველი მიმიკისათვის:

უყურე, რა უბედური ვარ, ამ ოჯახში რომ ჩავვარდიო, იმას საკუთარ ღირსეულობის მოწმედ უნდოდი ახალწლის დამეს...“

არსად არ წავიდოდი... — დაასკვნა უცებ, — არსადაც არ წავიდოდი, — გაიმეორა ჯიუტად.

და უცებ ისე მოუნდა, ვისაც ელოდა მალე მოსულიყო, რომ გული შეუხტა, თუმცა მარტო გულით კი არა, მთელი არსებით მოუნდა, რომ ის აქ, ამ ოთახში ყოფილიყო...

მხრები ისე შეუთამაშდა, თითქოს ვიღაც ნაზი ამბორით შეეხო, ნაზმა და სათუთმა სურვილმა მთელს სხეულში ჟრუანტილად დაუარა, მკერდზე ხელი მოისვა და თავი დახარა.

მოიკუნტა. მერე უცებ ფეხზე წამოიჭრა გაოცებული, თითქოს ეძინა და ვიღაცამ შეაკრთოო. სარკეში ჩაიხედა, ჩამოშლილი თმა გაისწორა და ფანჯარაში გაიხედა. ელექტრონით განათებულ, გაქათებულ ბაღს თვალი მოავლო და წაიჩურჩულა: „როგორ თოვს... როგორ ბრწყინავს თოვლი!..“ მერე თავი შეეცოდა, თითქოს თოვლში იდგა და შიშველ მხრებზე ფიფქები უბრწყინავდა.

მანქანები ხმაურით და ქშენით არბოდნენ და ჩარბოდნენ დაღმართზე, თითქოს საახალწლო სტუმრებს აგროვებდნენ და ჩქარობდნენ, არ დაგვაგვიანდესო.

ისევ იატაკზე დაფენილ დათვის ტყავზე მიწვა, შალი წაიხურა და მიიძინა...

თორმეტჯერ შეაკრთო ცამეტი მიხაკი საათმა, მაგრამ ქალს არ გაუგონია.

---

მედია შავლიაშვილი  
ცამეტი მიხაკი





# მოსწავლე თქვენსა

## მოთხრობა

უბათობაზე ვერ წავედი, მაგრამ მოედანზე გამოსულს ფეხსაცმლის მალაზიის დიდი აბრები პირდაპირ თვალში მეცა. ჯიბეში ფული მოვისინჯე, მოედანი გადავჭერი და მალაზიაში შევედი.

— ძია, ჩუსტები მინდა, — ვუთხარი გამყიდველს და ფული გავუწოდე:— ოცდათხუთმეტი ნომერი.

ნოქარმა ისე შემომხედა, თითქოს ჩუსტები კი არა, ჩიტის რქე მეთხოვოს.

— ჩუსტები? არტო, აქ მო! — დაუძახა მეორე ნოქარს.

მალაზია ცარიელი იყო, აქა-იქ თითო-ოროლა მუშტარი დაბორილოზდა. ნოქარები უსაქმოდ იყვნენ. გასართობი იშოვეს და ბარე ოთხმა მოიყარა თავი.

დამიწყეს გამოკითხვა და დაზუსტება, თუ როგორი ჩუსტები მინდოდა. ვუხსნიდი, დახლის შუშაზე თითით ვუხატავდი, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მივახვედრე.

რალა იქნებოდა, წამოვედი და ფეხით გამოვყვივი ქუჩებს. ყოველ ნაბიჯზე საშაქარლამო მხედებოდა. შიმშილმა შემაწუხა. ტკბილეულობა მინდოდა, ძებ-

ნები და სხვა რაღაცეები კი არა. ბარე ხუთი კაცი შემომხვდა მამაჩემივით გამხდარი და სათვალისანი. ერთი სათვალის შემოდან დამაჩერდა შიშველ ფეხებზე და მე ველოდი, რომ მეტყოდა: „მე შენ რა გითხარი?“ — მაგრამ გაიარა და წავიდა.

ქუჩებში ბული იდგა. ქალაქი სიცხისაგან იხუთებოდა. ცა შავი ღრუბლებით იყო შეკრული. საცაა ქვაფენილებს კოკისპირული დააწყდებოდა და დაღმართები მღვრიე ნაკადულებს ჩამოიტანდნენ. ლაღად, აუჩქარებლად მივაბიჯებდი, ასფალტის სიმხურვალეს ფეხისგულელებით ვგრძნობდი, მიხაროდა და დროებით ჩემი სადარდებელი მივიწყებულნი მქონდა.

მერე ორმა ბიჭმა გამასწრო. ვიცანი, რომ მალაზიაში ვნახე-მეთქი. გამიკვირდა. არც მიფიქრია, რომ მათ კიდევ შევხვდებოდი. ჩუსტები იდლიებში ამოეჩარათ და ლაპარაკ-ლაპარაკით მიდიოდნენ. ავედევენე, ვათვალისიერებდი და ვფიქრობდი, ნეტავი ამათნაირი და ამათი ხნისა ვიყო-მეთქი. სიმართლეს ვიტყვი, ეს ბიჭები ძალიან მომწონდნენ. ძალიან დავიჩაგრე, როცა ჩემი თავი

დასასრული. იხ. „ნიკიარი“, № 1.

მათ შვედარე, გულიც კი შემეკუმშა.

სადღაც შორს დაიქუხა, როცა ერთ-ერთი ქუჩის კუთხემდე მივედი. ბიჭებმა ნაბიჯი შეანელებს და მალა აიხედეს. მეც ავიხედე, მაგრამ შავად მოღრუბლული ცის დათვალეირება აღარ დამცალდა... ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა:

კუთხიდან ბიჭებმა გამოუხვიეს, სამნი იყვნენ. ჩემი ნაცნობები დაინახეს თუ არა, ისე ეტაკნენ, ვითომ ადრევე ჰქონდათ დათქმული ჩხუბის დრო, ადგილი და წესიც. წესი იმიტომ ვახსენე, რომ იმ ბიჭებმა დააცადეს, სანამ ამათ ჩუსტებს მოუარეს, ესე იგი, ერთმა ჩუსტი მუსკელთან ქამარში გაირჭო, მეორემ გვერდზე გაისროლა, ქვაფენილზე დაავდო, ჩემს ფეხთით, და მხოლოდ ამის შემდეგ დასცხეს ერთმანეთს. მაგარი ჩხუბი გაიმართა. არც ქვა უხმარიათ, არც წინელი. მუშტებით ჩხუბობდნენ. ძალიან ლამაზად ჩხუბობდნენ, განსაკუთრებით ჩემი ნაცნობები, მაგრამ ისინიც ყოჩაღად იქცეოდნენ; ერთი შემოტევა მაგრად შემოუტეეს: სამნი იყვნენ, მაშრა იქნებოდა, და მე ძალიან გავბრაზდი. ვეცი ერთს იმ სამთავანს და რაც ძალი და ღონე მქონდა, გავარტყი. მომიტრიალდა, შემომიტირა, მაგრამ გავასწარი, ვისკუპე და ისევ მიგდებულ ჩუსტებთან დავდექი. იმ გახურებულ დაკადაკაში ჩემთვის სად ეცალათ, თავი დამანებეს.

მოჩხუბრების გარშემო აუარებელი ხალხი მოგროვდა, წრე შეიკრა, ვიღაცამ ქვაფენილზე მიგდებულ ჩუსტებს ფეხი წაჰკრა. დავაპირე, ავიღებ და ხელში დავიჭერ, სანამ ჩხუბი გათავდება-მეთქი.

„სხვისია, იდოს, — გავიფიქრე. — სხვისი რატომ არის, ჩვენია, მე ხომ... არა, სხვისია, მე ხომ მაგ ბიჭებს არ ვიცნობ? მერე რა, რომ არ ვიცნობ, მე ხომ მივეშველე“.

ვყოყმანობდი, ამელო თუ არა. ხან ჩუსტებს დავცქეროდი, ხან ჩხუბი მიტაცებდა. ისეც ველარაფერს ვხედავდი, იმდენი ხალხი შემოესია იქაურობას და ახლა კიდევ ვიღაც აყლაყუდა კაცი ამეფარა. ამ კაცს ქალი ახლდა. ქალს ხელ-

ში კალათი ეჭირა. კალათში სანოვარე იდო. დავფაცურდი, მინდოდა სხვადღგილი შემერჩია, რომ ჩხუბი უკეთესად დამენახა. ქალმა შემომხედა და კალათი უმალ გამარიდა, თითქოს ჯიბვირი ვყოფილიყავი.

ძალიან შემრცხვა, რომ ჩემზე ასე იფიქრა.

ქალმა ჩუსტები დაინახა. ჩხუბის ცქერაში გართულ აყლაყუდას უბიძგა. მოახედა და თვალთ ქვაფენილზე ანიშნა. შეხედე, რაღაც გდაიო.

კაცმა ხალხი მოათვალეირა. მერე ადგილი შეინაცვლა, ჩუსტებს აეფარა. ქალი დაინახა, ჩუსტები კალათში ჩაიდო და ხელი-ხელ ჩაკიდებული წავიდნენ.

— ალბათ მეზობელია, — ვფიქრობდი მე, — მეზობელი რომ იყოს, მიეშველებოდა. იქნებ მშიშარაა? მოიბარეს!

ამ დროს მილიციელის სასტვენის მოისმა, ჩხუბი შეწყდა, ხალხი ნელ-ნელა გაიკრიფა.

კალათიანი ქალი და აყლაყუდა კაცი თავისთვის მიდიოდნენ, ვითომც აქ არაფერიყო. ნელა; წყნარად მისეირნობდნენ და მე მათ პირღია გავყურებდი.

ჩხუბის ადგილზე ჩემი ნაცნობი ბიჭების გარდა თითქმის აღარავინ იყო.

პატრონი ქვაფენილზე ჩუსტებს დაეძებდა.

— კარგია, ღმერთმანი! — თქვა მან და დოინჯი შემოიყარა.

— რა იყო? — ჰკითხა ძმაკაცმა.

— აქ მივყარე და აღარ არის.

— რა?

— ჩუსტები, კაცო!

ძმაკაცმა ქვაფენილი მოათვალეირა.

— ეჰე, აგვიწიეს?

— ეგრე გამოდის, რა!

მე, რა თქმა უნდა, დავრწმუნდი, რომ ის აყლაყუდა ამათი მეზობელი არ იყო. მოიბარეს!

„ამელო, ხელში მჭეროდა. ხომ აღარ დაეკარგებოდა. ხომ ველარ წაიღებდნენ. სხვისი რომ იყო? მერე რა, რომ სხვისი იყო, უნდა ამელო“. — ვფიქრობდი და

ჭაბუა ამირეჯიბი  
მესამე თვალი

უკვე კარგა შორმანძილზე წასულ ბაცაცებს გავცქეროდი. აღარ მახსოვს, როგორ ვადავწყვიტე, მაგრამ ის კი ნათლად ვიცი, რისთვისაც გამოვუდექი. ფეხშიშველი ვიყავი, ქარივით მივქროდი.

ცამ ისე მძლავრად იჭექა, რომ შემეშინდა.

დავეწიე. ჩემი ფეხის ხმა მე არ მესმოდა და ისინი რას გაიგონებდნენ. ჩუსტები ისევ ისე ედოთ კალათში — კიტრებზე, ბოლოკზე, ხახვზე. ხელი დავტაცე ჩუსტებს და შურდულივით წამოვედი ბიჭებისკენ. წამით მივიხედე, ხომ არ მომდევნებდნენ. სახტად დარჩენილები იდგნენ, ხან ერთმანეთს შეჰყურებდნენ, ხან მე. როცა მეორედ მივიხედე, უკვე თავისი გზით მიდიოდნენ.

მაშინ მეც სირბილი შევანედე. წვიმამ წამოწინწყლა.

— დაიჭირეთ, მოიპარა, დაიჭირეთ! — მომესმა ზურგიდან.

ძალაუნებურად შევჩერდი. გავიხედ-გამოვიხედე. ისეთი ვერაფერი დავინახე: თითქოს არავინ არავის არ მისდევდა.

— დაიჭირეთ, არ გაუშვათ, მოიტაცა! — გაისმა კიდეც. ვილაც კაცი ყვიროდა და ხელს ჩემსკენ იშვერდა. დაგობენი. მერე უცებ მივხვდი, რომ ამ კაცმა დაინახა, როგორ მოვიტაცე ჩუსტები და იმიტომ ყვიროდა.

აყლაყულა და კალათიანი ქალი ფაცხა-ფუცხით გარბოდნენ.

ის კაცი სულ უფრო მიახლოვდებოდა. მე გაქცევას არ ვაპირებდი, მაგრამ ამ კაცს ისეთი ბრახიანი სახე ჰქონდა, ძალაუნებურად მოვწყვდი ადგილს და ფეთიანივით მოვუსვი. ათიოდე ნაბიჯის გადადგმა კი მოვასწარი და ვილაცამ მტაცა ხელი. ერთი ისეთი მომხვდა, თვალთ დამიხნეულა.

— შე, ქურდო მამაძაღლო, შენა! — დამიყვირა მღვეარმა და ცემა დამიწყო. ჩუსტების პატრონიც მოიჭრა, შემომიქნია...

— მე არ მომიპარავს, ძია, იმათ მოიპარეს! — ამოვიდგი ენა.

მღვეარი გაშრა:

— ვაა! ერთი ამას უყურე. ჩემი თვალით დავინახე... დავეწიე, ხელიდან წავართვი — არ მომიპარავსო, გინდასხვს?!

რაც მეტი ვიმართლე თავი, მით მეტი მომხვდა. გაჩუმება ჯობდა, მაგრამ მცემდნენ და ვერ გავჩუმდი.

— ძია, ნუ მცემთ რა, მე არ მომიპარავს! — ვემუდარებოდი გაცეცხლებულ კაცებს, ხელიკივით ვიკლაკნებოდი და ისევ იმასვე გავიძახოდი — ძია, ნუ მცემთ რა!..

ვილაც ქალები გამომექომაგნენ, კაცი-ბი დააკეს. ერთმა დაუტია კიდეც:

— აბა, ნამდვილი ჯიბგირი იყოს, საით გაიქცეოდით, ვინ იცის! დაანებეთ თავი, წადით აქედან, თქვე ნაცარქექი-ბო, თქვენა!

ვსლუკუნებდი და ვერ ვახერხებდი ამეხსნა ამ ხალხისთვის, როგორ და რატომ მოხდა ყოველივე ეს და აღარც მათ ეცალათ ჩემთვის — კოკისპირულმა დასცხო. ჩემს ირგვლივ მოქუჩებულეებმა თავს უშველეს და ჩუსტებიანმა ბიჭებმაც მიმატოვეს.

მე მარტო დავრჩი. ფეხშიშველი ვიდექი ქვაფენილზე. ყველაფერი მტკიოდა. მსხვილი წვიმა მცემდა და შარვლის გალუმბულ ტოტებზე ნაკადულეზად ჩარბოდა.

იქვე ბალი იყო. შევედი. ჭადრის ძირში სკამზე ჩამოვჯექი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიტირე.

ხელოვნურ გამოქვაბულში, ვეება ფოტოაპარატთან ფოტოგრაფი იჯდა და თვლემდა. მკლავზე შავი ატლასის ბაფთა ეკეთა. ფოტოგრაფი ვილაცას გლოვობდა და თვლემდა.

წვიმამ ყველაფერი დაასველა, ფერი უცვალა ნაძვებს, შეკრებილ ბუჩქებს, აკურის ნამსხვრევით მოფენილ ბილიკს. ბალი გასაოცრად ღამაზი იყო. ვიჯექი ცარიელ ბაღში, შეურაცხყოფილი და ცარიელი.

მარტო ვიყავი. საით წავსულიყავი, რა მექნა, ვისთვის შემეჩივლა ჩემი გასაჭირი; ქვეყანაზე ისეთი არავინ იყო, რომ გავემხნეებინე, ნუგეში ეცა — არც შინ, არც გარეთ. შინ მამა გამიჯავრდებოდა.



იქნებ გაველახე კიდევ. დედაც. ქეთინო მასხარად ამიგდებდა. ბებო გამბუტებოდა. მე ვერ ვიტანდი ბებოს გაბუტვას, ცრემლს ძლივს ვიკავებდი. საით წავსულიყავი? არსაით არ მინდოდა წასვლა, არავის ნახვა არ დამამშვიდებდა. ვიჯექი და ვიყავი მარტოლმარტო. თავზე წვიმა დამდიოდა, ფეხები გუბეში მქონდა და ვტიროდი. ყველამ მაწყენინა, ყველამ დამჩაგრა, იმიტომ ვტიროდი და კიდევ იმიტომ, რომ წვიმდა და ბალი ცარიელი იყო.

გუბებში აღარ წვეთავდა. მივხვდი, წვიმას გადაეღო. ვიჯექი, სანამ ფოთლებიდან წვეთი ჩამოიწრიტა, სანამ ფოტოგრაფმა გამოქვაბულიდან თავისი ვეება ყუთი გამოიტანა. მან მკლავზე ბაფთი შეისწორა, სკამზე ჩამოჯდა და ისევ ჩასთვლიდა.

საიდანაც ზარების ხმა მოისმა, ხან გუგუნებდა, ხან წკრიალებდა, წამოვდექი და იქით გავწვი, საიდანაც ხმა მოისმოდა.

არ ვიცოდი, აქ თუ ეკლესია იყო, ზედ რომ მივადექი, მაშინდა დავინახე. გამიკვირდა, რომ აღრევე ვერ მივხვდი — აბა ასეთი გუგუნ-წკრიალით სხვაგან რად უნდა ეხმიანათ ზარებს.

კართან გავჩერდი და ზარებიც დადუმდნენ. კიბე იყო ჩასასვლელი, იქით კი ტაძრის სანთლებიანი ბინდბუნდი ჩანდა. ზანტი, მშვიდი სიგრილე და გუმბათებში გახვეული გალობა აღწევდა ჩემამდე.

კიბე მარდად ჩავირბინე, ზღურბლზე გადავედი და იქ კი შევდექი, რაღაცამ შემაყენა.

ეკლესიაში ცოტა ხალხი იყო: ორი თუ სამი მოხუცი ქალი და ერთი ბერიკაცი გაქვავებულივით იდგნენ, დროდადრო პირჯვარს ისახავდნენ. მღვდელი ბოხი ხმით ლაპარაკობდა თუ მღეროდა — ვერ გავარკვიე.

კედელზე ჩამორიგებულ ხატებს ვათვალისწინებდი და დავინახე, ვიღაც ძალზე მოხუცებული, ერთიანად გათეთრებული კაცი თითს მიქნევდა, აქ მოდიო: თითი რომ არ დაექნია, ხატი მეგონებოდა. მაღალი დახლის უკან იდგა, მე

მხოლოდ მის მკერდს და სახეს ვხედავდი და ვერ წარმომედგინა, დახლს ვხედავდი რას აკეთებდა, ან რა უნდა ყოფილიყო იქ. ვერც იმას მივხვდი, რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან. იქნებ სხვას ეძახისმეთქი, ვიფიქრე, მაგრამ სალოკი თითი მომიშვირა, შენა, შენაო.

მივედი. დახლი მაღალი იყო და მოხუცი კაცი სულ დავკარგე. ვიდექი და ველოდი, დახლის ზემოდან თავს როდის გადმოჰყოფდა.

გადმოიხედა: ასე დანაოჭებული და დაკეცილი სახის მნახველი დღემდე არა ვარ.

— რამდენი? — მკითხა მოხუცმა.

ვერ მივხვდი, რას მეკითხებოდა.

— ერთი, ორი?

არც ახლა ვუპასუხე. რა ვიცი, რას ამბობდა?

ბერიკაცმა შემატყო, რომ ვერაფერი გავუბე.

— სანთელი, სანთელი! რამდენი მოგცე?

— სანთელი? — გავიმეორე უაზროდ და მოგვიანებით მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

— ერთი? — ხმაში უკმაყოფილება ემჩნეოდა.

— ერთი.

— ორი წაიღე.

— ორი წავიღო? — რაღაც დაბნეული ვიყავი.

— სანთელი, სანთელი, აგერ ისეთი, იქ რომ ანთია. ამოდენა ბიჭი ხარ, სანთელი არ იცი?

— ვიცი, როგორ არ ვიცი, — შემრცხვა.

— დიდი, პატარა, საშუალო?

დავფიქრდი.

ალბათ დიდი ხნით დავფიქრდი, რომ მოხუცს გული გაუწყალდა და სასწრაფოდ გაქრა. დახლს უკან მიიმალა. ძალიან გამიკვირდა, ასე მოხუცებული იყო და ასე მარდად კი გაქრა. ჩემი ბებო ასე ვერასდროს ვერ გაქრებოდა. მერე ასევე მარდად გად-

ჰაბუა ამირეჯიბი  
მესამე თვალში

მოჰყო თავი და სამი სხვადასხვანა-  
ირი სანთელი მაჩვენა.

— ესა, ესა თუ ესა?

ჩვენს ქუჩაზე მერძვე ცხოვრობდა —  
ფრაუ მაიერ, გუგულიანი საათი ჰქონ-  
და; სწორედ ასე იცოდა გუგულმა გამო-  
ხტომა. ამ მოგონებაზე გამეცინა. მო-  
ხუცმაც გამიღიმა და ვაიმეორა:

— ესა, ესა თუ ესა?

— სამივე.

— სამივე? ყოჩაღ.

გამოსართმევად ხელი წავიღე. მო-  
ხუცმა სანთლები გამარჩადა.

— ხუთი კაბიკი, ათი კაბიკი და ოცი  
კაბიკი. სულ რამდენი იქნება?

— ხუთი კაბიკი, ათი კაბიკი და ოცი  
კაბიკი იქნება ოცდათხუთმეტი კაბიკი, —  
მივუგე უსიამოვნოდ, რადგან მომაგონ-  
და, რომ სანთლებს უფასოდ არ მომცემ-  
და, ფული უნდა გადამიხადა.

— ყოჩაღ! მოიტა.

— რა? — შევყუყუანდი მე.

— ოცდათხუთმეტი კაბიკი და სანთ-  
ლებს მოგცემ.

— ერთი არ შეიძლება? — ვიკითხე  
მანც.

— ეე! შე კაი კაცო, სამიო, მოვრიგ-  
დით, ახლა ერთი?

ამოვიღე ოცდათხუთმეტი კაბიკი, მი-  
ვეცი. მომცა სანთლები და ისევე მარდად  
მიიმალა. კიდევ დიდხანს ვათვალიერებ-  
დი დახლს და ვერაფრით ვერ გამეგო,  
რად იყო ასე მაღალი? მერე სანთლები  
დავათვალიერე, მერე ხატები — რო-  
მელს დაგუნთო-მეთქი. ამ თვალების ცე-  
ცებაში ერთი ხატი დავინახე: ძალიან  
ლამაზი ვაჟკაცი ცხენზე იჯდა და გრძე-  
ლი შუბით ურჩხულს ჰკლავდა. ვიტა-  
ნი — იმ მხცვს ურჩხული ერქვა და  
მხედარს გიორგი. ბებოსგან ვიცოდი:  
ურჩხული ხალხს ავიწროვებდა. ამ გი-  
ორგიმ მოჰკლა და ხალხი გაათავისუფ-  
ლა. მოკლედ, ძალიან გულადი გმირი  
იყო. რა თქმა უნდა, სანთლები მისთვის  
უფრო გავიმეტე.

მივედი, სანთლებს მოვუკიდე. შან-  
დალში ჩავსხი და სურათს დავაკვირდი.  
კარგი სურათი იყო. ძალიან კეთილი სა-  
ხე ჰქონდა გიორგის და ძალზე საზარე-

ლი იყო ურჩხული. ეს კაცი რომ დამხ-  
მარებოდა, ფიდოს ჩემს ახალთახალ  
ჩუსტიებს წავართმევდით. მერე სადგურთ  
ში წავიდოდით, იმ გაიძვერა კაცს პლაც-  
კარტს უკანვე ჩავაბარებინებდით, გა-  
ვაძევებდით, საითაც უნდა იქით წასუ-  
ლიყო, ოღონდ აქაურობას გასცლოდა.  
ახლა იმ ხალხს მოვაგროვებდით და გა-  
ვაგებინებდით, რომ მე კი არა, აყლაყუ-  
და და მისი კალათიანი ქალი იყვნენ  
დამნაშავენი. ბოდიშს მოვახდევინებ-  
დით. იმ კაცს, რომელიც ყვიროდა, დაი-  
ჭირეთ, მოიპარაო, ერთს მაინც წავარ-  
ტყამდით სულელ გოგრაში. მოვრჩე-  
ბოდით ამ საქმეებს და სათოხარში წა-  
ვიდოდით. აბა, იქ იქნებოდა სერიი!  
ვგრძნობდი, რაღაც გამომჩა. მესხიე-  
რებაში ვიქექებოდი და ბოლოს ის ნოქ-  
რებიც მომაგონდა, სადგურის პირდა-  
პირ ფეხსაცმლის მაღაზიაში რომ მუშა-  
ობდნენ, თავი რომ მოიყარეს და დახლის  
შუშებზე ჩუსტები მახატვინეს, სანამ არ  
მოზეზრდათ; იმათაც ვასწავლიდი ჭკუას.  
როგორ ეგონათ?! ყოველივე ამას ნათ-  
ლად ვხედავდი და ძალიან კარგად  
ვგრძნობდი თავს. ერთი გაფიქრება კი  
ვაფიქრე, მაინც ყველაფერს მე ვაკე-  
თებ და ამ კაცს რაღად ვაცდენ-მეთქი,  
მაგრამ არც მართო დარჩენა მინდოდა!  
ზოგი რამ ისეთი კარგი ვიფიქრე, მომე-  
წონა და თავიდან ვიფიქრე. ერთი სიტყ-  
ვით, მშვენიერ დროს ვატარებდი, ყვე-  
ლას ჯავრი ამოვიყარე, ყველას თავისი  
ადგილი მივუჩინე...

— ბიჭიკო! მოიხედე აქეთ, არ გეს-  
მის?

ფიქრებს თავი დავაღწიე, მივტრიალ-  
დი.

მღვდელი იდგა. ეკლესიაში აღარავინ  
იყო და ჩემი სანთლებიც ნახევრამდე  
დასულიყო.

მღვდელი მიღიმოდა, მაგრამ მე მისი  
ღიმილი არ მსიამოვნებდა. იქნებ იმი-  
ტომ, რომ კარგი საფიქრალი შემაწყვე-  
ტინა? ან იქნებ იმიტომ, რომ ბიჭები ამ-  
ზობდნენ, მღვდელმა დათარსვა იცისო.  
მღვდელს რომ დავინახავდით, რამდენ-  
ჯერმე გადავაფურთხებდით თარსის  
თავიდან ასაცილებლად. ახლაც მინ-

დოდა იგივე მექნა, მაგრამ მომე-  
რიდა.

— რა გავჭირვებია? — მკითხა მღვდელ-  
მა.

მე პასუხი ვერ ვიპოვე.

მღვდელმა რიგინად დამითვალა იერა  
სახე, სველი ტანსაცმელი და შიშველი  
ფეხები.

— ფეხშიშველი რატომ ხარ, ბალო?

— ფილომ წამართვა ჩუსტები.

— ფილო ვინ არის?

ვინ იყო ფილო?

— ფილო ის არის, ვინც ჩუსტები წა-  
მართვა!

მღვდელმა იყუჩა.

ეკლესიაში ახალგაზრდა ქალ-ვაჟი  
შემოვიდა. მიიხედ-მოიხედეს და პირდა-  
პირ ჩვენსკენ გამოსწიეს. მღვდელმა  
ქალ-ვაჟი დაინახა თუ არა, სასწრაფოდ  
მომშორდა და სადღაც გაქრა. ვაჟს ხელ-  
ში იარლიყები და ქინძისთავეები ეჭირა.

— რელიგია ობიუზია! — მითხრა  
ვაჟმა.

სანამ იმას ვფიქრობდი, ეს სიტყვები  
რას ნიშნავდა, ვაჟმა ერთი იარლიყი  
ქინძისთავით მკერდზე დამაბნია. ვაჟას,  
ჩემს ამხანაგს, ასეთი იარლიყების მთელი  
კოლექციაც კი ჰქონდა. ხუთკაპიკიანი  
ამოვიღე, ყულაბაში ჩავუღდე. დაინახეს  
ხუთკაპიკიანი და დამატებით სამი თუ  
ოთხი იარლიყი დამაბნინეს, შენ კიდევ  
ამხანაგებს აჩუქებო.

— ამხანაგო, ასეთი ახალგაზრდა და  
მორწმუნე, არ გრცხვენია?

მე, რა თქმა უნდა, მორწმუნე არ ვი-  
ყავი, მაგრამ თქმა ვერ გავბედე; მეუ-  
ხერხულა აქვე, ეკლესიაშივე მეთქვა,  
ღმერთი არ მწამს-მეთქი. გამეცინა და  
მიხვდნენ, რომ მორწმუნე არ ვიყავი.  
მაშინ ვაჟმა შუბლში ხელი იტკიცა, ჯი-  
ბიდან ახლა სხვანაირი სამკერდე ნიშა-  
ნი ამოიღო და ისიც ხალათზე შემება.

ვიფიქრე, ახლა კი უნდა მოვძღრო  
აქედან-მეთქი და კარისაკენ გავწიე.

— რელიგია ობიუზია, — ვიმეორებ-  
დი, რომ არ დამვიწყებოდა. არ ვიცოდი,  
ეს სიტყვები რას ნიშნავდა. როცა რამე  
არ ვიცოდი, სხვას ვეკითხებოდი, არა  
მრცხვენოდა. ახლაც იმისთვის ვიმეო-

რებდი, რომ არ დამვიწყებოდა და ვინ-  
მისთვის მეკითხა.

გზადაგზა მომაგონდა, რომ რელიგია  
არის მღვდლები, დიაკვნები, ტერტერე-  
ბი და ეკლესიები, მაგრამ ობიუზია კი  
ლამის ხელში შემიკლა. რანაირად არ  
ვატრიალე და ვუკირკითე — არაფერი  
გამომივიდა. გადავწყვიტე, სხვა რამეზე  
მეფიქრა.

ყველაფერი გავიხსენე, თუკი რამ დი-  
ლას აქეთ გადამხდა და იმ დასკვნამდე  
მივედი, რომ სამთვალა შივასთანა სა-  
ინტერესო ჩემს ცხოვრებაში არაფერი  
მენახა. ამიტომ მივდექი და სულ იმ ში-  
ვაზე და მის მესამე თვალზე ვიფიქრე.

მასხოვს, შივას გამოსახულებას —  
თვით ნახატს — ჩემზე დიდი შთაბეჭ-  
დილება არ მოუხდენია. პირიქით, მე-  
ხამუშებოდა კიდევ, არაბუნებრივად მი-  
მაჩნდა, ამდენი ხელი რომ ჰქონდა და,  
ჩემდა უნებურად, ფიქრებს რვაფეხების,  
კაშალოტებისა და მორკების სამყარო-  
ში მივყავდი. რა თქმა უნდა, რვაფეხე-  
ბიც საინტერესო იყო... შივას ჩემზე არც  
ღმერთის შთაბეჭდილება არ დაუტოვე-  
ბია. მართალია, მე საერთოდ არ მქონ-  
და წარმოდგენილი, როგორი იერი უნ-  
და ჰქონოდა ღმერთს, მაგრამ შივა იჯ-  
და, მე კი მჯდომარე კაცის ღმერთად  
აღიარება არ შემეძლო. წმინდა გიორ-  
გის ღმერთობა კუკუსთან უფრო ახლოს  
იყო. ეს კაცი ცხენზე იჯდა, ხელში შუ-  
ბი ეპყრა და ჩემს თვალწინ საზარელ  
ურჩხულს ჰკლავდა.

შივა კი იჯდა.

ის მესამე, შუბლის თვალი კი მეტად  
საინტერესო და იღუმალი რამ იყო. ცა-  
ლი თვალით უყურებ რაიმეს — სხვა-  
ნაირია. მეორეთი შეხედავ — კიდევ  
სხვანაირია. რომელი ტყუის და რომე-  
ლია მართალი? აქვე ასეთი მაგალითი  
მოვიყვანე: დედამ ორი ცალი შაურიანი  
მომცა და მითხრა, ტრამვაიში ბილეთი  
უსათუოდ იყიდეთ. დავუჯერე და ვიყი-  
დე. მერე ერთი შაურიანის მეტი აღარ  
მქონდა და ამიტომ იმ ყუთში ექვსის

კაბუა ამირეჯიბი  
მესამე თვალი



ნაცვლად მხოლოდ სამი სურათი ვნახე. ბილეთი არ მეყიდა — ექვსივეს ვნახავდი. მართალია, რომ არ მეყიდა, კარგი საქციელი არ იქნებოდა, მაგრამ სამი სურათი რომ უნახავი დამრჩა? სად იყო სიმართლე? რომელი საქციელი იქნებოდა სწორი? მესამე თვალი შივას ალბათ ასეთი შემთხვევებისათვის ჰქონდა. ჩემს ადგილზე, შივა ტრამვაიში ჩაჯდებოდა, მესამე თვალით შეხედავდა კონდუქტორს და... როგორ მოიქცეოდა? იყიდდა ბილეთს თუ არ იყიდდა?... იქნებ სულაც არ ჩამჯდარიყო? ერთი სიტყვით, რასაც იზამდა, მესამე თვალთ დანახული იქნებოდა. მე რომ მესამე თვალი არ მაქვს, როგორ მოვიქცე ხოლმე? დღეს იმ ჩუსტიების ამბავში რომ გავები და გამლახებს, სწორი იყო თუ არა?

ყველა იმდღევანდელი ფათერაკი თავიდან გადავთვალე. ხან მარჯვენა თვალს ვჭუტავდი, ხან მარცხენას, ხან ორივე თვალთ შევცქეროდი მომხდარ ამბებს, ხან კიდევ ორთავეს ვხუტავდი და ერთი და იგივე სულ სხვადასხვანაირად ჩანდა.

რაც იყო — იყო, ვფიქრობდი მე, მაგრამ რა მექნა, როგორ და სად მეშოვნა ჩუსტიები? ახლა უკვე ფული მაკლდა და ვეღარ ვიყიდდი. ცხადი იყო, შინ დაბრუნება ფეხშიშველს მომიხდებოდა და ამ აზრს კიდევ შევეგუე. გადასაწყვეტი მრჩებოდა მხოლოდ ერთი რამ: დღესვე მიმეტანა გუჯასთვის დარჩენილი ფული, თუ სექტიმბრამდე მომეტადა და მაშინ დამებრუნებინა ვალი, როცა ბებო ფულს მომცემდა?

მოვხუტე მარცხენა თვალი, წარმოვიდგინე, როგორ მივალ გუჯასთან, ამოვიღებ ფულს, გავწუოდებ და... შემრცხვა, რომ იმდენი აღარ იყო, რამდენიც მომცა. თუ მიტანა და დაბრუნება იყო, სრულად უნდა ყოფილიყო. ამისი საშუალება კი სექტიმბრამდე არ მომეცემოდა. სექტიმბერში მისვლა ჯობდა. ამ დასკვნის გამოტანის შემდეგ მარჯვენა თვალი დავხუტე და იმწამსვე გამიღვია, ვნახით და არ მომცეს ბებომ სექტიმბრის პირველ რიცხვებში სამი თუმანი? იქნებ უწინ იმიტომ მაძლევდა,

რომ პატარა ვიყავი და ახლა კი, როცა ოთხწლელი დავამთავრე, ვაი თუ ვინმე მომცეს? ესეც არ იყოს, ხომ შეიძლება სხვა ხელის შემშლელი მიზეზი გამოჩნდეს. მართალია, შემძლო ეს შეიდი მანეთი დედისთვის მეთხოვნა, მაგრამ სწორედ იმ დროს რომ არ ექნეს? ხშირად არა აქვს ხოლმე! არა, ახლავე დაბრუნება ჯობდა. მაშინ ჯიბიდან ფული ამოვიღე, ყველა ამოვიღე, რაც მქონდა და ორთავე თვალთ დახედე. უმაღლარმომიღვა, ამ ფულით რამდენი რამის ყიდვა შეიძლებოდა! გუჯა ხომ სექტიმბრამდე არ ელოდა ფულის მიღებას; ამ ფულის გამოყენება შეიძლებოდა, უდავოდ შეიძლებოდა და ასე აჯობებდა კიდევ ვიფიქრე, აბა ერთი თვალდახუტულმა შევხედო-მეთქი. დავხუტე თვლები და ნეტავი არ დამეხუტა — შიშველი ქუსლი ბლის კურკას დავადგი, მეტკინა და მერე აღარ ვცდილვარ, თვლებდახუტულს შემეხედა.

ვეღარ გავიგე, ახლავე უნდა მიმეტანა ვალი, თუ სექტიმბრამდე გადამედო?... ერთი ჩემხელა ბიჭი იდგა, მივუახლოვდი და შევეკითხე:

— ბორანი საით არის, იცი?

შევეკითხე და თვითონვე გამიკვირდა — გუჯასთან წასვლა გადაწყვეტილი არ მქონდა და რატომ შევეკითხე?

— ბორანი? ვიცი. ბორანი იქით არის. სასაფლაოს იქით დაღმართია, იქ არის. ახლოა, ეგრე წადი, — მითხრა ბიჭმა.

ათიოდე ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, რომ ძალიან გაემხიარულდი, რაღაც მიხაროდა. ვერ გამეგო, რა მიხაროდა. ალბათ გუჯას ნახვა მიხაროდა. ნაბიჯს ვუმატიე. ალაგ-ალაგ სირბილთაც ვიარე.

— ძია, ეს ვერის სასაფლაოა? — ვკითხე ვიღაც კაცს.

— არა, გოგირდის აბანოა! — მეროლა მან.

რომელი გოგირდის აბანო, იქაურობა საფლაოებით იყო სავსე!.. მაღე დაღმართს მივადექი. სწორედ ის დაღმართი იყო, რომელიც ბორნისკენ ჩადიოდა. გავჩერდი. ვფიქრობდი, როგორ მიმეგნო,

ვისთვის მეკითხა — არავინ ჩანდა. აქაური არავინ ჩანდა, თორემ გამვლელ-გამოვლელი — რამდენიც გინდათ.

პატარ-პატარა სახლები იდგა, წინ პატარ-პატარა ბოსტნები ჰქონდათ. ბოსტნებს ღობეები ერტყა; ზოგს ქვის ყორე ჰქონდა, ზოგს აგურის კედელი, ზოგს ფიცრისა.

ერთ ბოსტანში დედაჩემის ტოლი ქალი გამოჩნდა, რალაც გამოიტანა, მგონი სათლი — ონკანს მიუდგა. დოინჯი შემოიყარა და ყურება დამიწყო. ის მე მიყურებდა, მე — იმას. ვფიქრობდი, ამ ქალისთვის მეკითხა, გუჯა სად დვასმეთქი, მხატვარი გუჯა, თუ ვინმე ჩემი ტოლი ბიჭი მეპოვნა? ქალმა ალბათ ყოყმანი შემამჩნია და ფიქრსაც მიმიხვდა. მომიახლოვდა და მკითხა:

— რას დგებარ, დედიკო, აქ, ექებ ვინმეს?

— მხატვარი გუჯა სადა ცხოვრობს?

— მხატვარი გუჯა? ძმები რომ არიან, მხატვრები, შენ ალბათ იმათ კითხულობ. ისინი, დედა, ვასო ბაბუას მდგმურები არიან. ასე გადაიარე, კაი მოზრდილი ბაღი შეგხვდება — ის არის ვასო ბაბუას ბაღი. კაი მოზრდილი, ახლა მთლად დიდი კი არ არის, დედიკო, მარა კაი მოზრდილია. ასე, სამი ამხელა იქნება, ეს ჩვენი ეზო რომ არის. ხო, დედა, წადი ასე, გაიარე იქით და დაინახავ, მასაც ასეთი ყორე აქვს, შვილო. ის არის ვასო ბაბუას ბაღი და ის მხატვრები მისი მდგმურები არიან.

ვიფიქრე, მართლა უნდა წავიდე და რაც შეიძლება მალე, თორემ ეს ქალი ლაპარაკის გათავებას ვერ მოახერხებს მეთქი.

— გმადლობთ, დეიდა! — დავიყვირე და გავიქეცი.

მივბოდი და მესმოდა იმ დეიდას ხმამაღალი ახსნა-განმარტება ვასო ბაბუას ბაღისა და მისი მდებარეობის თაობაზე.

მცირე მანძილი გავიბრუნე. მართლაც ქვის კედელს მივაღექი. კედელი მაღალი იყო; აძრომას ვერ შევძლებდი და შესასვლელის ძებნას შეეუღექი.

ამ კედლით ზორცვი იყო შემოკავებული.

ლი. ზორცვზე ხეხილი და ყვავილნარი ხარობდა. კედელს ერთ ადგილას კარი ჰქონდა დატანებული, კარს იქით მივსიკიბე იყო. ამ კიბეს აყვევი და თავი ბაღში ამოვეყვი.

დიდი არაფერი, ერთი ციცქნა ბაღი იყო, უფრო დიდიც მენახა, მაგრამ უფრო ლამაზი კი — არა. მართლა ასე ლამაზი იყო? თუ მყუდრო იყო და იმიტომ მეჩვენა ძალიან ლამაზი? აქ ჰაერსაც კი ვარდის სურნელება ჰქონდა; ვარდის კი არა, უამრავი სხვადასხვა ყვავილის სურნელება.

აღარ მახსოვს, მაინც რა მომწონდა და რა მხიზლავდა, ოღონდ ისე დამთბა, ისეთი სიამე ვიგრძენი, რომ მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამრჩა ის ერთადერთი და განუმეორებელი გრძნობა, მას მერე იმდაგვარი აღარაფერი განმიცდია.

— რომელი უფრო მოგწონს, ბიჭო! — მომესმა თითქოს ძლიერ, ძლიერ შორიდან.

— აი, ეს! — ვთქვი მე ჩემთვის ცოტადენი ფიქრის შემდეგ და წითელი ვარდის კოკორს თითი მივაკარე.

სიჩუმე იყო. მე კი მინდოდა გამეგონა, რომ ეს კოკორი ყველა ამ ვარდზე ნაზი, ლამაზი და სურნელოვანი იყო და იქით გავიხედე, საიდანაც ხმა მომესმა.

კუნძზე ტანმორჩილი, ჭადრა მოხუცი იჯდა და ვარდებს შეჰყურებდა. თვალი გავაყოლე, მინდოდა გამეგო, რომელს შესცქეროდა. პირისფერი ვარდის კოკორს შეჰყურებდა. მოხუცს კეხიანი ცხვირი და ცისფერი თვალები ჰქონდა, ისეთი ცის ფერისა, ცისარტყელას დროს რომ იცის.

— ბაბუა! ვასო ბაბუა თქვენა ხართ? — ვკითხე მე.

— მე ვარ.

— მე გუჯა მინდა, თქვენი მდგმური.

— აგერ, აივანზე სხედან ორივენი, — მიპასუხა ვასო ბაბუამ და თვალით მანიშნა, საითაც უნდა წავსულიყავი.

ბაღის სიღრმეში პატარა სახლი იდგა, სათამაშოსავით პატარა. სახლის აი-

---

ჭაბუა ამირეჯიბი

მესამე თვალი

ვანზე გუჯა რაღაცას ხატავდა. აივნის მოპირდაპირე კუთხეში მეორე კაცი იჯდა, ისიც ხატავდა.

გუჯამ დამინახა და ძალიან გაუკვირდა, იმავე წამს ფეხზე დამხედა.

— ვერ იყიდე?

— ვერა, — ვთქვი მე, ფული ამოვიღე და გუჯას გავუწოდე — აკლია. რაც აკლია, მერე მოგიტან. დედას გამოვართმევ და მოგიტან.

გუჯა ფულს დაჰყურებდა, თითქოს აღებას ვერ ბედავდა. იმ მეორემაც გაფაციცებით დაუწყო ფულს მხერა.

— ეს ის ბიჭია, მე რომ გიამბუე. — უთხრა გუჯამ თავის ძმას. — ეს ჩემი ძმაა, რეზო ჰქვია.

რეზო დამატყერდა და გაიღიმა.

— შინ იყავი? — მკითხა გუჯამ.

— არა.

— არ შეეშინდებათ?

იმის დარდი არ მქონდა, რომ შეეშინდებოდათ. შერიგებული ვიყავი იმ აზრს, რომ ორმაგად მომხვედებოდა: ცალკე იმისათვის, რომ ჩუსტები დაგვარგე და ცალკე იმისათვის, რომ შეეშინდებოდათ.

რეზო ისევე ისე გულდასმით უყურებდა ფულს.

— სამი მანეთი და თხუთმეტი კაპიკი. მანეთის პური, მანეთის ყველი, ორი კოლოფი პაპიროსი! — უთხრა რეზომ გუჯას ისე მტკიცედ, ვითომ ეს ხარჯები დილიდანვე იყო გათვალისწინებული.

ჩვენს ქუჩაზე ერთი ლოთი ცხოვრობდა, „სამ მანეთ სამ შაურას“ ეძახდნენ. ესე იგი ნახევარი ბოთლი არყის ფასი ჰქონდა შერქმეული. ამიტომ უცებ მივხვდი, თუ რას გულისხმობდა რეზო. შემქლო ახლავე გავტრიალებულიყავი და უახლოეს მაღაზიიდან მომეტანა არაყი, პური, ყველი, პაპიროსი, მაგრამ გუჯას დასტურს ველოდი. გუჯას დიდხანს არ დაუყოვნებია, სწორიანო, თქვა და მეც უხმოდ გავეშურე.

— მაღაზია მანდგეა! — მომაცხა გუჯამ.

რაღაც მომაგონდა, გადადება არ ივარგებს-მეთქი, ვიფიქრე, მოვბრუნდი და გუჯას ვკითხე:

— ოპიუმი რა არის?

ამიხსნა, რაც იყო და მეც საყიდლებზე წავედი.

სუთი წუთი არ გასულა, რეზომ დაბრუნდა. ცალ ხელში არაყი მიჭირა, მეორეში პური და ყველ-ჯიბეში პაპიროსის კოლოფები მქონდა.

ბაღში ავედი. აივანს გავხედე. გუჯა და რეზო მოაჯირთან იდგნენ, კიბეს გამოპყურებდნენ, ეტყობოდათ, სულის კაწკაწით მელოდნენ. დამინახეს და სახე გაუნათდათ, შგებით ამოისუნთქეს. ძალიან გაუხარდათ ჩემი დაბრუნება. პირველი მოსვლა ასე არ გაჰხარებიათ.

— მოდი, ვასო ბაბუა! — გასძახა გუჯამ.

ძმებმა სახელდახელო სუფრა გააწყვეს. ჭიქები გამოიტანეს, არაყი დაასხეს და ისევე ვასო ბაბუას დაუძახეს. ბაბუა იგვიანებდა, გუჯას და რეზოს კი სული მისდიოდათ.

მოღბერტებს ჩამოვუარე. რეზო ჩაის პლანტაციას ხატავდა. პლანტაცია ქვემოთ იყო. ზემოთ იყო ტრაქტორი. ტრაქტორისტი და მოხნული ფერდობი ქვეშ მინაწერი ჰქონდა:

სადაც მეფობდა მგელი და ტურა,  
იქ გავაშენეთ ჩაის კულტურა.

მე ეს სიმღერა კარგად ვიცოდი, წარწერაში შეცდომა შეგნიშნე და რეზოს ვუთხარი:

— იქ ერთი სიტყვა აკლია.

რეზომ გამოხედა და თვალეზი ააპაქუნა.

— სიტყვა აკლია?

— აკლია. აქ უნდა იყოს ასე: „სადაც მეფობდა მგელი და ტურა, იქ გავაშენეთ, ვარაღე, ჩაის კულტურა“, — განვუმარტე მე.

რეზომ გუჯას გადახედა. გუჯას სახე დაებრიცა. მე გავიფიქრე, ალბათ არყისაგან დაებრიცა-მეთქი და ველოდი, აი, ახლა სახელოს ცხვირზე გაისვამდა.

გუჯამ ცხვირი არ შეიწმინდა.

— ეგ სიმღერაში უნდა, სურათზე არ უნდა, — მითხრა რეზომ.

— შეხედე ამ საცოდაეს! — უთხრა გუჯამ რეზოს. — ეს ბავშვი გენიოსია. ჯვა-



რალე“ ჩაუმატიე, უსათუოდ ჩაუმატიე. სულ ისეთი გრძნობა მქონდა, მაგ პლაკატს რაღაც აკლია-მეთქი, სწორედ „ვარალე“ აკლია.

მეც ასეთივე აზრისა ვიყავი, მაგრამ შერე გავიფიქრე, „ვარალე“ მარტო სიმღერებშია და იქნებ პლაკატისთვის მართლაც არ იყო საჭირო?

გუჯას სურათთან მივედი. კარგა ხანს და გულდასმით ვუცქირე. ამოდ, ვერაფერი გავარჩიე, გარდა ერთისა: რომელიღაცა სიმებიანი საკრავის ტიბიკონის მსგავსი რამ იყო დახატული და ისიც რაღაც ოთხკუთხედებისაგან შესდგებოდა. საერთოდ, მთელი ტილო სხვადასხვა ფერისა და ზომის ოთხკუთხედიებით იყო დაფარულ-აჭრელებული.

ერთ-ერთი ოთხკუთხედი დანარჩენებზე დიდიც იყო, მოხდენილიც და ფერად მწვანე. ძალიან დავინტერესდი, ნეტავი რა უნდა იყოს-მეთქი და გუჯას შევეკითხე:

— ეს მწვანე ოთხკუთხედი რა არის, გუჯა?

— საზამთროა! — მიპასუხა მან.

საზამთრო. ოთხკუთხედი საზამთრო! რეზო შემომყურებდა, აბა, რას ვიტყვოდი.

— შეიძლება, — ვთქვი მე.

— რა შეიძლება? — რეზო გაოცდა. გუჯას კმაყოფილება დაეტყო.

— ასეთი საზამთრო შეიძლება, ოთხკუთხედი, კუბიკივით საზამთრო; ერთხელ ძია შოთამ კიტრი მომიტანა, წამლის პატარა ბოთლები რომ არის, სწორედ ისეთი მოყვანილობისა იყო. მიამბო, როგორც მოჰყავთ ასეთი კიტრი: როცა სულ პატარაა, ნეკის ოდენა — თავს ბოთლში შეაყოფინებენ, იქ იზრდება, ბოთლში. როცა ბოთლი ამოიგსება, შუშას შემოატეხავენ და ბოთლის მოყვანილობის კიტრი რჩება. კაცმა რომ ოთხკუთხედი ბოთლი აიღოს და შიგ პატარა საზამთრო ჩადოს, გაიზრდება და ოთხკუთხედად იქნება. შეიძლება! — დავასკვენი მე.

რეზო ხმამაღლა ხარხარებდა, გუჯა ყვიროდა. სულ უცხოურ სიტყვებს გაიძახოდნენ. ამ დავიდარაბაში მე ჩემს

საქმეს მივაგენი: ვიპოვნე სახატავი კაბა-ლალი, ფანქრები, საშლელი და ჩატვას შევუდექი.

ისეთი ამბავი ატეხეს, ვიფიქრე, ერთმანეთს დაპკრავენ-მეთქი, მაგრამ არაფერი ამდაგვარი არ მოხდა. იდავეს, იკამათეს, ერთად გაჩუმდნენ და რეზომ, როგორი ხმითაც კამათობდა, ისეთივე ხმით დაიყვირა:

— ვასო ბაბუა! მოდი, ადამიანო, დავიხოცეთ!

ყვირილი საჭირო აღარ იყო. ვასო ბაბუა მოაჯირთან იდგა. ხელში ქორფა კიტრები, ტარხუნა, ბოლოკი და ხახვი ეჭირა. ვასო ბაბუა არც გუჯას დაუნახავს, არც რეზოს. მარტო მე ვხედავდი.

— ეს მოხუცი მაკვირვებს, — განგრძობ რეზომ უფრო ხმადაბლა, — ცისმარე დღე, განთიადიდან დაღამებამდე ამ ბაღს უტრიალებს. ოთხმოცი წლის ბერიკაცმა კაკალი დარგო. თვითონ ეგ იმ კაკლის ნაყოფს ვერ მოესწრება. შვილი მაგას არა ჰყავს, ფესვი, ძირი და ნათესავი. ვისთვის უნდა, ერთი გამაგებინა?!

ვასო ბაბუამ ყველაფერი გაიგონა, მაგრამ ისე იდგა, თითქოს არც არაფერი თქმულიყო და არც რამე გეგონა. აივანზე ამოვიდა, მწვანილეული დააღაგა, პურ-მარილს მიუჯდა.

გუჯას ეუხერხულა, მიხვდა, რომ ბაბუამ მისი ნათქვამი გაიგონა. რეზომ განზე გაიხედა, ვითომც არაფერიყო. ვასო ბაბუამ ცაში აიხედა, რაღაც წაიჩურჩულა და პური გატეხა. გახურდა პურ-მარილი. ისეთი გაშმაგებით დააცხრნენ ყველსა და პურს, ისეთი გატაცებით აუტეხეს ბოლოკსა და ხახვს ხრაშხარში, რომ მათ შემყურეს მეც მომშვივდა. მისვლა მერიდებოდა და აღარც თვითონ მეძახდნენ. ჩავდუნე თავი და ხატვას მივეძაღე.

— სილამაზეს გაუმარჯოს, მის განმტკიცებას დროსა და სივრცეში! — თქვა გუჯამ და გადაპკრა.

— ოთხკუთხი საზამთროების და რომ-

კაბუა ამირეჯიბი  
მესამე თვალი

ბული კიტრების დროსა და სივრცეში განმტკიცებას? — დასცინა რეზომ.

— მე სილამაზე ასე მესმის და ეს ჩემთვის სრულიად საკმარისია, — განაცხადა გუჯამ.

— შენთვის?

— დიას.

— შენთვის შექმნილ სილამაზეს დროსა და სივრცეში რა ჯანდაბა განამტკიცებს? — იკითხა რეზომ. — გაუმარჯოს აზრს ხელოვნებაში. რაციონალურ ხელოვნებას გაუმარჯოს!

— აზრი? შენ ჩაის ბუჩქებს, ტრაქტორს და დამკვრელ ტრაქტორისტს გულისხმობ, არა? — თავის მხრივ უკბინა გუჯამ.

— რა თქმა უნდა! — დაუდასტურა რეზომ წარბშეუხრელად, — დღეს ამ პლაკატს დავამთავრებ. ხვალ დავიწყებ დიდ ტილოს მაუდ-კამვოლის ქარხნის თემატიკაზე: წითელხილბანდნიანი ფიქარი გოგონა, ვეება საამქრო, უთვალავი დაზგა და სინათლე, ბევრი სინათლე, ზღვა სინათლე!

— დელიავ რანიანა დაარქვი! — ურჩია გუჯამ.

მე ხატვა დავამთავრე. მივხვდი, ამ გაცხარებულ დავა-კამათში არავის მოვავაგონებდოდი და ჩემით ვეწვიე სუფრას. ავიღე პური, ყველი, მწვანილი — ჭამას შევუდექი. ჩემს საქციელს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ამ ხალხში ალბათ ასე იყო მიღებული.

— რა დახატე? აბა, მაჩვენე, — მითხრა გუჯამ.

მივიტანე, ვაჩვენე. გუჯამ საკმაოდ უმსგავსო შივა დაათვალიერა, რეზოს გადასცა და უთხრა:

— ეს პიროვნება თეოლოგიაში საკმაოდ განსწავლული ჩანს.

ვასო ბაბუამ ნახატს თვალი გადაავლო, გამიღიმა და წავიდა.

— არაფერი არ მესმის, — თქვა რეზომ გაკვირვებით. — ცოცხალი ადამიანი ვერ დახატე? რაში გჭირდება ამ გამოგონილი არსების ხატვა? რა მოგეწონა ამაში?

— მესამე თვალი. აი ეს, შუბლზე

რომ თვალი აქვს, — მივუბე მე. რეზომ მხრები აიჩჩია.

— შენ რომ შინ მირბობდი დროს. შეეშინდებათ. ალბათ დაგეძებენ კიდეც, — მითხრა გუჯამ.

იგი მართალი იყო. დავემშვიდობე. ვასო ბაბუასთანაც მივირბინე, მასაც გამოვეთხოვე.

— ასე გადადი. მაგ კედელზე გადახტი, უფრო ახლოა, — მიჩრია გუჯამ.

კედელზე ავჭერი, ხელი დავუქნიე, ქვევით ჩავხტი და საფლავებს გავყვიე. ჩემი შივა ილღიაში მქონდა ამოჩრდილი, შინ მიმქონდა. ერთ ადგილს მივადექი. ვილაც კაცი საქმიანობდა. ყვავილის ჩითილს რავადა, წყალს უსხამდა, უთუოდ მესაფლავე იყო. მივუახლოვდი, ცქერა დავუწყე. კარგა ხანს ვუთვალთვალე. მესაფლავე ან ვერ მხედავდა, ან მხედავდა და ყურადღებას არ მატყევდა.

უფრო ახლოს მივედი.

— მოხვედი? კარგია. მოხვიდოდი, მაშ რას იზამდი. — მითხრა მესაფლავემ, — მაგრამ მე ვიფიქრე, ალბათ ვინმეს სხვას ეუბნება-მეთქი.

იქაურობა მოვათვალიერე. ჩემს მეტი არავინ იყო. ცხადია, მე მეუბნებოდა. დავიბენი, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი.

— აქ ვინ მარხია, იცი? მოდი აქ. მისვლით მივედი, მაგრამ მაინც შორიახლოს დავდექი.

— აქ ერთი კაცი წევს, — მესაფლავემ ლოდზე მიმითითა, — თავის დღეში არავისთვის არაფერი არ უთხოვნიან. ხათრიანი კაცი იყო. პირიქით, სულ იმის ფიქრში იცოცხლა, აბა ერთი, ვის რა უჭირს, ვის რაში გამოვადგეო. რასაც თავისი გარჯით იშოვნიდა, სხვას აძლევდა, სულ ერთიანად სხვას აძლევდა, უფალო, შეუნდე!.. სულგანათლებული კაცი იყო, ცხონებული.

გამიკვირდა, რომ ეს კაცი ყველაფერს სხვას აძლევდა და თავისთვის არაფერს იტოვებდა.

მესაფლავე შიშველ ფეხებზე დამაცქერდა.

— ფეხშიშველი რადა ხარ?

— ფილომ წაიღო, — მივუბე მე.

მაგრამ მესაფლავეს, ეტყობა, თავისი შეკითხვა აინტერესებდა და არა ჩემი პასუხი.

— რა ხნისა ხარ?

— თორმეტის, — თორმეტის არ ვიყავი, მაინც ასე ვთქვი, თორმეტისა ვარმეთქი.

— თორმეტისა? მაშ იმ წელიწადს დაბადებულხარ, როცა ის მიცვალებული დავმარხე. იმ ძეწნიან საფლავს ხედავ? კარგი კაცი იყო. სიცოცხლეში რამდენი წყენა და შეურაცხყოფა ნახა — სულ ტყუილად, არც ერთის ღირსი არ იყო. სამაგიერო ავი საქმით არავის გადაუხადა. ყველას აპატივა: ცოდონი არიან, არ ესმითო. არა, ალბათ მართლა არ ესმით, თორემ რომ ესმოდეთ, ცუდ საქმეს არ ჩაიდენენ. კარგი მიცვალებულია, ეგეთი მიცვალებულები მიყვარს.

— კარგი მიცვალებულებიც არიან? — ვკითხე მესაფლავეს.

— არიან, მაშ! მიდი, იმ ლოდზე წაიკითხე, რა სწერია?

მივირბინე და საფლავის ქვაზე წარწერის კითხვას შევეუდექი. მესაფლავე თავისი მიცვალებულების ქებას განაგრძობდა. მე ყურს აღარ ვუგდებდი, მივხვდი, მატყუებდა და გავბრაზდი. იმით მივხვდი, რომ ქვაზე, რომლის ქვეშ კარგი მიცვალებული უნდა ყოფილიყო, ასე ეწერა:

„თითილოკია ჭიბო ვარ, სირაჯ ბუღდანას ბიჭი. სასმელი მიყვარდა. ეს ქვადოსტებმა დამადეს. შენდობა თქვი“.

მესაფლავემ მიმიხმო. მისგლა აღარ მინდოდა. წასვლას ვაპირებდი, მეწყინა, რომ ამდენი ილაპარაკა და სულ ტყუილები იყო. განსაკუთრებით ის მეწყინა, იმ კარგი მიცვალებულის მაგივრად რომ თითილოკია ჭიბო დამხვდა, მაგრამ მაინც მივედი, ძალიან დამაჯერებლად ლაპარაკობდა, იმიტომ მივედი.

— ერთი მიცვალებული მყავს. სიცოცხლეში სულ ტყუილს ამბობდა, ერთი მართალი არ უთქვამს. ყველაფერს უჯერებდნენ. იცი, რათა?

— ტყუილები სჯეროდათ? — გამიკვირდა მე.

— სჯეროდათ. კარგი ტყუილი იყო და და იმიტომ.

მე პირველად მესმოდა, რომ ტყუილიც თურმე ორნაირი ყოფილა: ცუდი და კარგი. დავინტერესდი და ვკითხე:

— შინ რომ მეტყვიან, ჩუსტები რა უყავო, რა ვთქვა?

მესაფლავემ ისევ შიშველ ფეხებზე დამხედა, დაფიქრდა და თქვა:

— ასე უთხარი, ხიდზე მივდიოდი, ჩუსტები ხელში მეჭირა, წყალში გადავიხედე, თვალები ამიჭრელდა და ჩუსტები მტკვარში გადამიცვივდა-თქო. დაგიჯერებენ.

— არ დამიჯერებენ, — გამეცინა მე.

— დაგიჯერებენ. შენნაირ ბაღლს ყველაფერს დაუჯერებენ. მაგრამ ყველაზე უკეთესი მაინც ის იქნება, შინ მიხვიდე და სიმართლე თქვა, როგორც იყო. წადი, გაიქეცი, მოიცალო, კიდევ მოდი. მოიცა, არ წახვიდე, ერთი რამე დამავიწყდა! აი ეს კაცი, ვისაც ახლა მე ამ საფლავს ვულამაზებ, იცი ვინ იყო, რა კაცი იყო?

თავი გავიქნიე, არ ვიცი-მეთქი.

— ამ მიცვალებულს არასოდეს არ უთქვამს, ქვეყანას ჯანი გავარდეს, მე ჩემი გზა მაქვსო. სულ იმას ამბობდა, ქვეყანაზე რაც რამე ხდება, ყველაფერი ჩემი საქმეაო. საცა უსამართლობას გაიგებდა, ეს კაცი იქ იყო, დაჩაგრულს ეშველებოდა. საცა ბოროტება იყო, ეს კაცი იქ იყო, ავ კაცს თვალებსა სთხრიდა. უსამართლობას ეომებოდა, სამართლიანობას ექომაგებოდა. ასეთი კაცი იყო. კაცი? კაცი კი არა... ვაჰ, კაცი იყო, რაღა, ნამდვილი კაცი!

— საიდან იცოდა? — ვკითხე მე.

— რა საიდან იცოდა?

— საიდან იცოდა, რომ უსამართლობა იყო? იქნებ სამართლიანობა იყო? მესაფლავე დაიბნა.

— იცოდა! — თქვა მან მტკიცედ.

— მესამე თვალი ჰქონდა?

— როგორ თუ მესამე თვალი?

— შუბლზე თვალი ჰქონდა? — გა-

ჭაბუა ამირეჯიბი

მესამე თვალი



ვიმეორე მე, ჩემი დაგრაგნილი შივა გა-  
ხსენი და ვაჩვენე.

მესაფლავე სურათს დააკვირდა.

— ეგ რისთვის არის?

ავუსხენი, როგორც შემძლო. ისიც  
ვუამბე, რისთვისაც სჭირდებოდა შივას  
ამდენი ხელი.

მესაფლავე ჯერ დაიბნა. ჩემმა ახსნა-  
განმარტებამ გააოცა. დიდხანს იყო ჩუ-  
მად და ფიქრობდა. მერე თქვა:

— ჩვენ მესამე თვალი ჩვენი გულია,  
შვილო!

— გული?

— ჰო, მან ყოველთვის იცის, სად  
არის სიმართლე და სად არის უსამართ-  
ლობა!

მოედანზე მოვედი.

ჩემბერლენი, რა თქმა უნდა, ძველე-  
ბურად ადგილზე იყო.

ძალიან მომინდა მისი გალახვა. აღარ  
მახსოვს, რატომ და რისთვის. მგონი  
იმიტომ, რომ პირველად ჩემს სიცოცხ-  
ლეში მესამე თვალით შევხედე ჩემბერ-  
ლენს.

ზურგიდან შემოვუარე.

ჩემბერლენს დარაჯი ჰყავდა ძია  
ბაბკენა. ერთთავად აქ იყო გალახვა  
უნებართვოდ არ შეიძლებოდა. თვითონ  
მთელი დღე საცემი თოკების ქაჩვით ილ-  
ლებოდა და ამიტომ ჩვენც გვიშველიებ-  
და.

— ძია ბაბკენ, ვცემო?

— მიდი, სცემე, — დამართო ნება  
ძია ბაბკენამ და გაზეთის კითხვა განა-  
გრძო.

მივედი და ვცემე. ძალიან დაუნდობ-  
ლად და განუკითხავად ვცემე.

შინისკენ წამოვედი. ჭიშკართან ძალა-  
უნებურად შევდექი — მომაგონდა, რომ  
ფენიშვილი ვიყავი. გადაწყვეტილი  
მქონდა, მივიდოდი და ვიტყოდი, რო-  
გორც მოხდა. იმ აზრსაც შეეგურიგდი,  
რომ რიგიანადაც მომხვდებოდა, მაგრამ  
ჭიშკართან მისულს გამბედაობამ მაინც  
მიმტყუნა.

ამ დროს ოთარმა დამინახა, მოირბინა  
და მაცნობა, რომ დილიდან დამეძებენ  
და რომ მამაჩემი მოულოდნელად საა-  
გადმყოფოში წაეყვანათ ბრმა ნაწლავის  
ოპერაციის გასაკეთებლად.



# სკოლაში

## მოთხრობა

სანია რიაბინინის აზრით, მას ნამდვილად ბედმა გაუღიმა ცხოვრებაში: სახლი, რომელშიც ის ცხოვრობს, ორ ნაბიჯზეა პიონერთა პარკისაგან. პარკში მოზრდილი ტბაა. ზამთრობით აქ საუცხოო საციგურაო მოედანს აკეთებენ ხოლმე. ზაფხულში კი ნავებით დასეირნობენ. რაიონი ლამაზია, თან წითელ მოედანთანაც ახლოა. პუშკინის მოედანი ხომ სულ იქვეა.

სკოლამ, სადაც სანია სწავლობს, აკადემიური წარმატების მიხედვით შარშან მეორე ადგილი მოიპოვა რაიონში. ეს ამბავი თვითონ სკოლის დირექტორმა, ტიმოფეი ნიკოლაევიჩმა, უთხრა მათ კომკავშირის კრებაზე.

სანიას აზრით, საცა სამართალია, მათ სკოლას პირველი ადგილის მოპოვებაც კი შეუძლია. მათ შესანიშნავი მასწავლებლები ჰყავთ. სად, რომელ სკოლაში იპოვნით ინგლისური ენის ისეთ მასწავლებელს, როგორცაა სერგეი ვლადიმეროვიჩი? — ის ბავშვებსაც უყვართ და მასწავლებლებიც პატივს სცემენ. წელს იგი სკოლის პარტორგანიზაციის მდივანად აირჩიეს. ახლა პელაგია

ანტონოვნას, მათემატიკის მასწავლებელს, არ იკიხავთ?! აბა, სცადე და ნუ მოამზადებ მის გაკვეთილს!

განსაკუთრებულია სანიას კლასიც. IX<sup>ბ</sup> კლასი განთქმულია იმით, რომ იქ სწავლობენ სკოლის რადიოს საუკეთესო დიქტორი, ყველაზე ძლიერი მოჭიდავე და ცნობილი ძალოსანი.

დიქტორი ვანია მოლჩანოვია. განა მარტო დიქტორია? სკოლის საღამოებზე ლექსებს კითხულობს ხოლმე და ამბობს, მსახიობი უნდა გამოვიდეთ. მოჭადრაკე ვიტია პახონოვია, ფრიადოსანი, კომკავშირის კომიტეტის წევრი. ძალოსანი კი — არკაშა ივანოვი. სიმაღლით არ გამოირჩევა, მაგრამ ღონე აქვს არაჩვეულებრივი. ხუთი კაციც რომ დაესიოს, სულ პანტაპუნტით მიყრი-მოყრის აქეთ-იქით. არკაშას დაღვრემილი სახე აქვს, სინამდვილეში კი მხიარული და გულკეთილია.

თავისი ადგილი თანაკლასელთა შორის სანიამ შარშან საკმაოდ ზუსტად განსაზღვრა. იგი სიმაღლით მეორეა, წარჩინებით — მეხუთე, ასაკით — მეოთვრამეტე, სკოლას ჩვიდმეტი წლისა

დაამთავრებს. შემდგომი ბედი არც მისთვის, არც სხვებისთვის ჯერ კიდევ ნათელი არ არის. კარგად სწავლობს და, რასაკვირველია, შეუძლია ჩააბაროს საკონკურსო გამოცდები უმაღლესში. მაგრამ სანიას ჯერ არ გადაუწყვეტია, მაშინვე გააგრძელოს სწავლა, თუ იმუშავოს. დედა ხშირად ეუბნება ხოლმე სანიას, სამედიცინო ინსტიტუტში უნდა შეხვიდე და განსვენებული მამაშენივით ქირურგი გამოხვიდეო.

— ვალოდია, — ასე ახსენებს ხოლმე დედა მამას, — ყოველთვის ამბობდა, ამაზე უკეთესი პროფესია არ არსებობსო.

სანია მხოლოდ სურათებითა და დედის ნაამბობით იცნობს მამას. დედა ამბობს, რომ სანია ძალიან ჰგავს მამას, რომ მასაც თაფლისფერი თვალები აქვს, სქელი ტუჩებიც მამას მიუგავს და ოდნავ ფართო ცხვირიც. ტანის მოყვანილობითა და სიარულით ხომ ზედამოჭრილი მამამისია.

სანიას დედა სკოლამდებლებთან მუშაობს. ის კარგი ქალია და სანიასაც ძალიან უყვარს. მაგრამ დედას ხშირად არ ესმის მისი. უთანხმოებები, მათ შორის რომ წარმოიქმნება ხოლმე, სანიას აზრით, იმის ბრალია, რომ დედამისისათვის უცხოა ახალი იდეები; დედა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ადამიანია, სანია კი — მეორე ნახევრისა.

ირასთან რთული დამოკიდებულება აქვს სანიას. იგი მეათე კლასშია და ორი წლით უფროსია ძმაზე. ირას შეუძლია დალაგოს ოთახი, შეწვას ერბო-კვერცხი, მოამზადოს ფაფა, გააცხელოს სადილი. ეს მას დიდ უპირატესობას ანიჭებს. სანია ყველაფერს ცუდად აკეთებს, ოთახის დალაგებას ხომ, საერთოდ, ზედმეტად თვლის, იმიტომ რომ წესრიგსა და სისუფთავეს დიდხანს მაინც ვერ შეინარჩუნებს.

დედა ყველა შინაურ საქმეში ირას ემბრობა ხოლმე და სანია იძულებულია უმრავლესობას დაემორჩილოს. რაც შეეხება სერიოზულ საკითხებს, თვით ირაც კი ამბობს, სანიასთანა ჭკვიანი ბიჭი მეორე არ დადის ქვეყანაზეო.

ამოცანები, რომელთა ამოხსნაც ირას ცრემლებს აღვრვინებს, თვალისდახამხამებაში გამოჰყავს, ხოლო ინსტიტუტის, ირა რომ ძლივს ერევა, სანია არც კი სწავლობს — მეფეებისა და მხედართმთავრების ამბებს ისე ჰყვება, თითქოს მისი ძველი ნაცნობები ყოფილიყვნენ. სანიამ ისე კარგად იცის, თუ როგორ ცხოვრობს ხალხი ამა თუ იმ ქვეყანაში, თითქოს თვითონ ეცხოვროს იქ. რუკასა და გლობუსზე ხელად პოულობს ყველა ქვეყანასა და ქალაქს. მან იცის ყველა მანქანის მარკა, თვითმფრინავების ტიპები, შეუძლია სწრაფად ამოხსნას კროსვორდი. სანიას აინტერესებს უცნაური ხეები, ცხოველები და ფრინველები, შორეულ ქვეყნებში რომ ცხოვრობენ. ერთი სიტყვით, ირასათვის სანია ცოცხალი ენციკლოპედიაა.

სანია ხშირად უყვებოდა ირას მომავალ ცხოვრებაზე, როცა მთელს მსოფლიოში კომუნისში დამყარდება და აღარ იქნება არავითარი ომი. ყველაფერს გააკეთებენ მანქანები, ადამიანები მხოლოდ ღილაკს დააჭერენ ხელს, მაგალითად, მიდის მანქანა ველზე — თესავს, ხნავს ან მოსავალს იღებს, ადამიანი კი ზის თავისთვის, ჩრდილში, თვალყურს ადევნებს და მართავს მათ. ბინებშიც იქნება ასეთი კომპანიები: დააჭერს ირა ღილაკს და რომელიღაც დანა გაფტქუნის კარტოფილს. ირას უყვარდა ძმის მოსმენა და სიამოვნებითაც ეთანხმებოდა. რა სასაცილო ბიჭია სანკა! ირა გულიანად კისკისებდა, როცა ძმა მას სიყვარულზე ელაპარაკებოდა.

— ირკა, იცი, როგორ უნდა სიყვარულის ახსნა? არ იცი? მაშ მომისმინე! უნდა აიღო მწვანე ფერის ქალღიმი, დაასხა ოდეკოლონი, დახატო გული და შუაში ისარი გაუყარო, შემდეგ დაწერო: „მე თქვენ მიყვარხართ“ და გაგზავნო ბარათი. შეიძლება უბარათოდაც, ეს ამანირად ხდება: უნდა დაეშვა ცალ მუხლზე... ხომ არ იცი, მარჯვენა უნდა თუ მარცხენა? ჰო, კარგი, უნდა დაეშვა ცალ მუხლზე და თქვა: „მე თქვენ“... ამ დროს თავს მესხმის ჩემი მეტოქე და მეც ვიწყებ მასთან დაშნით ბრძო-



ლას; ვკლავ მეტოქეს, მერე მოვუბრუნ-  
დები გოგოს და ვამთავრებ ჩემს სათქ-  
მელს: „მიყვარხართ“. ხომ კარგია?

რასაკვირველია, ის ხუმრობს. სანია  
ირას ვერ ასწავლის სიყვარულის ახსნას.  
სანკა ჯერ ბავშვია.

ერთადერთი, რასაც ირა ვერ იტანდა,  
იყო გაუთავებელი ლაპარაკი ფეხბურ-  
თელეზზე. სანიას ვერ გააჩერებდი, იგი  
ადარებდა ერთ მეკარეს მეორეს, ახ-  
სოვდა ასობით ფეხბურთელის გვარი, აღ-  
რიცხავდა ყველა მატჩის შედეგს. როცა  
ირას მეტისმეტად მოზებრდებოდა ფეხ-  
ბურთის ამბების მოსმენა, ყურებში თი-  
თებს დაიცობდა. ეს აბრაზებდა სანიას,  
და ზოგჯერ საქმე ჩხუბამდეც მიდიოდა.  
მართალია, სანია მხოლოდ იქნევდა ხე-  
ლებს, ირა კი თავს იცავდა და მუშ-  
ტებს უთაქებდა, მაგრამ შერიგება მალე  
იცოდნენ, ჩხუბს არად ავლებდნენ. თუ  
დედა ჩაერეოდა და, როგორც წესი,  
ირას გაამართლებდა, მერე ყოველთვის  
ნანობდა ამას: ირა წამსვე სანიას მიემ-  
ხრობოდა ხოლმე.

სანიას უახლოესი ამხანაგია მიშა  
ფროლოვი. იგი ცხოვრობს იმავე ბინაში  
და სწავლობს იმავე სკოლაში. ნამდვი-  
ლი მეგობარი მიშასა ჰქვია!

ფროლოვებს ორი ოთახი აქვთ, სადაც  
ცხოვრობენ მიშას დედ-მამა და ნიუ-  
რა — მიშას დაი. მიშას მამა — ძია პა-  
შა — ქარხნის ცნობილი მუშაა, მისი  
პორტრეტი გაზეთშიც კი იყო დაბეჭდი-  
ლი; ნიურამ უკვე დაამთავრა საშუალო  
სკოლა, მაგრამ უმაღლესში ვერ ჩააბარა.  
მშობლები ამას ძალიან დარდობენ,  
ნიურა კი არად ავდებს. მიშას და სანიას  
აზრით, ნიურა ახლა პრანკია გახდა:  
თმას იხვევს, ფრჩხილებს იღებავს და  
ხშირად ეჩხუბება დედას.

რიაზინინებს ერთი ოთახი აქვთ, მაგ-  
რამ სამაგიეროდ მათი ფანჯარა გადის  
პატარა ბაღში, სადაც დიდი ალვის ხე  
და ყვავილნარია.

მათს ბინაში ცხოვრობს ინჟინერი ბო-  
რის სერიოგინიც, მას გამოწერილი აქვს  
დიდი საბჭოთა ენციკლოპედია და ხში-  
რად აძლევს ხოლმე სანიას წასაკითხად.  
ამას სანია დიდად აფასებს და ცდილობს

შეინარჩუნოს კარგი დამოკიდებულება  
სერიოგინის მეუღლესთან, ზინაიდასთან.  
ზინაიდა ივანოვნა სულ უბ-  
რაზდება ბავშვებს შელმას გამო.

შელმა ერთი პატარა ფინიაა, მაიმუნი-  
ვით მოძრავი, მოუსვენარი, საზრიანი  
და ეშმაკი. ზინაიდა ივანოვნა ძალს  
ემას ეძახის და ძალიან ბრაზდება, როცა  
ბავშვები შელმას ეძახიან.

სამზარეულოსთან რომ პატარა ოთა-  
ხია, იქ ცხოვრობს მარია პეტროვნა,  
საავადმყოფოში სანიტრად რომ მუშა-  
ობს. თუმცა უხეში და ბუზღუნა ქალია,  
ბავშვებს მაინც უყვართ იგი. მარია  
პეტროვნა უყვებოდა მათ საინტერესო  
ამბებს. მოსკოვის ყველა რაიონიდან  
ათასნაირი ადამიანი იწვა საავადმყოფო-  
ში და ისიც აქ უამრავ უჩვეულო ამბავს  
გებულობდა.

— ექიმები, რა თქმა უნდა, საფუძვ-  
ლიანად შეისწავლიან ადამიანს, მე კი  
დიდი გამოცდილება და მახვილი თვალი  
მაქვს. როგორც კი მოიყვანენ ჩვენთან  
ავადმყოფს, მაშინვე შემოძლია ვთქვა,  
გაეწერება საავადმყოფოდან, თუ მოკვ-  
დება. მათი ანალიზები მე არაფრად მე-  
საჭიროება! — ამბობდა იგი.

საერთოდ კი მარია პეტროვნას აინტე-  
რესებდა არა ავადმყოფი, არამედ კატას-  
ტროფები და შემთხვევები, მაღაზიებისა  
და შემნახველი საღაროების გაძარცვა,  
მკვლევლობები რთული ძიებებით, სადაც  
მეტყვარი ძაღლები თამაშობენ მთავარ  
როლს.

თუ მარია პეტროვნა საგანგებოდ ბავ-  
შვებისათვის ყვებოდა რამეს — ეს ჩვე-  
ულებრივ სამზარეულოში ხდებოდა  
ხოლმე — ის თავის მოვალეობად თვლი-  
და, შეეწყვიტა ამბის სიუჟეტური ძაფი  
პედაგოგიური დარიგებებით: რომ ბავ-  
შვებმა მშობლებს უნდა დაუჯერონ, რომ  
თამბაქოს მოწვევა საზიანოა და რომ  
არაყი არასდროს სიკეთეს არ დააყრის  
ადამიანს. ბავშვებს არ სურდათ ამ კე-  
თილი რჩევის მოსმენა და სთხოვდნენ:

მარია ბელახოვა  
ვაჟიშვილი

— კარგი, დეიდა მანია, კარგი, მერე რა მოხდა?

სანიას უყვარდა თავიანთი ბინა, მდგმურებიც კარგად ეპყრობოდნენ: სერიოზიზებისგან წიგნები მოჰქონდა ხოლმე. ფროლოვებისას ირა და ის ტელევიზორს უყურებდნენ; სადილს მარია ივანოვნა უტყებლებდა ხოლმე სანიას, თუ შინ არც ირა იყო და არც დედა.

სანიას დიდ სიხარულს ანიჭებდა ოცნება. ის კი ყოველთვის ოცნებობდა. კარგახანს ცხოვრობდა სანია ერთი ოცნებით, რომ ის იქნება უდიდესი გამომგონებელი, ისეთი, რომ მთელი მსოფლიო ალაპარაკოს. მაგრამ შემდეგ ეს ოცნება გადასდო იმ დროისათვის, როცა გაერკვეოდა ყველა მეცნიერებაში. ამ ორი წლის წინ სანია ოცნებობდა იმაზე, რომ გამხდარიყო დიდოსტატი და მაშინვე მოჰქიდა საქმეს ხელი: შეაგროვა ბიბლიოთეკაში წიგნები ჭადრაკზე, ჩაეწერა პიონერთა სასახლის საჭადრაკო წრეში. სანიას იმედი ჰქონდა, რომ ოცი წლის ასაკში იმდენად შეისწავლიდა ჭადრაკს, გვერდში ამოუდგებოდა ბოტვინიკს, კერესს და, საერთოდ, საუკეთესო მოჭადრაკეებს.

შემდეგში ჭადრაკი მიივიწყა და გადაწყვიტა, რომ მისი ჭეშმარიტი მოწოდებაა კინოში მუშაობა — რეჟისორად ან კინოოპერატორად: კინო, როგორც სანია სჯიდა, ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობაა. კინო აცნობს ხალხს ცხოვრებას გაცილებით უკეთ, ვიდრე თეატრი, ფერწერა და ლიტერატურა. მაშ რა! კინოს შეუძლია აჩვენოს ყველაფერი: ადამიანები და მათი განცდები, შემთხვევები, ბუნება, ტექნიკა. განა თეატრში შეიძლება ომის ჩვენება? კინოში კი ეს ადვილია. ან, მაგალითად, შეჯიბრი ფეხბურთში, ველოსპორტში, ნიჩბოსნობაში, მარათონულ რბენაშიც კი.

ამას წინათ სანიამ მტკიცედ გადაწყვიტა გახდეს ინჟინერ-მშენებელი. მართლაც, განა სასწაული არ არის — აიძულე მდინარე მოგცეს ელექტროენერგია, რომელიც მანქანებს აძლევს დენს, ადამიანებს — სითბოსა და სინათლეს.

სანია ბევრს კითხულობდა ბუნებაზე, ადამიანის წარმოშობაზე, სამყაროსა და ვარსკვლავებზე. იგი დარწმუნებული იყო, რომ სხვა პლანეტაზე არის ცხოვრება და არიან ადამიანებიც. მას იტაცებდა აზრი, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ არ ჰქრება, არამედ გარდაიქმნება სხვა რამედ. იგი კითხულობდა და ფიქრობდა ადამიანის ტვინის მუშაობაზე, უმადლეს ნერვულ სისტემაზე, და გადაჭრით არ ეთანხმებოდა მეცნიერებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, ცხოველებს მხოლოდ ინსტინქტი აქვთ და არა გონებაო. დროთა განმავლობაში, როდესაც სანია გახდებოდა მეცნიერი, ამას მთელ მსოფლიოს დაუმტკიცებს.

ყოველთვის, როცა იღებდა ამა თუ იმ, მუდამ „მტკიცე“ გადაწყვეტილებას — გამხდარიყო ჰიდრომშენებელი, მოჭადრაკე, ბიოლოგი, გეოგრაფი, ფილოსოფოსიც კი — სანია დაუყოვნებლივ იწყებდა პრაქტიკულ მომზადებას. იგი პოულობდა წიგნებს და გატაცებით კითხულობდა მათ.

თავისი ოცნების სამყაროს კარს მთლიანად არავის უღებდა სანია. ირა მას ვერ გაუგებდა, მიშა კი, თუმცა სანიას უახლოესი მეგობარი იყო, უნდობლად ეკიდებოდა სანიას ოცნებებს. მას ხშირად უთქვამს, რომ სანიას „კვირაში ცხრა პარასკევი აქვს“. თვითონ მიშამ ჯერ კიდევ პირველ კლასში გადაწყვიტა, ინჟინერ-მშენებელი გავხდებოო და ერთხელაც არ შეუცვლია თავისი გადაწყვეტილება. საოცარი ადამიანია!

სანიას ეჭვიც არ ეპარებოდა — მონაგალში რაღაც არაჩვეულებრივი, დიდი და კარგი რამ მელისო; ის ყველაფერს ვაკეთებს ამისათვის, წარჩინებით ისწავლის და კარგად იმუშავებს.

წლის დამდეგს ტატიანა მიხაილოვნამ რამდენჯერაც დახედა ვაჟიშვილის ნიშნების ფურცელს, იმდენჯერ გული სიხარულით აევსო: სულ ხუთიანები აქვს სანიას. იქნება ამიტომაც სიამოვნებით გამოიყენა უფასო საგზური და სამკურნალოდ კურორტზე გაემგზავრა.

განა შეიძლება წინასწარ იცოდე ყველაფერი?

ერთხელ, სექტემბრის ბოლოს, სკოლის დირექტორმა კლასში შემოიყვანა ახალი მოსწავლე; მას მეზღვაურის ფორმა ეცვა.

— ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ: იგორ დიჩკოვი, — თქვა დირექტორმა. — გთხოვთ, გიყვარდეთ და სწყალობდეთ!

მეზღვაური კლასში! თანაც როგორი! მაღალი, ძლიერი, ნამდვილი ფიზიკულ-ტურელი. პროფილში მეზღვაური ინდიელს ჰგავდა. ახალი მოსწავლე რომ აშკარად უფროსი იყო ყველა მეცხრე-კლასელზე, ამას ყველა მაშინვე მიხვდა.

მეზღვაური კოლია მაზინის მერხზე დასვეს და ყველამ რაღაც უხერხულად იგრძნო თავი. კოლკა და მეზღვაური ერთად?! პატარა, სუსტი კოლკა ახალ-მოსულის გვერდით სასაცილო ჩანდა.

შესვენებაზე სანია მაზინთან მივიდა:

— მოიხედე! დაჯექი ჩემს მერხზე, მე კი შენსაზე დაჯდები, კარგი?

კოლკამ თვალეზი დააჭყიტა:

— მე რა, სულელი ვარ? ეგ საზღვაო სასწავლებლიდანაა. და, საერთოდ, ღმერთივით ბიჭია! იცი რა? სულ უკანა მერხზე დაჯექი, ჩვენთან ახლოს იქნები.

პირველ დღესვე სკოლიდან ერთად გამოვიდნენ სამნი: იგორ დიჩკოვი, კოლია მაზინი და სანია. კოლია წინ უსწრებდა ახალ მეგობარს, სახეში შესციცი-ნებდა, იცინოდა და ხტოდა პატარა ბავშვივით. სანია მორცხვობდა, შიშობდა, მეზღვაურთან არ წამოცდენოდა უაზრო სიტყვა; ან ზედმეტი არაფერი ეთქვა. სამაგიეროდ იგორი მეზღვაურულად მოაბიჯებდა და მხიარულად უყვებოდა ახალ მეგობრებს თავის ამბავს. მას თურმე შვიდი წელიწადი ესწავლა მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში.

— მერე მამამ ოდესის სასწავლებელში მომაწყო. ის ცნობილი მეზღვაურია, კაპიტანი. მინდოდა მეც კაპიტანი გავმხდარიყავი, მაგრამ ჯანმრთელობამ მიმტყუნა.

არაჩვეულებრივად საინტერესო იყო მოსმენა ადამიანისა, რომელსაც მრავალი რამ ენახა. იგორი თურმე ვეშაპსანადირო ფლოტილიის „სლავას“ კაპიტანსაც კი იცნობს.

— მე ასე ვიდექი. ის კი, აი როგორც კოლია დგას, ძალიან ახლოს. ჯანმრთე-ლია, გარუჯული, ისეთი ღონიერია, შე-უძლია ვეშაპს შეებრძოლოს.

იგორი, სანია და კოლკა განუყრელი მეგობრები გახდნენ. კლასში გვერდი-გვერდ იხსდნენ, ჩურჩულებდნენ ან გადასცემდნენ ერთმანეთს პატარა ბარათებს, სკოლიდან ერთად გამოდიოდნენ და მერე მცირე ხნით თავ-თავიანთ სახლებში შეიბრუნდნენ. სანია ძლივს ასწრებდა წახემსებას, რომ იგორი უკვე ტელეფონზე იხმობდა.

— აბა, როგორ არის საქმე? შესანს-ლე რამე? იქნება გავსულიყავით რეიდი-დან? რაო, გაკვეთილები? მერე ერთად მოვამზადოთ. გამოდი, მოსახვევში გელოდები.

სანია მაშინვე მიდიოდა, შინ ისე გვიან ბრუნდებოდა, რომ გაკვეთილების დამზადებას ევლარ ასწრებდა.

იგორი ნამდვილი გამომგონებელი იყო: დღე არ გავიდოდა, ახალი გასართობი არ მოეგონებინა: ხან მიდიოდნენ კინოთეატრში, ხან იპოდრომზე (თუ დღე იყო), ხან კულტურის პარკში, ხან ცენტრში დახეტიალობდნენ — შედიოდნენ მაღაზიებში ან კიდევ ქუჩაში მდგარ საზღვარგარეთულ მანქანებს ათვალეობდნენ.

მარია პეტროვნას გულმა უთხრა, რაღაც კარგი ამბავი არ უნდა იყოსო:

— გაკვეთილებს რატომ არ ამზადებ? ან სად დახეტიალობთ შენ და შენი მეგობარი?

— გაკვეთილები უკვე დავამზადე, როცა თქვენ პოლიკლინიკაში იყავით, და საერთოდ, ეს არაა თქვენი საქმე.

— ჩემი საქმეა! — ჯავრობდა მარია პეტროვნა, — დედაშენმა მე ჩამაბარა თქვენი თავი. ავდგები და მივწერ ყველაფერს!

2

ტატიანა მიხაილოვნამ დიდი ხანია თავი მოუყარა თავის ბარგს, ახლა ვაგონის სარკმელთან იჯდა და გაპყურებდა მარია ბელახოვა ვაჟიშვილი





სკოლის დირექტორთან და მაშინ ვნახოთ!

— აბატიეთ, ვეთაყვა! — უთხრა ტატიანა მიხაილოვნამ. — ჩხუბს თავი დავანებოთ — ხილი ამოვალაგოთ და ვივახშმოთ.

მარია პეტროვნამ ხელი ჩაიქნია და სუფრის გაშლას შეუდგა. მან დილითვე მოამზადა სალათა და თევზი. ტატიანა მიხაილოვნამაც ქლიავი და საზამთრო ამოალაგა. უსაზღვროდ ბედნიერი იყო ტატიანა მიხაილოვნა. სიამოვნებდა იმის ყურება, თუ რა ვემრიელად შეექცეოდნენ შვილები მის ჩამოტანილ ძღვენს. ირას საზამთროსაგან ლოყებიც კი დაუსველდა.

როცა ირა და სანია დასაძინებლად დაწვნენ, უფროსები გავიდნენ სამზარეულოში, რათა გულახდილად ესაუბრათ.

— თქვენი ბავშვებისათვის ყურადღება არ მომიკლია, — თქვა მარია პეტროვნამ, — მაგრამ მეორეჯერ ამ საქმეს ჩემს სიცოცხლეში არ ვიკისრებ. ირა, რა თქმა უნდა, დიდი და ჭკვიანი გოგონაა, მაგრამ სანიას ვერაფერი მოუუხერხებ. გაკვეთილებს სულ არ ამზადებდა. ყველაფერი არეული ჰქონდა: ხან ცხრაზე მიდიოდა, ხან — თერთმეტზე, არასდროს ნორმალურად არ სადილობდა, ყოველთვის სადღაც მიეჩქარებოდა. ახალი ამხანაგი გამოუჩნდა, არც ვიცი, დიდი აჩკოვია თუ დიჩკოვი; სულ მასთან იყო, მიშას აღარ მეგობრობს, მე სულ არ მიჯერებდა, ყველაფერზე მეუბნებოდა, რა თქვენი საქმეაო.

— მარია პეტროვნა, სკოლაში თუ იყავით? — ჰკითხა ტატიანა მიხაილოვნამ.

— ვიყავი. ახალგაზრდა დამრიგებელი ჰყავთ. არაფერია, დედი, ნუ ნერვიულობთო. სანიას დედა გვერნე. მაგრამ როგორც ვფიქრობ, ბიჭს ყველაფერი რიგზე არ უნდა ჰქონდეს. ახლა თქვენ გაარკვიეთ.

— დღიურს გადავხედე, წესიერი ნიშნები აქვს. ყოველ შემთხვევაში, ორიანები არ ურევია. ისე კი, ძალიან გამხდარა...

სკოლის დერეფანში სიცარიელე და სირუმი იყო, მხოლოდ კლასებიდან მხოლოდ ისმოდა მასწავლებლების ხმამაძრავი ლაპარაკი. ტატიანა მიხაილოვნა მეორე სართულზე ავიდა და სამასწავლებლოსთან გაჩერდა: გადაწყვიტა, აქ დალოდებოდა დამრიგებელს, კლავდია ივანოვნას.

კლავდია ივანოვნამ, ახალგაზრდა ქერა ქალიშვილმა, პირველად წელს დაიწყო სკოლაში მუშაობა. იგი შესამჩნევად შეცვლილიყო სექტემბრის შემდეგ, როცა ტატიანა მიხაილოვნამ პირველად ნახა: ფერი დაჰკარგოდა და თითქოს ხალისიც მოჰკლებოდა.

— გამარჯობათ! — უთხრა ტატიანა მიხაილოვნამ, — მე სანია რიაზინის დედა გახლავართ; მითხარით, როგორ იქცევა სანია, როგორ არის მისი საქმე?

ეტყობოდა, კლავდია ივანოვნა რაღაცით შეწუხებული იყო და უყურადღებოდ უსმენდა ტატიანა მიხაილოვნას.

— მე, დედი, მიღების დღეები ოთხშაბათობით მაქვს! სამიდან ოთხამდე. დღეს კი შაბათია.

— მაბატიეთ, ჩემი ბიჭის ამბავი მაწუხებს, მე სანატორიუმში ვიყავი, აქ არ გახლდით.

— მერე რატომ წუხდებით? რიაზინის, რა თქმა უნდა, შეუძლია უკეთ ისწავლოს, მაგრამ საერთოდ არა უშავს.

— ყოფაქცევა როგორი აქვს?

— როგორიც ყველას, — უბასუსხა კლავდია ივანოვნამ და მხრები აიჩქია.

— ახლა ის მითხარით, როგორია თქვენი მოსწავლე დიჩკოვი, მას სანია დამეგობრებია... კარგი ბიჭია?

— ჩვეულებრივი.

კლავდია ივანოვნას აშკარად ეჩქარებოდა და ამიტომ ცდილობდა, მალე დემთავრებინა საუბარი.

— კეთილი, გმადლობთ, — უთხრა ტატიანა მიხაილოვნამ და გამობრუნდა. ვითომ ყველაფერი რიგზეა?! მაშ რატომ უთხრა მარია პეტროვნამ, სანია გაკვეთილებს არ ამზადებდა, სკოლაში აგვიანებდაო?

მარია ბელახოვა

ვაჟიშვილი



ტატიანა მიხაილოვნა შინ მივიდა და სახლის დალაგება დაიწყო. ირას და სანიას სამუშაო მაგიდეებზე წესრიგი იყო. ოღონდ ირას რვეულები სუფთად და წესიერად აქვს, სანიას რვეულები კი აჭრელებულია ფანტასტიკური გამოსახულებებით, კუბებით, კვადრატებით.

ტანსაცმლის კარადა არეულ-დარეული იყო. ირინას კაბები დაუდევრად ეკიდა, — ეტყობოდა, როგორც მოხვდა, ისე მიაკიდა. მტვრიანი ფეხსაცმელი და გაურეცხავი კალოშები გროვად ეყარა. სანიას კოსტუმი ჭუჭყიანი და დაკუჭული იყო. ტატიანა მიხაილოვნა გაშრა — ახლახან, შემოდგომაზე უყიდა ეს კოსტუმი სანიას და იმედი ჰქონდა, რომ ფორმასთან ერთად ორი წელი მაინც ეყოფოდა. მთელი წელიწადი აგროვებდა კოსტუმის ფულს და რას დაუმგვანებია! ტატიანა მიხაილოვნამ მარია პეტროვნას მიაშურა.

— მარია პეტროვნა, ძვირფასო! რატომ არის სანიას კოსტუმი ამ დღეში? განა ფორმით არ დადიოდა?

— ფორმით? დღეგამოშვებით დაბრძანდებოდა სკოლაში და მაშინაც კოსტუმს იცვამდა.

— რაო? სკოლაში ხომ აკრძალულია უფორმოდ სიარული? ახლა იქ ვიყავი და არც ერთი მოსწავლე არაა უფორმოდ.

— ამისთვის წავეჩხუბე კიდეც სანიას. მან კი მითხრა, დირექტორი შევბუღებამა და ფორმით არავინ დადისო!

— ეგ ხომ სისულელეა!

— ზოგჯერ სკოლაში სულ არ მიდიოდა ხოლმე, მასწავლებლები ავად არიანო, ესეც ჩემი ბრალია?

— მერე თქვენ შეამოწმეთ, მასწავლებლები მართლა არ იყვნენ? მიშასათვის მაინც არ გიკითხავთ?

— ყველას ხომ არ ჩამოვუვლიდი და არ გამოვკითხავდი? მიშა თვითონაც ხედავდა ყველაფერს.

მარია პეტროვნა ისე გაგულსდა, რომ ტატიანა მიხაილოვნამ აღარ იცოდა, როგორ დაემშვიდებია.

— როგორ გეკადრებათ? მე მხოლოდ გკითხეთ. ნუ ღელავთ, დაწყნარდით.

ირა სანიაზე ადრე დაბრუნდა სკოლაში და. ტატიანა მიხაილოვნამ დააპირა ეკითხა მისთვის, მაგრამ ირა უცებ აჩქარდა, მოიმიზეზა, არა მცალიაო და გაიქცა. მალე სანიაც მოვიდა, იგი რაღაც მოუსვენრად იყო: ხან ჩანთაში იქექებოდა, ხან ჯიბეებში, ვითომც საქმე მაქვს, თავი დამანებეთო.

ბინის დერეფანში საერთო ტელეფონი იდგა. აქამდე მის ბავშვებს თითქმის არასოდეს უსარგებლიათ ტელეფონით. ტატიანა მიხაილოვნა და ფროლოვები უკრძალავდნენ ბავშვებს თანაკლასელებთან ლაყობას. ახლა, როგორც კი ტელეფონის ზარმა დარეკა, სანია გაფრინდა და ყურმილი აიღო.

— გისმენთ, ჰო, მე ვარ. არაფერი. არ ვიცი. ვნახოთ, შენ თვითონ უნდა გესმოდეს. არა, მერე. მიჰქარავ! არ მაქვს ხელსაყრელი პირობები. ო, მხოლოდ შენა ხარ ეგეთი გულადი! არ ვიცი. მდგომარეობა ასეთია. ჰო, რა თქმა უნდა, მალე, მალე, მელოდე. ნახვამდის!

ტატიანა მიხაილოვნა ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს და გაოცებული იყო. როგორ უთხრა? არ მაქვს ხელსაყრელი პირობებიო? რას ნიშნავს ეს? დედის თანდასწრებით ვერ ამბობს სათქმელს? არა, საჭიროა შევილთან მოლაპარაკება. ოთახში შევიდა და მშვიდად ჰკითხა სანიას:

— ვინ დაგირეკა?

— არის ერთი, — უპასუხა სანიამ.

— სკოლიდან? შენი კლასელია?

— ჰო.

— რა ჰქვია?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— მითხარი, ვინ არის, როგორ სწავლობს?

— არ ვიცი.

— რა არ იცი? არ იცი, როგორ სწავლობს შენი თანაკლასელი?

— სწავლობს რა...

— სანია, რატომ მაძლევ ეგეთ მოკლე პასუხებს? დიდ თემებსა სწერ და უბრალო რამეზე კი პასუხი ვერ გაგიცია! მითხარი-მეთქი, გეუბნები!



- რა უნდა გითხრა?
- ვინ დაგირეკა?
- ეგ შენთვის საინტერესო არ არის.
- ხომ გეუბნები, რომ მაინტერესებს.

სანია დუმდა.

— ხმა ამოიღე, სანია. — თითქმის ტირილით სთხოვდა ტატიანა მიხაილოვნა, მაგრამ სანია არაფერს ამბობდა.

ტატიანა მიხაილოვნა მოუთმენელი ადამიანი იყო. იგი ყოველთვის ცდილობდა სინათლე შეეტანა შექმნილ მდგომარეობაში. ლოდინი არ შეეძლო. მაშინაც კი, როცა ძალზე საჭირო იყო თავის შეკავება, ტატიანა მიხაილოვნა ვერ ახერხებდა ამას. ახლაც მოუნდა დაუყოვნებლივ შეეტყო სიმართლე. მიშა ფროლოვს მოელაპარაკოს? რა თქმა უნდა! რატომ აქამდე არ მოიფიქრა. ჩამოვიდა და ფაციფუცში არც გახსენებია მიშა, სანამ საღამოთი შორიდან არ მოპოკრა თვალი. ტატიანა მიხაილოვნა ძალიან აფასებდა სანიასა და მიშას მეგობრობას. მიშა კარგი ბიჭია. დინჯი, თავდაპირველი, მართალი. კარგად სწავლობს, დედას ეხმარება, უყვარს კითხვა, უყვარს ჩხირკედელაობა.

როცა სანია სასეირნოდ წავიდა, ტატიანა მიხაილოვნამ მიშა მოიხიშ.

— მიშა, მინდა რჩევა გითხო, სანიას თავს რაღაც ამბავია. შენ ხომ არაფერი იცი ამისა?

მიშა ხმას არ იღებდა.

— გთხოვ, ნუ დამიმალავ. მე ყოველთვის მჯეროდა შენი, მითხარი სიმართლე.

— არც მიფიქრია თქვენი მოტყუება, — თქვა მიშამ და პირდაპირ, გულღიად შეხედა ტატიანა მიხაილოვნას თვალებში. — მაგრამ არც ის მინდა, ენატანია ვიყო. სად არის სანკა? მისი თანდასწრებით ვიტყვი ყველაფერს.

— სადღაც წავიდა, — თითქმის ტირილით თქვა ტატიანა მიხაილოვნამ. — რაში გჭირდება? აყვირდება და ორივეს გვაწყენინებს, ისეთ დღეშია, ველარ ვცნობ. ძალიან გთხოვ, მიაშბე...

— პო, კარგი, — დათანხმდა მიშა. —

გეტყვით, ოღონდ დღესვე უთხარი, რომ თქვენ გელაპარაკეთ.

მიშა მიაშტერდა ერთ წერტილს, უბოდა გულისყური მოეკრიბა. ასე იცოდა ხოლმე, როცა გაკვეთილს პასუხობდა. ასეთი გაოგნებული გამოხედვით და მორცხვი ღიმილით ლაპარაკობდა ის ყოველთვის სერიოზულ საქმეზე.

— სანიამ დაახლოებით ნახევარი გააცდინა.

— რაო?!

— იქნებ ცოტა ნაკლები. ჯერ ერთი, როგორც წესი, არ დადიოდა სამშაბათობით და ხუთშაბათობით. ზოგჯერ სხვა დღეებსაც აცდენდა.

— იქნებ გეშლება? ხომ არ ცდები?

— თვითონ მითხრა, თავი მოიწონა. ეგა და დიჩკოვი ერთად აცდენენ გაკვეთილებს.

— შენ არაფერი გითქვამს ამისთვის, არ შეგირცხვენია? აკი კარგი მეგობრები იყავით!

მიშა მოიღუშა:

— როგორ არა, ბევრჯერ შევარცხვინე. მან კი ყურიც არ მათხოვა, „წმინდანად“ მომნათლა და მითხრა, შენთან მოწყენილი ვარო. ახლა დიჩკოვთანაა. დიჩკოვი მოდაზე იცვამს და, საერთოდ, სანიაც ცდილობს მიპაპოს მას, შავ ხელთათმანებს იცვამს და თითებს ფარჩხავს ხოლმე.

— მიშა, რატომ არავის უთხარი, რომ სანია გაკვეთილებს აცდენდა?!

— ვისთვის უნდა მეთქვა? დეიდა მაშა თვითონაც ხედავდა.

— კი მაგრამ, სკოლაში? შენ ხომ აქტიური კომკავშირელი, შენი ჯგუფის კომორგი ხარ!

მიშამ მხრები აიჩეჩა და დამნაშავედ გაიღიმა.

— ეგ ხომ უხერხულია. მათ ჰყავთ მასწავლებელი და თავიანთი კომკავშირელები. თუმცა მათი კომკავშირული ჯგუფი სუსტია.

— მიშა! როგორ მწყინს, რომ სხვა-

მარია ბელახოვა  
ვაჟიშვილი

დასხვა ჯგუფში ხართ! როგორ მენანება, რომ აღარ მეგობრობთ!

მიშა ფანჯრისაკენ მიბრუნდა. განა მას არ ენანება? ის და სანია ხომ თითქმის ბავშვობიდან მეგობრობდნენ, ერთად სწავლობდნენ ციგურებით სრიალს, ერთად შევიდნენ სკოლაში, პიონერთა სასახლის საჭადრაკო წრეშიც ერთად დადიოდნენ — ყველგან და ყოველთვის ერთად იყვნენ: ახლა? დიდი ვინმე კი ბრძანდება ის დიჩკოვი!

გვიან იყო, ირა უკვე ლოგინში იწვა, როცა სანია შინ დაბრუნდა. შეღმა ცუცხულით შეიგება, მაგრამ გაოგნებული გაჩუმდა — მას არ მოეფერნენ.

სანია გაფითრებული და გაბრაზებული შემოვიდა. ტატიანა მიხაილოვნა მაშინვე მიხვდა, ალბათ მიშასთან მოუვიდა ლაპარაკიო.

— ივასშემებ? — ჩვეულებრივი კილოთი ჰკითხა ტატიანა მიხაილოვნამ.

— არ მინდა! — დაიყვირა სანიამ. — და თუ შეიძლება, ნუ ერევი ჩემს საქმეში! თავი დაანებე სხვების გამოკითხვას.

ტატიანა მიხაილოვნამ გულმოსულმა შეხედა შვილს და წყნარად დაიწყო:

— ათასი სიგლაზე ჩაიძინე და ახლა ჩემზე გინდა იყარო ჯავრი? რას ჰქვია, არ ჩავერიო შენს საქმეში! მე დედა არა ვარ? თქვი, რამდენი მეცადინეობა გაცდინე? მე მიშამ...

— იმ ანგელოზმა იქნებ უპრესიც დამწამოს! — იყვირა სანიამ. — ნუ ერევი, ნუ! იმ შენს აღსაზრდელებს მოწმინდე ცხვირი, სხვა რამის შნო მაინც არა გაქვს! გამომივიდა ესეც პედაგოგი! ნულია შენი აღმზრდელობითი მუშაობა.

ტატიანა მიხაილოვნა შვილს მიუახლოვდა და სილა გააწნა.

— არამზადავ! როგორ მიზედავ!

— აბა, აბა! — ბოროტად შეპლრინა სანიამ, ბრაზით კინალამ დაიხრჩო. — აბა სინჯე კიდევ... მე რე შენს თავს დააბრალებ...

ტატიანა მიხაილოვნა ლოგინზე დაემხო და აქვითინდა.

— ახლა მე გამოვალ ყველაფერში დამნაშავე, — ჩაიბუტბუტა სანიამ.

ტატიანა მიხაილოვნა გულამოსკენილი ქვითინებდა. ოთახში მარია პეტროვნამ შემოიხედა, მაგრამ, ეტყობა, მიხვდა, რომ ჩარევა არ იყო საჭირო. აღამიანმა თვითონვე უნდა გამოიტეროს თავისი მწუხარება.

სანია დაწვა და საბანი თავზე წაიფარა. ირა ლოგინზე წამოიწია. ვაი, როგორ ქვითინებს დედა! სანკაც ტირის? შერცხვა, განა? ბრიყვი! იქნებ არცაა დამნაშავე? რაც არ უნდა იყოს, იგი უფროსია და, რასაკვირველია, ყველაფერი იცოდა, მაგრამ რა უნდა ექნა? ბარემაც ელაპარაკებოდა, მაგრამ სანიას შენ დააჯერებ? დედას კი არ მისწერა, დედა ხომ სამკურნალოდ იყო წასული. ოჰ, ნეტა რა მოხდება? ნაღვლიანად ფიქრობდა ირა და ამ ფიქრმა ისიც აატირა.

დაიძინა ირამ, თითქოს სანიასაც ჩაეძინა, ტატიანა მიხაილოვნა კი წიგნს თვალგახელილი. აღარ ქვითინებს, მაგრამ ცრემლი მაინც სდის. ამზობენ, დედები შვილებს ყველაფერს აბატიებენო. შესაძლოა, მაგრამ ამ წუთას ტატიანა მიხაილოვნას ჰგონია, რომ არასდროს არ დაავიწყდება დღევანდელი შეურაცხყოფა და არც არასოდეს აბატიებს სანიას. „შენს აღსაზრდელებს მოწმინდე ცხვირი, ნულია შენი აღმზრდელობითი მუშაობა“... ამ სიტყვების გახსენებაზე ტატიანა მიხაილოვნას ისევ ტირილი უნდა.

ეს სადაური საქციელია? განა შეიძლება ასე შეურაცხყო დედა! სანია პატარა არ არის, უნდა ესმოდეს, როგორია მართოხელია ქალისათვის ორი ბავშვის გაზრდა, ზრუნვა და დარდი ყოველდღე, წლების მანძილზე. მთელი ცხოვრება ბავშვებს შესწორა, მათშია მისი ბედნიერება და სიხარული, არავითარი სხვა, პირადი ცხოვრება მან არ იცის.

მაგრამ განა სანიას ესმის ეს? არა, რომ გაიგოს, ბევრი რამ თვითონ უნდა გამოსცადოს. დედა უფრო მალე გაუგებს ბავშვებს, დედას გამოუვლია მათი ასაკი, იცის ახალგაზრდობა, მისი სიხარული, მისი შეცდომები და გატაცებები. სანიამ კი რა იცის? ჯერ ყმაწვილია, ჭაბუკიც კი არ არის და ხომ ცნობილია, რა

გულფიცხები არიან ბიჭები ამ ასაკში, რა ავადმყოფური თავმოყვარეობა აქვთ.

ტატიანა მიხაილოვნა უკვე ამართლებს სანიას და ტუქსავს თავის თავს. სანია კარგი, კეთილი ბიჭი იზრდებოდა, უყვარდა თავისი დედა. როდის წაუვიდა შვილი ხელიდან? აი, გული მოსდის, მაგრამ თვითონაც ბევრ რამეშია დამნაშავე. რა დროს აგარაკი იყო? განა სწორად მოიქცა, შვილს სილა რომ გააწნა?

და საერთოდ, განა ასე კარგად კი გაზარდა შვილები? მას სურდა, რომ შვილებს უშამოდაც ბედნიერი ბავშვობა ჰქონოდათ, ცდილობდა, ყველაფერი თვითონ გაეკეთებინა: დაეღაგებინა, გაერეცხა, მოეხარშა. ამით ის ცუდს უკეთებდა მათაც და თავის თავსაც. სანია სულ არ მიაჩვია შრომას. ირასაც არაფერი უჭირდა, უფრო მეტად რომ დახმარებოდა დედას. მამა რომ ჰყოლოდათ...

მამა! როგორ საჭიროა ახლა მამა. იგი მოელაპარაკებოდა ვაჟიშვილს, როგორც უფროსი, როგორც ამხანაგი, იგი მიაგნებდა შვილის გულის გასაღებს. მამა აღზრდიდა შვილს გულად, მამაც, მტკიცე ადამიანად. სანია კარგია, კეთილია, მაგრამ სუსტი ნებისყოფისაა, დამყოლია. ბიჭისათვის ყოველთვის საჭიროა მამა, კარგი მამა. ტატიანა მიხაილოვნა გრძნობდა თავის უმწეობას. მას ესაჭიროებოდა დახმარება — მასწავლებლების, კომკავშირელების. ხვალ წავა სკოლაში... თუმცა იქნებ არ ღირს ამ ამბის გახმაურება? ჯერ ხომ არაფერი საშიში არ მომხდარა? იქნებ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს?

ასეთ ფიქრებში გაატარა ტატიანა მიხაილოვნამ ის უძილო ღამე.

#### 4

კვირა დილით ტატიანა მიხაილოვნა მიხვდა, რომ მეზობლებმა მისი ქვითინი გაიგონეს და ალბათ, წაიჭორავეს კიდეც. მარია პეტროვნა ისე გამოელაპარაკა მას, როგორც მძიმე ავადმყოფს — ხმადაბლა, ნაზად. მიშა ფროლოვის დედამ, ანა პავლოვნამ, უთხრა:

— ტატიანა მიხაილოვნა, თქვენ, მგო-

ნი კარტოფილი არა გაქვთ. ჯერჯერობით ჩვენგან წაიღეთ, მთელი ტომარა ვიყიდეთ.

— გმადლობთ...

ტატიანა მიხაილოვნა თავს ძლივს იკავებდა, რომ არ ატირებულყო. როგორც ჩანს, მარია პეტროვნამ იგრძნო მისი მდგომარეობა და შემენახველ საღაროში ახლასან მომხდარი ამბის მოყოლას შეუდგა:

— დგას თურმე ხალხი რიგში. ზოგი ფულის შესატანად მოსულა, ზოგი — გამოსატანად, ზოგი კი ობლიგაციებით. უცებ ორი ახალგაზრდა შემოვიდა. ერთი პირდაპირ მოლარესთან მიიჭრა, მეორე კართან დადგა და ხელები მაღლაო, დაიყვირა... შემდეგ კი... მოიყვანეს ძაღლები. ამბობენ, ავაზაკები მეორე დღეს რესტორანში შეიპყრეს.

სამზარეულოში ზინაიდა ივანოვნა შემოვიდა.

— დილა მშვიდობისა! ძალიან ცუდად მეძინა. ეტყობა, ამინდი შეიცვლება. წვიმები იქნებაო, ამბობენ. შემოდგომა საერთოდ აუტანელია: ტალახი და ჭუჭყია. ამ დროს უნდა წახვიდე სადმე. ტატიანა მიხაილოვნა, თქვენ კარგად მოიქეცით, რომ სოჭში შემოდგომაზე გაემგზავრეთ.

ეს რომ თქვა, ზინაიდა ივანოვნა ტატიანა მიხაილოვნას დააკვირდა და სახტად დარჩა:

— რა მოგივიდათ? როგორ დაგსივებით თვალები! ამოდ ღელავთ, ახლანდელი ახალგაზრდობა ასეთია. როგორ ტანჯავენ ბავშვები მშობლებს! თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ, მაგრამ ჯერ კიდევ სარკეში! ორმოცდაათზე ნაკლებს არ მოგცემენ. სხვათა შორის, ბავშვების პატრონი აგარაკზე არც უნდა წავიდეს!

— ნუ აწყენინებ ადამიანს, — გააწყვეტინა მარია პეტროვნამ, — ისედაც გული აქვს შეწუხებული.

ტატიანა მიხაილოვნამ აიღო ტაფა, ჩაიდანა და სასწრაფოდ შევიდა ოთახში.

მარია ბელახოვა

ვაჟიშვილი



ირა სუფრას აწყობდა. სანია საწოლს ასწორებდა, ეტყობოდა, ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. ტატინა მიხაილოვნამ ფარულად გადახედა სანიას. ბიჭი ფერმკრთალი და აღლევებული იყო. ჩუმად ისაუბმეს. სანია ცოტას და უხალისოდ ჭამდა. შემდეგ ადგა, მივიღვარო, ჩაიბურღლუნა და წავიდა.

ტატინა მიხაილოვნა ირას მიუბრუნდა:

— ხედავ, რას მოვეწწარი! სანიამ არათუ ბოდიში მოიხადა უზრდელი საქციელის გამო, ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე წავიდა.

ირა დუმდა, ტატინა მიხაილოვნას კი უნდოდა, მასაც დაეგმო სანიას საქციელი.

— რატომ არაფერს ამბობ, შვილო?

— რა უნდა ვთქვა: შენც მეცოდები... სანიაც... — და ხმამაღლა, პატარა ბავშვივით აქვითინდა. ტატინა მიხაილოვნას გაელინა:

— ნუ სულელობ! ყველაფერი გამოსწორდება... აი, როგორი ბრიყვეები ხართ!

კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით, — თქვა ტატინა მიხაილოვნამ და ძალიან გაუკვირდა, როცა კარებში მიშას მამა, პავლე ფროლოვი დანახა.

— სანია სად არის? — იკითხა პავლე ივანოვიჩმა.

— სადღაც წავიდა. ნახვა გსურდით მისი?

— მინდოდა ერთი-ორი სიტყვა მე-თქვა. მიხეილმა ყველაფერი მიაშპო. მეც ვიფიქრე, მოდი ვისინჯავ, იქნებ შევძლო მისი ჭკუაზე მოყვანა-მეთქი. მინდოდა მასთან გულახდილად მესაუბრა, მამა-შვილურად დამერიგებინა.

— გმადლობთ, პავლე ივანოვიჩ, დიდი მადლობა გულისხმიერებისათვის.

— მე მგონია, სამადლობელო აქ არაფერია, ტატინა მიხაილოვნა. ამ საქმეს ჩვენ თავის დროზე ვერ მივაქციეთ ყურადღება, ყველას უნდა მიგვეხედა თქვენი ბავშვებისათვის. თქვენ, რა თქმა უნდა, მკურნალობა გესაჭიროებოდათ. მაგრამ სანია ხომ ჭკვიანი, განათლებუ-

ლი ყმაწვილია, როგორც ჩემი მიხეილი. მე აუცილებლად მოველაპარაკებო მას.

სანია ყოველთვის გრძნობდა პავლეს ივანოვიჩის გულთბილ დამოკიდებულებას მისდამი და ირასადმი. იგი მათ ხშირად ტელევიზორზე იწვევდა. ახლაც კი, როცა სანია და ირა წამოიზარდნენ, კონფეტებით უმასპინძლდებოდა. როცა სანია პატარა იყო, პავლე ივანოვიჩს, თუ სადმე მიშასთან ერთად წავიდოდა, აუცილებლად სანიაც თან მიჰყავდა. ისინი ერთად დადიოდნენ ზოოლოგიურ ბაღში, პლანეტარიუმში, ცირკშიც კი.

— ჩვენ, კაცები, ერთად უნდა ვიყოთ, რომ ქალებმა არ დაგვჩაგრონ, — ოდნავი ღიმილით ამბობდა ხოლმე პავლე ივანოვიჩი. თუ მიშას დედა გაუჯავრდებოდა, მამა ანიშნებდა შვილს, გაჩუმდი, ილაპარაკოს, დაიღლება და დაწყნარდებო. ასეთ მხარდაჭერას რომ გრძნობდა, მიშა სიმტკიცეს იჩენდა და მედიდურად დუმდა, როდესაც დედა ტუქსავდა. სანიას მოსწონდა მამა-შვილის ამხანაგური დამოკიდებულება, მოსწონდა თვით პავლე ივანოვიჩი და ცდილობდა ბევრ რამეში მიეზაძა მისთვის. მაგრამ ეს არ იყო ადვილი. პავლე ივანოვიჩისავით კეთილი და მხიარული რომ იყოს, ეს შესაძლებელია, მასავით მარჯვე კი ნამდვილად ვერ იქნები. ტყუილად კი არ არის იგი მთელ ქარხანაში ცნობილი ადამიანი. მას ყველაფერი ეხერხებოდა. ტელევიზორის შეკეთება იცოდა, ბინასაც თვითონ არემონტებდა: კედლებს ლესავდა, ლებავდა, შპალერსაც თვითონ აკრავდა და, რაც ყველაზე საკვირველია, კერძსაც შესანიშნავად ამზადებდა. ზინაიდა ივანოვნამ ერთხელ კიდეც უთხრა მას:

— საკვირველი ქმარი ხართ! თქვენი სთანები იშვიათია. მითხართ, ნუთუ არ გრცხვენიათ, ქალის საქმეს რომ აკეთებთ?

— რისი უნდა მრცხვენოდეს? ანია ხომ მამაკაცის საქმეს აკეთებს ქარხანაში! თქვენ, ზინაიდა ივანოვნა, ჩამორჩენილი ბრძანდებით, თუმცა გიმნაზია კი გაქვთ დამთავრებული. როცა ქალი მართო ოჯახში ტრიალებს, რო-

გორც, მაგალითად, თქვენ, მაშინ მას იმდენი აღარ მოეთხოვება. ჩემი ანია განა ჩემზე ნაკლებად მუშაობს ქარხანაში? იგი ხომ ადგილკომის წევრია, რატომ უნდა იჯდეს შინ და ყველას ნაცვლად იმუშაოს?

პავლე ივანოვიჩის სიტყვები საქმით დასტურდებოდა, — იგი ყველაფერში ეხმარებოდა თავის მეუღლეს.

სანია შეშფოთდა, როცა მას პავლე ივანოვიჩმა დაუძახა, „აღბათ მიშკამ ყველაფერი უთხრა მამას“, გაიფიქრა მან.

— ალექსანდრე, მოდი მოვითათბიროთ, — უთხრა პავლე ივანოვიჩმა, — რა ამბავია შენს თავს?

იმაზე ადვილი არაფერი იქნებოდა, რომ სანიას ძია პაშასთვის ყველაფერი ეთქვა, ის ხომ ნამდვილად გაუგებდა, მაგრამ როგორ უნდა უამბო შენი ცუდი საქმეები იმ ადამიანს, რომლის აზრსაც შენ ასე აფასებ? არა! ყველას უამბობს, პავლე ივანოვიჩს კი ვერა. შეიძლება ყველაფერმა კარგად ჩაიაროს. და სანია-მაც პავლე ივანოვიჩს უთხრა:

— ისეთი არაფერი, ძია პაშა, დიდი ამბავი, თუ ორიანები მივიდე! რომ მოვინდომო, ყველას ერთად გამოვასწორობ.

— გულს რად უკლავ დედას? გაიზრდები, დაჭკვიანდები და ამ სისაძაგლეს შენ თავს ვერ აბატეებ. დედა — ეს ხომ წმიდათა წმიდაა.

— მესმის, — მოიღუშა სანია.

— კარგია, რომ გესმის. სისულელეებს თავი დაანებე, საქმეს მოჰკიდე ხელი. დედა დაამშვიდე. რა უნდა მოგიხერხოს მან? ჩვენს ქარხანაში რომ მუშაობდეს, მაშინ იცოცხლე, აღმოუჩნდებოდნენ დამცველები! იცი, როგორ ექცევიან ჩვენს ქარხანაში მათ, ვინც არ სწავლობს და ხულიგნობს? გამოიძახებენ საქარხნო კომიტეტში და ეტყვიან: „აბა, ყმაწვილო, ილაპარაკე შენს საქციელზე!“ ყმაწვილი იშმუშნება — რცხვენია, ატყობს, რომ ირგვლივ სერიოზული, საქმიანი ხალხი ზის. მოჰყვება თავის სიგლახეს და გამოსწორების პირობასაც იძლევა. „კარგი, გენდობით, — ეტყვიან მას, — მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის

შევანოწმებთ. არ შეასრულებ დაპირებას და საზოგადოებრივ აღმზრდელსა და მშენებელსა მარტო მაგრებთ“. ჩვენ, სანია, ჩვენს თანამშრომელ ქალებს ვეხმარებით. შენ კი სჯობს, შენით მოხვიდე ჭკუაზე. იძლევი პატიოსან სიტყვას?

რასაკვირველია, სანიამ სიტყვა მისცა პავლე ივანოვიჩს, მაგრამ „ჭკუაზე მოდიო“, ადვილი სათქმელია. ძია პაშამ ჯერ კიდევ არ იცის, რა ცუდ დღეშია სანია. საქმე განა მარტო ორიანებია!

ორშაბათს ტატიანა მიხაილოვნა სკოლაში მივიდა.

სამასწავლებლოში, მაგიდასთან, კლავდია ივანოვნა იჯდა, მან შეხედა ტატიანა მიხაილოვნას და წერა განაგრძო. ტატიანა მიხაილოვნა კარებთან დგა იმ იმედით, რომ კლავდია ივანოვნა მიიწვევდა. შემდეგ გაბედულად მიუახლოვდა მაგიდას და საყვედურით უთხრა:

— ხომ ხედავთ, რომ თქვენთან მოვედი!

კლავდია ივანოვნამ თავი მალა ასწია.

— რა მოხდა? რას მომვარდით?

— რა და შაბათს თქვენ მითხარით, სანია რიაზინის ყველაფერი რიგზე აქვსო. ორი კვირის წინ იგივე უთხარით ერთ ქალს, რომელიც თქვენთან ამავე საკითხზე იყო. ფაქტიურად კი სანიას აქვს ორიანები, დღიურში ეს არ უწერია. გაკვეთილებსაც აცდენს, რაც არ არის დღიურში აღნიშნული! ხომ ვერ მეტყვიით, რა ხდება?

კლავდია ივანოვნა გაოცდა:

— საიდან მოიტანეთ ყველაფერი ეს?

— აიღეთ საკლასო ჟურნალი, გადახედეთ მის ნიშნებსა და გაცდენებს. მომეცი თურცელი და ფანქარი, მე ყველაფერს ჩავიწერ.

ორიანები, სამიანები, გაცდენები... მეოთხედში მას ორი ორიანი გამოჰყვება: ფიზიკაში და ქიმიამში. ახლა გაცდენე-

მარია ბელახოვა

ვაჟიშვილი

ბი — მართო ოქტომბერში ცხრა დღე აქვს გაცდენილი. ყველა გაცდენა დი-კოვის გაცდენილ ვაკვეთილებს ემთხვევა.

კლავდია ივანოვნამ თავი იმართლა:

— დიჩოვი გულით ავადმყოფია, მას ექიმის ცნობა აქვს. რატომ თქვენმა შვილმა არ წარმომიდგინა დღიური? მე მას ყველა ნიშანს ჩავუწერდი. რაც შეეხება გაცდენებს, რა ვიცოდი, რომ მატყუებდა? შეხედულება ჭლექიანისა აქვს, რატომ თქვენ არ მიხედავთ თქვენს შვილს? მე ხომ არ შემიძლია ყველას ვადევნო თვალყური. იცით, როგორ გვიჭირს?!

ტატინა მიხაილოვნამ დიხსაც იცოდა, თუ რა ძნელი იყო კლასის ხელმძღვანელად მუშაობა. მაგრამ თუკი მოწოდებით ხარ პედაგოგი და აღმზრდელის სინდისი და პასუხისმგებლობა გაგაჩნია, მაშინ ეს არც ისე ძნელი საქმეა.

მას შემდეგ, რაც ყველაფერი გაირკვა, ტატინა მიხაილოვნა ფიქრობდა, სანია მას გულახდილად ეტყოდა ყველაფერს და პირობას მისცემდა, რომ მეორე მეთხედში მდგომარეობას გამოასწორებდა. შეიძლებოდა რეპეტიტორების აყვანაც. ტატინა მიხაილოვნა ზედმეტადაც წაიშუშავებდა, რათა ხარჯები დაეფარა, მაგრამ შეცდა. მის შეკითხვებზე და საყვედურებზე სანია მოკლედ პასუხობდა. ის უარყოფდა უკვე აშკარა ფაქტს — გაცდენებს; ამბობდა, ფიზიკის მასწავლებელი უსამართლოდ მიწერდა ორიანებსო. ტატინა მიხაილოვნა განცვიფრებული იყო: რა მოუვიდა სანიას?

ტელეფონების წიგნაკის ფურცლის დროს ტატინა მიხაილოვნა წააწყდა დიჩოვის ტელეფონის ნომერს, — ყდაზე სანიას ხელით იყო დაწერილი. ტატინა მიხაილოვნამ ყურმილი აიღო და ეს ნომერი აკრიფა.

— გისმენთ, — გაისმა ყურმილში ქალის მისუსტიებული ხმა.

— მე იგორ დიჩოვის დედა მინდა, — თქვა ტატინა მიხაილოვნამ.

— მე გახლავართ.

— სანია რიბინინის დედა გელაპა-

რაკებათ. ჩვენი შვილები თანაკლასილები არიან და მეგობრობენ კიდევ.

— გამარჯობათ, მე თქვენს ვისმუსხ.

— მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ. საქმე ასეა: თქვენი შვილი ავადმყოფობს და ამიტომ სწორად არ დადის სკოლაში. ჩემი, მართალია, ჯანმრთელია, მაგრამ ხათრს უწევს მას და ისინი ერთად აცდენენ ვაკვეთილებს. ამიტომ, მე გთხოვთ, რომ...

— მოითმინეთ, — შეაწყვეტინა დიჩოვამ ტატინა მიხაილოვნას. — თქვენ რაღაც გეშლებათ. ჩემი შვილი ჯანმრთელია, სკოლაში დადის და არც თუ ცუდად სწავლობს.

ასეც ფიქრობდა, ტატინა მიხაილოვნას არც დაუჯერებია, რომ დიჩოვი გულით ავადმყოფია. რა თქმა უნდა, იგი სანიასავით ატყუებს დედას. სხვა გზა არ არის, ყველაფერი უნდა უთხრას.

— მე ახლა სკოლაში ვიყავი და საკლასო ჟურნალი შევამოწმე. ჩვენი ბავშვების გაცდენები ერთმანეთს ემთხვევა. მათ ბევრი გაცდინეს, ორიანებიც აქვთ.

— გმადლობთ, რომ დამირეკეთ, — გაბზარული ხმით თქვა დიჩოვამ, — მე ახლავე წავალ სკოლაში. მართალია, მიჭირს სიარული, ავად ვარ, მაგრამ რას იზამ. მე შემდეგ დაგირეკავთ.

დიჩოვამ ჩაიწერა ტელეფონის ნომერი. ტატინა მიხაილოვნა უხერხულად გრძნობდა თავს: ავადმყოფი ქალი გავანერვიულო.

— თუ ავად ხართ, ნუ იჩქარებთ. არა უშავს, საღამოს თქვენმა მეუღლემ გაიაროს სკოლაში.

აქ მან კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა.

— იგორის მამამ დიდი ხანია, რაც მიგვატოვა, — მოისმა ყურმილში.

ტატინა მიხაილოვნა კიდევ უფრო აღელდა, როცა საღამოს უცნობმა ქალმა დაურეკა და უთხრა, რომ იგი დიჩოვას დავალებით რეკავს:

— იგი „სასწრაფოთი“ წაიყვანეს. სკოლაში იყო და იქიდან ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა. მძიმე ავადმყოფია, ისედაც ძლივს სუნთქავდა და ახლა იგორმაც... მან გთხოვათ, გადასცეთ სკოლის დირექტორს, იზრუნოს იგორზე.



სკოლის დირექტორს — ტიმოფეი ნიკოლაევიჩს — ტატიანა მიხაილოვნა მას შემდეგ იცნობდა, რაც სანია სკოლაში მიაბარა. იგი დაკვირვებული, დინჯი კაცი იყო, მოსწავლეებთან მკაცრი, მშობლებთან კი გულისხმიერი.

როცა ტატიანა მიხაილოვნამ ყველაფერი ეს უამბო, იგი წუთით ჩაფიქრდა და თქვა:

— ნუ გადავდებთ ამ საქმეს, ახლავე დაეუძახებ დიჩკოვსა და თქვენს ვაჟს. მოდით, ერთად მოველაპარაკოთ მათ.

და აი, ისინი ორივენი კაბინეტში დგანან. სანია ცოტათი უფრო გამხდარია. დიჩკოვს მკვრივი, ადრე დავაჟკაცებული ჭაბუკის ტანი აქვს. სანიას აღელვებისაგან ფერი დაჰკარგვია, ტუჩები გალურჯებია, შეშინებული თვალებს აცეცებს, მათში ტანჯვა გამოკრთის. დიჩკოვს მშვიდი, მტკიცე გამომეტყველება აქვს.

ტატიანა მიხაილოვნა უყურებდა შეილსა და მის ახალ მეგობარს და ვერ გაეგო, რა უნდა ჰქონოდათ საერთო ამ სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა ხანიათის ბიჭებს? რად უნდა სანიას ასეთი მეგობარი და რაში სჭირდება იგორს სანიასთანა ბიჭი.

დირექტორმა დიჩკოვს მიმართა:

— აბა, დიჩკოვ, მიაბზე, რატომ აცდენდით გაკვეთილებს, სად იყავით, ერთი, სიტყვით, ამიხსენი ყველაფერი.

— რა ავიხსნათ? — იკითხა იგორმა, ისე რომ დირექტორისთვის უაზრო მზერა არ მოუცილებია.

— რა არის ასახსნელი? ხომ გითხარი, რატომ აცდენდი გაკვეთილებს?

— არ ვიცი.

— ვინ იცის?

დიჩკოვი გაჩუმდა. ტიმოფეი ნიკოლაევიჩმა ახლა სანიას მიმართა:

— შენ რას გვეტყვი, რიაზინინ?

სანიაც დუმდა. ტიმოფეი ნიკოლაევიჩმა თვითონ დაიწყო ლაპარაკი.

— დიჩკოვ! ხომ გახსოვს, სექტემბერში მამაშენმა რომ მოგიყვანა, რა პირობა მოგვეცი? შენ გაგრიცხეს საზღვაო სასწავლებლიდან, არც მოსკოვის სკოლიდან წასულხარ შენი სურვილით. ძველ ამბებს იმეორებ?

დიჩკოვი დუმს. დუმს ტიმოფეი ნიკოლაევიჩიც... ბიჭებისგან იგი უბრალოდ ელის. ლაპარაკის დროს პაუზა, როგორც ჩანდა, სჩვეოდა დირექტორს. ეს პაუზები ტატიანა მიხაილოვნასათვის დამატანჯველი იყო. არც დიჩკოვი, არც სანია არ აპირებდნენ რაიმეს თქმას. თვით იმ კითხვაზეც კი, სად ატარებდნენ ისინი დროს, მათ არ უპასუხეს დამაჯერებლად. სანიამ თქვა, ვსეირნობდითო და უფრო გაფითრდა, იატაკს დააშტერდა. ტატიანა მიხაილოვნა მისვდა, რომ იგი კრინტს არ დასძრავდა. რანაირად არ ეცადა ტიმოფეი ნიკოლაევიჩი, რომ სანია საუბარში გამოეწვია, მაგრამ ვერ შეძლო. დიჩკოვი პასუხობდა უმნიშვნელო, არაფრისმთქმელი ფრაზებით: „არ მახსოვს“, „არ შეიძლება“, „მე ასე არ ვფიქრობდი“.

— იცით რა, ჩემო ძვირფასებო, — თქვა გაბრაზებულმა ტიმოფეი ნიკოლაევიჩმა, — მეტს აღარ გელოლიავებით; წარმოადგინეთ წერილობითი ახსნა-განმარტება თქვენი საქციელის შესახებ. დაწერეთ ვინ და რამდენი გაკვეთილი გააცდინეთ და სად იყავით ამ დროს. დაწერეთ გულახდილად. ხვალ თქვენი ახსნა-განმარტება ჩემს მაგიდაზე იდოს. დილით, სკოლაში მოსვლისას, კლასში ნუ შეხვალთ, ჯერ ჩემთან შემოდით, გონს მოეგეთ, სანამ გვიანი არ არის. მე მჯერა, რომ რიაზინინი ყველაფერს მალე შეიგნებს და გამოსწორდება. შენი საქმე, დიჩკოვ, უფრო რთულია. მითხარი მამაშენის მისამართი.

უცებ დიჩკოვმა შიშნარევი ხმით დაიყვირა:

— ნუ მისწერთ, ნუ, ტიმოფეი ნიკოლაევიჩ, გამოვსწორდები!

— ბოლოს და ბოლოს ალაპარაკდა. კარგი, მოიტანე ახსნა-განმარტება. დედა როგორ არის?

— ახლავე წავალ საავადმყოფოში.

— კარგი, წადი.

ტატიანა მიხაილოვნა მეტისმეტად აღელვებული იყო. მას არ სჯეროდა არც

მარია ბელახოვა  
ვაჟიშვილი

ნისი შვილის მონანიების და, მით უმეტეს, არც დიჩკოვის გულწრფელობისა. ისინი შეეცდებოდნენ თავი დაედღწიათ ამ მდგომარეობისთვის. შემდეგშიაც იმეგობრებდნენ და სანია კიდევ უფრო ასცდებოდა გზას. იგი ხედავდა დირექტორის უძღურებას. ვერც მან მოახერხა, რომ ბავშვებს გულახდილად ელაპარაკათ.

5

დღესასწაულის ნათელი, მზიანი დილა დადგა. გათენებისას, შვიდ საათზე, მოსკოვმა ომახიანი, მხიარული მუსიკა გადმოსცა. მაგრამ საერთო სიხარული ყოველთვის არ ემთხვევა პირადს. რიაზინინების პატარა ოჯახში მოწყენილობა სუფევდა. ერთმა დააშავა, მაგრამ სამივენი იტანჯებოდნენ. ტატიანა მიხაილოვნა ამ რამდენიმე დღეში გაფითრდა, გაიცრცა, გამოიცივალა, თითქოს მობერდა. რამდენ ტანჯვად უღირდა მას თუნდაც ის მშობელთა კრება სკოლაში! მისთვის შემადრწუნებელი იყო იმის გახსენება, თუ როგორ უკითხავდა კლავდია ივანოვნა მორალს.

— ყველაზე ცუდად რიაზინინი და დიჩკოვი სწავლობენ, — თქვა მან. — ადრე რიაზინინი კარგად სწავლობდა, მაგრამ წილს იგი ფაქტიურად ზედამხედველობის გარეშე დარჩა. მისი დედა აქ არის. სამწუხაროდ, დიჩკოვის დედა არ მოსულა. რიაზინინის დედა კი ცდილობს ყველაფერი მე გადაამარალოს, თუმცა... ამხანაგო მშობლებო, თუ ოჯახი კარგია და ოჯახში ზრუნავენ ბავშვებზე, მაშინ, სკოლის დახმარებით, მათგან აღიზრდება კომუნიზმის მომავალი მშენებლები. თუ ოჯახში ბავშვებს მეთვალყურეობას არ უწევენ, მარტო სკოლა ვერაფერს გახდება.

კლავდია ივანოვნა დიდხანს ლაპარაკობდა ამის შესახებ. ტატიანა მიხაილოვნა კი მდუმარედ იჯდა და იტანჯებოდა.

დედა სანიას ხმას არ სცემდა. შვილი არ ითხოვდა პატივებს თავისი ცუდი საქციელისა და იმ შეურაცხყოფისათვის, რაც დედას მიაყენა. უამისოდ კი ტატიანა მიხაილოვნას შეუძლებლად მიაჩნდა

მისი გამართლება. მაგრამ ამით მას შვილთან დაახლოვების გზა მოეჭრა. სანიას ჩაერგო წიგნში თავი, ხანდახან რულად გადახედავდა დედას; მთავარ დამნაშავედ იგი მიაჩნდა. რატომ წავიდა დედა სკოლაში, ისიც დირექტორთან? იქნებ, ყველაფერს ისე ჩაველო? მერე რა, თუ ორიანები გამოჰყვა. წლის ბოლო ხომ არ არის. ყველაფერს გამოასწორებდა. დედამ კი განგაში ატეხა, ცაცუნებს რატომ დღიურში არ უწერდნენო, ეს რატომ არაა ასე, ის რატომაა ისეო. „გმადლოთ, დედიკო, მზრუნველობისათვის“, — გულისწყრომით გაიფიქრა სანიამ. ასეთივე გულისწყრომით გაიხსენა თანაკლასელებიც. არც ერთი არ მოვიდა მასთან და არ უთხრა, გამხნევი, ცხვირი ნუ ჩამოგიშვიაო. არა, სანიას კლასში არ ჰყავს მეგობრები.

მას მხოლოდ ერთი მეგობარი ეგულებოდა — იგორი და ამ მეგობრობისთვის ყველაფერს დასთმობს. რა საინტერესო მოყოლა იცის. ნამდვილი არტისტი!

იგორი ნამდვილი ვაჟკაცია. მასთან მეგობრობა საინტერესოა. იგი ყველაფერზე თავისუფლად მსჯელობს, არ ერიდება საკუთარი აზრის თამამად გამოთქმას. იგორთან სანია მოზრდილ ადამიანად გრძნობდა თავს. მართალია, სანიას პეფერი რამ არ მოსწონდა იგორისა, მაგალითად ის, რომ იგორს აინტერესებს არა კოლონიური ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ან მუშების ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ, არამედ საზღვარგარეთული კოსტუმები, ფესხაცმეფი. სანიასთვის კი ყოველივე ეს ინტერესმოკლებულია. არ მოსწონს სანიას ისიც, რომ აქამდე იგორი კომკავშირელი არ არის, არც ის მოსწონს, თუ რით ხსნის ამას იგორი.

მე ინდივიდუალური პიროვნება ვარ და მინდა ვიყო თავისუფალი.

რასაკვირველია, იპრანჭებო... ალბათ კომკავშირში არ მიიღეს. სანია ვერც იგორის გოგონებთან დამოკიდებულებაში ერკვეოდა... თანაკლასელ გოგონებს იგორმა პირველ დღესვე გამოუტანა განაჩენი.



### „ლიახვი“

„ლიახვი“ გორის ახალგაზრდა მწერლების კრებულია (გამოსცა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1963 წელს).

კრებულში დაბეჭდილია ოცდასამი ავტორის ლექსები და მოთხრობები, ერთი პიესა, მოგონებები, „სხვადასხვა“ (წერილები: „გორის ხილი“, „საქადრაკო აზროვნების არსის საკითხისათვის“, „პირველი ქართული გაზეთი გორში“, „ნაპოლეონის აგენტურა საქართველოში“), აგრეთვე წერილები ეთნოგრაფიაზე, არქეოლოგიაზე და სხვ.

\*

კრებულში თითქმის ყველა ჟანრი წარმოდგენილი, გარდა ლიტერატურული კრიტიკისა.

„ლიახვი“ ახალგაზრდების კრებულია, კარგი იქნებოდა მას კრიტიკის განყოფილებაც ჰქონოდა, რადგან საჭიროა ახალგაზრდა მწერლებს თავისივე წრეში ჰყავდეთ ამხანაგები, რომლებიც სერიოზულ ლიტერატურულ საუბარს გამართავენ და გარკვეულ ლიტერატურულ აზრს შექმნიან თავიანთი მეგობრების შემოქმედებაზე.

გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი წიგნი, ალმანახი იქნება თუ ლიტერატურული წრის „მიმდინარე“ მასალე-

ბის კრებული, საშინაო რვეული არ არის. ეს უკვე ლიტერატურული ფაქტია, რითაც ახალგაზრდა პოეტი თუ პროზაიკოსი ლიტერატურის სარბიელზე გამოდის.

ჩვენი კრიტიკა უმეტეს შემთხვევაში დღემილით ხვდება ალმანახის ან კრებულის გამომცემას, ლიტერატურულ ცხოვრებაში ახალი სახელის გამოჩენას და ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაზე მაშინ იწყებს მსჯელობას, როცა იგი უკვე არა ერთი წიგნის ავტორია, თავის შემოქმედებაზე გარკვეული, ხშირად მცდარი შეხედულება აქვს და შენიშვნას დახმარებად ან რჩევად კი არ მიიჩნევს, ფსიქიკური ტრავმის სიმძაფრით განიცდის და უძნელდება ირწმუნოს გვიან ნათქვამი სიტყვა, თუნდაც სიმართლე.

ამიტომ აჯობებს გულწრფელი აზრი გამოითქვას სწორედ ახლა, როცა კრებულის ბევრი მონაწილე თავის ლიტერატურულ ცხოვრებას იწყებს.

\*

ავტორთა სურათების დაბეჭდვის წინააღმდეგ ვის რა ეთქმის, მაგრამ წიგნის გადათვლიერებისთანავე თვალში გვეცა ერთი „პრინციპი“ და ჩვენი პირ-



ველი შენიშვნაც სწორედ ავტორთა სურათებს, უფრო სწორად, ამ სურათების ფონს ეხება.

თითქმის ყველა ავტორის სურათის ფონი მის შემოქმედებასთან ან მის შემოქმედებით სიმპათიებთან არის დაკავშირებული.

აი, რას მოგვეთხრობს სურათების ფონი: ზაურ წაქაძე ტბაში მოცურავე გედების ფონზეა გადაღებული (კრებულში დაბეჭდილია მისი მოთხრობა პირველ სიყვარულზე), ჯემალ ინჯიას ქონგურმორღვეული კოშკი აურჩევია (იგი გელათზე, პირამიდებზე და ფარაონებზე წერს), ვაჟა დადიანის სურათის ფონი რკინიგზის ლიანდაგითა და სერილი (მის ლექსებშიც „თრთის ლიანდაგი“ და მატარებლები „ბოლავენ აღმართზე“), ალექსანდრე ტაბატაძე დიდი სახლის ფონზეა გადაღებული (იგი გენერლებზე და ტროლეიბუსში შეხვედრებზე წერს ლექსებს) და ა. შ. ერთი სიტყვით, თითქმის ყოველ სურათს რთული კომპოზიცია აქვს, რაც გარკვეულ მიზანს ემსახურება.

იქნებ ეს წვრილმანია, ბოლოს და ბოლოს რა მნიშვნელობა აქვს, როგორ ფონზე გადაიღებს მწერალი სურათს — ზღვასთან, მთებთან თუ სატელევიზიო ანძასთან. ჩვენ ამ გარემოებას იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ ამან უგემოვნებობის უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა, რამაც ავტორებისთვის მოულოდნელი შედეგი გამოიღო, რამდენადმე წინასწარ განსაზღვრა მათი შემოქმედების საღი და მოკიდებულება.

ასეთმა „ქვეტექსტიანმა“ სურათებმა ერთი ქართველი კრიტიკოსის მოხდენილი გამოთქმა — „საალბომო წილადობილა“ — გაგვასხენა.

კრებულში დაბეჭდილ პოეტებზე საუბარი გვინდა აქურნალ „ციცკარში“ დაბეჭდილი ერთი წერილის მიხედვით დავიწყოთ.

ვინც ქართული პოეზიის განვითარებას თვალს ადევნებს, მან იცის — „დღითიდღე უფრო ძნელდება ამ ქანრ-

ში მუშაობა“. წერილის ავტორი ამ სიძნელეს „კარგი ლექსის“ ცნების შეცვლითა და მკითხველთა სტრუქტურის მოთხოვნილებების გაზრდით ასაბუთებს.

შეიცვალა „კარგი ლექსის“ ცნება, თვით ცნება „ლექსი“ არ შეცვლილა. პოეტური კულტურის ამაღლებამ, ერთი მხრივ თითქოს გააადვილა ლექსის წერა, რადგან თითქმის ყოველ დამწყებ პოეტს კარგად აქვს შეთვისებული ლექსის წერის ტექნიკა. ქართულ პოეზიაში დაგროვებული დიდი გამოცდილება იმ ტრადიციულ ცოდნად გადაიქცა, რაც ტექნიკური ელემენტების დაუფლებას აადვილებს. მეორე მხრივ, სწორედ დიდი გამოცდილება და ტრადიცია აძნელებს კარგი ლექსის დაწერას. დღეს მკითხველს ვეღარ გააკვირვებ ვერც ტექნიკით, ვერც რითმით და, რაც მთავარია, იმის გულუბრყვილო ცდით, რომ უმნიშვნელო პირადი განცდა ვინმეს მნიშვნელოვნად მოაჩვენო.

თვისობრივად ახალი ლექსის შექმნის სურვილი, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდებს გაუჩნდათ, მაგრამ კრებულში დაბეჭდილი ლექსების წაკითხვისას შეიმჩნევა, რომ ზოგიერთმა ახალგაზრდა პოეტმა თვით ცნება „ლექსი“ და პოეტური კულტურის ბევრ მხარეს დაუსვა კითხვის ნიშანი, რადგან მანთვისობრივად ახალი ლექსი პირადი გემოვნების, მოძველებული თემების და თანამედროვეობის გარეგნულ „რეგალიათა“ მექანიკურ ნახავად მიიჩნია.

პოეზიის საგანი არ შეიძლება მკითხაობის საბაზი გახდეს. პოეზიას არა ერთი ფუნქცია აქვს. ამ ფუნქციათა შორის ახალგაზრდა პოეტები ხშირად ივიწყებენ ერთ-ერთ მთავარს — ლექსი შემეცნების საშუალებაა.

თუ ჩვენ ობიექტურად შევაფასებთ კრებულში დაბეჭდილ ზოგიერთ ლექსს, იგი ვარჯიშის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ ერთია ჩვენი შთაბეჭდილება, სხვაა, თუ რისი „პრეტენზიით“ არის დაწერილი ლექსი.

კრებულში დაბეჭდილმა ბევრმა ავ-

ტორმა კარგა ხანია განვლო ევრეთ წოდებული „ემპვილური შემოქმედებითი ინსტიტუტის“ მოძალების ასაკი, ასე რომ, მათი ლექსების განხილვისას ვგულისხმობთ, რომ მათთვის შემოქმედებითი პროცესი შეგნებული შრომა და რამდენადმე მაინც ჩამოყალიბებული კონცეფციის გამოხატულება უნდა იყოს და არა წამიერი განცდის; ხშირად კი საექვო ღირებულების მქონე აზრის ლექსად თქმის დაუოკებელი სურვილი.

ჩვენ დღემდე ვერ გავგვირკვევია, ვის უნდა ვუწოდოთ ახალგაზრდა პოეტი; შუახანს მიღწეულ კაცს, რომელმაც თავისი ნაწარმოებები გვიან გამოაქვეყნა, თუ მას, ვინც მართლა ახალგაზრდაა და ბევრი ნაკლის მიუხედავად, მაინც ზრდისა და განვითარების გზაზე დგას.

\*

ჯემალ ინჯია ლექსებს პირველად არ ბეჭდავს. ამ კრებულშიც მისი შემოქმედება ვრცლადაა წარმოდგენილი. იგი დამწყები პოეტი არ არის, მაგრამ ჩვენ მაინც გვიძნელდება ვთქვათ, არის თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება მის პირველ ნაწარმოებებსა და ახალ კრებულში გამოქვეყნებულ ლექსებს შორის.

ჯემალ ინჯიას ყოველთვის „ლამაზი ლექსის“ დაწერას ცდილობს. მისი აზრით, ამ სილამაზეს მხოლოდ სამკაული — რითმა ქმნის და იგი ხშირად ლექსის ნაცვლად „რითმებს წერს“. იგი თითქოს უგულუბელყოფს განსჯას, ფიქრს, მისი პოეტური აზროვნება უაღრესად ბუნდოვანია, ყოველგვარ სისადავეს მოკლებული.

ჯემალ ინჯიას პოეტური სამყარო უცნაურია, კაცი რომ შეეცადოს მის წარმოდგენას, იგი ფონეტიკურად მონათესავე ბგერების დიაგრამებად წარმოუდგება. ერთი შეხედვით, ინჯია მუსიკალობის პრინციპს იცავს და მკვეთრი ემოციების გამოხატვას ცდილობს, მაგრამ იგი ამას ვერ ახერხებს, რადგან დიდ ენერგიას ახარჯავს რითმების მიგნებას. როგორც ჩანს, ხუთი ან ექვს-მარცვლიანი რითმის მიგნება მას საოც-

რად ახარებს, მაგრამ კარგად არ აქვს განვითარებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პოეტური სმენა“. მისი ლექსების მელოდია ფიცარზე ფანქრის კაუნით გამოღებულ ხმებს წააგავს, რაც შესაძლოა გარკვეულ რიტმულ კანონზომიერებას ქმნიდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მელოდია.

ფოლადისფერი ფარი მფარავდა,  
ღაიფრინე და ვღიე ფარონს,  
მომცეს ფირმანი, რომ ფარონი  
ბერ პირამიდას მიეფარო, —

წერს ინჯია და ძნელია ნათლად წარმოიდგინოთ, თუ რაა ნათქვამი ამ სტროფში, ვინ დაიფრინა აეტორმა, რისი ფირმანი უბოძეს, ან რა პგონია. მას ფირმანი?

არის შემთხვევები, როცა ჩვენ გვიძნელდება გადმოვცეთ ლექსის შინაარსი, მაგრამ ლექსი ჩვენზე მაინც დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს, მოქმედებს თავისი განწყობილებით, მუსიკით, ენერგიით. ასეთ ლექსს თავისი მკაფიო აზრი ყოველთვის აქვს.

ის სირცხვილისგან დას აღეწავდა (?)  
მიუპარვოდა, პირარიდებოთ..  
წასვლა მეწადა დასალეწადა  
მე იმ პირძალლი (!) პირამიდების.

ააბობოქრა ქარმა ნილოსი,  
ასე იცისო წყალდიდობისას  
და იყო ზეცა მარმარილოსი,  
გამოკვეთა წალდით ოპიზარს.

როგორც ხედავთ, ამ სტროფებში აზრი მსხვერპლად შეეწირა რითმების ერთგვარ „ეკვილიბრისტიკას“.

პირველი სტროფი დაწერილია მხოლოდ და მხოლოდ, — წასვლა მეწადა — დასალეწადა — დასალეწადას ხათრით, რაც შეეხება ოპიზარის წალდს, ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ, რომ აეტორმა არ იცის, ვინ იყო ოპიზარი და კვეთდა თუ არა იგი მარმარილოს და ისიც წალდით. ეს უცნაური „ინსტრუმენტი“ წყალდიდობის ვარითმვის შედეგადაა აღმოჩენილი.

ოტია პაჭკორია  
„ლიახვი“

ამოდინდა გვირაბიდან მზე.

ჯვარი ეკიდა გულზე ქურუმსაც (?)

პირამიდაზე... ვინ ავიდა ზედი?

„პეი, ყურუმსალ!“

ასეთი რითმების გამოგონება, რასაკვირველია, ფრიად დამქანცველი შრომაა. ავტორი უინტერესო და გაუგებარი აზრის დაფარვას ლექსის ტექნიკით ცდილობს და ვერ ამჩნევს, რომ იმ უკიდურესობამდე მიდის, როცა ტექნიკა უკვე ტექნიკა კი აღარ არის, არამედ რაღაც ამოუხსნელი რებუსია, ხოლო რებუსი თავისთავად არ შეიძლება ლექსი იყოს.

პასუხისმგებლობის გრძნობა შერჩეული თემის ცოდნას და თემისადმი პატივისცემასაც გულისხმობს. არ შეიძლება დაწერო გრიგზე ლექსი („წვიმის სიმფონია“) და შიგ ასეთი სტრიქონები გქონდეს:

გადაიშხაუნებს!

შხაპ!..

გადაიზავთებს!

ზავთ!..

დაემგვანება გრივალთ.

ეპეი, ყურებო, იყავით მზად,

მე გამოგეცნადეთ გრივალ!

„შხაპ“ და „ზავთ“ სიტყვების ექთა, რამაც ინტონაცია უნდა გაამძაფროს. ქართულმა პოეზიამ ამგვარი რეფერენები კარგა ხანია რაც უარყო, თანაც, „მზად მყოფი ყურების“ ფონზე მსგავსი ექთ მხოლოდ იუმორისტულ იერს იძენს, ისევე, როგორც მზისადმი ვედრება:

მზევ, ლოცე დათვები და დათვებს

შეაყვარე

სკანდინავია.

არ ვიცი, რამდენად შეიძლება გრიგის მუსიკამ კაცს დათვები, თუნდაც შეყვარებული დათვები, მოაგონოს, იქნებ მხოლოდ იმის გამო, რომ სკანდინავიის გადაღმა, პოლარულ სარტყელში თეთრი დათვები ცნობრობენ და თანაც მზეზე სრულებითაც არ არიან შეყვარებულები.

ჩვენი აზრით, ზედმეტია იმაზე ლა-

პარაკი, რომ სიტყვა პოეტი ბევრი რამის ცოდნას გულისხმობს, გულუხვობას მაღალი სულიერი კულტურის ქონას, ურომლისოდაც პოეტურ კულტურაზე ლაპარაკი ზედმეტია.

გაუგებარია, რატომ შეინარჩუნა პოეტისათვის მიმზიდველობა, მაგალითად, ფარაონმა. ფარაონებით, პირამიდებით, ქურუმებითა და მსგავსი „ეგზოტიკური ინვენტარით“ ასე დაინტერესება, ცოტა არ იყოს, ყმაწვილური გულუბრყვილობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გრიგზე ლექსის დაწერა ისევე შეიძლება, როგორც ფიროსმანზე ან გალაკტიონზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ლექსის თემა მხოლოდ ყურმოკრული სახელი ან ამბავი არ არის. საკმარისი როდია, ჩამოთვალო სახელები:

განათუ ვაგნერი,

განათუ მოცარტი,

განათუ შუბერტი...

და მერე ვინც მოდის რიგით,

იმ ქვეყნის დამნგრევი,

რომელსაც ვლოცავდი,

რომელსაც ვუმღერდი, —

მე ვარ — გრიგი!

ამ ლექსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ავტორს შეიძლება გრიგის მუსიკის არცოდნა და ვერგაგებაც ვუსაყვედუროთ. გრიგის მუსიკას არ შეესაბამება ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „დაემგვანება გრივალს“, „იმ ქვეყნის დამნგრევი, რომელსაც ვუმღეროდი“ და —

ვგრიალებ გარემოდ, ვგრიალებ ნორვეგიად (თუ კი მას გუგუნა გული „შერჩინია).

გუნება განა დარებით მომრეგვია,

ყოველი ავდრისაა, ყოველი ჯერ ჩემია —

თუმცა საექვოა, მაგრამ მაინც დაგუშვით, რომ მკითხველი მიხვდა, რას ნიშნავს „გუნება განა დარებით მომრეგვია“, მკითხველი მიხვდება იმასაც, რომ ამ ლექსის დაწერის სურვილი რაიმე ღრმა ემოციურ განცდას ან ფსიქოლოგიურ განწყობილებას არ გამოუწვევია. რასაკვირველია, კატეგორიულად ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ, ფფიქრობთ, ავ-



ტორს ეს ლექსი ერთადერთმა სიტყვამ — გრიგმა დააწერინა. სიტყვა გრიგი გარეგნულად მართლაც წააგავს „გარემოდ გრიალს, მორეგვას“ და ა. შ., გრიგის მუსიკა კი „გრიალს“ ან „მორეგვას“ არავითარ შემთხვევაში არ ჰგავს.

კრებულში დაბეჭდილ ბევრ პოეტს აქვს დაწერილი მიძღვნა, ერთგვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას — „ოფიციალური ლირიკა“. ამ ლექსების უმეტესობას ნაჩქარევი ხელი ეტყობა, ისინი დაწერილია თითქოს იმისათვის, რომ კრებულში ასეთი ლექსებიც ყოფილიყო.

ფირუზ ჯანაშვილის ლექსს „ფიროსმანი ფერებში“ ჩვენ აქ მთლიანად მოვიტანთ:

არ გამიკრთო შენ, ზეფირო, ზმანება,  
რაც ოდითგან სულს ეფიროსმანება!

მომყევე ასე მტკერისა სანაპიროსა,  
არ იქნება, არ შემოხვდეთ ფიროსმანს.

თორემ რას ჰგავს, შუამტკვარზე  
დააპირო სმა

და ფიროსმანს არ უმასპინძლო?!  
არა, შეილოსან!

გახედე ამ ცას, მთებსა და ველებს,  
ტალღებად ამსკდარ ლალს, საფიროსნა...  
ეს ხომ კენტი რამ — საქართველოა,  
ან სხვანაირად — საფიროსმანო.

ამ ცასავით ხალასი  
ძგერს გული ნიკალასი  
და აპრილი ჭრელ კაბას რომ იმოსავს,  
თუ მოგწონსო, — კრძალვით კითხავს  
ფიროსმანს.

და მეც ვმღერე:  
მე შენ სხვაში ვით ვაგცვალო,  
ვინ და როგორ მე გადამიბიროსა.  
ვეფიცები, შენ ერთი ხარ,  
ცალად ცალო  
ფიროსმან!

ხარ, სულ სხვა ხარ,  
მზესავით და  
ღვინოსავით  
სხივოსანი,  
ფეროსანი,  
ფიროსმანი.

ლექსსაც აღხენს ეგ სახელი,  
ნუ დაუშლი შუქად დაიფინოს მან. —

და მეც შენზე უეცარი შეძახილი  
მაპატიე, ფიროსმან!



ერთადერთი, რისი თქმაც შეიძლება, ის არის, რომ „ეგ სახელი“ ამ შემთხვევაში „ლექსს არ აღხენს“. არაფერს ვიტყვით იმაზე, თუ როგორ გაუგია ავტორს ფიროსმანის მხატვრობა ან ხასიათი. ამ ლექსმა ერთ გარემოებაზე დაგვაფიქრა. რის გამოა, რომ ზოგიერთი სიტყვა ამ ლექსში (და საერთოდ ახალგაზრდა პოეტების ბევრ ლექსში) უმნიშვნელო და ულამაზო ხდება, რომ სიტყვას ფასი ეკარგება?

თუ სიტყვა შესაფერ ლექსიკურ გარემოში არ მოაქციე, ვერ იგრძენი მისი მელიოღია, ენერგია, თუნდაც გრაფიკული სახე, თუ ვერ იგრძენი სიტყვის პოეტური თვისება, თუ იგი უმნიშვნელო აზრის გამოთქმას მოახმარე, მაშინ სიტყვა ლიტონია, ყოველგვარ ემოციურობას მოკლებული ფორმულაა და მეტი არაფერი.

ლექსში ნახმარი სიტყვები შეიძლება ჩვეულებრივი, უბრალო სიტყვები იყოს, მაგრამ პოეზია მას იმდენად არაჩვეულებრივ, მშვენიერ იერს ანიჭებს, რომ ჩვენ უბრალო სიტყვებს ზოგჯერ ვერც ვცნობთ, ისინი ჩვენთვის უკვე სხვანაირად ჟღერენ.

სიტყვის გრძნობა არც მორფოლოგიაა და არც ფონეტიკა, სიტყვის გრძნობა — მწერლობაა.

სიტყვა ერთადერთი საშუალებაა, რამაც სუბიექტური განცდა ხელოვნებად უნდა გადააქციოს, გადასცეს ეს განცდა სხვას და თვითაც განაცდევინოს. ყოველივე ეს არც თუ ისე ახალი ჭეშმარიტებაა და ამაზე ლაპარაკი არც უნდა გვკვირდებოდეს.

არ არის საჭირო რაღაც არაჩვეულებრივი ფორმების ძიება, შემოქმედის ყოველი ქმნილება ჩვეულებრივი ფორმების თავისებური, განსაკუთრებული გამოყენებით იქმნება და არა უჩვეულო ფორმების საგანგებო ძიებით. სწორედ თავისებურად გამოყენებული ჩვეულებ-

ოტია პაჭკორია

„ლიახვი“

რივი ფორმები (სადა, ბუნებრივი, უწყვე-  
ლებელი სიტყვები) ახდენენ მკითხველ-  
ზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას.

ჯემალ ინჯიამ თავისი პოეტური  
მრწამსი კარგად გამოხატა ლექსში  
„ხმის ამოღება“:

დღეს ლაპარაკს მთლად უჩვევი,  
ვიწყებ ენის აცრას,  
სიტყვას ვარჩევ და ტუჩებით  
ასო-ასო ვმარცვლავ.  
პატიებას კი არც ველო,  
გონს მოსული  
ვხდები —  
დაღრეცილი  
ღრიაანცელით,  
კოსმოსური  
ხმებით.  
ჩემი სიტყვა ახალია,  
ახალს ვხალავ რითმას.  
ამქვეყნად ხომ, რა ხანია,  
არაფერი მითქვამს.

პოეტი თავის ხვედრს თვითონ ირჩევს,  
იგი არც უნდა „ელოდეს პატიებას“,  
უბრალოდ, მან თავისი „რითმების და-  
ხალვის“ მეთოდი კრიტიკულად უნდა  
გადააფასოს.

ვაჟა დადიანიძე დაფიქრებული, ანა-  
ლიზით დაინტერესებული პოეტია, იგი  
საგნისა და მოვლენისადმი თავის დამო-  
კიდებულებას თავშეკავებულად, დინ-  
ჯად ამჟღავნებს, პათოსსა და ალტაცე-  
ბას ძუნწად გამოხატავს. დადიანიძე  
ცდილობს თავისი გრძნობები და გან-  
წყობილებები გარკვეულ პოეტურ  
კონცეფციად აქციოს, მაგრამ იგი ზოგ-  
ჯერ თავის ლექსს ყურადღებით არ ეკი-  
დება, რის გამოც ლექსში ინტონაციუ-  
რად უცხო, არაგულწრფელად ნათქვამ  
სტრიქონებს ტოვებს.

კრებულში დაბეჭდილ თითქმის ყვე-  
ლა ავტორს აქვს ლექსი — აღსარება,  
სადაც თავისი ლიტერატურულ კრედოს,  
ან პირადად თავისი ხასიათს ამჟღავნებს.

ვაჟა დადიანიძის ლექსი „პროფილი“  
ერთგვარი თვითანალიზია. პოეტი ცდი-  
ლობს თავისი თავი განსჯის საგნად და  
ლექსის თემად გახადოს. ეს ლექსი ცუდ  
შთაბეჭდილებას არ ტოვებს, მაგრამ  
ერთი ადგილის გამო ავტორს უნდა გა-  
მოვედავოთ:

და ვარ რუბენსი,  
ბეთზოვენი,  
ვინ მოთვლის კიდევ...  
პოეზიაში ფირალივით არ შევხზულვარა



როცა ამ სიტყვებს კითხულობ,  
გრძნობ — ავტორი ტყუის, ტყუის იმი-  
ტომ კი არა, რომ თავის თავში რუბენსსა  
და ბეთზოვენს პოულობს, მართალია ამ  
განცდას „ლიტერატურშიინისა“ და ხე-  
ლოვნურობის იერი დაკრავს, მაგრამ იგი  
ყურადღებას არ მიიქცევდა, მომდევნო  
სტრიქონი რომ იყოს კარგი. ბეთზოვენ-  
სა და რუბენსს მოსდევს ფრაზა „პოეზი-  
აში ფირალივით არ შევხზულვარ“. სი-  
ტყვა ფირალი და მთელი წინადადებაც  
ამ კონტექსტში უაღრესად არაპოეტუ-  
რად და ყალბად ქდერს, რაც თავის  
მხრივ ლექსსაც აყალბებს.

ლიანდაგები თრთიან...  
მატარებელი უფლისციხეს უახლოვდება...  
მარჯვნივ, —  
ქვაში ამოკვეთილი ისტორია,  
მარცხნივ, —  
ეკლესიაში დარჩენილი უფალი,  
საუკუნეების ნასუფრალი...  
ყველაფერმა ფეხი აიდვა,  
ყველაფერი გარბის...  
მატარებელი უფლისციხეს სცილდება,  
უკან კი...  
ფეხდაფეხ მომყვება ისტორია.

ავტორი გრძნობს, რომ „მხოლოდ აღ-  
წერილობა“ საკმარისი არ არის, მას  
ლექსში განმარტოვებული დეტალის  
შეტანა სურს, რათა მატარებლის ფან-  
ჯრიდან დანახული სურათი აამოძრაო-  
ვოს და განსჯის საგნად გახადოს. იგი  
ამისათვის ისტორიას მიმართავს, „ისტო-  
რიის ნასუფრალის“ აზრი გასაგებია,  
მაგრამ ეს ფრაზაც არაპოეტურია.

ჩვენ გვინდა ერთ გარემოებას განსა-  
კუთრებით შევეხოთ.

ავტორი თემისადმი ფაქტიურად  
გულგრილია. ჩვენ იმის თქმა კი არ  
გვინდა, რომ მას უფლისციხის დანახ-  
ვისთანავე ალტაცება და პათოსი უნდა  
დაუფლებოდა და ეს გრძნობები გამო-  
ველინა. საქმე შემდეგშია: ლექსის პირ-  
ველი, სტატიკური სტრიქონები დაფიქ-  
რებისთვის გვამზადებს, შემდეგ პოეტი

იწყებს მსჯელობას, მაგრამ ეს მსჯელობა პოეტური მსჯელობა არ არის, იგი ბოლომდე გულგრილია როგორც უფლისციხისადმი, ისე „ისტორიის ნასუფრალისადმი“. მან იჩქარა და არ დაიცადა მანამ, სანამ ობიექტისადმი პოეტური დამოკიდებულება გაუჩნდებოდა. ამის გამოა, რომ ლექსში ნეიტრალური ფრაზები გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გარბის, ყველაფერმა ფეხი აიდგა და ავტორს „ფეხდაფეხ მიყვება ისტორია“, ამ ლექსის სამყარო უმოძრაოა.

გარეგნულად ყველაფერი თითქოს რიგზეა (რასაკვირველია, შედარებით), მაგრამ უფლისციხე, ეკლესია და ისტორია ამ ლექსში მხოლოდ ლიტონი სიტყვებია და არა პოეტური აღქმის საგანი.

ჩვენ ამ წერილში, რასაკვირველია, ყველა ავტორის შემოქმედებას გულდასმით ვერ განვიხილავთ. ჯემალ ინჯიას ლექსებზე საგანგებოდ შევჩერდით, რადგან იგი კარგად გამოხატავს გორელი ახალგაზრდა პოეტების გატაცების ერთ მხარეს. რაც შეეხება ვაჟა დადიანძეს, იგი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტია, მას აქვს კარგი, გულთბილი ლექსები, აქვს საინტერესო ურთიმო ლექსი მეთევზეზე, მელოდიური ლექსი „ტობი საქს“, კარგად დაწერილი მიძღვნაც — „ჰაფიზი“.

ჩვენ არ გვინდა ნაჩქარევი დასკვნა გამოვიტანოთ, მაგრამ თემისადმი გულგრილმა, არააქტიურმა დამოკიდებულებამ შეიძლება ახალგაზრდა პოეტებს დააკარგვინოს ის, რასაც ვერავითარი ვერსიფიკატორული ვარჯიში, გამართული სტრიქონი ან კარგად მიგნებული სახე ვერ შეცვლის.

მათი პოეზია შეიძლება მხედველობის არეში შემთხვევით მოხვედრილი საგნების პოეზიად გადაიქცეს, დაიკარგოს პოეტური აზრის მშვენიერება, მოქალაქეობრივი პათოსი და დიდი ადამიანური გზნება.

ყოველივე ამის გამოა, რომ კრებულში დაბეჭდილი ბევრი ლექსი მხოლოდ ლექსის „არმატურაა“, ან ცუდად ნათქ-

ვამი საინტერესო განცდა და ფაქტი, უფრო ხშირად კი ლექსის ამოფარებული უმნიშვნელო აზრი და განწყობილება.

ალექსანდრე ტაბატაძეს საინტერესო თემის, ან ცალკეული სურათების მოგონების უნარი აქვს. მისი ლექსები ხშირად პროზაულ ჩანახატებს ჰგავს. ავტორი შეგნებულად ცდილობს ეს ვითარება თავისი პოეზიის თვისებად აქციოს, რითაც ერთგვარ ინტონაციურ ერთფეროვნებას ქმნის.

ალექსანდრე ტაბატაძეზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ტროლიეზუსმი მის გვერდით მჯდომ ქალს (დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმიტომ, რომ უამისოდ ჩვენ ლექსის დაწერა ვერ წარმოგვიდგენია).

ტროლიეზუსმი არ არის ტევა, კვირა დღეა და არ არის ტევა, ბევრია ხალხი (იბრავლოს კიდე!) და მისდევს აღმართს ტროლიეზუსი.

...სულ ათი წუთით... შეგვყარა ბედმა. მოულოდნელად შეგვყარა ბედმა. გავა წუთებიც და სამუდამოდ ერთმანეთისთვის აღარ ვიქნებით.

ახლა რომ განახოს აქ შენმა ქმარმა, იქნებ კიდეც იეჰვიანოს, ისე ახლო ხარ ჩემგან სხეულით, ისე პირდაპირ ვდგავართ ორივე, რომ იქნებ კიდეც იეჰვიანოს, ახლა რომ ჩემი ცოლი გამოჩნდეს.

გამოდავება ძნელია, ტროლიეზუსმი შეხვედრილმა ქალმა ყველაზე შეიძლება მოახდინოს შთაბეჭდილება, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორი ქალის „სიახლოვეს იყო სხეულით“ და ფაქტი პოეტის თვალით ვერ დაინახა. ეს ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ წამიერი ფიზიკური განცდის ფიქსირებაა.

ასეთი ლექსები იმ „პოეტური გამოცდილების“ შედეგია, რისი მაგალითიც დამწყებმა პოეტმა უფრო გამოცდილი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში „აღმოაჩინა“.

ოტია პაჭკორია  
„ლიახვი“



ქართულ პოეზიაში გაჩნდა ერთგვარი, პირობითად რომ ვთქვათ, „ყოფითი ლირიკა“, ზოგი პოეტი საგანგებოდ ირჩევს ისეთ ფაქტს, ან ისეთ თვალმოკრულ, ყოფით სურათს, რომელზე დაწერილი ლექსი მხოლოდ რიტმის მქონე პროზაული ესკიზია, რადგან ან ფაქტია დანახული არაპოეტურად, ან თვით ფაქტია იმდენად არაპოეტური, რომ პოეტენციურად არ შეიძლება ლექსის თემა იყოს.

როცა ჩვენ პოეზიისა და პროზის ურთიერთობის საკითხებს ვიხილავთ და აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი პოეტის ლექსებში პროზის ინტონაცია გაჩნდა, ან მოვლენისადმი პროზისათვის დამახასიათებელმა ანალიტიკურმა მიდგომამ ლექსის მუსიკალობაზე აუთ მელოდიაზე იმოქმედა, არ შეიძლება ითქვას, თითქოს ამ ფაქტს მაინცდამაინც დიდი სიხარულით ვეგებებოდეთ. ეს გარკვეული, საკმაოდ რთული მიზეზებით გამოწვეული ტენდენციაა და ზოგიერთი ნიჭიერი პოეტის შემოქმედებაში კრიზისის ხასიათიც კი მიიღო.

არაპოეტური ფაქტის საგანგებოდ, ზოგჯერ ნაძალადევად პოეტურად წარმოსახვის სურვილი უმეტესად ისეთი ვიწროსუბიექტური მოვლენაა, რომ ამ პრინციპით დაწერილი ლექსი, რაგინდ ოსტატურადაც არ უნდა დაიწეროს, ბოლოს და ბოლოს პოეზიის სფეროში მაინც ვერ რჩება.

კრებულში დაბეჭდილ პოეტ ქალს, ყუყუნა ვაშაგაშვილს აქვს ერთი ასეთი ლექსი:

რად წევ ასე უსვენებლივ,  
რად იღრჩობი კვამლში?  
შენ მითხარა:  
გული იწვის  
პაპიროსის წვაში,  
მოგაწყობტე ბავს მერე  
პაწაწინა ნამწვი,  
მე მოვწიე და მის წვაში  
ჩემი გულიც დავწვი.

საინტერესოა, რამდენად ესთეტიკურად ან ეთიკურად მოეჩვენა პოეტ ქალს ბავსზე ნამწვის მოწყვეტა და მერე მის წვაში გულის დაწვა, ხოლო „გული რომ

პაპიროსის წვაში იწვის“, ეს უფრო საშინელი ინო პლაკატების თემაა ვიდრე ლექსის.

ყუყუნა ვაშაგაშვილი ლექსის წერას ენერგიული, აქტიური ინტონაციით ცდილობს, საგანგებოდ ამძაფრებს ტონს, ნატურალისტურ სიზუსტესაც არ ერიდება, ირჩევს მკვეთრი მოძრაობის გამომხატველ სიტყვებს.

წამო ჩემთან, დარაბებს  
სულ ყურთამდე დავღებ,  
საჩურჩხელეს, საჩირეს  
დავლწავ და დავარბევ.

ტერფით მოგახატინებ  
წითელ ნოხის ნაპირებს,  
მერე გაგინაპირებ (!)  
მამაჩემის მარანში.

ვხიოთ ცეცხლის მარმში  
მწვადიანი შამფურით.

იქ ჩვენ მთვარის სიყვითლეს  
დავღვეთ, როგორც შაქრის წვენს,

მერე ერთურთს შევხედოთ  
და... ერთურთით დავიწვეთ.

წამო ჩემთან

პოეტი ქალი საგანგებოდ ცდილობს თავის პოეტურ სამყაროში „ვაჟური“ ინტონაციის შეტანას, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ მათ შეცდომებს იმეორებს. იქ, სადაც იგი თავისი ბუნებრივი თვალთ აღიქვამს გარემოს, უფრო მელოდიური და გულწრფელია, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ ინდივიდუალობას ინარჩუნებს, „ბავსზე მიწებებული ნამწვების ესთეტიკასაც“ ერიდება და თავისებური კდემამოსილებაც ახასიათებს.

სათუთი და გულწრფელი განცდითაა დაწერილი მურმან ძველაიას პატარა ლექსი „იქ დამრჩა ბავშვობის პერანგი“. ვაჟა შიუკაშვილსაც შესწევს უნარი კარგი განწყობილება შექმნას და კარგ პოეტურ სტრიქონს მიაგნოს, ოღონდ ზოგჯერ იგი ლექსს ერთი სტრიქონის გამო წერს. მის ლექსებში ხშირად სახე კი არ არის ლექსის კომ-

პონენტი, პირიქით, ლექსია დაწერილი ერთი მეტაფორის ან მხატვრული სახის გამო.

მინდია არაბულის და გურამ ბოლოთაშვილის უშუალო და გულწრფელობაც არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას, თუ მათ ერთგვარ გადამეტებულ ინტიმურობას არ ვუსაყვედურებთ. თუმცა გურამ ბოლოთაშვილი ზოგჯერ ასეთ „მაღალმხატვრულ“ სტროფებსაც წერს:

თუვინდ ყრუ იყო, ვინდ იყო მუნჯი,  
აქ ეს ბუნება გულს ავიქოთებს.  
აგერ, იქ ის მთა ღრუბლის ხსინს  
ხურჯინს  
აღბათ ამზადებს წვიმისთვის ნოტებს.

დავით ნავდარაშვილის პოეტური წარსული თითქმის ორ ათეულ წელიწადს მოიცავს. მართალია, იგი თავის ლექსებს იშვიათად ბეჭდავდა, მაგრამ პოეტი მხოლოდ მაშინ ხომ არ იზრდება და ოსტატდება, როცა მის ლექსებს ხშირად ბეჭდავენ.

დავით ნავდარაშვილი კრებულში დაბეჭდილი ბევრი ავტორისაგან განსაკვიფრებელი პრიმიტიულობით გამოირჩევა — ეს არის მისი ერთადერთი ინდივიდუალური თვისება. მისი პოეტური წარმოსახვა, სახეების სისტემა, გარემოსთან დამოკიდებულება იმდენად მარტივია, რომ დიდი მსჯელობის საგანი ვერ გახდება, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიტანთ ორიოდ ადგილს მისი ლექსებიდან:

მამულაშვილის მამული  
შშვენიერი და კარგია,  
მიწა წვიმისგან ნამული  
ხელოვანს მოუქარგია.  
აყვავებს მოვლა მამური,  
ბალია მუღამ კარლია.

#### მიმილე

თავზე მათოვს, ჩემს მახლობლად  
კლდეებია ფრიალო,  
ახალი წლის მახარობლად  
მთებში დაებორიალობ.  
მზეო, მზეო სანუკვარო,  
ღრუბლებს ნუ ეფარებო,  
გამოაპე გზა უკვალო,  
დაგიკონო თეალები... —

მთებში

კრებულში ვხვდებით იმ ყაიდის ლექსებსაც, რასაც ქართულ კრიტიკაში „საალბომო ლირიკა“ უწოდეს. ჩვენ ამ საკითხზე არაფერს ვიტყვი, მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს იმის საბუთად, რომ კრიტიკაში გამოთქმული შენიშვნები კრებულში დაბეჭდილმა პოეტებმა განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ.

აი, ეს მაგალითებიც:

დღე, ჩამეთვალოს შენისლულ ცოდვად  
ვათხოვილ ქალთან გაკამათება.  
მახსოვს, რომ თმები შენი, სულ ცოტა,  
მიმანდა ხოლმე კაკანათებად.

ამოვალ შენთან, როგორც ბოლოთქმა,  
ვით სულიერი და ვით არსება,  
გამაცნობ კეთილს, ეგებ ბოროტ ქმარს  
და მთელ სიცოცხლეს დავითარსება.

ჯემალ ინჯია, „შენისლული ცოდვა“.

ლექსებს ვამბობდი მე აღტაცებით,  
შენ თავდახრილი იდექ ჩემს წინა.  
შენ ჩემს სიყვარულს ველარ ასცდები  
და, უნახესო, თავსაც შეგწირავ.

ხელში მიჭირავს ტყბილი ჩონგური  
და შენ გივალობ, ჩემო ლამაზო,  
ჩემი სიმღერა, სული და გული  
მინდა, ყველა შენ შემოგთავაზო.

დავით ნავდარაშვილი, „შემოგთავაზო“

დაახლოებით ასეთივე მხატვრული ღირებულების მქონეა ა. ტაბატაძის „და ყველაფერი კინაღამ ისე...“, ფირუზ ჯანაშვილის „შენთვის ერთილა ვარ სასოება...“, სოსო ასლამაზიშვილის „გული მოგელის“ და სხვ.

„ვიდრე ამ ლექსების გამოქვეყნებას გადაწყვეტდნენ, ავტორებს უნდა განესაზღვრათ სხვებისთვისაც საინტერესო და ამაღლებელი იქნებოდა თუ არა პირადად მათთვის აღბათ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ამბები. ვის რა ეთქმის — თავის საშინაო რვეულში შემოქმედი იმას ჩაწერს, რაც მოეგუებება, მაგრამ ხომ უნდა განვასხვავოთ

ოტია პაჭკორია

„ლიახვი“

საშინაო რვეული და მკითხველთათვის განკუთვნილი რამდენიმე ათასი ტირაჟით გამოცემული წიგნი“ (რევაზ თვარაძე, „პოეტური კულტურის ზოგიერთი საკითხი“).

„ლიახვი“ ახალგაზრდების კრებულია. აქ დაბეჭდილი ავტორების შემოქმედების შეფასება მხოლოდ ერთი თვალსაზრისით შეიძლება — როგორია მათი ზრდის პერსპექტივა.

თუ ჩვენ ვაჟა დადიანძის ზოგიერთი ლექსი მკაცრად ვავაკრიტიკეთ, ჩვენ საქმე პოეტთან გვექონდა, რომელმაც იქნებ ბევრი ცუდი ლექსი დაწერა, მაგრამ აქვს კარგი ლექსებიც და მას თავისი პოეტური სამყაროც აქვს.

ასევე არ შეიძლება მურმან ძველიას, ვაჟა შიუქაშვილის, ყუყუნა ვაშაგაშვილის და ზოგიერთი სხვა ახალგაზრდის პოეტური ნიჭის უგულვებელყოფა. ბოლოს და ბოლოს, კარგი ლექსის გვერდით დაბეჭდილი სუსტი ლექსიც შეიძლება მსჯელობის საგანი გახდეს, შეიძლება მასში ზრდის, დაოსტატების პერსპექტივა შენიშნო, მაგრამ ძნელია რამე თქვა ლექსზე, რომელიც ყოველგვარი ლიტერატურული მოთხოვნების დონეზე დაბლა დგას. ასეთი ლექსი ზოგჯერ გარეგნულად თითქოს ლექსია და სწორედ ეს „თითქოს“ არის ის ზღვარი, სადაც პოეზია მთავრდება.

ერთი კომპოზიტორი წერდა — თუ კაცი კარგად ვერ ერკვევა ამა თუ იმ პროფესიის თავისებურებაში, მაშინ მას იგი ან უაღრესად იოლი ჰგონია, ან პირიქით, მის მიმართ გადამეტებულ მოკრძალებასა და შიშსაც კი განიცდიხსო.

ჩვენ შეიძლება ლექსის დაწერა იოლი გვეგონოს, ან პირიქით, იმდენად იღუშმალი და საოცარი იყოს ჩვენთვის ლექსის შექმნის პროცესი, რომ დიდ მოკრძალებას განვიცდიდეთ. კაცი თუ პოეტი არ არის, ერთიც ეპატიება და მეორეც. მაგრამ როცა თვითონ პოეტი თვლის ლექსის დაწერას იოლ საქმედ, მაშინ, ბუნებრივია, იფიქრებ—ხომ არ მიაჩნია ასეთ პოეტს პოეზია მხოლოდ გარკვეული რიგით დალაგებულ ბგერათა კომ-

პლექსებად. ასეთი კომპლექსების გარეშად, რასაკვირველია, ძნელია აწარმოებინა.

წარმოიდგინეთ კაცი, რომელმაც პარტიტურის გადაწერა შეძლო და ამის გამო გადაწყვიტა — მუსიკალური ნაწარმოებები შევექმნით. პარტიტურის გადაწერა ბევრს შეუძლია, მუსიკას კი ცოტა ქმნის. კრებულში დაბეჭდილი ზოგი ლექსი სწორედ ასეთი გადაწერის, ადვილად ხელმისაწვდომი ფორმების პირდაპირ, გრაფიკულად გადმოღების შედეგია. ჩვენ აქ რაიმე ლიტერატურულ გავლენებს კი არ ვგულისხმობთ, აქ საქმე გვაქვს იმ მოვლენასთან, როცა შეთვისებულია ლექსის წერის ტექნიკა და დაკარგულია პოეზიის საგანი.

ძნელია გადმოსცე მელოდიის შინაარსი, ძნელია იმსჯელო ლექსზე, რომელმაც შენზე დიდი ემოციური ზემოქმედება მოახდინა, ძლიერი განწყობილება შეგიქმნა. პოეზიაში არის ძნელად შესაცნობი სირთულე, რასაც სახელს უტეხ ვერ დაარქმევ, მაგრამ ეს ისეთ შეუზღუდავ თავისუფლებას როდი ნიშნავს, რომ პოეტმა ილაპარაკოს რაზეც სურს და როგორც მოეგონებება.

ჩვენ აქ უკვე აღარ ვგულისხმობთ მხოლოდ ხარისხს — თუ როგორ არის დაწერილი ლექსი. პოეზიას თავისი საზოგადოებრივი დანიშნულება, თავისი მკაცრი კანონები აქვს და ეს კანონები პოეზიასთან მკითხველების დამოკიდებულებასაც განსაზღვრავს.

როცა მკითხველს თავაზობენ ისეთ ნაწარმოებს, როგორც არის დავით ნავროზაშვილის ლექსი „როგორც ხის ჩრდილი“, იგი იქნებ დაიბნეს კიდევ, რადგან ცრუფილოსოფოსობის ბუნდოვანება მას შეიძლება რაიმე აზრის მქონე მსჯელობადაც კი მოეჩვენოს.

რა მიზანი აქვს ამ ხეს?

ერთ ადგილს რომ დგას მაღალი, ზეიანი და ამპარტვანი.

რა არის მასში ძველი

და ან ახალი?

ის ცას შეპყურებს...

მისი ჩრდილი კი ვართხმია მიწას.

ლამითა ქრება,

ხოლო დღისით რიდი აქვს მზისა.

თრთის, ცახცახებს და ქვეყნელს უხმობს...



სალამოთი კი, ღამის დღესთან შემართებაში  
კვლავ ქრება უხმოდ.

და მაშინ ხელად

ათასწლოვან ხეს ძირს დაცემულს

იფიწყებს ყველა.

ამპარტავენება მიაჩნია ხეს თვისდა ღირსად.

ხოლო ჩრდილი კი სულია ხისა.

იგი ვერ უქლებს სიკვდილისა და  
სიცოცხლის კავშირს.

და მართლაც, „რა მიზანი აქვს ამ  
ხეს?“ მხოლოდ ის, რომ „ამპარტავენება  
მიიჩნოს ხემ თვისდა ღირსად“ და  
მისმა ჩრდილმა „სიკვდილისა და სიცო-  
ცხლის კავშირს (!)“ ვერ გაუძლოს, თუ  
ლექსის ავტორი ამ „ზვიად და ამპარ-  
ტავენ“ ხეს სხვა რამ უფრო „მნიშვნე-  
ლოვანი“ მიზნისათვის გამოიყენებს?!  
ავტორი ლექსს ასე ამთავრებს:

და ვცოცხლობ ვიდრე...

ჰო, შე არ მინდა, ამ ხესავით ერთ

ადგილს ვიდგე. —

ჩემი სიცოცხლენ ხის ჩრდილივით

გაქრება მაშინ.

რა გვეთქმის, ხესავით ერთ ადგილზე  
დგომა არავის არ სურს, სხვა საქმეა.  
ღირდა თუ არა ამის გამო ლექსის და-  
წერა. ავტორი იმდენად „რთულად“ აზ-  
როვნებს, ისეთ მეტაფორებს პოულობს  
და თემას იმდენად „ფილოსოფიურად“  
გადაწყვეტს, რომ ლექსის გარჩევა  
თითქმის შეუძლებელია. ამ ნაწარმოებს  
აქვს კრებულში დაბეჭდილი ბევრი ლექ-  
სისთვის დამახასიათებელი ერთი თვი-  
სება — ავტორს არაფერი არ აქვს სათქ-  
მელი, მაგრამ მას დიდი სურვილი აქვს,  
რამე აზრი გამოთქვას, თუმცა ლექსის  
საგანზე ნათელი და საინტერესო აზრი  
ჯერ კიდევ არ შექმნია. დავით ნავრო-  
ზაშვილის ეს ლექსი უაღრესად ბუნ-  
დოვანმა, გაურკვეველმა განწყობილე-  
ბამ გამოიწვია, მან ტრაგიკულ ფერებში  
აღიქვა ხისა და ხის ჩრდილის ბედი და  
ვიმეორებთ — ამ ტრაგიზმმა „ცრუფი-  
ლოსოფოსობისა“ და მანერულობის  
ნაკლებად მიმზიდველი იერი მიიღო.

ფირუზ ჯანაშვილი თავის ერთ  
ლექსში მარგალიტის მძიებლის ბედს  
პოეტის ბედს უდარებს:

პოეტის ბედი რა საოცრად წააგავს

მახ ბედს,

ბედს თავგანწირულ მარგალიტის მძიებლისა!

და ნეტავ იმას, ეს ბედი ვისაც

სიტყვების ზღვათა უფსკრულებში

უღიმის ხოლმე;

ვინც არ იგემებს მარგალიტის მძიებლის

უსაზღვრო ნაღველს და სიმწარეს, როს

მარგალიტის

ნაცვლად უბრალო კენჭს დახედავს

დაკუმშულ ხელში.

რა გვეთქმის, ავტორი მართალია,  
ოღონდ „დაკუმშულ ხელში“ (ალბათ  
მუქში) კენჭის დანახვა შეუძლებელია.  
ფირუზ ჯანაშვილს შეგნებულნი აქვს  
პოეტის ძნელი და საინტერესო ხვედრი.  
მან იცის, ეს ძნელი „ხელობა“ და დი-  
დი მსხვერპლის გაღებას მოითხოვს,  
მაგრამ ჩვენი ვერ დავეთანხმებით ლექ-  
სის ბოლო სტრიქონების აზრს:

სჯობს ფსკერზე დარჩეს მარგალიტის

მძიებელი,

თუ მარგალიტი ბოლოს მაინც ვერ

ამოზიდა.

საპატიო საქმეა იყო პოეტი. დიდი  
მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა  
პოეტს ბევრ საზოგადოებრივ მოვალეო-  
ბას აკისრებს, მაგრამ არ არის აუცილე-  
ბელი, მაინცდამაინც პოეტი იყო. არის  
კიდევ ბევრი არანაკლებ საპატიო საქ-  
მე. ასე რომ, „ფსკერზე დარჩენა“ ალ-  
ტერნატივა როდია.

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგე-  
ბა თვითგანსაზღვრის, საკუთარი შესაძ-  
ლებლობების ობიექტურად შეფასების  
პერიოდი, იქნებ ძნელი და მტკივნეუ-  
ლი, მაგრამ გარდუვალი პერიოდი.

ჩვენი სურვილია, გორის ახალგაზრდა  
პოეტების წრიდან ქართულ პოეზიას  
ახალი სახელები შეემატოს და სრულე-  
ბითაც არ გვსურს, ბევრმა მათგანმა გა-  
ნიცადოს „მარგალიტის ნაცვლად ზღვის  
ფსკერიდან უბრალო კენჭის ამოტანით  
გამოწვეული სიმწარე“.

ოტია პაჭკორია

„ლიახვი“

კრებულში ექვსი ავტორის მოთხრობებია დაბეჭდილი.

პერიფერიული ლიტერატურის არსებობის დაკანონება საფუძველშივე მცდარი იქნებოდა, და მინც, აქვს თუ არა ამ მოთხრობებს ის თვისება, რითაც ისინი ქართული პროზის განვითარების საერთო ნაკადს უერთდებიან?

პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია.

დამწყები პროზაიკოსი ხშირად ორ უკიდურესობაში ვარდება.

ერთი — როცა იგი მოვლენას იმდენად თავისებურად აღიქვამს, იმდენი პირადული, კერძო ვითარება შეაქვს შიგ, რომ ვეღარ ამჩნევს იმ ობიექტურ ნიშანს, რაც მოვლენის განსაზოგადებლად აუცილებელია.

გადაჭარბებული ემოციურობის შედეგი გადაჭარბებული „რომანტიკოსობა“ და სენტიმენტალობაა.

მეორე — როცა ივიწყებს, რომ პროზა მოძრაობის, ცვლილების, მოვლენის გამომწვევი მიზეზის ასახვაა და არა მოვლენის სტატიკური განმეორება. შედეგი იგივეა — იგი ამ შემთხვევაშიც ვერ პოულობს ობიექტურ თვისებას, ხედავს მხოლოდ საგნის ფორმას და ვერ წვდება საგნის არსს.

კრებულში დაბეჭდილ თითქმის ყველა მოთხრობას აქვს ერთი საერთო თვისება — მოვლენისადმი გრძნობამოჭარბებული და იმავე დროს ზერელე, ემპირიული მიდგომა.

„ძია შიოს ტანი არც ისე დაბალი აქვს. სახე ოდნავ გამხდარი. მხრებში შესამჩნევად მოხრილი, ჭროლა თვალები ჭყეტელა, დაქმუჭნული ქუთუთოები შიგნიდან შეწითლებია; მრგვალი კოჟრინი თავი ზამთარ-ზაფხულ გადახოტრილი აქვს; უღვაშები ჩაისფერი, პატარა და ჭოტა. ზამთარში გახუნებულ მაზარას, დაკერებულ ჩექმებს და აქერცლილ ტყავის ქუდს არ იშორებს, ზაფხულობით ოსური ქოლგა ქუდით, ღი-

ლებაწყვეტილ სატინის ხალათით და მოურგები სამხედრო მწვანე შარვლით დადის; თბილ ამინდში ფეხზე ფეხივით აცვია, ამიტომ ტერფები ნიადაგ ჩაშავებული აქვს, ქუსლები ალაგ-ალაგ დამსკდარი, ფეხის გულეები ლანჩივით გამოყვანილი“.

ასეთია გიორგი ხორგუაშვილის მოთხრობების „ძია შიოს“ და „ისევე ძია შიოს“ მთავარი გმირის პორტრეტი.

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით თუნდაც იმის გამო, რომ სიარული შეიძლება ფეხით და არ შეიძლება მწვანე შარვლით, და რომ არც „ტანი არც ისე დაბალი აქვს“ არის პროზის ენა, ერთი სიტყვით, არაფერს ვიტყვით მოტანილი ადგილის მხატვრულ ღირებულებაზე, — გმირის პორტრეტი ასე თუ ისე მაინც დახატულია.

ძია შიო ნახევრად შეშლილია. ქართული მოთხრობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქმის ყოველ სოფელში ცხოვრობს ერთი ასეთი შლეგი. ძია შიოც ერთი მათგანია. იგი პორტრეტულადაც ძალზე წააგავს თავის წინამორბედებს.

ძია შიოს დასცინიან, იგი ერთი ჭიქა ღვინისთვის იმპროვიზებულ სპექტაკლებს დგამს — ცეკვავს და მღერის. ძია შიოს ადამიანური ტაქტიც ახასიათებს, იგი თვალს არიდებს მსხლის ქურდ აგრონომ ტატიანას და უტაქტოცაა, „სოფლის თავკაცის“ ილოს კუბოსთან საქვეყნოდ განაცხადებს — „კაი ვაჟკაცი იყავი, მაგრამ კაი არდასაცალებელიცა!“

წავიკითხეთ მოთხრობა, ვერძენით, რომ ავტორი სიმპათიურადაა განწყობილი თავისი გმირისადმი, რომელმაც, მიუხედავად გონებრივი ნაკლისა, იცის თანასოფლელების ავკარგი და თითქოს სწორედ გონებრივი ნაკლის გამო ეუბნება ყველას პირში სიმართლეს. მისთვის უცხოა ცბიერება, ვინმეს წინაშე ქედის მოდრეკა... და შემდეგ?

რა სოციალური, საზოგადოებრივი ან ეთიკური დანიშნულება ჰქონდა ამ პორტრეტის შექმნას, ვინ არის ძია შიო? — თუ მხოლოდ თავისი ბიოლოგიური არა-

სრულფასოვნების მსხვერპლია, — მაშინ ეს მოთხრობის თემა არ არის. თუ იგი არსებობს როგორც მის მიერ დანახული უსამართლობის მამხილებელი რემარკა, მაშინ სოციალური გარემო უნდა იყოს სხვანაირად ასახული. თუ მოთხრობა დანახული სურათის (თუნდაც ნანახი კაცის) მხოლოდ აღწერაა, მაშინ რისთვის დაიწერა მოთხრობა?!

მოთხრობის ავტორს, შესაძლოა, მხოლოდ ხასიათის შექმნა სურდა. მაშინ გავიხსენოთ ლიტერატურული ხასიათის ცნობილი, ჯერ კიდევ კრიტიკული რეალიზმის დასაბამთან შექმნილი გაგება: ხასიათი ფსიქიკისა და იმპულსების, სუბიექტური თვისებებისა და ზოგადის გაერთიანებაა. იგი სოციალური გარემოს შედეგია, უშუალოდაა დაკავშირებული ყოფასთან, საზოგადოების ინტერესებთან და გემოვნებასთან, მოიცავს საზოგადოების ეთიკურ და ესთეტიკურ ნორმებს. ასეთია არა მარტო მნიშვნელოვანი მოვლენის ხასიათი — ცალკეული პიროვნების ხასიათიც ამ რთული ნაწილებისაგან შედგება.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ მკითხველის მოთხოვნილებასა და გემოვნებას, მაშინ პათოლოგიური ან ფსიქიკურად დაავადებული პერსონაჟის კიდევ ერხელ გაცნობა შეიძლება მხოლოდ იმით გავამართლოთ, თუ მის ხასიათში არსებული ჯანსაღი მორალური საწყისი რამე მნიშვნელოვანი პრობლემის, ან თუნდაც რომელიმე საკითხის ლიტერატურულ განსახიერებას მოხმარდება.

გიორგი ხორგუაშვილის მოთხრობებში სინამდვილის ასახვა ჯერჯერობით მოვლენის მხოლოდ ზუსტი და მშრალი განმეორება და გადმოღებაა. არ შეიძლება ითქვას, თითქოს ავტორი არ ცდილობდეს გამოამყვანოს მის მიერ ასახული მოვლენის სოციალური არსი ან მხატვრული თვისება. იგი დასკვნის გამოტანასაც არ ერიდება. სოფლის თავკაცი ილო ბოროტად იყენებდა თავის მდგომარეობას, მაგრამ ვის შერჩენია წუთისოფელი და აი, ილო კუბოში წევს, ხოლო ქეშმარიტების მლალაღებელი ერთადერთი კაცი — ძია შიო მის-

თვის ეპიტაფიასაც შეთხზავს — „კაცი ვაჟკაცი იყავი, მაგრამ კაცი არცააღლებელიცა“. ასეთია ავტორისა და მხატვრის გმირის მორალური პოზიცია.

უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ცხედრის ზედმიწევნით აღწერა, ასევე უსიამოვნოა დატირების სცენა:

„...ვიღა შემოვიდეს განიერი ბეჭებითა ამ სახლში და ვიღამ შემოიტანოს ოჯახში სიხალისე-ე! ხალხო, მამკალით, მამკალით. დედამიწაზე არ დადის ამ ძუძუებით გაზრდილი ვაჟკაცი-ი-ი!.. ვაი, რა ცეცხლში ჩავცვივდით!“

დედის ტექსტი.

„...ადექი, გეხვეწები! ადექი. კიდევ გამაბრაზე შენი ჯიუტი საქციელითა, კიდევ ინავარდე ქალებში ჩემს ჯიბრზე, და კიდევ გამათენებინე ღამეები შენს მოლოდინში, კიდევ დამემუქრე სახლიდან გაგდებითა, ადექი, ადექი!“

მეუღლის ტექსტი.

დატირების ტექსტით მკითხველი შეიძლება მიხვდეს, თუ რა კაცი იყო ილო, რა დამოკიდებულება ჰქონდა ცოლთან, იყო თუ არა იგი მართლაც „არდასაცალბელი“. მაგრამ ფაქტიურად ილოს საზოგადოების მსჯავრი არ ღირსება, ილო დასაჯა სიკვდილმა. სოფლის თავკაცზე სიმართლე მხოლოდ და მხოლოდ ნახევრად შეშლილმა შიომ წარმოთქვა, მისი ეპიტაფია პასიური, იუმორისტული ხასიათის მხილბაა. თუ ავტორის პოზიციიდან ვიმსჯელებთ, ამქვეყნად არავის არაფერი არ შერჩება, რადგან აღრე თუ გვიან ყველა მოკვდება. თუ საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით მივუღებთ, სიკვდილი სასჯელი არ არის, იგი გარდუვალი ბიოლოგიური მოვლენაა, ამიტომ ფაქტიურად ილოს ქალებში ნავარდიც, სახელმწიფო ქონების მითვისებაც და სასახლის წამოჭიმვაც შერჩა. მოვლენისადმი პასიური დამოკიდებულების გამო ავტორი არ ცდილობს მიზეზი და შედეგი ეძიოს; იგი კმაყოფილება მხოლოდ ამბის მოყოლით.

ოტია პაჭკორია

„ლიახვი“



ილო უფრო მამასახლისს წააგავს, ვიდრე სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს; ძია შიო კი ფეოდალის კარზე მცხოვრებ ხუმარას, რომელსაც ერთადერთს შეუძლია სიმართლე დაუსჯელად თქვას, რადგან იგი სოციალური ერთეული კი არ არის, არამედ პათოლოგიური გამო-ნაკლისია.

„სიკვდილი ზეიმობდა სოფელში, სიკვდილი ცეკვავდა კუბოს გარშემო, მწუხარება თამაშობდა იქ მყოფთა სახეებზე. იცრემლებოდნენ, ინაღვლებოდნენ, იღრიჯებოდნენ, ფშრუკუნებდნენ, ბუტბუტებდნენ, გლოვობდნენ“.

ავტორის სტილის დამახასიათებელი ეს ადგილი ჩვენ საგანგებოდ მოვიტანეთ. აქვე უნდა გავიმეოროთ უკვე არაერთგზის ნათქვამი — არ შეიძლება ერთი ტიპის, მსგავსი კონსტრუქციის, ერთნაირი ემოციური დატვირთვის მქონე სიტყვებისა და წინადადებების დაუსრულებელი განმეორება. ახალგაზრდა მწერალი ერთი მოჩვენებითი თვისების გამო შეცდა — „იცრემლებოდნენ, ინაღვლებოდნენ, იღრიჯებოდნენ, ფშრუკუნებდნენ, ბუტბუტებდნენ, გლოვობდნენ“ — სიტყვების ასე დალაგება ერთგვარ რიტმულ თანამიმდევრობას ქმნის, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ასეთი რიტმი მოჩვენებითია, ამით დინამიურობა არ იქმნება, პირიქით, რიტმი ნელდება, მონოტონური და მოსაბეზრებელი ხდება და არც ის ინტონაცია აქვს, რის მიღწევასაც ავტორი ცდილობდა.

„სიკვდილი ცეკვავდა კუბოს გარშემო“, „ორიოდე მწუხარეს თუ გაეღიმა ნაზად“. „ძაძებში გახვეულები გულის-დამთუთქველად მოსთქვამდნენ ჯერბთა. თამაგაშლილები, სახედაკაწრულები, ხელგაშლილები, ძერასავით გადაფარებოდნენ კუბოს, ცრემლდამდუღარენი დაემხობოდნენ სათითაოდა. სიკვდილის წყველა-კრულვაში, მისი უსამართლობის გამოაში, ცხედრის ქება-დიდებაში ეჯობებოდნენ ერთმანეთს, სევდიან გლობაში აღრჩობდნენ ყელში მობჯენილ ბოღმას“.

არც ისე ადვილია უცებ დაასაბუთო ამ ადგილის უფარგისობა. ერთი ფაქტი:

ეს არ არის თანამედროვე პროზის ენა, მიუხედავად მრავალსიტყვაობისა, სტატიკური, მოუქნელი ენა.

ზედსართავი სახელების სიჭარბე არ ქმნის პროზის ენას (თამაგაშლილები, სახედაკაწრულები, ხელგაშლილები, სულმდუღარენი, სახედაღრეჯილები, კეთილები, ბოროტები). პროზის ენის მთავარი ძარღვი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზმნაა — მოქმედება და მოძრაობა. ოღონდ აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო — ერთ წინადადებაში ერთი მოქმედების გამომხატველი ოთხი ან ხუთი სიტყვის ერთად ხმარებამ შეიძლება ენის დაძაბუნებამდე მიგვიყვანოს.

როცა ჩვენ ვამბობთ, პროზის ენის მთავარი ძარღვი ზმნააო, ნუ გავიგებთ ამას ისე, თითქოს ჩვენ აქ მოძრაობის მექანიკურ განმეორებასა და გადმოცემას ვგულისხმობდეთ. „აზროვნება მოქმედებაა, ხოლო ყოველგვარი მოქმედება მოძრაობას გულისხმობს“. სწორედ ეს არის დინამიზმის საფუძველი.

რატომ ხდება, რომ მოთხრობის თემა სინამდვილიდანაა აღებული (როგორც, მაგალითად, ხორგუაშვილის მოთხრობის „ატენური უცნობისაგან“), მაგრამ „სინამდვილესთან სისწორის“ პრინციპი მაინც დარღვეულია. ავტორი მოვლენის, ხასიათების აღწერის დროს მაინც „ტყუის“, როგორი ყოფითი, ზოგჯერ გადამეტებითაც ყოფითი არ უნდა იყოს ასახული სურათი.

ამის მიზეზი წვრილთემიანობაც ვახლავთ.

ორი მეგობარი სადგურის რესტორანში ზის („ატენური უცნობისაგან“). ორი — ჩეხოვისებური მსუქანი და გამხდარი. ვილაც უცნობი მათ ატენურ ღვინოს გამოუგზავნის. რესტორნიდან გადის ლამაზი ქალი. მეგობრები თვალს გააყოლებენ. ერთი მათგანი, გაიოზი, პრაქტიკული ცხოვრების აპოლოგეტი, ქალს შეაფასებს — „კაი ნაჭერია“. გამოირკვევა, რომ ქალი მეორის, ირაკლის ყოფილი ცოლია. გაცილებულან, რადგან ირაკლიმ ქალს იმედი ვერ გაუმართლა და დიდი პოეტი ვერ გახდა. ბოლოს

ისიც გამოიჩინა, რომ ღვინო მათ ქალ-  
მა მოართვედა.

ასეთ თემაზე მოთხრობის დაწერას  
საკმაოდ მაღალი ბელეტრისტული ოს-  
ტატობა სჭირდება, რადგან თემა ბანა-  
ლობის საშიშროებას შეიცავს.

„მოჩანგლე თუ არა, მაშინვე უნდა  
მოგეყვანა, დაგვადო სახლში და მზე არ  
დაგენახებინა. შენს მკლავზე რომ  
თმებს გაიწეწავდა, მერე აღარ მოგშორ-  
დებოდა. ოჯახზე ჯიგარს დაიყრი-  
და...“ — ეუბნება გაიოზი ხელმოცა-  
რულ პოეტს.

გაიოზი არა მარტო პრაქტიკული კა-  
ცია, იგი ოდესღაც თურმე თვითონაც  
წერდა „რივიან“ ლექსებს და მიაბიტი  
როდი იყო — „თუ ძმა ხარ, ვალაკტიონ-  
ნის მერე რა უნდა დაწერო“, — და თა-  
ნაც „სავალდებულო არ არის ყველა  
პოეტი იყოს“. გაიოზმა მდიდარი, ულა-  
მაზო ქალი შეირთო. „ლამაზები რამდე-  
ნიც გინდა იმდენია“, იგი „გაფუჭებუ-  
ლი“, ყოველგვარ რომანტიკას მოკლე-  
ბული საქმოსანია. ავტორს სურს ამომ-  
წურავად დაახასიათოს თავისი გმირი  
და ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო  
ხერხს მიმართავს, ნაპოეტარ კაცს ასე  
ალაპარაკებს — „იფ, რა ნაჭერია, ბი-  
ჭო!“ (თანაც იმის შემდეგ, როცა გაი-  
გებს, რომ ქალი ირაკლის ცოლი იყო),  
„რით დააბი ეგრე?“ „მოჩანგლე თუ  
არა“ და სხვ.

ხშირად ფიქრობენ, რომ ჟარგონი  
ენას და ნაწარმოებს ბუნებრივობას მა-  
ტებს, სინამდვილესთან აახლოვებსო. ეს  
მცდარი აზრია. შეიძლება ბევრი მაგა-  
ლითის მოყვანა, როცა უადგილოდ ნახ-  
მარი ჟარგონი ნაწარმოებს აყალბებს,  
მანერულობისა და ლიტერატურული  
„კოკეტობის“ გარდა, სხვა არავითარ  
შთაბეჭდილებას არ ახდენს.

ბევრი ცნობილი მწერალი იყენებდა  
ჟარგონს თავისი შემოქმედების პირველ  
ეტაპზე, მაგრამ შემდეგ, როგორც  
წესი, უარყოფდა მას. ჟარგონით კოლო-  
რიტის შექმნა ან გმირის დახასიათება  
მეტად იოლი გზაა, ხოლო ლიტერატუ-  
რული ენისადმი ასეთი „ნოვატორული“

დამოკიდებულება უქმად დახარჯული  
შრომაა.

გიორგი ხორგუაშვილის მოთხრობებში  
ზე გამოთქმული შენიშვნები მეტ-ნაკ-  
ლებად კრებულში დაბეჭდილ სხვა მო-  
თხრობებსაც ეხება.

ჩანჩალა — ძია შიოს ლიტერატურუ-  
ლი ორეულია, იგი გარეგნობითაც ჩა-  
მოგვაგვს ძია შიოს.

„ჩანჩალა დაგვალული ტანის კაცია,  
დაკენჭილ სახეზე პაჭუა ცხვირი აზის,  
ყვრიმალის ძვლები მკაფიოდ აქვს გა-  
მონატული. საფეთქლებიდან დათრთვი-  
ლული თმები მოუჩანს, ნიკაპი ციცხვი-  
ვით აქვს ჩაღრმავებული და წინ წამო-  
წეული.“

ქუჩაში თავჩაქინდრული უყვარს სია-  
რული და დიდრონ ჭროლა თვალებს ისე  
აბრიალებდა, თითქოს დაკარგულ განძს  
დაეძებოს.

ზურგზე ჩანთადაკიდებული უყვარს  
სიარული, შავკარტუზჩამოფხატული,  
გახუნებული ლურჯი ფარაჯის კალთე-  
ბის ფართხუნით, რის ვაივაგლახით მი-  
ათრევს დრაგუნა ჩექმებს“.

ასეთია ჩანჩალას პორტრეტი.

იოსებ სრესელი ბუნებრივად წერს,  
თუმცა ზოგჯერ სიზუსტეს ვერ იცავს.  
არ შეიძლება კაცს „საფეთქლებიდან,  
დათრთვილული თმები მოუჩანდეს“.

ჩანჩალა სიკეთით სავსე კაცია, ახალ  
წელს ბევრი ოჯახის მეკვლე. ადამიანე-  
ბი გრძნობენ ჩანჩალას სიკეთეს და  
უხარიათ, როცა ახალწლის დილას ეს  
კეთილი კაცი დაულოცავს ოჯახს.

ჩანჩალას სიკეთისთვის სიკეთით მი-  
ეზლო, მას ორი, ერთიმეორეზე უკეთე-  
სი ქალიშვილი ჰყავს — ფიქრია და  
ციურია.

მოთხრობა ცუდ შთაბეჭდილებას არ  
ტოვებს. ავტორი უბრალოდ, გულწრ-  
ფელად მოგვითხრობს თავისი გმირის  
ამბავს.

„ჩანჩალა“ ფაქტიურად ორი მოთხ-  
რობაა. ერთია ჩანჩალას პორტრეტი,  
მეორე ჩანჩალას ქალიშვილების მიერ

ოტია პაჭკორია

„ლიახვი“

დაზგების მზეთავ რეზოსთან გათამაშებული იუმორისტული სცენა, რაც მოთხრობის კომპოზიციურ მთლიანობას არღვევს.

თანამედროვე პროზას თავისი სახეების სისტემა, თავისი ლექსიკური მასალა, განწყობილების თავისებური გამოხატვა ახასიათებს.

როცა ჩვენ მოთხრობაში უაღრესად ნაცნობ, ძველ სახეებს ან შედარებებს ვხვდებით, რასაკვირველია, მათი კატეგორიულად უარყოფა არ შეგვიძლია, მაგრამ ასეთი დეტალები რამდენადმე ახასიათებენ საგნებთან ავტორის დამოკიდებულებას, მის ლიტერატურულ გემოვნებას.

„რეზო სიხარულისაგან დაიბნა, ვერაფერი აწამა, ტყუპის ცალი ვერ გაარჩია ფიქრიაში, ღიმილით მიეგება, მიჯნურად მიიღო“.

„მკლავებდაკარწახებული ფიქრია პეპელასავით თავს ევლებოდა საქსოვ დაზგებს“.

„ორივეს კოპწია მარწყვის ტუჩები ამშვენებთ“.

რა გვეთქმის, „პეპელასავით თავს ევლებოდა“, „მარწყვის ტუჩები“, „მიჯნურად მიიღო“ არავითარ აზრობრივ შეცდომებს არ შეიცავს, მაგრამ ასეთი გამოთქმები, შედარებები თუ სახეები შთაბეჭდილებას მაინც აფუჭებენ, რადგან ისინი ცალკეული, შემთხვევითი ფრაზები როდია, ისინი თემის დამუშავების, გარემოს აღქმის, თვით თემის შერჩევის პრინციპიდან გამომდინარეობენ.

ჩვენ ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში გვსურს დავინახოთ დიდი ენერჯია, მოვლენათა არსის წვდომის უნარი, პიროვნული ძალა, დაფიქრება იმ ზნეობრივ საკითხებზე, რაც ადამიანებს ყოველთვის აინტერესებდათ, ჩვენი ეპოქის რიტმის, მისწრაფებისა და ხასიათის ასახვა და ბელეტრისტული ოსტატობა. ჩვენ ზედმეტ მოთხოვნილებას არავის არ ვუყენებთ. თანამედროვე ქართული პროზის განვითარება ერთი მთლიანი და რთული პროცესია, მას არა აქვს წვრილმანი და უმნიშვნელო მხა-

რეები. ყოველი დეტალი, ყოველი ცალკეული მომენტი მხოლოდ ამ ენერჯიის მოთხოვნილების ასპექტით უნდა შექმნას განხილული.

„ინვენტარი“ თავისთავად არაფერს არ ქმნის. ზოგჯერ დამწყებ მწერალს მიაჩნია, თუ თავის ნაწარმოებში ატომი, ბალისტიკა ან რაკეტა ახსენა, ამით ეპოქას „ხარკი“ გადაუხადა და თანამედროვეობის მოთხოვნილებათა დონეზე დადგა.

შედეგი დაახლოებით ასეთია — ჩვენ ვკითხულობთ ემოციებით გაზავებულ ცნობებს სოფლის მეურნეობაში ატომის ენერჯიის გამოყენებაზე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შოთა ჯვარამის მოთხრობა „პატარა ქალიშვილი“.

„ჩვეულებრივი სამუშაო დღე დაიწყო“...

ოთარი პროფესორ ლორთქიფანიძის სამუშაო ოთახისაკენ გაემართა.

ოთახში საუბრობენ მალალი ტემპერატურის ღუმელში წნევის მომატებაზე, ბუნებრივი საწვავი მარაგის რაოდენობაზე და ერთი ჭიქა ჩვეულებრივი წყლის ენერჯიაზე.

ჩვენ ავტორს არ ვედავებთ, რომ „წყალბადის ბომბი უკვე განვლილი ეტაპია და საჭიროა მშვიდობიანი მიზნით წყლის ენერჯიის გამოყენება“.

ოლონდ რა შუაშია აქ პატარა ქალიშვილი?

პროფესორის ოთახში შემოდის გოგონა, იგი ლაბორატორიის გამგეა, ოთარი მას გაიცნობს.

ესაა და ეს.

ჩვენ ეპოქაც გამოვხატეთ, წყალბადიც არ დავივიწყეთ, მალალი ტემპერატურის ღუმელიც მოვისხენიეთ, ქალიშვილიც გავიცანით და თანამედროვე პროზის „ნიმუშიც“ შევქმენით.

მარტივად, უბრალოდ წერა მარტივ და უბრალო ლიტერატურას როდი გულისხმობს.

ახალგაზრდა ავტორს იქნება უცნაურადაც კი მოეჩვენოს — სულ ორ გვერდზე ამდენი „რთული“ რამე რომ თქვა, ჩვენ კი სიმარტივეს, პრიმიტუ-



ლობასაც კი ვაბრალებთ! ლიტერატურული აზროვნება სულ სხვაა, ფიზიკისა თუ კიბერნეტიკის ფაქტთა პოპულარული გადმოცემა კი სხვა. ბოლოს და ბოლოს, ასე რომ არ იყოს, საუკეთესო რომანები მეცნიერულ-ფანტასტიკურ თემებზე დაიწერებოდა, დაიწერებოდა ამფიბიებსა და ჰიპერბოლოიდზე და არა ადამიანის სულზე.

„ლოდი“ „პატარა ქალიშვილის“ გაგრძელებაა. ამ მოთხრობაში ჩვენ ვგებულობთ, რომ ოთარსა და მარიამს ერთმანეთი შეჰყვარებიათ:

„საქვს ჩახუტებული ოთარი მაღიმალ გამოაპარებდა ხოლმე თვალებს თანამგზავრისკენ, ღიმილით შეხედავდა ბედნიერ, თვალფუფუნა მარიამს და... უმატებდა სიჩქარეს. თითქოს უნდოდა ეს გოგო შორს, ქვეყნიერების დასაღიერეში წაეყვანა.

ხმას არ იღებდნენ, მათი თვალები ასხივებდნენ წადილს. დიდხანს, დიდხანს გრძელდებოდა ეს გზა, — მათი ნეტარების წუთების სათავე“.

არ შეგვიძლია ერთი საყვედური არ გამოვთქვათ. ნუთუ ახალგაზრდა კაცმა, ისიც მწერალმა, ქალიშვილთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურად და ეთიკურად უფრო საინტერესო ფორმები ვერ უნდა გამონახოს. „საქვს ჩახუტებული ოთარის ნეტარების წუთების სათავე“ და „თვალფუფუნა მარიამის თვალებიდან გამოსხივებული წადილი“ ძნელად მოსანელებელი სენტემენტალობისა და ნატურალიზმის ნაერთია.

შემდეგ ახალგაზრდები ძველ საყდართან მოხუცს შეხვდებიან, მოხუცი მათ ერთი ლოდის ამბავს მოუთხრობს. თურმე ამ ლოდზე ურჯულო თათრებმა მისი მშობლები დაკლეს.

„ჩვენი წარსული ცხოვრების ერთი სურათის მწარე მოგონებას“ (როგორც თვით ავტორი ამბობს) დამაჯერებლობა აკლია. ამოვხსნათ ერთი მარტივი არითმეტიკული ამოცანა. ქართლში „თათრების“ შემოსევის მოწმე კაცი ასოთხმოც წელს უნდა იყოს მიღწეული. დავუშვათ, რომ ქართლის რომელიმე სოფელს თურქები უფრო გვიან, რუსეთ-

თურქეთის ომის დროს დაესხნენ თავს, მაშინ მოხუცი დაახლოებით ასობით წლისაა. მოთხრობაში იგი ამ ხნის განმავლობაში შეთავსილებას არ ტოვებს. ამბავშიც არის რაღაც ისეთი, რაც სინამდვილის გრძნობას აყალბებს: მოქმედების ადგილის ცუდად დანახული „ტოპოგრაფია“ და საერთოდ მოთხრობის ინტონაცია, ნეტარების წუთებიდან ავბედით წარსულზე ულოგიკო, მოულოდნელი გადასვლა.

ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობა „ემა“ კარგი მოთხრობაა.

ემა უადრესად ცოცხალი, პლასტიკური სახეა. მკითხველს სჯერა, რომ ემა სწორედ ისეთია, როგორც ავტორს ჰყავს წარმოდგენილი — გულუბრყვილო ქალაბიჭა, მოუქნელი და უხეში, მაგრამ მის ბუნებაში დაფარულ ქალობას სულ მცირე ბიძგი სჭირდება, რომ ემას ახალი, დიდი სილამაზე შემატოს.

მერაბიშვილი უშუალოდ გრძნობს თავისი გმირის არც თუ იანე რთულს, მაგრამ მთლიან ბუნებას, მის ქვეშეცნეულ მოლოდინს. მოთხრობა მხოლოდ ქალაბიჭა ემაზე არ არის დაწერილი, იგი დაწერილია იმ მშვენიერ, მოსიყვარულე ქალზე, ემა რომ გახდება. ელგუჯა მერაბიშვილი ნათელა, პლასტიკური სახეებით აზროვნებს და მკითხველშიც ნათელ, პლასტიკურ წარმოდგენებს იწვევს. იგი ალბათ გულთბილი და გულისხმიერი კაცია, არაფერს არ „იგონებს“, წერს ისე, როგორც ხედავს, უყვარს ბუნება. პეიზაჟს, მართალია, ცოტა არ იყოს პასტორალურად, მაგრამ მაინც ნათლად და ბუნებრივად აღწერს.

ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობის ნაკლი ზემოთ განხილული მოთხრობების ნაკლის განმეორებაა. მას ორნამენტული პროზისაკენ გადამეტებული მისწრაფება ახასიათებს და თავს ხშირად ვერ იკავებს მაღალფარდოვანებისა და პათეტიკისაგან.

იგი ზოგჯერ ასე წერს: „... და ნეტა-

---

ოტია პაჭკორია

„ლიახვი“

რებით შეიგრძნო ემამ მწველი ალერსის სიტკბო, მთელი მისი სხეულიდან დაიძრა თბილი, ყველაფრის წამლეკავი ნიაღვარი, თავბრულდამხვევი ნექტარით დაუარა გონებას და სიამით დააღტო, მოაღუნა მისი სალუქი ტანი“.

ეს დაახლოებით იგივეა, რაც „ნეტარების წუთების სათავე“.

წავიკითხოთ ეს ადგილი ისე, თითქო: სიტყვები — ნეტარებით, მწველი, ნექტარი, ყველაფრის წამლეკავი, სალუქი და სიამით დააღტო — არ ეწეროს. მაშინ დარჩება მკვეთრად გამოხატული მოქმედება, რომელიც ემას ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას „მწველისა“ და „ნეტარის“ გარეშეც კარგად ასახავს.

ავიღოთ, მაგალითად, ასეთი დეტალი — „მისი სხეულიდან დაიძრა თბილი, ყველაფრის წამლეკავი ნიაღვარი“.

ნიაღვარი შეიძლება თბილი იყოს, აქ სადავო არაფერია, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში ფიზიკური თვისების გარდა ინტონაციასაც აქვს დიდი მნიშვნელობა.

თბილი — მშვიდი, მოდუნებული ინტონაციის მქონე სიტყვაა და „ყველაფრის წამლეკავ ნიაღვარს“, როგორც მძაფრი, აფორიაქებული სულიერი განწყობილების გამომხატველ ფრაზას, ინტონაციურად არ შეეფერება.

ეს იგივე საკითხებია, რომელთაც ზემოთ, პროზის ენაზე საუბრისას დაწვრილებით შევეხეთ.

ელგუჯა მერაბიშვილის მეორე მოთხრობა „მეგობრის ხასიათიც“ გულწრფელი, თბილი ინტონაციით, თავისებური იუმორითა და გულახდილობით დაწერილი ნაწარმოებია, მაგრამ ავტორს ამ მოთხრობაშიც აქვს ასეთი ადგილები: „ქუჩის საათის გვერდით ღამაზ თარგში ამოკვეთილი, აშოლტილი ტანის ვარდ-გიშერა ასული მოაბიჯებდა ტროტუარზე. გადასასვლელს მოადგა, შუქსიგნალი შეათვალღერა და მოხდენილი ტანის რხევით გამოაბიჯა შუა ქუჩაში. თავი ზეაწია ამაყად, თითქო ეღიმებო, ისეთი სხივი უკრთოდა გრძელა წამწამებით მოხატულ შავწყულიან თვალებში“.

კვლავ განსაზღვრებები, ეპითეტები, შეფასება.

ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობებს აქვს ისეთი თვისებები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისთვის ძნელი არ იქნება მსგავსი „მხატვრული ზედმეტობების“ თავიდან აცილება.

„საალბომო ლირიკა“ მხოლოდ პოეზიის საკუთრება როდია, „საალბომო ლირიკა“ პროზაშიც გაჩნდა.

„ცხოვრების გზაჯვარედინი...“

დაფასთან თეთრი, კაფანდარა გოგონა ტრიალებს.

დაფაზე ნახაზია: ორი სხეული მოძრაობს ერთმანეთის შესახვედრად, როდის შეხვდებიან ვეღარ გაუგიათ, არ გამოდის ამოცანა.

გოგონა დგას. გათხუპნულ თითებში ბარაქიანად მუშაობს უხილავი წისქვილი. ბოლო მერხში ერთი თვალწყულიანი ბიჭი ჩაკარგულა. საუღვავაშე ამწვანებია, მისჩერებია დაფას, მერე გოგონას. ისევ დაფას... და ისევ...

— ვიპოვნე! — იძახის ბიჭი და თავს გადაევლებს მერხებს.

გოგონა ერკვევა.

— ეს ორი სხეული ერთმანეთს შეხვდება, — ხმა ებზარება ბიჭს. — აი სად არის შეცდომა!

გოგონა იღიმება.

ამოწმებენ.

სწორია.

შეხვდებიან სამი საათის შემდეგ.

მიდიან და ჟღურტულებენ.

ჭიშკარში ჩერდებიან.

— ხომ ამოგხსენით შინც! — ამბობს ბიჭი.

— მერე რა მოხდა!

— არაფერი, ხომ შეხვდებიან, ჰა?!

— შეხვდებიან, ბიჭო, შეხვდებიან, რა მოგდის! — იცინის გოგონა.

გოგონა იკარგება პროწეულებში.

მთვარე იხლართება კაკლებში.

დარეკიანებული და წელათრეული მიაბიჯებს ბიჭი ორღობეში.


ბროწეულები სიცილით კვდებიან. შეხედებიან...“

მოთხრობა „ორი სხეულის შეხვედრაზე“ ბეგლარ ნოზაძეს ეკუთვნის. მას კრებულში სამი ლირიკული მოთხრობა აქვს დაბეჭდილი — „შეხედებიან“, „გაზაფხული“ და „მაგდა“ — პირველი სიყვარული, ბედნიერი სიყვარული და უნუგეშო სიყვარული.

როგორც ხედავთ, ამ მოთხრობებში ქალისადმი სიყვარულის თითქმის ყველა შემთხვევაა განხილული. არ შეიძლება ითქვას, თითქოს ავტორი ტყუოდეს ამ გრძნობის ასახვისას, თვით ისეთ ბუნდოვან მოთხრობაშიც კი, როგორც არის „შეხედებიან“, პირველი სიყვარულის კდემამოსილება, შეკრთომა, დაბნეულობა ასე თუ ისე გადმოცემულია, ალეგორიული ორი სხეულის შეხვედრასაც დაჰკრავს სკოლის მერხებზე ამოჭრილი ინიციალებისა და „წარწერების“ იერი. მოთხრობა „მაგდაშიც“ იგრძნობა გაცრუებული გრძნობის სიმწარე (თუმცა ჩვენ მოთხრობის ფინალი ვერ გავიგეთ, ვის გულისხმობს ავტორი, როცა წერს — „ახლა ჩემს ოჯახს ისევ ისე თვალგებრილა ყაყაჩო აჩირადღნებს“... ისევ მაგდაა მასთან, თუ სხვა „ყაყაჩო“), მაშ რა ქმნის „საალბომო ლირიკის“ შთაბეჭდილებას? მოთხრობების სენტიმენტალური ტონი, აღწერილი ამბის იმდენად კერძო, ვიწრო ხასიათი, რომ რაიმე ზოგადი, მნიშვნელოვანი აზრის აღმოჩენა ძნელია. სიყვარული, მით უმეტეს ქალის სიყვარული, ისეთი ძველი და ისეთი მარადიული თემაა, რომ მასზე წერა სახიფათოც კია. თუ მწერალმა ამ თემას ახალი, განსხვავებული ფორმა და სოციალური ხასიათი ვერ გამოუძებნა, მას ვერ უშველის ვერც თხრობის ემოციური მანერა და ვერც შორისდებული და კითხვის ნიშნები.

ქაბუჯი ახალწლის ღამეს საყვარელი არსების სახლისკენ მიემართება, „დიდი ფანტელები ცვივოდა. ხელისგულისოდენა ფანტელები, დიდი და ლამაზი ფანტელებით შემოდიოდა ახალი

წელი. გედის ყელივით თეთრი ფანტელებით იბარდებოდა არემარე...“

მივიდა ქალთან და გაიგო,  სხვას გაჰყოლია ცოლად.

ქაბუჯი ბრუნდება:

„ცოვად მეხვეოდნენ თავხედი ფიჭვები და წამწამებზე დნებოდნენ. ...ლამპიონებს თითქოს ჩასძინებოდათ, საცოდავად ბუჭტავდნენ, თეთრქურქმოფუთულნი“.

ქაბუჯს გუნება შეეცვალა და შეიცვალა გარემოც. ლამაზი ულამაზო გახდა, ნათელი დაბნელდა. ჩვენ არ შევაფასებთ ამ ლიტერატურული ხერხის აკარგიანობას. ავტორის საქმეა, თუ რა ხერხს მოიშველიებს თავისი გმირის სულიერი მდგომარეობის პლასტიკური წარმოსახვისთვის. აღქმის ასე შეცვლა ულოგიკო არ არის.

ლამაზად თოვდა.

მაგდა გათხოვდა.

აღარ თოვს ლამაზად.

და შემდეგ გმირი მსჯელობს — „ნუთუ სულის ფაქიზი დაფიდან აღარ შეიძლება ამოშლა, ამოკორტნა, ამოშანთვა...“

ჩვენ აქ კვლავ ვუბრუნდებით საკითხს, რომელსაც თითქმის ყოველ მოთხრობაზე საუბრისას ვეხებოდით.

თუ მოთხრობა მხოლოდ ამბის მოყოლა არ არის, მაშინ ავტორმა უნდა უზასუხოს კითხვას — რატომ გათხოვდა მაგდა?

ნუ გაგვიგებს ავტორი ისე, თითქოს ჩვენ მისგან რაიმე ოფიციალურ განცხადებას მოვითხოვდეთ, მაგალითად ასეთს — მაგდას არ უყვარდა მოთხრობის გმირი ან მაგდა შესცდა და გაჰყვა უღირსს.

მოთხრობის საფუძველი ყოველთვის სოციალური ან ფსიქოლოგიური ხასიათის მიზეზია. მწერალი არასოდეს არ ყვება მხოლოდ ფაქტს, იგი მხატვრულად ასახავს ამა თუ იმ სოციალური ვითარებისა და ფსიქოლოგიური პროცესის მიზეზსა და შედეგს. ეს ლიტე-

ოტია პაპკორია

„ლიახვი“



რატურული მასშტაბის შექმნის აუცი-  
ლებელი პირობაა.

ახალწლის დამის ტრავედიას (გმირის  
თვალსაზრისით ეს ტრავედიას) თავისი  
გამომწვევი მიზეზი ჰქონდა. მოთხრო-  
ბაში ეს მიზეზი არც ჩანს და არც იგრ-  
ძნობა. სწორედ ამიტომ აქვს მოთხრო-  
ბას ისეთი პირადული ხასიათი, რომ  
კერძო დღიურიდან ამოწერილ ფრაგ-  
მენტს ჰგავს.

ზაურ წაქაძის მოთხრობები კარგ  
შთაბეჭდილებას ტოვებენ, განსაკუთ-  
რებით „მამა“ და „თუთია“. ავტორის  
სტილი ნაკლებად დატვირთული ზედ-  
მეტი დეტალებით. მოთხრობების ენა  
მოქნილი და სახოვანია, იგი გასაგებად,  
უბრალოდ და თავშეკავებულად წერს.  
კარგი იქნება თუ ახალგაზრდა მწერალი  
მოერიდება ასეთ მსჯელობებს: „დავი-  
ფიცებ, ღია არაა ისეთი გოგო. შავთვა-  
ლებიანს მხოლოდ შავთვალებიანი ექ-  
ვარება, შავი თვალები ბიჭებს იშვიათად  
აქვთ“.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ზაურ წაქა-  
ძე, ელგუჯა მერაბიშვილი და სხვები  
კარგ მოთხრობებს დაწერენ. ამისათვის  
აუცილებელია მეტი დაფიქრება ბე-  
ლეტრისტულ ოსტატობაზე, ქართული  
პროზის ტრადიციების უფრო ღრმად  
და დაკვირვებით ათვისება და, რაც  
მთავარია, თანამედროვეობის თემების  
უფრო თამამად, ენერგიულად და მას-  
შტაბურად დამუშავება.

კრებულში დაბეჭდილი ავტორების  
ძირითადი ნაკლი ზუსტი პოეტური აზ-  
როვნების სისუსტეში მდგომარეობს.

ყოველ საგანს შეიძლება კაცმა ათო-  
ბით ებითეტი გამოუქებნოს, მწერალი  
მრავლიდან ირჩევს ერთს, მისი სათქ-  
მელისთვის ყველაზე უფრო შესაფერს.  
არ არის საჭირო საგანს წინ უამრავი  
განსაზღვრებები უძღოდეს, ეს ისეთ  
შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ავ-  
ტორი ამდენი დამახასიათებელი სიტყ-  
ვის პოვნამ გაახარა და მათზე უარი ვერ-  
აფრთხილ ვერ უთქვამს. ასეთი მრავალ-  
სიტყვაობა მოულოდნელ შედეგს იძლე-  
ვს, საგნის პლასტიკური სიცხადით წარ-  
მოდგენა ძნელდება, თხრობის რიტმი

დუნდება, გამოთქმული აზრი, მიზეზ-  
დავად ასეთი გადამეტებული აქცენტუ-  
ბისა, ბუნდოვანი ხდება, კარგად  
ზუსტეს, რადგან ყურადღება მხოლოდ  
ლექსიკური მასალის აღქმაზე მახვილ-  
დება და იფანტება. როცა კაცს ნათლად  
აქვს წარმოდგენილი სათქმელი, მას სა-  
თქმელის გადმოსაცემად ბევრი სიტყვა  
არ სჭირდება, ყოველთვის პოულობს  
რამდენიმე ზუსტსა და უბრალო სიტყ-  
ვას, რომელთა სილამაზე სწორედ სი-  
ზუსტეში და ზომიერებაში მდგომარე-  
ობს.

\*

ახალგაზრდა პოეტებზე და პროზაი-  
კოსებზე მსჯელობისას ჩვენ ყოველ-  
თვის ვგულისხმობდით, რომ საქმე  
გვაქვს იმ ავტორებთან, ვინც დღეს თუ  
ხვალ ქართულ მწერლობაში უნდა მო-  
ვიდეს, რომელთაც აქვთ თავიანთი ლი-  
ტერატურული წრე, მკვეთრად გამოხა-  
ტული ნაკლით თუ დადებითი თვისე-  
ბებით. თუ ჩვენ პირუთენელი ვიყავით,  
მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა ისინი  
ლიტერატურულ ცხოვრებაში უფრო  
აქტიურად ჩაერიონ, გაითვალისწინონ  
დღევანდელი ლიტერატურული მო-  
თხოვნილების დონე და ისეთი კარგი  
საქმე, როგორც ახალგაზრდების კრე-  
ბულის გამოცემა, თავიანთი შემოქმე-  
დების დახვეწისა და ზრდისათვის გა-  
მოიყენონ.

კრებულში დაბეჭდილია შოთა მახა-  
რობლიძისა და შალვა ჭულუხაძის პი-  
ესა „უცნობი მეგობარი“.

ჩვენ არაფერს ვიტყვით ამ პიესის  
სცენიურ სახეებზე, მოქმედების განვი-  
თარებაზე, დრამატურგიულ კონფლიქ-  
ტზე, მიზანსცენებისა და პლანების გა-  
მო, შევებებით მხოლოდ პიესის ეთიკურ  
მხარეს.

მთელი პიესა კომიკური „გაუგებ-  
რობების“ ერთი უწყვეტი ჯაჭვია, პიე-  
სის პერსონაჟები ყოველ ფეხის ნაბიჯ-  
ზე ცლებიან, ერთმანეთს ვერ ცნობენ,  
უღვთოდ ტყუიან.

ავტორებმა დაწერეს კომედია და მათ  
კომედია ზნეობრივი ნორმების დარღ-

ვევასთან გაიგივეს. ეთიკის ნორმების დარღვევას, თუ ეს დარღვევა უაღრესად ამორალური მოვლენა არ არის, აქვს ისეთი პლასტიკური თვისებები, რაც სიცილს იწვევს. ჩვენს კომედიებში ხშირად ნახავთ საცვლების ამარა მორბენალ კომიკურ პერსონაჟებს, მძინარე მეზობელი ქვრივის გვერდით უდრტვინველად მიძინებულ მთვრალს და ა. შ.

„უცნობი მეგობრის“ ავტორებიც კომიკური სიტუაციების შექმნის დაახლოებით ასეთსავე პრინციპს იყენებენ.

პიესის მთავარი გმირი აბითურიენტი გეგია. ავტორების დახასიათებით იგი „კარგი ბიჭია“. რას აკეთებს ეს კარგი ბიჭი? (თუმცა გივი ჯერ არ არის კარგი, იგი შუა პიესაში უცებ გამოკეთდება). სკამზე მიიბამს მძინარე მიტოს, წიგნიდან ფურცლებს ამოუხვევს, ცეცხლს წაუკიდებს, ამ დროს მიტოს აბო თბილელის მარტვილობის მსგავსი რაღაც ესიზმრება. ბოლოს გივი მიტოს მიბეგვავს და არც დედამის თაფლოს დააყრის კარგ დღეს. მერე შემთხვევით იპოვნის გოგონას სურათს, შავ არშიას შემოავლებს, მკერდზე დაიბნევს და თავმოკატუნებული, დამწუხრებული შედის გამოცდაზე, გამომცდელს თავს შეაბრალებს — დეიდაშვილი დამელუპაო — და კარგ ნიშანს დასტყუებს. ბოლოს, როცა შეატყობს, რომ მის ხუმრობას ცუდი შედეგი მოყვება, ცდილობს შექმნილი მდგომარეობა გამოასწოროს. აქედან იწყება ფანტასტიკური ამბები: გივი ტყუილის გამოსწორებას ტყუალით ცდილობს, ფიგურალურად რომ ვთქვათ — უარყოფის უარყოფით დადებით შედეგს იღებს. დედა თამარისა, რომლის სურათსაც გივიმ შავი არშია შემოავლო, მძიმე ავადმყოფია. მას „შოშლომიცინი“ გადაარჩენს, „შოშლომიცინი“ კი მხოლოდ მოსკოვში იშოვება. გივი ბიძას ფულს დასტყუებს და „შოშლომიცინის“ საშოვნელად ერთი დღით მოსკოვს მიემგზავრება (გივი ახლა უკვე თამარის ოჯახის იღუმალი მფარველი ანგელოსია). მოსკოვში გივი მინისტრთან შევა. მინისტრი, რასაკვირველია, მაშინვე „უშოვ-

ნის“ „შოშლომიცინს“... გივი თბილისში ბრუნდება, უნდა წამალი ფარულად დადოს თამარის ოთახში, მაგრამ...  
ქვრივ და გამოირკვევა, რომ ფარული მეგობარი გივი ყოფილა, მას მადლობას უხდინა. გივი განაცხადებს — „მე მადლობის ღირსი არა ვარ“ — და შავარშიაშემოვლებულ სურათს თამარს უბრუნებს.

ამოვიწეროთ პიესის ერთი ადგილი:

ელიზბარი — მამატიეთ, ქალბატონო!...  
თაფლო — გამშორდი! შეგირცხვეს ეგ ქალბარა, ასეთი მაიმუნობა შეიძლება? მაგოდენა კაცი ხარ და თავში ჭკუა არა გაქვს!  
ელიზბარი — როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, მე...  
თაფლო — ოი შენა და თავლაფდასხმა!  
თამარი — დეიდა თაფლო...  
ელიზბარი — ბოღიში, უმორჩილესად გთხოვთ...  
თაფლო — მეც გივი ვარ, რომ გელაპარაკები...

როგორ ფიქრობთ, ვის და ვის შორის მიმდინარეობს ასეთი მაღალეთიკური დიალოგი, — ჰედაგოგ ელიზბარს, რომელიც თავისი სიბედის, დაუკვირვებლობისა და ფრიად არაპედაგოგიური უტაქტობის გამო ყოველ ნაბიჯზე უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, და დეიდა თაფლოს, კულტურული ოჯახის წევრისა და ტექნიკუმში შესასვლელად გამზადებული ვაჟკაცის აღმზრდელს შორის.

ანდა გავიხსენოთ გივის, მიტოსა და ქალბატონი თაფლოს საუბარი:

გივი — რაშია საქმე?  
თაფლო — შენ სიკვდილში და მოსპობაში.  
გივი — რა დავიშავეთ, რას იწყებებით?  
თაფლო — შეხედე ამ კვახივით გასახეთქსა.  
მიტო — ვინ არის?  
თაფლო — ვინ არის და ქალაქელი კინტოა.  
მიტო — ეგ რა შუაშია.  
თაფლო — მაგან წაგიკიდა ცეცხლი. ეგ იყო, კინალამ თავი რომ გამიხეთქა.  
მიტო — ამანა?!  
თაფლო — ჰო, ამანა. ამ არდასაცალბებლმა.  
გივი — ნუ იწყებლები თორემა?!..  
მიტო — (წამოდგა, წინ გაეჭიმა) შენა, იცი?..  
გივი — რა ვიცი, რა ვინდა, ვინ ვინდა?..  
მიტო — (ხელი გაუჭნია) ნუ ტლიკინებ!

ოტია პაჭკორია  
„ლიასვი“

გივი — ტლინკებს ნუ იქნევ!  
თაფლო — შეხედე ამ გულხელდასაკრფეს.

ბოლოს და ბოლოს, ქალბატონი თაფლო მიაღწევს, რომ თავის შვილსა და გივის ერთმანეთს წაჰკიდებს, შვილსაც გაულახავენ და არც თვითონ დაადგება კარგი დღე.

გამოჩნდება მილიციელი, იგი გივის დააკავებს, თავში წაუთაქებს და განყოფილებაში წაყვანას დაუპირებს. ეკითხება გვარს. გივი მსგავს სიტუაციაში არ იბნევა, მისი მორალური კრედი ასეთია — იცრუოს, სადაც საჭიროა და სადაც არ არის საჭირო, კეთილი საქმეც კი სიტრუით აკეთოს. ეტყობა, ამ ჰაბუს ტყუილი ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. ამ შემთხვევაშიც იგი თავის სტიქიაშია; რა გვარია? თევზაძე.

მილიციელი — თევზაძე!!!

გივი — დიას!!

მილიციელი — კონდრატი პლატონიჩისა რა ხარ?

გივი — შვილი..

მილიციელი სასწაულებრივ მორალურ მეტამორფოზას განიცდის: — „შეხედე ერთი, რამხელა ბიჭი ჰყოლია, რა კარგი ბიჭი (ხელი გაუშვა. მიეფერა).“

მილიციელი ახლა თაფლოსა და მიტოს უპირებს დაპატიმრებას, მათ ხომ „კონდრატი პლატონიჩის“ შვილს მიაყენეს შეურაცხყოფა.

ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდება, დეიდა თაფლომ ამოსწორა თავისი ლექსიკური მარაგი, „კარგმა ბიჭმა“ გივიმ მთლიანად გამოამყდავნა თავისი „ბიჭობა“, მილიციელმა კი კანონის დამცველის „სიმტკიცე და სამართლიანობა“. ყველას თავისი გზა აქვს და ბოლოს მათი გზები ერთ მორალურ გზა-ჯვარედინზე შეიყრება.

მშობლებს შვილები ვერ აღუზრდით, მასწავლებელს არ შესწევს უნარი, ავი და კარგი ერთმანეთისაგან გაარჩიოს. გარდა ამისა, იგი საკუთარ სენტიმენტალობას აყოლილი, გულჩვილი და თვალცრემლიანი, მისაღებ გამოცდაზე გასულ მოსწავლეს გამოუცდელად

უწერს ხუთიანს. შემდეგ კი ყმაწვილს, რომელმაც გაბედა და გულზე უხანძრავ სხვისი სურათი დაიბნია, შემოეშენა „უმადლეს სასჯელს“ პირდება, რადგან მასწავლებელი „გულუბრყვილო“ კაცია, თავის საქციელში არაფერს არ ხედავს ცუდს, ყმაწვილის მიერ ჩადენილ არც თუ ისე დიდ ზოროტებას კი საზოგადოებრივი წესრიგის დანგრევად მიიჩნევს. ნუ დაივიწყებთ, რომ ელიზბარი დადებითი პერსონაჟია.

შვილები მშობლებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყუებენ და ტყუილის მოგონების განსაცვიფრებელ უნარს იჩენენ (მაგალითად, გივის და თინა, ძმის მესაიდუმლე და თანაშემწე). ახალგაზრდები ერთმანეთს სატრაპების ენით ელაპარაკებიან, მათი მეტყველების სტილი ქართლური დიალექტისა და თბილისური ჟარგონის უხეში ნარევიანია. მილიციელი ფლიუგერივითაა, საიდანაც ქარი ქრის, თვითონაც იქით ტრიალებს, მაგრამ საქმე ასეც არ არის. ბოლოს და ბოლოს სიკეთე იმარჯვებს, გივი მინც კარგი ბიჭია, რადგან მის ბუნებაში დაფარული ჰუმანური საწყისი ელვის სისწრაფით „იფურჩქნება“ და რას არ მოიმოქმედებს გივი, — ბიძას ფულს დასციცლავს, ყულაბას გატეხს, გამოცდებს თავს მიანებებს, ერთი სიტყვით, მთავარია მიზანი, გზა მიზნისაკენ კი შეიძლება ასეთიც იყოს და ისეთიც. ყმაწვილის გულში პირდაპირ გაუცნობიერებელი მაკიაველიზმია დაბუღებული. გივი მოსკოვში, მინისტრთან ადვილად შედის. მას ამაში თანამედროვე ტექნიკა — ტუ-104 შველის. პიესაში ლაინერსაც ასხამენ ხოტბას, ავბედითი პედაგოგი ელიზბარი ამბობს: „მეცნიერება და ტექნიკა დედაბოძია ჩვენი ცხოვრებისა“.

„მოშალომიცინი“ კი, ავადმყოფების საოცნებო „მოშალომიცინი“ თურმე ცვლის: „ბიომიციინს, სტრუპტომიციინს, პენიცილინს, ლეომიციინს, ტერამიციინს, ტეტრაციკლინს, აურომიციინს“, ერთი სიტყვით, ქვეყნად არსებულ ყველა „მიციინს“. იგი უკვდავების წყაროა.



ზის მოსკოვში მინისტრი და ელოდე-  
ბა სახლიდან გამოპარულ პატარა ბი-  
ჭებს, რათა „უტყვადების წამალი“ ადა-  
მიანებს მათი მეშვეობით დროზე მია-  
წოდოს.

ერთია მოქმედება, გმირების საქცი-  
ელი, მათი მეტყველების მანერა, სხვაა  
ავტორების განყენებული მორალური  
პოზიცია. ისინი ამ პოზიციას ყოველ ნა-  
ბიჯზე დეკლარაციებით გამოხატავენ:

**ელიზბარი** — შუაში სწორედ მშობელია. სწო-  
რედ მშობელია დამნაშავე, რომ თავის  
შვილს ვერ აძლევს სათანადო აღზრდას.  
ასეთი მშობელი საზოგადოების გაკი-  
ცხვის ღირსია.

ჩვენი აზრით, ეს ადგილი თავისი გა-  
მოთქმებით ზოგიერთი პედაგოგიური  
საბჭოს სხდომაზე გაბატონებული კან-  
ცელარული უსულგულობის ჩინებული  
მაგალითია.

ავტორები ოფიციალურად მართალი  
არიან, როცა თავის გმირს ასე ალაპარა-  
კებენ:

**კოტე** — ... დასვენება და უსაქმურობა ერთმა-  
ნეთში არ უნდა აეუროთ. უსაქმურობა  
შრომისაგან ზურგის შექცევაა, დასვენე-  
ბა კი წინ მიგაქანებს.

უსაქმურობა აბეჩავეებს, აუძლურებს  
ადამიანს, დასვენება კი ამხნევეებს, ძა-  
ლასა მატებს. უსაქმურობა საღათას ძი-  
ლის მომგვრელი ბანგია, დასვენება —  
მაიცხლებელი წყარო, რომელიც დამ-  
შვრალს უკვდავებასავით ეპყურება.

უსაქმურობა აქანგებს ნამგალს, დას-  
ვენება კი ლესავს.

აქ ნათქვამი ყველაფერი უეჭველი  
ჭეშმარიტებაა, და თუ ჩვენ თავს ნებას  
მივცემთ, მაინც დავიწუნოთ ასეთი მო-  
ნოლოგი, მხოლოდ და მხოლოდ იმი-  
ტომ, რომ ეს ლიტერატურული მონო-  
ლოგი არ არის. ეს რეცეპტია, საკლასო  
ოთახის კედელზე გასაკრავი მოსწავლე-  
თა ყოფაქცევის „კათეხიზმო“. ასე  
მსჯელობს გივის მამა, კომბაინების  
კონსტრუქტორი, და ჩვენ სრულებითაც  
არ გვაოცებს, რომ ამგვარი დიდაქტი-  
კოსის შვილი მძინარე ამხანავს ცეცხლს

წაუკიდებს, მანდილოსანს უპატივცემუ-  
ლოდ მოექცევა და თუ მას მაინც სამარ-  
თლიანი და კეთილი ბუნება აქვს, ერთ-  
გორც ეტყობა, ეს სრულებითაც არ  
არის მშობლების დამსახურება, რომ-  
ლებით დროდადრო წესიერი მოქცევის  
ასეთ ლექციებს უკითხავენ ყმაწვილს.

ქართული დრამატურგია დიდ ხელ-  
მოკლებობას განიცდის, მაგრამ ჩვენ მა-  
ინც ვერ დავეთანხმებით მახარობლიძისა  
და ჭულუხაძის დრამატურგიულ მე-  
თოდს — ოლონდ გავაცინოთ ვინმე...  
რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გავაცინოთ  
ვინმე. ამით ქართულ დრამატურგიას  
არაფერი დაუშავდებაო (რამდენადაც  
ვიცი, ეს პიესა გორის სახელმწიფო  
თეატრის სცენაზე დაიდგა).

კრებულის პუბლიცისტიკურ ნაწილ-  
ში საინტერესო წერილებია დაბეჭ-  
დილი:

ნოდარ აღანიასი — „პირველი ქარ-  
თული გაზეთი გორში“, სპარტაკ რეხვი-  
აშვილისა — „თქმულება ქვაციხელისა“,  
ლეილა აბუაშვილის — „ქართული  
მწიგნობარი იესე გარსევანიშვილი“,  
სერგო ნადიმაშვილის — „გუდაბერ-  
ტყა — ციხიაგორა“.

მირიან ეფრემიძის წერილიც — „ნა-  
პოლეონის აგენტურა საქართველოში“  
კარგად იკითხება. მართალია, ის ფაქტი,  
ჰქონდა თუ არა ნაპოლეონს საქართვე-  
ლოში აგენტურა, ჯერ კიდევ დასამტ-  
კიცებელია, მაგრამ ავტორს სტატიაში  
თავისი დებულების დასასაბუთებლად  
რამდენიმე დამაჯერებელი საბუთი მო-  
აქვს.

იოსებ კრიხელის სტატია — „საჭად-  
რაკო აზროვნების არსის საკითხისა-  
თვის“, გულახდილად რომ ვთქვათ, ძნე-  
ლი გასაგებია. ავტორი იმდენად ბუნ-  
დოვნად, რთულად გამოთქვამს ზოგი-  
ერთ დებულებას და მოსაზრებას, რომ  
ხშირად მას გადმოქართულება ჰქრდება.

ოტია პაჭკორია  
„ლიახვი“

ახალგაზრდების კრებულის გამოცემა მისასალმებელი ფაქტია. რასაკვირველია, მას ექნება ნაკლი, ექნება სუსტი მხარეებიც, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ასეთი კრებული, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული დაოსტატების სკოლაა.

გორის ახალგაზრდა მწერლების წრეს ხელმძღვანელობს გამოცდილი ბელეტრისტი ოთარ ჩხეიძე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან დიდი ენერჯია შეაღწია კრებულში დაბეჭდილი მასალების შერჩევასა და გასწორებას. ერთადერთი, რაც ჩვენ რედაქტორს უნდა ვუსაყვედუროთ — იქნებ მეტი სიმკაცრე უნდა გამოეჩინა მასალების შერჩევისას.

კრებული „ლიახვი“ ბევრი ავტორისათვის ლიტერატურის სარბიელზე გა-

დადგმული პირველი ნაბიჯია, პირველი დიდი გამოცდა, მათს შემოქმედებაზე მსჯელობის პირველი საბაზი. ჩვენ უფლება გვაქვს, ისეთ ახალგაზრდა მწერლებს, როგორც არიან: ვაჟა დიანიძე, ალექსანდრე ტაბატაძე, ვაჟა შიუკაშვილი, მურმან ძველაია, გურამ სრესელი, ზაურ წაქაძე, ელგუჯა მერაბიშვილი, გურამ ბოლოთაშვილი და სხვები — უფრო მეტი მოვთხოვოთ.

მათი შემოქმედება ქართული ლიტერატურის განვითარების საერთო ტენდენციებს უფრო ნათლად უნდა გამოხატავდეს. თანამედროვე ცხოვრებისა და ადამიანის სულიერ მისწრაფებებს, ზნეობრივ მრწამსსა და მორალურ სახეს უფრო მასშტაბურად ასახავდეს. ისინი მეტს უნდა ფიქრობდნენ პოეტურ ოსტატობაზე, ზუსტ პოეტურ აზროვნებაზე, პროზის სპეციფიკაზე და, რაც მთავარია, ჩვენის ეპოქის ადამიანზე.



## ზუკაბ ჭუმბურიძე თინათინ კოკლაგაძე

### სამარცხვინო თარგმანი

სახელგანთქმული მეცნიერის მარი სკლოდოვსკაია-კიურის ცხოვრებას ცალკე წიგნი უძღვნა მისივე ქალიშვილმა ევა კიურიმ. ეს წიგნი კარგა ხანია ითარგმნა რუსულად, ახლახანს კი გამოიცა მისი ქართული თარგმანი.

მარი სკლოდოვსკაია-კიურის ეკუთვნის ნივთიერებათა რადიოაქტივობის აღმოჩენა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ფიზიკის და მის მონათესავე დარგთა განვითარებაში. ის იყო პირველი ქალი — პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, ორგანის ნობელის პრემიის ლაურეატი. მისი ცხოვრება მეცნიერებისათვის თავდადების მაგალითია. ასეთი დიდი მეცნიერის ცხოვრება აინტერესებს არა მხოლოდ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტს, არამედ საერთოდ მკითხველთა ფართო წრეს.

ჩვენც სწორედ ამგვარი ინტერესით ავიღეთ ხელში „მარი კიურის ცხოვრების“ ქართული თარგმანი. დავიწყეთ კითხვა, მაგრამ ვაი ამგვარ კითხვას: თითქმის ყოველი ფრაზის აზრის გასაგებად დიდი დაკვირვებაა საჭირო, იმდენი გრამატიკული, ორთოგრაფიული თუ სტილისტური შეცდომაა შიგ თაემოყრილი.

აი რამდენიმე მაგალითი თარგმანის პირველივე გვერდიდან:

„ოთხი წლის მარიმ, მანიუსიამ, ხედავდა რა უფროსი და ბრონია, როგორ სწავლობდა კუბიკების საშუალებით კითხვას, თვითონაც შეისწავლა ასოების გარჩევა და მათგან სიტყვების შედგენა“.

„მშობლებს, გამოცდილ პედაგოგებს, არ სურდათ ძალიან ადრე განვითარებულიყო მისი გონება. როგორც კი ბავშვი ხელს მოჰკიდებდა წიგნს, რომელიმე — დედა, მამა, უფროსი დები — ცდილობდნენ მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანათ“.

„მანიუსია, რომელიც სწავლობდა ჯერ სიკორსკის კერძო პანსიონში, ცხრა წლისა შედის გიმნაზიაში... დიდ მაგიდასთან მჯდარი, რომელთანაც ჩვეულებრივად ბავშვები აწვადებდნენ გაკვეთილებს, ორივე ხელით დაეყრდნობოდა მაგიდას, ყურებს დაიცობდა, რომ არ გაეგონა მისი და ჰელი ხმამაღლა როგორ იზეპირებდა გაკვეთილს, და ივიწყებდა რა გარშემო ყველაფერს, ერთი მეორეზე ნთქავდა წიგნებს“.

საილუსტრაციო მაგალითების დასახელება ყოველი გვერდიდან მრავლად შეიძლება, მაგრამ მთელ წიგნს ხომ ვერ გადმოვწერთ! ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიტანთ სხვადასხვა ად-



გილიდან და ამით დავეკმაყოფილდებით:  
„ყველაზე უმშვენიერესი ის არის,  
რომ ფართო, ისარივით სწორი დაღმარ-  
თით, რომ ეშვება ქალაქის ცენტრისა-  
კენ, ქუჩებს, მარი სკლოდოვსკაია მიშ-  
ყავთ უნივერსიტეტის კარამდე, უძვე-  
ლეს სახელგანთქმულ უნივერსიტეტ-  
თან“ (გვ. 23).

„ეკონომიას ეწევა ნავთზე“ (გვ. 26).

„დაიხ, რამდენად უფრო ადვილი იყო,  
თავის დროზე თავი ეკვება პურით და  
ჩაით, ალუბლით და ბოლოკით“ (გვ. 35).

„მარის დედა გარდაიცვალა ტუბერ-  
კულიოზით, ამიტომ მან (!) უნდა ძა-  
ლიან მოუაროს თავის თავს“ (გვ. 37).

„თავს იმტვრევს რა ამ ამოცანის გარ-  
კვევზე, დაუღალავად ეძებს რა ქეშმა-  
რიტებას, მარი წინასწარ გრძნობს, ხო-  
ლო მალე შეუძლია დადებითად ამტკი-  
ცოს (!), რომ ამ უცნაური გამოსხივების  
წყაროს წარმოადგენენ ატომები“ (გვ.  
40).

„აწყობენ გამკრავ ქარს“ (გვ. 49).

„შევხვდი რა ქალბატონ კიურის ფი-  
ზიკოსთა საზოგადოებაში, განცვიფრე-  
ბული ვარ იმით, თუ როგორ გახდა“  
(გვ. 62).

„კიურები თავიანთ ხარჯზე იყვანენ  
სპეციალურ ლაბარანტს; ეს უფრო მარ-  
ტივია და სწრაფი ვიდრე უცადო თანამ-  
შრომელს სორბონის დაპირებით“ (გვ.  
76).

კმარა! ვფიქრობთ, საჭირო აღარ არის  
მკითხველი შევაწუხოთ ამგვარი მაგა-  
ლითების გამრავლებით.

როგორც ვხედავთ, მოყვანილ წინადა-  
დებებში მხოლოდ სიტყვებია ქართუ-  
ლი, მათი წყობა კი ჩიქორთულია. ჩანს,  
მთარგმნელი ვერ აზროვნებს ქართულად  
და ვერც წერს, იგი ბრმად მისდევს დე-  
დანს. ზედმეტია ვილაპარაკოთ ასეთი  
თარგმანის ემოციურ მხარეზე, სტილის  
ნიუანსებზე. საერთოდ ძნელია მეცნიე-  
რული ტერმინებით გავაანალიზოთ და  
შევაფასოთ იგი.

სიტყვები ქართულიო — ვთქვით,  
მაგრამ განა ეს სიტყვები მაინც სწორა-  
დაა ლაწერილი? არა, წიგნში მრავალი

უხეში ორთოგრაფიული შეცდომებია:  
„მასხავდა“, „იზავ“, „ლიცენცია“ (ცხოვე-  
უმის“ მაგივრად), სიულის პრიუდომას  
ლექსები“ (ამ ფრანგი პოეტის გვარია  
პრიუდომი, თარგმანში მას სცვლის  
პრიუდომა, რადგან რუსულად იქნებოდა  
стихи Сюлли Приудома) და სხვა.


ყოველივე ამას აგვირგვინებს უწიგ-  
ნურობის ისეთი მაგალითები, როგორი-  
ცაა: ისმენს ლექციებს მათემატიკა,  
ფიზიკასა და ქიმიაში“, „არჩევანი  
ორ გადაწყვეტილებათა შორის“,  
„1940 წელს გერმანე-  
ლები, შევიდნენ რა პარიზში, ლან-  
ჟერენი, მაშინ სამოცდაათი წლის მო-  
ხუცი, ციხეში ჩასვეს.“

უაზრო და უთავბოლო ფრაზებში  
კიდევ უფრო მეტი არევე-დარევა შეაქვს  
სასვენი ნიშნების არასწორად ხმარებას.  
განა მეექვსე კლასის მოსწავლემაც კი  
არ უნდა იცოდეს, რომ ყოველი მაკავ-  
შირებელი სიტყვის წინ ყოველთვის  
მძიმე არ დაისმის?! „როგორ“ და „რომ“  
ზოგჯერ ფრაზის შუაშია მოქცეული და  
აქ მძიმის დასმა უადგილოა. ამ წიგნ-  
ში კი ამგვარი შეცდომა ყოველ ნაბიჯ-  
ზე გვხვდება. საერთოდ, სასვენი ნიშნე-  
ბის ხმარების მხრივ წიგნში იმდენი  
შეცდომაა, რომ მარტო ამისათვის ალ-  
ბათ მოსწავლე სასკოლო თხზულებაში  
ორიანს მიიღებდა.

მთარგმნელ მ. ყარყარაშვილზე რომ  
არაფერი ვთქვათ, სად იყვნენ ან რედაქ-  
ტორი (პ. გოგორიშვილი), ან გამომცემ-  
ლობის რედაქტორი (დ. ბაქრაძე), ან  
კორექტორმა მაინც როგორ ვერ შენიშ-  
ნა ასეთი უხეში შეცდომები?

ასეთი უცოდინარობა ენისა, მძიმე  
გრამატიკული შეცდომები, ორთოგრა-  
ფიისა და პუნქტუაციის სრული უგულ-  
ვებულება საკმაოდ დიდი ტირაჟით  
გამოცემულ წიგნში დღეს იშვიათად შე-  
იძლება კიდევ მოიპოვებოდეს სადმე.  
პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ წიგნის  
გამოცემა სამარცხვინოა საქართველოს  
სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომ-  
ცემლობისათვის.





### პარტია და ლიტერატურა

კომუნისტური პარტია მშრომელი მასების აღზრდის საქმეში ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტერატურასა და ხელოვნებას.

რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „პარტიული ლიტერატურის შესახებ“ აღნიშნული იყო, რომ „ახლანდელ მომენტში პარტიის საჭირობორტო ამოცანაა მტკიცედ გამართული, მკითხველთა რაც შეიძლება უფრო ფართო მასისათვის მისაწვდომი ლიტერატურის შექმნა“ (სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 62). რა თქმა უნდა, ეს რეზოლუცია პირველ რიგში პოლიტიკურ ლიტერატურას ეხებოდა, მაგრამ იგი განსაზღვრავდა აგრეთვე პარტიის პოლიტიკას მხატვრული ლიტერატურის მიმართ.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ლიტერატურა და ხელოვნება არის საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა, საკაცობრიო კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

კარლ მარქსი წერდა, რომ კაპიტალისტური წარმოება მტრულად არის განწყობილი სულიერი წარმოების ისეთ დარგებთან, როგორც არის ხელოვნება და პოეზია. კაპიტალიზმის ბუნებიდან

გამომდინარეობს ბურჟუაზიული ლიტერატურისა და ხელოვნების დეგრადაცია.

სკკპ პროგრამა აღნიშნავს: კაპიტალიზმში თავისი თანდაყოლილი თვისებებით: ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციით, შოვინისტური და რასისტული იდეოლოგიით, მორალური და ქვეითებით, კორუპციით ხრწნის საზოგადოებას, ოჯახს, ადამიანს.

იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიული ლიტერატურისა და ხელოვნების დაცემა დეკადანსით გამოიხატა, რაც ნიშნავდა სინამდვილის სწორად ასახვაზე უარის თქმას, უიდეობას, მისტიკასა და ფორმალიზმს.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელებისა და რუსეთში პროლეტარული რევოლუციის მომწიფების პირობებში ამ მანკიერ ლიტერატურულ მიმართულებას დაუპირისპირდა რეალიზმის მეთოდი, რომელმაც ყველაზე მკაფიო გამოხატულება მაქსიმ გორკის შემოქმედებაში ჰპოვა. გორკისთან ერთად დეკადენტების ზანაკს ებრძოდნენ სერაფიმოვიჩი, ვერესაევი, პოდიაჩევი, სკიტალეცი, კუპრინი და, შეიძლება ითქვას, ბუნინიც. უფრო გვიან გორკის თანამებრძოლები გახდნენ დემიან ბედნი და ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ვ. ი. ლენინს გორკი მიაჩნდა ეპოქა-  
ლურ მოვლენად, რევოლუციური პრო-  
ლეტარიატის დიდ მწერლად. „გორკი  
უდავოდ არის პროლეტარული ხელოვ-  
ნების უდიდესი წარმომადგენელი, რომ-  
ელმაც მისთვის ბევრი რამ გააკეთა და  
კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძ-  
ლია“, — წერდა ლენინი 1910 წელს  
(თხზ. ტ. 16, გვ. 254).

ვ. ი. ლენინმა 1905 წელს თავის გან-  
ქმეულ სტატიაში „პარტიული ორგანი-  
ზაცია და პარტიული ლიტერატურა“  
გენიალურად განსაზღვრა ლიტერატურ-  
ის საზოგადოებრივი როლი პროლეტა-  
რიატის დიქტატურის ეპოქაში:

„ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურ-  
ა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ან-  
გარება და არა კარიერა, არამედ სოცია-  
ლიზმის იდეა და მშრომელებისათვის  
თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძა-  
ლებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუ-  
ფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი  
სამსახურს გაუწევს არა სალონების  
გულმოყვარეობულ „გმირ ქალს“, არა  
მოწყენილ და სისუქნის ქონით შეწუ-  
ხებულ „ზედა ფენის ათეულ ათასებს“,  
არამედ მილიონობით და ათეულ მილი-  
ონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყ-  
ნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის  
მომავალს შეადგენენ. ეს იქნება თავი-  
სუფალი ლიტერატურა, რომელიც კა-  
ცობრიობის რევოლუციური აზრის  
უკანასკნელ სიტყვას განაყოფიერებს  
სოციალისტური პროლეტარიატის გა-  
მოცდილებითა და ცოცხალი მუშაობით“  
(თხზ. ტ. 10, გვ. 40).

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასა-  
ბუთა ლიტერატურის პარტიულობის  
პრინციპი, რაც ყოველი მწერლისაგან  
მოითხოვს პოლიტიკური პოზიციის მკა-  
ფიოდ განსაზღვრას.

ვ. ი. ლენინს არა ერთგზის აღუნიშ-  
ნავს, რომ არ არის და არასოდეს არ  
ყოფილა უპარტიო, ნეიტრალური ლი-  
ტერატურა. კაპიტალიზმის პირობებში  
ლიტერატურის უპარტიოება ბურჟუაზი-  
ული პარტიულობის საფარია.

რევოლუციური პარტიულობა მწე-  
რალს საშუალებას აძლევს სრულად,

ობიექტურად და ყოველმხრივ ჩაწვდი-  
ლად მოვლენების არსს, მართლად ასახოს  
საქონლის  
შეზღუდული  
ცხოვრება.

ცნობილია, რომ პუშკინი და გრიბო-  
ედოვი ახლოს იყვნენ დეკაბრისტებთან.  
ბაირონი და სტენდალი მონაწილეობდ-  
ნენ საბერძნეთისა და იტალიის ხალხე-  
ბის განმათავისუფლებელ ბრძოლებში  
უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ.  
დიდი ფრანგი მხატვარი კურბე პარი-  
ზის კომუნის მონაწილე იყო. თავიანთი  
ხალხის თავისუფლებისათვის მგზნება-  
რე მებრძოლები იყვნენ ტარას შევ-  
ჩენკო და ივან ვაზოვი, ლუსინი და რა-  
ბინდრანათ თავორი, ილია ჭავჭავაძე და  
აკაკი წერეთელი, მირზა ფატალი ახუნ-  
დოვი და ხაჩატურ აბოვიანი.

პროლეტარიატის რევოლუციურ  
მობრძობაში აქტიურმა მონაწილეობამ  
განაპირობა მაქსიმ გორკის და ვლადი-  
მერ მაიაკოვსკის შემოქმედებითი მიღ-  
წევები და, პირიქით, შემოქმედებითად  
გამოიფიტნენ ის მწერლები, რომლებ-  
მაც თავიანთი მოღვაწეობა მომაკვდავ  
წარსულს დაუკავშირეს. ამ მხრივ სა-  
გულისხმოა თუნდაც სოლოგუბის,  
ბალმონტის, მერეჟკოვსკის ბედი.

ნამდვილი მწერალი ის არის, ვინც  
ასახავს თავისი ეპოქის, თავისი ხალხის  
მოწინავე იდეალებს. სწორედ ამ თვალ-  
საზრისით აფასებდა ვ. ი. ლენინი ტოლ-  
სტოის, გერცენის, ბელინსკის შემოქმე-  
დებს.

ლევ ტოლსტოის, როგორც მხატვრი-  
სა და მოაზროვნის მნიშვნელობას ლე-  
ნინი განიხილავდა რუსეთის რევოლუ-  
ციის ხასიათის მიხედვით. ლენინს მი-  
აჩნდა, რომ ტოლსტოი ასახავდა რუსე-  
თის ბურჟუაზიული რევოლუციის თავ-  
ვისებურებას, მის ძალასა და სისუსტეს,  
მის გაქანებას. ხალხის ბრძოლასთან კავ-  
შირში ხედავდა ლენინი ტოლსტოის  
შემოქმედებითი სიმძლავრის წყაროს.  
„დიდი ზღვა — ხალხი, რომელიც  
უდიდეს სიღრმეებამდე აზვირთდა, მთე-  
ლი თავისი სუსტი და ძლიერი მხარე-  
ებით აისახა ტოლსტოის მოძღვრებაში“  
(თხზ. ტ. 16, გვ. 441).

ვ. ი. ლენინის და მის მიერ შექმნილი



კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე და მის შემდეგ იმის ნათელი დადასტურებაა, რომ სწორედ რევოლუციური მარქსისტები, ბოლშევიკები არიან ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე თანმიმდევრული დამცველები და დამფასებლები.

ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობისათვის იბრძოდნენ ლენინური გაზეთები „ისკრა“, „ზევნიდა“ და „პრაუდა“, რომლებმაც აღზარდეს არაერთი ლიტერატურული თაობა.

რევოლუციამდელი ბოლშევიკური პრესა აქტიურად ებრძოდა არცბაშევის, სოლოგუბის, ანდრეევის, ვინიჩენკოს, ვიპოუსის მსგავსი მწერლების ანტიხალხურ რეაქციულ მსოფლმხედველობას.

ბოლშევიკური პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მეზობელი რევოლუციური პოეზიის პროპაგანდას.

განუხრელად ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის იმ მითითებით, რომ პროლეტარიატისათვის ლიტერატურის საქმე არ შეიძლება რევოლუციის საქმისაგან მოწყვეტილი იყოს, კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა სოციალისტურ საზოგადოებაში ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, მხატვრული შემოქმედების, პარტიულობის, ხალხურობის, რეალიზმის, მეზობელი იდეურობის პრინციპები, რომლებმაც პრაქტიკული განხორციელება ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჰპოვეს.

სოციალისტური საზოგადოების ახალი კულტურის მშენებლობაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა მაქსიმ გორკიმ. გორკის, როგორც მსოფლიოში აღიარებული დიდი მწერლის გავლენით ხალხის სამსახურში დგებოდა ბევრი მეცნიერი, მწერალი, მსახიობი. გორკი მამურ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა ლიტერატორების მიმართ. იგი იყო მთელ რიგ ახალ გამოცემათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ახალი სამყაროს მშენებლობას შესწი-

რა თავისი ნიჭი მაიაკოვსკიმ, რომელიც სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის მძიმე წლებში ცეცხლოვანი ბრძოლის სიტყვებით აღაგზნებდა მილიონობით აღამიანებს ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების მრავალრიცხოვან მტრებთან საბრძოლველად.

მშრომელი ხალხის სულში ჩაწვდომის გასაოცარი ნიჭი ჰქონდა დემიან ბედნის. მისი სიმღერებით მიდიოდნენ ბრძოლაში წითელარმიელები და პარტიზანები სამოქალაქო ომის წლებში.

თავისი მოთხრობებით და საფრონტო კორესპონდენციებით სერაფიმოვიჩი საბჭოთა ლიტერატურაში საფუძველს უყრიდა სამხედრო ლიტერატურის ქანარს.

ალექსანდრე ბლოკმა 1918 წელს დაწერა თავისი საუკეთესო პოემა „თორმეტი“. რევოლუციის შემდეგ დეკადენტური დაბნეულობა დაძლია თავის შემოქმედებაში ვალერიან ბრიუსოვმა, რომელმაც შექმნა რამდენიმე ნაწარმოები, გამსჭვალული გმირული პათოსით. რევოლუციას, ისტორიულ პროგრესს დაუკავშირეს თავისი ბედი ალექსეი ტოლსტოიმ, ფეოდორ გლადკოვმა, სერგეი სერგეევ-ცენსკიმ და ბევრმა სხვა გამოჩენილმა მწერალმა.

თუმცა თავისებურად, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გლეხური განხრით“, მაგრამ მაინც მიემხრო რევოლუციას სერგეი ესენინიც.

პარტიის ლიტერატურული პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებასა და ძველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის საბჭოთა ხელისუფლების მიმხრობის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ა. ვ. ლუნაჩარსკიმ.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარება კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ლიტერატურის დარგში ლენინური პრინციპებისა და პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგია.

სიბნელისა და უუფლებობის, უცხო-

დავით მაისურაძე  
პარტია და ლიტერატურა

ელ დამპყრობლებთან დაუსრულებელი გამანადგურებელი ომების უძნელეს პირობებში ქართული ლიტერატურა თავის მოწინავე წარმომადგენელთა სახით განუყრელად იყო დაკავშირებული ხალხის გამათავისუფლებელ ბრძოლასთან და შრომასთან. თავისი ისტორიის ყველა ძირითად ეტაპზე ქართული ლიტერატურა უდიდეს როლს ასრულებდა ხალხის იდეურ ზნეობრივ აღზრდაში.

მაგრამ საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს ლიტერატურა ძალზე დაქვეითდა და სრულებით ჩამოცილდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

სკკპ ცკ პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მჭავანაძემ თავის სტატიაში „ქართველი ხალხის კულტურის დღესასწაული“, რომელიც „პრავედის“ 1958 წლის 21 მარტის ნომერში გამოქვეყნდა, მოიტანა საინტერესო დოკუმენტი—ქართველი მწერლობის მემორანდუმი მენშევიკური მთავრობისადმი. აი რა წერია იქ: „მწერლები ქუჩაში შიმშილით ეცემიან, ქართველი მწერლებისათვის არ არსებობს არც ჰონორარი, არც ურთიერთდახმარების საღარო, მათ არა აქვთ წიგნების გამოშვების შესაძლებლობა... მწერლებს არა აქვთ ყურნალი, სადაც შეეძლებათ დაბეჭდონ თავიანთი ნაწარმოები. ეს უკვე ეროვნულ შეურაცხყოფამდე მიდის, და ამის დიდხანს განგრძობა სამარცხვინოა კულტურისა და საქართველოსათვის...“

მენშევიკების დროს ლიტერატურაში „ჰეგემონიის“ ბრეტენზიას აცხადებდნენ „ცისფერყანწელები“ და დეკადენტები. საგულისხმოა, რომ მენშევიკების მმართველობის სამი წლის მანძილზე არც ერთ გამოჩენილ მწერალს არ შეუქმნია არც ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები. ქართული ლიტერატურა განიცდიდა დაბნეულობას, უპერსპექტივობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველო დაადგა თავისი ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი

განვითარების ფართო გზას. მასთან ერთად დადგა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის აღდგენის და გაფუჩქების ერა.

ქართული ლიტერატურის განვითარების გზა კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურებაა „კომუნისტური მანიფესტის“ იმ დებულებისა, რომ „ძველი ცხოვრების პირობების დარღვევასთან ერთად ირღვევა ძველი იდეებიც“.

რევოლუციამდელი ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები: დავით კლდიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ვასილ ბარნოვი, შიო არავვისპირელი, ეკატერინე გაბაშვილი, დუტუ მეგრელი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ვალაკტიონ ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი ქუჩიშვილი და სხვები უყოყმანოდ ჩადგნენ ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებელთა რიგებში. ეს მწერლები მოგვევლინენ ცოცხალ რგოლად, რომელიც ახალ საბჭოთა ლიტერატურას აკავშირებდა რევოლუციამდელი პერიოდის ქართული კლასიკური ლიტერატურის დემოკრატიულ ტრადიციებთან.

ამასთან ერთად ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პირველ ეტაპზე საქართველოს კომუნისტურ პარტიას მწვავე ბრძოლა უხდებოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და დეკადენტურ, მიმართულებათა იდეური განადგურებისათვის.

1921-1925 წლებში საბჭოთა რუსეთში არსებულ სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებების: ლეფის, „სერაპიონოვიე ბრატისა“, „პერეველის“ და სხვათა მსგავსად, საქართველოს მწერალთა ფედერაციაში არსებობდნენ სხვადასხვა განკერძოებული ლიტერატურული დაჯგუფებები, რომლებიც თავიანთ ბეჭდვით ორგანოებში ატარებდნენ „აპოლიტიკურ“, „ნეიტრალურ“ და „უპარტიოების“ იდეას, ჯადავებდნენ მანკიერ, ანტირეალისტურ ლიტერატურულ შეხედულებებს. ასეთ ლიტერატურულ დაჯგუფებებს მიეკუთვნებოდნენ ეგრეთ წოდებული „აკადემიური ჯგუფი“,

სიმბოლისტური ლიტერატურული მიმდინარეობა „ცისფერი ყანწები“, ფუტურისტული ჯგუფი „ემმარცხენობა“ და სხვ.

საქართველოს პროლეტარული მწერლების ასოციაცია თავდაპირველად ლიტერატურაში პარტიის პოლიტიკის გატარების საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ შემდგომში რაპსის ფილიალად გადაიქცა. შემოქმედებითი ძიების ნაცვლად იგი ხელს უწყობდა უპრინციპო დაჯგუფებას მწერლობაში, ვულგარულად აფასებდა კლასიკურ მემკვიდრეობას და ვერ ხედავდა მნიშვნელოვან ძვრებს, რაც საბჭოთა ინტელიგენციაში მოხდა.

ქართული ლიტერატურის, როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურის განუყოფელი შემადგენელი ნაწილის, ზრდისა და განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუციას „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“. პარტია მოითხოვდა მხატვრული ინტელიგენციისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას, კრიტიკის ძირითად ამოცანად თვლიდა ლიტერატურაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთთა წინააღმდეგ ბრძოლას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავდა, რომ „კლასობრივ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს ნეიტრალური ხელოვნება, თუმცა ხელოვნების კლასობრივი ბუნება საერთოდ, და ლიტერატურისა კერძოდ, გამოხატულია ისეთ ფორმებში, რომლებიც უსასრულოდ უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე, მაგალითად, პოლიტიკაში“ (იქვე, გვ. 459).

პარტია ყოველთვის შეუწელებელ ყურადღებას აქცევდა სსრ კავშირის მოძმე ხალხების ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ლიტერატურის განვითარებას.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, — „პარტიამ ყოველი დონისძიებით უნდა აღმოფხვრას ლიტერატურულ საქმეებში თვითნებუ-

რი და არაკომპეტენტური ადმინისტრაციული ჩარევის ცდები“.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია საქართველოს მწერალთა პირველმა ყრილობამ, რომელიც 1926 წლის 21—23 თებერვალს გაიმართა. ყრილობაზე მოხსენება ფილიპე მახარაძემ გააკეთა. ვასილ ბარნოვის, მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის, სიმონ ჩიქოვანის და სხვა ცნობილ მწერალთა გამოსვლები იმის მკაფიო დამადასტურებელი იყო, რომ ქართული ლიტერატურის ოსტატები აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ გარდაქმნათა პროცესში, მტკიცედ დადგნენ კომუნისტური იდეურობისა და სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე.

საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობამ 1928 წლის მარტში მიიღო გადაწყვეტილება ცალკეული ლიტერატურული ჯგუფებისა და ასოციაციების საქართველოს საბჭოთა მწერლების ერთიან ფედერაციაში გაერთიანების შესახებ.

სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა შესაფერი გარდაქმნისა და მათი მუშაობის ბაზის გაფართოების მიზნით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გაუქმება და საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირის შექმნა. ანალოგიური ცვლილება განხორციელდა ხელოვნების სხვა დარგებშიც.

კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის მეოხებით საბჭოთა ლიტერატურა ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური ლიტერატურა გახდა მსოფლიოში.

თუ ოციან წლებში საბჭოთა ლიტერატურის მთავარი თემა იყო სამოქალაქო ომი, შემდეგ პერიოდში აისახა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგად მომხდარი ძირეული მსოფლიო-ისტორიული გარდაქმნები.

დავით მაისურაძე  
პარტია და ლიტერატურა



ამავე დროს საბჭოთა ლიტერატურა უფრო მომწიფდა მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისითაც. შეიქმნა მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონი“ და „გატეხილი ყამირი“, ალექსეი ტოლსტოის, ალექსანდრე ფადეევის, ალექსანდრე ტვარდოვსკის, ნიკოლოზ ტინოანოვის, კონსტანტინე ფედინის, ლეონიდ ლეონოვის და სხვა რუსი საბჭოთა მწერლების მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

სერიოზული წარმატებები მოიპოვა აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მწერლობამ. მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი გახდა ჯამბულისა და სულეიმან სტალსკის, კორნეიჩუკის, ბაჟანის, რილსკის, კუპალას, კოლასის, ბროვკას, აუეზოვის, ლახუტის, სამედ ვურდუნის, ნაირი ზარიანის, გალაკტიონ ტაბიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, ალიო მირცხულავას, დემნა შენგელიას, კარლო კალაძის და ბევრი სხვა ქართველი მწერლის ნაწარმოებები.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო საბჭოთა მწერალთა პირველი ყრილობა, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1934 წლის აგვისტოში.

ყრილობის წინ, მაქსიმ გორკის ინიციატივით, სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა საქართველოში მთავლინა ცნობილი რუსი მწერლები: ნ. ტინოანოვი, პ. პავლენკო, ი. ტინიანოვი, ო. ფორში, ბ. პასტერნაკი, ვ. გოლცევი. მათ ბევრი რამ გააკეთეს კლასიკური და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნაწარმოებების შესწავლის, თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში.

თავის სიტყვაში სსრ კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე ა. ა. ჟდანოვმა თქვა: „ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას არ ეშინია იმის, რომ მას ბრალს დასდებენ ტენდენციურობაში. დიანს, საბჭოთა ლიტერატურა ტენდენციურია. არ არის და არც შეიძლება იყოს კლასობრივი ბრძოლის ეპოქაში არაკლასობრივი, არატენდენციური, ვითომდა აპოლიტიკური ლიტერატურა“.

ყრილობამ მკაფიოდ და ზუსტად გან-

საზღვრა სოციალისტური რეალიზმის მთავარი პრინციპი.

თავის მოხსენებაში ყრილობის მდივანმა, სიმ გორკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურა არ წარმოადგენს მარტო რუსული ენის ლიტერატურას. იგი არის მრავალეროვანი, საკავშირო ლიტერატურა. მისი იდეურ-მხატვრული ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტიმულია ყველა ერის მწერალთა მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა, ეროვნულ კულტურათა ფართო ურთიერთგაცნობა.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მალაქია ტოროშელიძის მოხსენება ქართული ლიტერატურის შესახებ.

შემოქმედებით დისკუსიაში, რომელიც ყრილობაზე გაიშალა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მწერლებმა: მიხეილ ჯავახიშვილმა, შალვა დადიანმა, ტიცინ ტაბიძემ, ნიკოლოზ მიწიშვილმა, სანდრო ეულმა-ჭურჭიძემ.

ქართველ მწერალთა ნაწარმოებები განსაკუთრებით ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი დიდი ქვეყნის ფართო საზოგადოებრივობისათვის სსრ კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის შემდეგ, რომელმაც მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურათა ზრდას დიდი ყურადღება მიაქცია.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა წარმატებით წყვეტდა დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც მის წინაშე ცხოვრებამ დააყენა. იგი გამდიდრდა თანამედროვე თემებით: ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ახალი აღმნიანის ჩამოყალიბების პრობლემა, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა, ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსული.

მთელს ჩვენს ქვეყანაში, როგორც სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის დღესასწაული, აღინიშნა შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვა ჩვენი საამაყო მწერლების საიუბილეო თარიღები.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართველი მწერლები ყველა თავის თანამოკალმე საბჭოთა ძმებთან ერთად პარტიისა და მთავრობის მოწოდების, სამშობლოს მოწოდების პასუხად თავდადებულად ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში პირისსხლიანი ფაშისტი ურდოების წინააღმდეგ.

ქართულმა ლიტერატურამ თავისი მოვალეობა ბრწყინვალედ შეასრულა და ომის დღეების ნამდვილი მხატვრული მატინანე გახდა იმიტომ, რომ მას ამოძრავებდა განმათავისუფლებელი ომის ყველაზე სამართლიანი მიზნები, სოციალისტური ჰუმანიზმის ნათელი იდეები.

ომის შემდგომ პერიოდში პარტიამ თავისი მოთხოვნილება ლიტერატურის მიმართ ჩამოაყალიბა 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებაში ჟურნალების „ზევგედისა“ და „ლენინგრადის“ თაობაზე და სხვა ცნობილ გადაწყვეტილებებში.

დადგენილება ჟურნალების „ზევგედისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ ეხებოდა საბჭოთა ხელოვნების ყველა ძირითად სახეს და ხაზგასმით აღნიშნავდა მის ძირითად თავისებურებებს: პარტიულობას, ხალხურობას, უდიდეს როლს საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე დიდი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ აღმავლობაში. ყველა ლიტერატურულ ჟანრში შეიქმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

ამასთან ერთად საქართველოს მწერალთა მესამე ყრილობაზე 1946 წლის სექტემბერში ითქვა ჩვენი ლიტერატურის არსებითი ნაკლიც: ქართველ მწერალთა ერთი, თუმცა უმნიშვნელო ნაწილი გატაცებული იყო უსაგნო ლირიკით. ზოგი მწერლის შემოქმედებაში შეინიშნებოდა სიმბოლიზმის ელემენტები; ქართული პროზისა და დრამატურგიის ზოგიერთი პირველხარისხოვანი ოსტატი მთელ თავის მოღვაწეო-

ბას უმთავრესად უძღვნიდა ისტორიკულ თემატიკას. არადაამაკმაყოფილებელი იყო შემოქმედებითი და აღმზრდელური მუშაობა ახალგაზრდა მწერალთა შორის.

1949 წლის 27 მაისს საქართველოს კ ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობის საკითხი და აღნიშნა, რომ ქართული ლიტერატურა ჯეროვნად არ გამოხატავდა ქართველ მწერალთა შემოქმედებითს შესაძლებლობებს და ვერ აკმაყოფილებდა მკითხველთა მზარდ მოთხოვნილებებს. დასახული იქნა ღონისძიებები ქართული საბჭოთა ლიტერატურის საერთო შემოქმედებითი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანი შემოქმედებითი საკითხები განიხილა საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობამ 1954 წლის ივნის-ივლისში. ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხანაგი ვ. პ. მკავანაძე. მან აღნიშნა ქართველი მწერლების წარმატებანი. ამასთან ერთად მიუთითა, რომ საქართველოს მუშათა კლასმა, ინტელიგენციამ, ახალგაზრდობამ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვეს ჯეროვანი ასახვა ჩვენს ლიტერატურაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობის შედეგად ბევრი რამ გაკეთდა ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად.

ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო სკკპ XX ყრილობა, რომელმაც ახალი ფურცელი გადაშალა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარების ისტორიაში.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ „იმ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი პარტია ეწევა ძველი სამყაროს დრომოქმული იდეებისა და წარმოდგენების წინააღმდეგ, კომუნისტური იდე-

დავით მაისურაძე  
პარტია და ლიტერატურა

ოლოგიის გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის, დიდი როლი ეკუთვნით პრესას, ლიტერატურას და ხელოვნებას. აღვნიშნავთ რა მნიშვნელოვან მიღწევებს ამ დარგში, ამასთან ერთად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩებიან ცხოვრებას, საბჭოთა სინამდვილეს, რომლებიც განუზომლად უფრო მდიდარია, ვიდრე მათი ასახვა ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

... ჩვენი ქვეყნის ხელოვნებასა და ლიტერატურას შეუძლიათ მიაღწიონ და კიდევაც უნდა მიაღწიონ იმას, რომ პირველნი გახდნენ მსოფლიოში არა მარტო შინაარსის სიმდიდრით, არამედ მხატვრული ძალითა და ოსტატობითაც“.

სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ძალებს შორის გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში „ცივი ომის“ ორგანიზატორებმა, რევიზიონისტებმა იერიში მიიტანეს სოციალისტურ რეალიზმსა და ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ პრინციპზე. ისინი (ფრანგი რევიზიონისტები ფუჟროლასი და ანრი ლეფევრი, ამერიკელი მწერალი ჰოვარდ ფასტი, „ლიტერატორი“ და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი ჯონ მეტლოკი და მისთანანი) წერენ და ამბობენ, რომ თერმოატომგულის, კოსმოსური ფრენების, კიბერნეტიკისა და მეოცე საუკუნის სხვა საოცარი სასწაულების შედეგად წარმოიქმნა ახალი მხატვრული აზროვნება, ახალი, „XX საუკუნის სტილი“. რევიზიონისტების აზრით ამ სტილს არ შეესაბამება სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, რომელიც ვითომ ზღუდავს შემოქმედებით ინდივიდუალობას და ნოვატორულ ძიებას.

ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი საზღვარგარეთ ლაყბობენ, თითქოს საბჭოთა მწერლებს არ გააჩნიათ შემოქმედებითი თავისუფლება, თითქოს ჩვენი ქვეყნის ხალხებმა დაჰკარგეს „კულტურული დამოუკიდებლობა“.

ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს უკანასკნელი წლების საბჭოთა

ლიტერატურას დაუპირისპიროს წინა პერიოდის ლიტერატურა და დამატებით, რომ თანამედროვე მწერლებს „შვილებმა“, კავშირი გაწყვიტეს წინა ათეული წლების ლიტერატურასთან — „მამებთან“.

რევიზიონისტების ერთ-ერთი ბოძვა ისიც, რომ თითქოს პიროვნების კულტმა „ჩაკლა“ ჩვენი ლიტერატურა, წაართვა მას თავისუფლება.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის ცნობილ გამოსვლებში „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მტკიცე კავშირისათვის“ საკადრისი პასუხი გაცა რევიზიონისტებს და მათ თანამოაზრეებს.

ჩვენი პარტია — ეს არის გაბედული ნოვატორების, შემოქმედთა პარტია, რომელიც წინ მიდის გაუკაფავი გზით. ასეთ პარტიას არ შეუძლია მხარი არ დაუჭიროს გაბედულ შემოქმედებით ძიებას, თუ მას მიზნად აქვს დასახული ჩაწვდეს ჩვენი ყოფის სიღრმეს, აამაღლოს ჩვენი საბჭოთა სინამდვილის ძალა, ჩვენი ადამიანების სულიერი სამყარო.

მაგრამ პარტია გადაჭრით იბრძვის აბსტრაქტული და ფორმალისტური, უსაგნო და უსახო „ნოვატორობის“ წინააღმდეგ. პიროვნების კულტს არ შეეძლო შეებოროკა დიდი ოქტომბრის მიერ გაღვივებული მასების ისტორიული შემოქმედება როგორც ეკონომიურ და სოციალურ, ისე ახალი კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის დარგში.

ლაყბობა საბჭოთა ლიტერატურაში „მამებისა და შვილების“ რაღაც მითიური წინააღმდეგობის შესახებ უბრალო კრიტიკასაც ვერ უძლებს.

როგორც ძველი, ისე ახალი თაობის საბჭოთა მწერლების ნაწარმოებების მთავარი გმირია კომუნისმის მშენებელი მშრომელი ადამიანი.

კომუნისტური პარტია მამობრივად ზრუნავს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, რომელიც საერთო სახალხო საქმის განუყოფელი ნაწილია. ლიტერატურა და ხელოვნება პარტიის ერთგული თანაშემწეა, იგი



ემსახურება ადამიანის კომუნისტური აღზრდის კეთილშობილ ამოცანებს.

„პარტია იბრძოდა და კვლავაც იბრძოდება, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცკ საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე, — საბჭოთა სინამდვილის ყალბად ასახვის წინააღმდეგ, მისი შეღამაზების ცდების წინააღმდეგ, ან პირიქით, იმის ცდის წინააღმდეგ, რომ გააბიაბრუნონ და ჩირქი მოსცნონ იმას, რაც საბჭოთა ხალხს მოუპოვებია. ლიტერატურის და ხელოვნების დარგში შემოქმედებითი მოღვაწეობა გამსჭვალული უნდა იყოს კომუნიზმისათვის ბრძოლის სულისკვეთებით, უნდა უნერგავდეს ადამიანებს სიმხნევებს, რწმენის სიმტკიცეს, ავითარებდეს სოციალისტურ შეგნებას და ამხანაგურ დისციპლინას“.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში ქართულმა ლიტერატურამ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. შეიქმნა მრავალი მხატვრული ნაწარმოები, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდს შეემატა.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე მკვეთრი გავლენა მოახდინა პარტიის მიერ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, მათ რიცხვში ლიტერატურაშიც, ლენინური ნორმებისა და პრინციპების გადაჭრით აღდგენამ.

პარტიის XX ყრილობის ბრძნულ გადაწყვეტილებათა კეთილნაყოფიერი გავლენა გამოვლინდა ქართული ლიტერატურის ახალ ნაწარმოებებში და ქართველ მწერალთა მხატვრული ოსტატობის ახალ აღმავლობაში.

ქართველი მწერლების, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა ლიტერატურული მოღვაწის, შემოქმედებითი აქტივობა განსაკუთრებით გაძლიერდა პარტიის XXII ყრილობის შემდეგ.

ყრილობის მიერ მიღებულ პარტიის ახალ პროგრამაში ნათქვამია: საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალული არიან ოპტიმიზმით და ცხოველყოფილი კომუნისტური

იდევით, დიდ იდეურ აღმზრდებით როლს ასრულებენ: საბჭოთა ხელოვნების უვითარებენ ახალი ხამგასა მშენებლის თვისებებს. ისინი მოწოდებული არიან იყონ სინარტულია და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათს ნებას, გრძნობებს, ფიქრებს.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან. სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრის და მრავალფეროვნების მართალი მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპები, გაბედული ნოვატორობა ცხოვრების მხატვრულ ასახვაში შერწყმულია მსოფლიო კულტურის მთელი პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარებასთან. მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, თეატრისა და კინოს მოღვაწეების წინაშე ისახება ფართო ასპარეზი პირადი შემოქმედებითი ინიციატივის, მაღალი ოსტატობის გამოსავლენად.

კომუნიზმის აწმენების დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში ლიტერატურის ყველა დარგისა და ჟანრის ოსტატები უფრო აქტიურად მუშაობენ თანამედროვე თემაზე, უფრო სრულად, ღრმად და დამაჯერებლად ასახავენ ცხოვრებას.

სოციალისტური კულტურის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან 1962 წლის დეკემბერსა და 1963 წლის მარტში.

„კომუნიზმისათვის ბრძოლაში, რასაც

დავით მაისურაძე  
პარტია და ლიტერატურა

ჩვენ ვაწარმოებთ, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში 1963 წლის 8 მარტს, — უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანის აღზრდას კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით. და ეს შეადგენს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანას ამჟამად. ჩვენ საბრძოლო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პარტიის იდეური იარაღის ყველა სახე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება კომუნისტური აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალებაც, როგორიც არის ლიტერატურა და ხელოვნება“.

ამ სიტყვებში დასახულია საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ხაზი კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეპოქაში.

სტილის, ჟანრის და ფორმის მრავალფეროვნების დაცვასა და განვითარებასთან ერთად, ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები ვალდებული არიან სასტიკად ებრძოლონ ფორმალისმის ყოველგვარ გამოვლინებას. საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში არ შეიძლება ერთმანეთს შეეგუოს სოციალისტური რეალიზმიც და ფორმალისტური, აბსტრაქციონისტული მიმდინარეობებიც. კომუნისტური პარტია გადაჭრით გამოდის სოციალისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის თანაარსებობის წინააღმდეგ.

პარტია ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაყებისაგან მოითხოვს, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან კომუნისტური იდეოლოგიის პოზიციებიდან გადახვევა. ამ თვალსაზრისით პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე პრინციპულად იქნა გაკრიტი-

კებული ი. ერენბურგის, ე. ვეტუშინის და ზოგიერთი სხვა მწერლის ნაწარმოებები.

სკკბ ცენტრალური კომიტეტის ივანის პლენუმმა (1963 წ.) აღნიშნა იდეოლოგიური ფრონტის ყველა დარგის, მათ რიცხვში ლიტერატურისა და ხელოვნების განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

პარტიამ ერთხელ კიდევ მოაგონა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაყებს, რომ ისინი მოწოდებული არიან მკაფიო მხატვრული სურათებით წარმოსახონ კომუნიზმის მშენებლობის დიადი და გმირული ეპოქა, მართლად ასახონ ახალი კომუნისტური ურთიერთობის დამკვიდრება და გამარჯვება ჩვენს ცხოვრებაში, შეძლონ დაინახონ დადებითი, რაც ჩვენი სინამდვილის არსია და ამავე დროს გვერდით არ აუარონ უარყოფით მოვლენებს, ყოველივე იმას, რაც ხელს გვიშლის კომუნიზმის მშენებლობაში.

მხოლოდ დიდი შემოქმედებითი პათოსით აღსავსე ნაწარმოები სწვდება ადამიანის გონებასა და გრძნობას. შექმნან ასეთი მაღალი იდეური ნაწარმოები — აი რისკენ მოუწოდებს პარტია მწერლებს და ხელოვნების მოღვაწეებს.

საბჭოთა ლიტერატურის გაფურჩქვნა სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის დიადი მიღწევების შედეგია, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის კულტურის განვითარებისათვის, საბჭოთა ადამიანების სულიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის ნაყოფია.



## პედიგოგია და პედაგოგია

### სასწავლებლები და მითები

#### სასწავლებლები

მიქელანჯელოს მოხატული სიქსტის კაპელის პლაფონი, მისივე „პიეტა“ პეტრეს ტაძარში, რასაკვირველია, ადამიანის გენის მიერ შექმნილი სასწავლებელია. რაფაელის „სტანცებიც“ სასწავლებელია. ლეონარდო და ვინჩის „სერობაც“ ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობით ანცვიფრებს მილანოში მის სანახავად ჩასულ კაცს.

ვენეცია. მთელი ქალაქი ხომ უღრეკელობის, შეუპოვრობის და შმაგ ვნებათაღელვის ძეგლია, ადამიანის ბუნების თვითდამკვიდრების ძეგლი.

რომი, ფლორენცია, პომპეა. შესცქერი წარსულის ადამიანთა ამ დიდებულ ნახელავს, ფუნჯისა და საჭრეთლის ამ დიდოსტატების შემოქმედებას და ძალაუნებურად გიპყრობს თანამედროვე ადამიანის პასუხისმგებლობა არა მარტო მომავლის, არამედ წარსულის წინაშეც.

რა ღარიბი იქნებოდა ადამიანის მოდგმა, რომ ამ მცირერიცხოვან ერს ეს სასწავლებლები არ შეექმნა.

ძნელია თანამედროვე კაცობრიობის წარმოდგენა იტალიელი ხალხის გენის ნახელავის გარეშე.

ამჟამად იტალიის წარსული ისევე

ეკუთვნით იტალიელებს, როგორც მთელ კაცობრიობას.

ჩვენ იტალიისაკენ ვარშავისა და ვენის გავლით მივფრინავდით...

აი, იტალიაც. რომის მიდამოები. საღლაც ჩადის სისხლივით წითელი მზე. რაღაც აეროდრომები მოჩანს. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენი თვითმფრინავი აეროპორტ „ჩამპიკოსაკენ“ მიემართება. რომში საღამოს ბინდია, ტურისტული ავტობუსი ქალაქში მიგვაქროლებს. ავტობუსი, რასაკვირველია, კომფორტაბელურია, მაგრამ ნამდვილი სასწავლებლები იტალიური, ფრანგული და ინგლისური ავტობუსების მძღოლები არიან. ესენი მძღოლები კი არა, ჯადოქრები არიან, რომლებიც ტყვიასავით დააქროლებენ ავტობუსებს, მსუბუქად უქცევენ გვერდს მანქანებს (მანქანები კი იტალიაში ბევრია). გვერდის აქცევის დროს მძღოლი ჩართავს კლაქსონს და თქვენ ისმენთ სასიამოვნო მელოდიას.

მე გზის ორივე მხარეს ვიციკირები. ყოველ ას მეტრზე პროექტორებით განათებულ ვეებერთელა პლაკატებზე მოჩანს დანტეს პორტრეტი. მარჯვენა კუთხეში წითელი ასოებით წერია



„Divina comedia“ — „ღვთაებრივი კომედია“. ყოველი მხრიდან მიცქეროდნენ წაღვლიანი, ჭკვიანი თვლები. ასე იყო მთელს იტალიაში, ნეაპოლში, ფლორენციაში, ვენეციაში, მილანოში. ბოლონიის, ფერარის, როვოტოს, პადუის, ვერონის და ბრეშის რკინიგზის სადგურებზე, შესანიშნავ ავტოსტრადებზე, რკინიგზის გვირაბების შესასვლელებთან. რომში, ვიქტორ ემანუილის ქუჩაზე, სასტუმრო „ტიციანოს“ ჰოლში დავინახე პატარა ზომის იგივე პლაკატი. ამ სასტუმროში გაჩერდა საზოგადოება „სსრკ-იტალიის“ დელეგაცია, რომელიც გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში იტალიაში იმყოფებოდა.

სასტუმროში გავიგე, თუ რატომ გვხვდებოდა ყველგან დიდი ალიგიერი. მალე მასიური ტირაჟით უნდა გამოვიდეს „ღვთაებრივი კომედია“. გამოცემლობა „მონდადორი“ უშვებს „ღვთაებრივ კომედიას“ გუტუზოს ილუსტრაციებით. მკითხველისათვის მგონი ზედმეტი არ იქნება, თუ მოვიტან გუტუზოს ინტერვიუს ნაწილს, რომელშიც ახალი იტალიის ფუნჯის სახელგანთქმული ოსტატი ამ სამუშაოსთან დაკავშირებით ლაპარაკობს.

„ბერენიჩე — გაზეთ „პაეზე სერას“ კორესპონდენტი: — ამჟამად თქვენ „ღვთაებრივი კომედიის“ ილუსტრაციებზე მუშაობთ. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ სამუშაოს დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია და რომ თქვენ დანტე გამოსახეთ რაღაც უჩვეულო ტანსაცმელში გამოწყობილი, ხოლო შიშველი პიკარდა დონატი სამოთხეში ჩასვით. ამბობენ, რომ თქვენი სატანა საშინელზე საშინელია. როგორია იგი?

**გუტუზო** — ის ამბავი, რომ თითქოს მე დანტეს რაღაც არატრადიციული სამოსელი ჩავაცვი, მართალი არ არის. საქმე ისაა, რომ ის მე საერთოდ არ დამიხატავს. რაც შეეხება შიშველ სხეულებს, არ ვიცი, რატომ არის აუცილებელი მათი ყოფნა ჯოჯოხეთში და არა სხვაგან. სატანა დანტესთან რაღაც საზოგადოებას წარმოადგენს და ამიტომ მეც მახინჯად დაეხატე.

— ამბობენ, რომ დანტეს ჯოჯოხეთის პერსონაჟებს შორის ყველაზე უფრო ზოგიერთი თავისი ნაცნობი გამოსახავს. მართალია თუ არა ეს?

— ასე იქცეოდა დანტე. ასე მოვიქეცი მეც და არა მარტო „ჯოჯოხეთში“. ადამიანების ვნებათა ჩვენება უფრო ადვილია იმ მაგალითებზე, რომელთაც შენ კარგად იცნობ.

— რამდენი სურათი გაქვთ უკვე გაკეთებული სასინჯი და საბოლოო ვარიანტების ჩათვლით?

— დაახლოებით ათასი, ოღონდ მათგან მე ჯერ არ ამომირჩევია საბოლოო ასი სურათი, რომელიც წიგნში უნდა შევიდეს“.

მე მინდა მოვიტანო რენატო გუტუზოს კიდევ ერთი გამონათქვამი, თუმცა მას დანტეს ამ გამოცემასთან კავშირი არა აქვს.

კორესპონდენტმა გუტუზოს ჰკითხა: — „თქვენთვის რომ ეთქვათ, აირჩიეთ ძველი იტალიური ხელოვნების რომელიც გნებავთ ნაწარმოები, რომელ სურათს აირჩევდით?

— კლასიკური ხელოვნების შედეგები მხოლოდ მუზეუმში უნდა იყოს, რომ უკლებლივ ყველას მოჰგვაროს სიხარული და ამით კულტურას ემსახუროს. მე კი მინდა მქონდეს რამდენიმე თანამედროვე სურათი ან უფრო სწორად ნახატი. სხვათა შორის, ასეთი ნახატები მე მაქვს. მე მინდა ვთქვა, რომ თანამედროვე სურათები არანაკლებ დაამშვენებენ სახლს, ვიდრე ძველებურები“.

დანტეც ხომ უდიდესი სასწაულია, რომელიც კაცობრიობას მოეგონა, რათა ემცნო რენესანსის დასაწყისი. „ღვთაებრივი კომედია“ თავისი დროის პოლიტიკური ვნებებით არის აღსავსე. პოლიტიკური ვნებები კი, ყველაზე უფრო ცხარე ზასათისა არიან სხვა ადამიანურ ვნებათა შორის. დიდი დანტე სიტყვითაც და საქმიოთაც იბრძოდა „შავი გველფების“ წინააღმდეგ. იგი ფლორენციიდან გააძევეს (გაძევა, მგონი, ზოგიერთი გენიოსის

ბედია. საქართველოდანაც გააძევეს დანტეს მოძმე — რუსთაველი. მის საფლავს ყველგან ეძებენ, იერუსალიმშიც კი. დანტეს ბედმა გაუღიმა, იგი ფლორენციიდან არც ისე შორს დაუმარხიათ — რავენაში. ფლორენციაში კი სანტა-კროჩეს ფრანცისკანელთა ეკლესიაში ყოფნისას იტალიელმა მეგობარმა პირველ რიგში დანტეს სიმბოლიური საფლავის ძეგლთან მიგვიყვანა).

აქ მე მინდა მოვიტანო პ. მურატოვის ციტატა მისი შესანიშნავი „იტალიური სახეებიდან“: „მოქალაქის პოლიტიკურ საზრუნავსა და გრძნობებს დანტეს პოემაში დიდი ადგილი უჭირავთ. მათი ზუსტი და ცოცხალი მნიშვნელობა ჩვენთვის უკვე დაკარგულია, მაგრამ არასოდეს გაქრება ვნების ის ენერჯია, რომელიც მათ ასაზრდოებდათ. გველფების და გიბელინების დავა, ჩერკისა და დონატის საქმეები შევიდა დედამიწაზე შექმნილ ყველაზე დიდ პოეტურ ნაწარმოებში. მის მუდმივ სინათლეში ჩაიძირა ამბავთა ბნელი მხარე, მართებული შეერწყო უმართებულოს, სიკეთე ბოროტებას. დანტეს ლექსმა ყველაფერს თანაბარი უკვდავება მიანიჭა, მიუხედავად იმისა, წყევლა იყო მასში ჩართული თუ ლოცვა“ (პ. მურატოვი, „იტალიის სახეები“, ტ. 1, გვ. 187 — 188).

ამაზე ვფიქრობდი, როცა მიქელანჯელოს მოედნიდან კიბეებით მივდიოდი წმიდა მინიატის ტაძრისაკენ (მინიატი — ეს არის სომხეთის მეფის მინასის ლათინური, იტალიური ტრანსკრიპცია. მინასი ურწმუნოებმა აწამეს კილიკიაში და კათოლიკურმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა). მინიატ-მინასის ტაძარი მიქელანჯელოს მოედანზე დგას. ეს მოედანი ისევე გადმოჰყურებს ფლორენციას, როგორც მთაწმინდის პლატო თბილისს. საერთოდ, რომიდან ფლორენციაში მიმავალი გზა პეიზაჟის საერთო იერით, მცენარეულობით, მიწათმოქმედების კულტურით, ბორცვების ტერასებზე ჩარიგებული დასახლებული პუნქტებით ისე ძალიან

პავს საქართველოს, კერძოდ კახეთს. რომ აკად. ი. პ. გერასიმოვმა, ~~რომელიც~~ კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანას, მითხრა: „შეხედეთ, აი თქვენი სიღნაღი, აი ალაზნის ველი“. ტოსკანა მართლაც მშობლიურ საქართველოს პეიზაჟს მაგონებდა.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რენესანსის ეპოქა იტალიაში, მოყოლებული დანტეთი, ჯოტოთი და დამთავრებული, მაგალითად, მიქელანჯელოთი, მართლაც სასწაულად გეჩვენება. აქ მე არ ჩამოვთვლი ხელოვნების ყველა იმ ძეგლს, რომელიც ჩვენ ვნახეთ ფლორენციაში, ვენეციაში, რომში, ნეაპოლში, მილანოში, ყოველ მკითხველს შეუძლია წაიკითხოს ცნობარი და წიგნები იმდროინდელი იტალიის ფერწერის, ქანდაკების და არქიტექტურის შესახებ და ჩათვალოს, რომ ჩვენთან ერთად იყო ამ ქალაქებში და მუშეუძებში.

მე მინდა მხოლოდ ერთი რამ ვუთხრა მათ. საქმე ისაა, რომ საუკეთესო გამომცემლების საუკეთესო რეპროდუქციები, სხვადასხვა ასლები თურმე მიახლოებით წარმოდგენასაც კი ვერ იძლევიან სურათის კოლორიტზე, ყოველ შემთხვევაში, ვერ იძლევიან იქქის ცოცხალი ფაქტურის შეგრძნებას, რომლისგანაც მიქელანჯელომ ან დონატელომ გამოკვეთეს მოსეს, დავითის თუ პერსეის სული. მათი ნახელავის აღწერა იგივე იქნებოდა, ბეთპოვენის სიმფონიები რომ გვეამბნა, ან მოგვეყოლა პეტარაკას და შექსპირის სონეტები. ამას ყველაფერს საკუთარი თვალთა უნდა ნახვა. წერით კი იტალიაზე ყველა წერდა. შორეულ წარსულს რომ თავი დავანებოთ, წერდა გოეთე, სტენდალი, ბაირონი, გერცენი, მურატოვი, ჩვენი სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც განცვიფრებული იყო XVIII საუკუნის ფლორენციის ხილვით.

ყველა კითხულობდა და ახლაც ეკითხება თავის თავს, რამ გამოიწვია ადა-

---

ვლადიმერ მაჭავარიანი  
სასწაულები და მითები

მიანის გენიის ასეთი დიდი აღმაფრენა XV — XVI საუკუნეებში. ამ გამოცანაზე ბევრს უტეხია თავი. მისი გამოცნობა მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა შეძლეს.

სწორედ ამ დროს ირღვეოდა ფეოდალიზმის რთული ეკონომიური, პოლიტიკური, კონფესიონალური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური სისტემა. ამ საუკუნო სოციალური სტრუქტურის მსხვერველამ გამოიწვია გიგანტური კატაკლიზმები, ბევრად უფრო საშიში, ვიდრე მიწისძვრები და ვეზუვის ამოფრქვევა, რომლებიც დროდადრო ახანზარებდნენ ხოლმე იტალიას, სწორედ იმ ვნებათა წვამ, რომელთა შესახებ ასე კარგად თქვა პ. მურატოვმა, ახალი კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობის გაჩენამ განსაზღვრა ადამიანის გენიის ეს აღმაფრენა. გაჩნდა არა ერთი, ორი, სამი, არამედ მთელი პლეადა დიდი ოსტატებისა, მხატვრებისა, მოქანდაკეებისა და ხუროთმოძღვრებისა.

აქ ალბათ იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ იმ პატარა სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში, რომლებიც მაშინ აღინიშნებოდა კრებითი სახელით „იტალია“, მიუხედავად მედიჩების, სფორცების, ბორჯიებისა და სხვ. მისთანების წინააღმდეგობისა, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია ძალას იკრებდა. საერთაშორისო ვაჭრობაში, ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლაში, ანტიკური სამყაროს, ელადის სამყაროს ათვისებაში ფართოვდებოდა იმდროინდელი ადამიანების *orbis terrarum*, ქვეყანა გამოვიდა შუასაუკუნეობრივი გეოგრაფიული და კულტურული წარმოდგენების საზღვრებიდან.

ამ სახელმწიფოებში, დესპოტიებში, რესპუბლიკებში იყო დემოკრატიის ის დონე, ის მინიმუმი, რომელიც მართალია, არ ეხებოდა უმდაბლეს, პლებურ მასებს, მაგრამ მაინც ხელოსნებისაგან, მოქალაქეებისაგან, ვაჭრებისაგან და სხვა წოდებებისაგან ქმნიდა ადამიანის აქტიური მოქმედების უფრო ფართო

ბაზას, ვიდრე ეს შუა საუკუნეებში იყო. აქ ორმაგი პროცესი მიმდინარეობდა: ეს ფენები თვით შობდნენ მხატვრებს (მეტრის პრეტენზიების მიუხედავად, მიქელანჯელო ბუონაროტი მაინც გლენი მდაბიო იყო), რომელთაც შემოქმედად გახდომის შემდეგ, შეჭონდათ თავიანთ ნაწარმოებებში ხალხის ოცნებები, ფიქრები, სურვილები, პოლიტიკური მისწრაფებანი, მისი დემოკრატიზმი. აი რატომაა, რომ იტალიური რენესანსის ხელოვნება (და არა მარტო იტალიური) იყო ხალხური და აშკარად გამოხატული პარტიული, პოლიტიკური და სოციალური ხელოვნება.

უნდა ითქვას, რომ ეს დიდი და მცირე დესპოტიები, შეპყრობილნი თავიანთი თავის საუკუნო უკვდავყოფისა და პატივმოყვარეობის გრძობით, მოკლებულნი როდი იყვნენ ესთეტიკურ გემოვნებას. გენიოსები აიძულებდნენ ტირანებს პატივი ეცათ შემოქმედებისათვის, თავს ახვევდნენ თავიანთ გემოვნებას, სამყაროს მხატვრულ ხედვას და ძლიერნიც ამა ქვეყნისანი ფულებს არ ზოგავდნენ, იძლეოდნენ შეკვეთებს. ურომლისოდაც მხატვარს არსებობა არ შეეძლო და ბოლოს და ბოლოს იღებდნენ იმას, რაც ხელოვანს მოჰქონდა. საქმე იმ დიდ თუ მცირე კოლიზიებშიც კი არ არის, რომელთაც ადგილი ჰქონდა დამკვეთსა და შემსრულებელს შორის. აქ, როგორც წესი, შემსრულებელი იმარჯვებდა. ფაქტების შეხსენება მგონი აღარ ღირს, მათ შესახებ სახელმძღვანელოებშიც ბევრჯერაა ნათქვამი. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს კათოლიკური ეკლესიის მობილურობა. გამჭირაობა და აპრობაციის უნარი, რომელმაც, ვითომ და არაფერი იყო, გზა დაულოცა ღვთიური წარმოდგენების და საწყისების გაადამიანებას. ყველა ამ ინოკენტის, იულიუსს და სიქსტს მშვენივრად ესმოდა, რომ ახალ დროში მათ აღარ გაეძლებოდათ მისტიკითა და ამ ქვეყნიდან განდგომით, რაც ასე დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების რელიგიური იდეოლოგიისათვის.



და ასე იყო არა მარტო იტალიაში, არამედ, მაგალითად, ნიდერლანდებშიც. იტალიის შემდეგ ჩვენ ვიყავით ამსტერდამში, „ჩრდილოეთის ვენეციაში“. გიღმა აღარ იცოდა, როგორ ეტრახება თავისი ქალაქის არხების სისუფთავით. „ეს ვენეცია არ გეგონოთ“, — გაიძახოდა ის. მანვე, სხვათა შორის, გვიჩვენა სახლი, სადაც ცხოვრობდა და საიდანაც გესტაოში წაიყვანეს განსაკვიფრებელი ანა ფრანკი, რომლის დაუფიწყარმა დღიურმა მილიონების გული ააღლვა. ამსტერდამში მე ვნახე ასევე დიდი სასწაული — რემბრანდტის „ღამის გულშანი“. ეს სურათი ისევე შესანიშნავადაა ექსპონირებული, როგორც ლეონარდოს „საიდუმლო სერობა“ მილანოში. მას ფართო მისასვლელი აქვს, სურათი შორიდანვე მოჩანს, შესანიშნავადაა განათებული, მის წინ სავარძლებში შეიძლება ჯდომა. ფლორენციაში, სახელგანთქმულ უფიცვში, პალაცო პიტინი და ვატიკანის ზოგიერთ დარბაზში კი ექსპოზიცია კი არა, საწყობი გეგონებათ, სადაც ერთმანეთზეა დაყრილი მურილიო, რაფაელი, ტიციანი, ბელინი, ჯოტო და არ ვიცი კიდევ ვინ. რომში ველასკეზის „ინოკენტს“ ბედი ეწია, ის ცალკე მაინც „ცხოვრობს“ და კარგადაა განათებული.

ასეთია წარსულის დიდება. ჩვენს დღეებში ძველი რომი, ფლორენცია, ვენეცია მე მომეჩვენა გენიოსების მიერ შექმნილ თეატრალურ დეკორაციად, რომლის აღებაც სცენის მუშებს დავიწყებოდათ (კიდევ კარგი რომ დავიწყებოდათ). ამ დეკორაციებში ხუთასი, ოთხასი წლის წინ გათამაშდა არა ერთი ტრაგედია, დრამა, კომედია და იქნებ ფარსიც. ისტორიის არენაზე, როგორც მარქსმა აღნიშნა, ტრაგედიები განმეორებისას ფარსად იქცევა ხოლმე. ამის ერთი ცოცხალი მაგალითია მუსკოლინის ბატონობის ხანა, თუკი, რასაკვირველია, ისტორიულ მოვლენებს უფრო დიდი მასშტაბით გავზომავთ.

ვენეციაში დიდ არხზე სეირნობის დროს გონდოლიერმა ჩვენ ერთ მოზრ-

დილ პალაცოსთან მიგვიყვანა და მთელი სერიოზულობით, ყოველგვარი ექვისა და ირონიის გარეშე გვითხრობდა ცხოვრობდა დეზდემონა“. მე დავუჯერე, მით უმეტეს, რომ ვენეციის სენატის სხდომათა დარბაზის პლაფონი ვერონეზეს მოხატულია, ხოლო კედელზე ტინტორეტოს მაგიურმა ხელმა ზებუნებრივი რამ გამოსახა.

ფიქრებიდან ვენეციელმა გიღმა გამომარკვია, რომელიც ძალიან ერუდირებული და გონებამახვილი ჩანდა. „ყოჩაღ, ტინტორეტო, რამდენი საუკუნის წინ დაინახა მან და დახატა ლიდო, ბაბილონის აღრევა ჩვენ ფეშენებელურ პლიაქზე ზაფხულის ცხელ დღეებში“. ეს გიღი არ იყო მოკლებული იუმორის გრძნობას. სახელგანთქმულ „ოხვრის ხიდზე“ ყოფნისას მან შენიშნა: „არ ვიცი, რა ჰქონდა მხედველობაში ბაირონს, რომელმაც ასეთი რომანტიკული სახელი უწოდა ამ ხიდს, რადგან მანამდე ეს ნაგებობა არავისში არ იწვევდა ოხვრის ასოციაციას, ჩვენ, ვენეციელები პრაქტიკული ხალხი ვართ და არასდროს, არც წინათ და არც ამჟამად, ოხვრისთვის არა გვცალიაო“. ჩვენს კითხვაზე — როგორღა ვერონეზეს, ტინტორეტოს და სხვათა სურათების საქმე-მეთქი, გიღმა სიტყვა მომიჭრა: „აი რა, ძვირფასო მეგობარო, არავის უთხრათ და, ეს სურათები გენიოსების მიერ დახატული პოლიტიკური პლაკატებიაო“. გადავწყვიტე, აღარ შევდავებოდი ამ ფხიან კაცს. ღმერთმა იცის, იქნებ მართალსაც ამბობს. გენიოსების დახატული პლაკატები რითაა უარესი იმ სურათებზე, რომელთაც ესა თუ ის უნიათო მხატვარი თხუნიანს.

იტალიაში აბსტრაქციონისტები აღარ მინახავს. მე ისინი ვნახე პარიზში, ლონდონში; მათი ნახვა პრადასა და ვარშავაშიც მოვასწარი. ისინი ხომ ყველანი ერთმანეთსა ჰგვანან. არ მინდოდა შთაბეჭდილებისა და გუნების გაფუჭება. ფერწერაც ცოდოა და საკუთარი თავლადიმერ მაჭავარიანი სასწაულები და მითები

ვიც მეცოდება. ძნელად, რომ ვინმემ და  
ოდესმე გაიმეოროს მიქელანჯელო. ეს  
არც საჭიროა და არც შესაძლებელი,  
მაგრამ ძე ძალა აღარ შემწევდა ამ რე-  
ზონით მეცქირა სალვადორეს „წრიუ-  
ლი მოძრაობისა“ და ბ. ბოდმერისა და  
ლ. მინსიანის საეჭვო ფერწერული  
ოპუსებისათვის. რაც იქნება, იქნება,  
ისევ ჯობს „რეტროგრადებში“ ჩაე-  
წერო. ხოლო ვისაც უნდა, უცქიროს, —  
გაძლება ცქერით და მოწყინდება. მი-  
ქელანჯელოს ჰერეტიკი კი გაძლომა  
შეუძლებელია. ამისათვის ხანგრძლივი  
სიცოცხლით ცნობილი ჩვენი აფხაზი  
მოხუცების ასი სიცოცხლეც კი არ  
კმარა.

ისეთ ხალხს, როგორც იტალიელები  
არიან, ალბათ არ ეადვილებათ წარსუ-  
ლის დიდების საკუთარი მხრებით ზიდ-  
ვა. გენიოსების აჩრდილი მუდამ თანა  
სდევთ მათ. გავლილი გზის განმეორება  
შეუძლებელია. მიმბაძველობაც არ არის  
დიდი დამსახურება. როგორც ჩანს, სა-  
ჭიროა ახალი გზების ძიება ხელოვნე-  
ბაში გონიერებისა და ნორმალური  
ადამიანისათვის გასაგებ გრძნობათა და  
ემოციათა სამყაროს ფარგლებში. რო-  
გორც მნიშვნელოვანი არქიტექტურუ-  
ლი მოვლენაც არ უნდა იყოს რომის  
ახალი ვაგზალი „ტერმინი“, მას მუდამ  
დაჩრდილავს მიქელანჯელოს ნახელა-  
ვი პეტრეს ტაძარი, მისი გუმბათი.  
ისეთმა ხალხმა, როგორც იტალიელები  
არიან, ალბათ გიგანტური ნებისყოფა  
უნდა გამოავლინონ, რათა ჩვენს დრო-  
შიც ამაყად თავაწულებმა იარონ, და  
წარსულის დიდებამ აწმყოში არ შეუ-  
ქმნას „აბასრულყოფილობის კომპლექ-  
სი“.

თანამედროვე ტოსკანელი გოგონები  
მართლაც ჰგვანან რაფაელის მადონებს.  
ფლორენციაში ჩვენი გიდი ერთი ახალ-  
გაზრდა ქალი იყო. იგი ისეთი ერთდი-  
ციით და აღფრთოვანებით ლაპარაკობ-  
და ტიციანის მადონების სრულყოფილ  
ხაზებზე, რომ კაცს შეშურდებოდა.  
რსფსრ სახალხო არტისტმა ლარისა  
პაშკოვამ და მე ვუთხარით გიდს, რომ  
იგი თვითონ ჰგავს ამ დიდი ოსტატის მა-

დონას. ქალიშვილი დაიბნა, გაწითლდა,  
გაკვირვებით შემოგვხედა და გვეთხრა:  
კომპლიმენტი თუ არა ესაა <sup>ქალიშვილი</sup> ~~ქალიშვილი~~  
თქო, — ვუპასუხე, კომპლიმენტი კი  
არა, ფაქტის უბრალო კონსტატაციაა-  
მეთქი. — გმადლობთო, — წარმოსთქვა  
გიდმა და მისმა ლამაზმა, მგონი ცის-  
ფერმა თვალებმა სიხარულისა და კმა-  
ყოფილების გრძნობა გამოხატეს. სალა-  
მოს ის განსაკუთრებულად ჩაძმული  
გამოგვეცხადა, თვალბუმბულებილი და  
წამწამებდაგრძელებული, ვარცხნი-  
ლობაც ულტრამოდური ჰქონდა. სამ-  
წუხაროდ, ის აღარ ჰგავდა მადონას,  
მაგალინასაც კი. არ ვიცი, არიან თუ  
არა ახლა იტალიაში მადონები, უნდა  
ვიფიქროთ, რომ არიან, მაგრამ ქალი-  
შვილები, რომლებიც სადგურის მოე-  
დანზე დასეირნობდნენ ნეაპოლში, ნამ-  
დვილად არ იყვნენ მადონები. უცნაუ-  
რი, თვალბ და ტუჩებზედებილი მამა-  
კაცებიც ნაკლებად ჰგავდნენ დავითს ან  
პერსეის.

რომში ლ. პაშკოვა და მე მწერალთა  
ევროპის გაერთიანების გენერალურმა  
მდივანმა ჯანკარლო ვიგორელიმ სტუმ-  
რად დაგვაპატივა: ჯ. ვიგორელიმ თა-  
ვისი დიდი და ძალიან საინტერესო  
ბიბლიოთეკა გვიჩვენა. მის ბინაში კედ-  
ლებს თანამედროვე იტალიური ფერ-  
წერის მრავალი ნიმუში ამშვენებს. მან  
არა მხოლოდ „მარტინი“, არამედ ქარ-  
თული „ენისელიც“ დაგვალევინა. ვი-  
საუბრეთ ევროპის მწერალთა გაერთი-  
ანების ლენინგრადის სიმპოზიუმზე, ვა-  
სილი ტიორკინის მოგზაურობაზე იმ  
ქვეყნად და ცოდვილ მიწაზე მისი დაბ-  
რუნების შესახებ, ახალ სინელებზე,  
რომლებმაც ევროპის გაერთიანების  
მუშაობაში იჩინეს თავი, მემარჯვენე-  
თა შეტევაზე ამ გაერთიანების მიმართ,  
სხვათა ამბიციანზე, ფრანგი ნეორომა-  
ნისტის ალენ რობ-გრიეს უცნაურ  
პრესკონფერენციაზე. თავისი გამოსვლა  
რომში ა. რობ-გრიემ დაახლოებით ასე  
დაიწყო: „როცა ბალზაკი და მე...“ და  
ა. შ. საუბრის დროს ჯ. ვიგორელის ვი-  
დაცამ დაურეკა. აღმოჩნდა, რომ ჩარ-  
ჩობებში ახლადჩასმული სურათები მო-

უტანეს, რომელთა შორისაც იყო ერთი ახალგაზრდა ქართველი მხატვრის ნამუშევარიც. „ეს სურათი ირაკლი აბაშიძემ მაჩუქა თბილისში ყოფნისას, ოღონდ ავტორი ვინ არის, არ ვიცო“, — მითხრა ვიგორელიმ. მეც არ ვიცოდი და შევპირდი, თბილისში ვკითხავო. აბაშიძეს-მეთქი. ეს სურათი ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის ვ. ონიანის ნახატი აღმოჩნდა. ამის შესახებ ჯ. ვიგორელის უკვე მივწერე.

რომში ჯ. ვიგორელიმ მე და ლ. პაშკოვა თეატრ „კვირინოში“ დაგვაბატყა, სადაც ვნახეთ ჯუზეპე პატრონი გრიფის პიესა „მეგობარი სინიორას სასოვრად“. პიესა დადგა ცნობილმა თეატრალურმა და კინომოღვაწემ ფრანჩესკო როზიმ. მთავარ როლს თამაშობდა პოპულარული იტალიელი მსახიობი ქალი ლილა ბრინიონე (ჯ. ვიგორელიმ გვითხრა, ამ სპექტაკლზე სწორედ ლ. ბრინიონეს სანახავად დაგვაბატყეთო). არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ ლ. ბრინიონეს საკმაოდ კვალიფიცირებული ნამუშევრის მიუხედავად, საერთოდ სპექტაკლს ჩვენზე, მათ შორის ჯ. ვიგორელიზე და მის თანმსლებ ქალბატონზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. იქნებ ისიც იყო, რომ ჩვენ მიჩვეულები არ ვიყავით იტალიელი მსახიობების თავისებურ თამაშს, პიესის სტრუქტურას, სადაც მოქმედება არაა და გრძელგრძელი დიალოგები და მონოლოგები კი ბლომადაა. ეს დიალოგები და მონოლოგები, ალბათ ცხოვრებასთან მაქსიმალური მიახლოების მიზნით წარმოითქმის იმ თეატრალური და აქტიორული შთაგონების გარეშე, რითაც, კაცმა რომ თქვას, სწორედ სცენიური ხელოვნება უნდა იწყებოდეს. პიესა გვიამბობდა იმ მორალურ და ოჯახურ პრობლემებზე, რომელთაც იტალიაში, კერძოდ კი ნეაპოლში, იჩინეს თავი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე.

ჩვენ პრემიერაზე მოვხვდით (ეს მეხუთე თუ მეექვსე სპექტაკლი იყო). თეატრში რომის საუკეთესო საზოგადოებას მოეყარა თავი, მაგრამ რამდენ-

ნადაც მე მომეჩვენა, ეს იყო ფინანსური საზოგადოების ნაღები და არა მარადიული ქალაქის ინტელექტუალური ელიტა. ხალხი შესანიშნავი ლიმუზინებით მოდიოდა. ჩემს წინ იჯდა ვილაც ქალი კანადის ცისფერი წავის ბეწვებში გამოხვეული. სხვათა შორის, ქალები, ყოველ შემთხვევაში პირველი მოქმედების დროს მაინც, ბეწვის ქურქებში ისხდნენ, თუმცა დარბაზში თბილოდა. სიგარეტებსაც აბოლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჰაერი არ იწმინდებოდა.

ანტრაქტში ხუმრობით ვკითხე ვიგორელის—„ჯანკარლო, როგორ გგონიათ, რამდენი დაუჯდა ამ ქალბატონს თავისი დღევანდელი ტუალეტი?“

— „თუ ტუალეტსაც, ძვირფასეულობასაც და ბეწვსაც ვიანგარიშებთ. ეს ქალბატონი მრავალი მილიონი ლირა ღირს. ეს დაახლოებით იმდენია, რამდენსაც მრავალი წლის დაძაბული შრომის შედეგად ვერ გამოიმუშავენს თქვენი ნაცნობი ჯაკომო დებენედეტი. დიდი ლიტერატურული კრიტიკოსი, რომის უნივერსიტეტის სახელმწიფო-ლოგი პროფესორი“.

რადგანაც თეატრზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ჩვენი იტალიელი მეგობარი და ნაცნობი ერთხმად აღიარებდნენ, თეატრი იტალიაში კრიზისის განიცდისო. მრავალ მიზეზს ასახელებდნენ, მთავარი კი იყო დრამატურგია, სათამაშო პიესები არ არისო. ისიც უნდა ითქვას, რომ თეატრის და კინოს ბილეთიც იქ ძალიან ძვირი ღირს. ოჯახით თეატრში წასვლამ შეიძლება გააკოტროს ადამიანი. მე მგონი, ჯ. ვიგორელის თეატრში ჩვენი დაპატიყება, როგორც იტყვიან, მამასისხლად დაუჯდა, დაახლოებით არა ნაკლებ თორმეტი ათასი ლირისა. ხოლო თუ ჩვენი ძვირფასი მასპინძლის და მისი მეგობრის ბილეთსაც ვიანგარიშებთ, მაშინ გამოვა, რომ იმ საღამოს ჯ. ვიგორელიმ სულ ცოტა, ოცი

ვლადიმერ მაჭავარიანი  
სასწაულები და მითები



ათასი ლირა დახარჯა. ეს თანხა კლერკის და საშუალო კვალიფიკაციის მუშის თვითური ხელფასის ერთი მესამედია სადამ სამხრეთ იტალიაში.

ჩვენში არსებული გაგებით, სახელმწიფო დრამატული თეატრი იტალიაში არ არსებობს, ხოლო ცალკეულ შეძლებულ პირებს არ სურთ ფულის ჩაყრა ასეთ მცირე შემოსავლიან საქმეში.

ვენეციაში იტალია — სსრკ ადგილობრივი განყოფილების მუშაკებმა ჩვენი ჯგუფიდან ოთხი კაცი თეატრში დაპატიჟეს. ვენეციაში ერთადერთი თეატრია, უფრო სწორად, თეატრის შენობაა. აქ მიდიოდა ფრანგი დრამატურგის ა. ადამოვის პიესა „პაოლო პოლი“. პიესა ანტიფაშისტურია, მკაცრად მამხილებელი. მასში მონაწილეობდნენ იტალიაში ძალიან პოპულარული მსახიობები: ლია ორიგონი, კლაუდია ლოურენსი და სხვები. დასი ექვსი თვის ვადითაა შედგენილი, მოათავებენ თამაშს და დაიშლებიან. ჩვენ მეორე თუ მესამე სექტაკლზე მივედით. დარბაზის ორი მესამედი ცარიელი იყო. პალტო არავის გაუხდია. იქვე იხდიდნენ და თავისუფალ სკამებზე აწყობდნენ. მხოლოდ ჩვენ, საბჭოთა მსურველებმა მოვნახეთ გარდერობი და ჩვეულები-სამებრ გავიხადეთ პალტოები (სხვათა შორის, გარდერობი აქ ძვირი ჯდება). დარბაზში თბილოდა, ის დიდი არ იყო, ექვსასი კაცი თუ დაეტეოდა. როგორც ჩანს, იტალიაში თეატრები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის როდი მუშაობენ, და აი რატომ. სექტაკლი ვენეციაში დაიწყო საღამოს ათის ნახევარზე (ასევე იყო რომში) და დამთავრდა პირველის ნახევარზე. იტალიელი მშრომელები კი საღამოს თერთმეტ საათზე წვებიან, დილის შვილზე კი ყველა ფეხზეა. ამ საათებში, მაგ., ვენეციის დიდ არხში გემი-ტრამვაები უკვე ხალხითაა სავსე. ყველა სამუშაოზე მიიჩქარის. დამით ძირითადად ფხიზლობენ ამერიკელი და სხვა ტურისტები კაპიტალისტური ქვეყნებიდან. რომში დამე არ ძინავს მხოლოდ ვიტორიო ვენეტოს ქუჩის ერთ პატარა ნაწილს, სა-

დაც განლაგებულია ღამის ბარები და მსგავსი დაწესებულებანი. სიტყვამ მოიტანა და იგივე ხდება პარიზშიც. აქათ სძინავს მხოლოდ პიგალს, ლონდონში კი მხოლოდ სოპოზე და მის მსგავს უბნებში ფხიზლობენ.

მილანოს „ლა სკალას“ შესახებ ვერაფერს ვიტყვი. ეს ცნობილი საოპერო თეატრი სეზონს ცხრა დეკემბრიდან იწყებდა. ჩვენ კი სამ დეკემბერს მილანოდან უკვე ამსტერდამში მივფრინავდით.

მილანოში მუშაობს იტალიაში ცნობილი „პიკოლო თეატრო“. მილანოში ჩვენი ყოფნისას იქ ბ. ბრეჰტის „გალილეო გალილეის“ უჩვენებდნენ. სექტაკლს დაესწრო ლ. პაშკოვა. აღფრთოვანებული დაბრუნდა. მიაშბო, რომ გაქედილი დარბაზი ოთხი საათის განმავლობაში სულგანაბული უსმენდა წარმოდგენას და სამართლიანად შემომჩივლა, ჩვენში ბრეჰტს ნაკლებად დგამენო. ჩვენ უნდა ვენდოთ ცნობილი რუსი მსახიობი ქალის პროფესიულ აღლოს და დავეთანხმოთ მის შეფასებას. მაგრამ არც მილანოს თეატრია სახელმწიფო თეატრი. — ისიც საპაიო შენატანით არსებობს.

ნეაპოლში ამ სტრიქონების ავტორს საბჭოთა საქართველოში კულტურული მშენებლობის შესახებ მცირე ინფორმაციით მოუხდა ვამოსვლა. ციფრებმა, რომელიც მე იქ დავასახელე, ზოგი განაცვიფრა, ზოგი დააეჭვა. მართლაც დარესპუბლიკაში, სადაც მხოლოდ ოთხ მილიონზე ცოტა მეტი მოსახლეობაა, 19 უმაღლესი სასწავლებელია და 20 სტაციონალური თეატრი. ამ თეატრებში სექტაკლები იდგმება ქართულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და რუსულ ენებზე.

ლ. პაშკოვა მიაშბობდა, რომ „პიკოლო თეატროში“ მუშაობს სკოლისტულია. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სკოლაში ის არის, რომ იქ იღებენ 14—16 წლის ახალგაზრდებს. სკოლის მსვეურნი სავსებით ლოგიკურად მსჯელობენ. ტალანტი უკვე არასრულ სა-

შუალო სკოლაში იჩენს თავს. სტუდია-სკოლა ზოგად და სპეციალურ განათლებასაც აძლევს. 18 — 20 წლის ასაკში ახალგაზრდა თეატრში მიდის სამუშაოდ და სრული შემოქმედებითი ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას. თუ არ ეცდები, ამავე პრინციპით მუშაობს პარიზის კონსერვატორია და ინგლისური სკოლა-სტუდიები. ასეთი პრაქტიკა, დასავლეთში მაინც, სავსებით ამართლებს თავის თავს. მახსოვს, ამ საკითხზე ჩვენშიც იყო კამათი, მაგრამ ის ისევე დარჩა ჰაერში გამოკიდებული. ამიტომ არის, რომ ჩვენში ოფელიები და დემონები საკმაოდ ასაკოვანი ქალბატონები არიან, ასე 40 — 45 წლისა.

რამდენიმე სიტყვა იტალიურ კინოზე. იტალიელმა მეგობრებმა ვერაფერი ვერ გვაჩვენეს. ეკრანებზე უმთავრესად ამერიკულ სურათებს უჩვენებდნენ. გვარწმუნებდნენ, ე. ტეილორას კლეოპატრას სანახავად არ ღირს ოთხი საათისა და ხუთი ათასი ლირის დახარჯვაო. ნეორეალიზმი დღეს უკვე იტალიური კინოს ისტორიაა, ისტორიის ბრწყინვალე ფურცელია. სწორედ ნეორეალიზმის დამსახურება იყო, რომ იტალიურ კინო-ხელოვნებაზე მთელი მსოფლიო აღაპარაკდა, მაგრამ ნეორეალიზმმა უკვე ამოწურა თავისი თავი თემატურადაც და მხატვრული გამოსახვის ხერხებითაც. თანაც ახლა იტალიაში სხვა დროა. ამბობენ, იტალიური კინოს დღევანდელი დღე ფელინი არის, და იქნებ ის ხაზი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ უადრესად ნიჭიერმა რეჟისორმა მიქელანჯელო ანტონიონიმ დასახაო. იტალიელები კინოშიც და თეატრშიც დიდ იმედებს ამყარებენ გასმანზე. ამბობენ, რომ ფრანგული ტნპ-ს (ნაციონალური სახალხო თეატრი) მსგავსად, იტალიაშიც იქმნება ნაციონალური იტალიური თეატრი გასმანის მეთაურობით. ვნახოთ, რა გამოვა.

ვერ ვიტყვი, თითქოს იტალიაში ნაკლებად კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს. „უნიტა“, „პაეზე სერა“. „რინაშიტა“ უზარმაზარი ტი-

რაჟით გამოდის. საკმაოდ დიდი ტირაჟი აქვს ზოგ ბურჟუაზიულ გაზეთებს, არ ითქმის ბინძურ, პროფანისტულ. პროვოკაციულ „ილ სეკოლოსზე“, რომელმაც 23 ნოემბერს მხოლოდ ის მოახერხა, რომ თავის მკირერიცხოვან მკითხველებს არშინიანი ანშლანგით ამცნო, კენედი საბჭოებთან შეთქმულმა ამერიკელმა კომუნისტებმა მოკლესო.

22 — 23 ნოემბრის დამე იტალიამ მოუსვენრად გაატარა. კენედის მკვლელობამ შეაძრწუნა და დააშინა იტალიელები. თითქოს casus belli შეიქმნა. მოკლეს სახელმწიფოს მეთაური. მთავარსარდალი. რას მოიმოქმედებენ კიდევ „ცოფიანები?“ ვაი თუ თითი დააჭირონ იმ ავბედით დილაკს? ადამიანთა აღზნებული ჯგუფები არ იშლე-ბოდნენ.

მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი ჩვენი სახელმწიფოს ავტორიტეტში, ძალასა და დიდებულებაში. ყველას უკლებლივ ჩვენი დედაქალაქისაკენ, მოსკოვისაკენ ჰქონდა მზერა მიპყრობილი. რას იტყვის მოსკოვი? „უნიტამ“ განსაცვიფრებელი ოპერატიულობითა და მედგრად გაფანტა ყველა ოჭვი. 23 ნოემბერს, დილით, მათთვის ნათელი გახდა რომ საბჭოთა ხალხი გლოვობს პრეზიდენტის ვერაგულ მკვლელობას, პრეზიდენტისა, რომელსაც შეეძლო პირდაპირ თვალეში ეცქირა რეალობისათვის. ყველა გაზეთმა დაბეჭდა ნ. ს. ხრუშჩოვის სამძიმრის დეპეშები ახალი პრეზიდენტის ლინდონ ჯონსონისა და ჟაკლინ კენედისადმი. „პაეზე სერამ“ პირველმა გამოაქვეყნა ფოტოგრაფია: ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის საელჩოში, სადაც ჩვენი მთავრობის მეთაურმა ერთხელ კიდევ გამოთქვა საბჭოთა ხალხის თანაგრძნობა ამერიკელი ხალხისადმი. ცნობილი გახდა, რომ ჯ. კენედის დასაფლავებაზე ამერიკაში გაემგზავრა ა. ი. მიქოიანი. იტალიელები თითქოს დამშვიდნენ. შოკმა გაიარა. შერცხვენილი „ილ სე-

ვლადიმერ მაჭავარიანი  
სასწაულები და მითები

კოლო“ გველივით იკლავებოდა და აღარ იცოდა, კიდევ რა პროვოკაცია შეეთხზა. ბევრი ხალხი მოვიდა ვიტორიო ვენეტოს ქუჩაზე, რათა თავიანთი თანაგრძნობა გამოეცხადებინა აშშ საელჩოსათვის. მოწაფეები და სტუდენტები ნეაპოლშიც მიდიოდნენ აშშ საკონსულოში.

ვიმეორებ, რომ შიშმა გაიარა, მაგრამ იტალიელები და არა მარტო იტალიელები, განცვიფრებულნი რჩებოდნენ იმ წესებით, რომლებიც აშშ-ში არსებობს. ამას კიდევ ოსვალდის მკვლელობა დაემატა. ამან მთლად დააკარვინა მოთმინება ტემპერამენტთან იტალიელებს. მესობებებმა, რომლებიც ქება-დიდებას ასხამდნენ „თავისუფალი სამყაროს ლიდერს“, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სირცხვილი ჰქამეს. „უცნაური თავისუფლებაა, — ისმოდა ყოველი მხრიდან, — სახელმწიფოს პირველი მოქალაქისა და იმ კაცის მოკვლის თავისუფლება, რომელსაც მისი მკვლელობა ედება ბრალად; უცნაური, ძალიან უცნაური თავისუფლებაა“. სოციალისტური გაზეთის „ავანტის“ თანამშრომელმა ლიბერო ლიზადრიმ, რომელმაც ხუთი წელი გაატარა საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც ყოფილა, მითხრა: „ეს აშშ სირცხვილია. ორ დღეში მათ მეტი გააკეთეს, ვიდრე ეს შეიძლებოდა გაკეთებულიყო „ცხოვრების ამერიკული წესის“ წინააღმდეგ ნახევარსაუკუნოვანი პროპაგანდის საშუალებით“. მე ისღა დამრჩა, რომ დავთანხმებოდი ლ. ლიზადრის ამ ფიზიკურ მსჯელობას. ისე კი, ლ. ლიზადრის შეგნებაში მრავალი ილუზია ცოცხლობს ბურჟუაზიული დემოკრატიის რეალური ფასეულობის შესახებ.

რას კითხულობდნენ იტალიელები ავტობუსებში, მატარებლის კუბებში, ვენეციის გემ-ტრამვაებში? მე საკმაოდ თავხედურად ვათვალიერებდი წიგნის ყდებს. ეს იყო ჩემთვის ჯერ უცნობი ავტორების წიგნები: რენკო, როსო, ბასენი, კარლო კასონე. ერთი ხანშიშესული, ინტელიგენტი ქალი კითხულობდა

და გვიდო პიოვენეს ახალ ნაწარმოებს „ფურიები“. კითხულობენ აგრეთვე განსვენებულ ფლორენციელ ანტონიო დელფინოს. ორმა ახალგაზრდა პარიკმახერმა ქალმა, რომლებიც სამსახურში ნეაპოლიდან ტრიესტში მიემგზავრებოდნენ, სწრაფად გადაათვალიერეს მოდების ყურნალი და უმაღლესი წიგნის კითხვით გაერთნენ. ერთი კითხულობდა ვასკო პრატოლინის ახალ რომანს „გონების დღესასწაული“, მეორე კი სილვანო ჩეკერინოს რომანს. და როგორც ყველგან მთელი დედამიწის ზურგზე, ახალგაზრდები ფურცლავდნენ და კითხულობდნენ სპორტულ ყურნალებსა და გაზეთებს. ამ გახსენებაზე უნდა გითხრათ, რომ დელფინოს, ვასკო პრატოლინის და სილვანო ჩეკერინოს რომანები 1963 წლის სხვადასხვა ლიტერატურული პრემიებით არის დაჯილდოებული. მათ დიდი რეკლამა აქვთ. იტალიის წიგნის მაღაზიების ვიტრინებში რუსული კლასიკის მრავალთარგმანს ნახავთ: დოსტოევსკის, გოგოლს, ჩეხოვს; ბევრია საბჭოთა ავტორების თარგმანებიც. ისევე, როგორც საფრანგეთში, ფერ, ინგლისში, წიგნები აქაც ძვირი ღირს. ფრანგულ ყურნალ „ფიგარო — ლიტერერში“ ორასი ლირა გადავიხადე. არ ვიცი, რა ელირება დანტეს ახალი გამოცემა, ალბათ იმდენივე, რამდენიც ქმიური ბოქკოს ნაწარმისგან შეკერილი საკმაოდ წესიერი კოსტიუმი ღირს.

ორი კვირის განმავლობაში ხელოვნების ნიმუშების ასეთი დიდი რაოდენობით აღქმა, ხალხის ცხოვრებაზე დაკვირვება, რასაკვირველია, ღლის ადამიანს, მაგრამ ეს დადლილობის ის სპეციფიკური ფორმაა, რომელსაც ადამიანი უდიდესი სიამოვნების შემდეგ გრძნობს. ფიზიკური დადლილობის კომპენსაციას ასეთ შემთხვევაში მუდამ სულიერი სიფხიზლე ქმნის.

იტალიას მარტო რენესანსის ეპოქა როდი აქვს. მას აქვს სხვა ისტორიული და ჩვენთვის უფრო მახლობელი, გმირული ეპოქა, რომელიც ჯუზეპე გარი-



ბაღდის სახელთანაა დაკავშირებული. კ. მარქსი ჯ. გარიბალდის ანტიკური მიზეზების გმირებს ადარებდა, ხოლო ფ. ენგელსი წერდა: „იტალია ყოველივე კლასიკურის ქვეყანაა. იმ დიდებული დროიდან, რაც აქ თანამედროვე სამყაროს რიყრაქმა ინათა, ამ ქვეყანამ შექმნა მიუწვდომელი კლასიკური სრულყოფის დიდებული ხასიათები დანტეით. დაწყებული და გარიბალდით დამთავრებული“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ხელოვნების შესახებ. რუსული გამოცემა, მოსკოვი, 1957 წ., გვ. 338).

ჯ. გარიბალდი სამართლიანად ითვლება ახალი იტალიის მამად. იტალიაში ჯ. გარიბალდის სამასი ძეგლი დგას. მათ შორის ყველაზე იმპოზანტური რომს გადაყურებს ჯანიკოლოს მოედნიდან. ოდნავ მოშორებით დგას ამ დიდი იტალიელის მეგობრისა და მეუღლის ანიტა გარიბალდის ძეგლი. აქვე, ჯანიკოლოს მოედანზე დგას იტალიის გაერთიანებისა და ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის სხვა მებრძოლთა ბიუსტები. „რომი ან სიკვდილი“ — ამ თავისი საყვარელი ლოზუნგით მიმართავდა ხოლმე გარიბალდი თავის ჯარებს. თბილი, სასიამოვნო დღე იდგა. ქვემოთ, შემოდგომის მსუბუქ ნისლში, მოჩანს ამ სასწაული ქალაქის კონტურები. აი, კოლინეუმი, ფორუმი, გემოვნებით ნაშენი ახალი რომი. იტალიაში ბევრი მარმარილო, გრანიტი და საშენი ქვაა. იტალიელები სახლებს ამ მასალისგან აშენებენ. მე გავცქეროდი ძველ რომსა და ახალ ქალაქს და თვალწინ დამიდგა ჩვენი ილიას სამუშაო ოთახი, სადაც მისი საწერი მაგიდის თავზე ეკიდა ზეთის საღებავებით ნახატი გარიბალდის სურათი. ილიას „ივერია“ სისტემატურად აშუქებდა იტალიელთა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საქართველოს მოწინავე ადამიანთა დიდმა ჯგუფმა ამ დროს რაზმიც კი შეადგინა და გადაწყვიტა, როგორმე ჩასულიყო იტალიაში და გარიბალდის ლაშქარს შეერთებოდა. მაშინ ეს არ მოხერხდა. სამაგიეროდ 1943 — 44 წლებში იტალიე-

ლი პარტიზანების გვერდით იბრძოდნენ საბჭოთა მეომრები, მათ შორის ქალთა ველების დიდი ჯგუფი, რომელთაც მუსოლინის დატყვევებაში მიიღეს მონაწილეობა.

გარიბალდის ძეგლის კვარცხლბეკთან მაგონდებოდა ესპანეთის სამოქალაქო ომი, გარიბალდის სახელობის ინტერნაციონალური ბრიგადა, სახელოვანი ბრიგადის მეთაური გეორგ ლუკაჩი, რომელსაც მე ხშირად შევხვედრივარ ამ ოცდათხუთმეტი წლის წინ ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალში მუშაობის დროს.

რომს რომ გავცქეროდი, რატომღაც თვალწინ დამიდგა ჰემინგუეი („მშვიდობით, იარაღო!“) და არა მარტო რომში, არამედ ვენეციაშიც, პატარა ქუჩებში, დიდი და პატარა არხების ნაპირზე სეირნობის დროს მუდამ თან მდევდა ამერიკული ლიტერატურის ამ დიდოსტატის აჩრდილი.

ამ უცნაურ ქალაქში თავისი უკანასკნელი, ვაჟკაცური და პოეტური სიყვარულით ცხოვრობდა პოლკოვნიკი რიჩარდ კანტუელი. მას უყვარდა შავთვალა გოგო რენატა. მე ვეძებდი, მაგრამ ვერ ვნახე ის გონდოლიერი, რომელიც ატარებდა პოლკოვნიკსა და რენატას. რატომღაც მომიინდა, რომ მათ ესაღილნათ და შეხვედროდნენ ხოლმე პატარა სასტუმრო „ილ ალბოროში“, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით ვენეციაში ამ ჩამოსვლაზე (ვენეციაში არის მოედანი „ილ ალბორო“, რესტორნები „ილ ალბორო“. ვენეციელები მეუბნებოდნენ. ხეებზე ჩვენთან სრულებით არ არის, ან თითქმის არ არის. ხეები რომ მოგვენატრება, მის სახელს ვარქმევთ საზოგადოებრივ ადგილებს. „ილ ალბორო“ ვენეციურ დიალექტზე ხეს ნიშნავს. ვენეციაში არც ავტომანქანებია. იქ ამბობენ: „ვენეციაში სტუმრად კი არ მიდიან, არამედ მიცურავენ, კი არ იწვიან, იხრჩობიან“).

იტალიაში არ შეიძლება მოგონებების გარეშე ცხოვრება. იქ წარსული ვლადიმერ მაჭავარიანი სასწაულები და მითები

როგორღაც ორგანულად შედის აწმ-  
ყოში, რომელსაც თვითონ მიყავხარ მა-  
რადისობაში. იტალიის დალოცვილი  
მიწა, ლაჟვარდი ცა ინახავს ყველა ხალ-  
ხის, ყველა ეპოქის იმ დიდ ადამიანთა  
ხსოვნას, რომელნიც კი იტალიაში ყო-  
ფილან. მეჩვენებოდა, თითქოს რომში  
ახლაც დადის სტენდალი, რომ სად-  
ღაც აქ, კუთხეში შემხვდება ვაი-  
მარელი ბრძენი, გოეთე, რომელმაც  
თავის პირველ ელევგიაში შესძახა:  
„ო, რომო, შენ მთელი სამყარო  
ხარ“... „რაც უფრო შორს შედიხარ  
ზღვაში, მით უფრო ღრმაა ის, იგი-  
ვე შეიძლება ითქვას რომზეც“. მე-  
გონა, აუცილებლად ვნახავდი „იტალი-  
ური წერილების“ ნაღვლიან და დაუ-  
დებარ ავტორს, გერცენს, ლამაზ ბაი-  
რონს (ჩვენ მას კვლავ შევხვდებით ვე-

ნეციაში სან-ლაზარის კუნძულზე),  
ფლორენციაში, როცა მიქელანჯე-  
ლოს პლატოდან დავეშვიტ, ნისლი უკა-  
ვე გაფანტული იყო და მზიური ქალა-  
ქი მთელი თავისი მშვენიებით კიაფობ-  
და. უფიცის მუზეუმში ფეხით გადაე-  
წყვიტეთ წასვლა. გიღმა ჩვენი ყურა-  
დღება ერთ პატარა მემორიალურ და-  
ფას მიაქცია: დაფაზე ეწერა: „აქ ცხოვ-  
რობდა თევდორე დოსტოევსკი“. ამ  
პატარა სახლში ჩაიკეტა თევდორე  
დოსტოევსკი და საათებისა და დღეების  
მანძილზე წერდა მიშკინის ცხოვრების  
უკანასკნელ თავებს. შთაგონების რა  
ენება უნდა დაუფლებოდა გენიოსის  
სულს, რომ სწორედ მზიურ და ნათელ  
ფლორენციაში დაემთავრებინა მოთხ-  
რობა ადამიანის სულის ბნელ და ავკა-  
ცურ მხარეებზე.

#### მითხბი

ვენეციის ლაგუნაში ოცდახუთი ათა-  
სი მეტრი ფართობის ერთი პატარა  
კუნძულია. ვენეციის ცენტრიდან კუნ-  
ძული შორს არ არის. წმინდა მარკო-  
სის მოედნიდან ტრამვაი-გემი დიდი არ-  
ხის გავლით 15 — 20 წუთს უნდება იქ  
მისვლას. ამ კუნძულზე 1670 წელს  
მხითარ სებასტაციმ დააარსა სომხური  
კათოლიკური მონასტერი. ეს მონასტე-  
რი დღესაც არსებობს. და აი, დაახლო-  
ებით უკვე სამასი წლის მანძილზე ვე-  
ნეციის მხითარისტული კათოლიკური  
ცენტრი (მეორე ასეთი ცენტრი დაახ-  
ლოებით იმავე დროიდან არსებობს  
ვენაში), გარდა წმინდა კონფესიონა-  
ლური პროპაგანდისტული მუშაობისა,  
აწარმოებს დიდ ფილოლოგიურ კვლე-  
ვით მუშაობას.

სომეხ ამხანაგებთან, მ. სარქისიანთან  
და ვ. როსტომიანთან ერთად, მხატვარ-  
მა თენგიზ ღვინიაშვილმა და მე გადაე-  
წყვიტეთ გვენახა სან-ლაზარის მონას-  
ტერი.

მონასტერში გიდის მაგივრობას გვი-  
წევდა ოცდახუთი წლის ბერი არუთინ  
ბზტიკიანი. ეს ბერი მოჭიდავეს უფრო  
ჰგავს, ვიდრე ღვთის მსახურს. იგი აღ-

სავსეა ძალით, ენერგიით და მახვილ-  
სიტყვაობით. ამ ჩაფსკვნილმა ახალგაზ-  
რდამ მითხრა, რომ დამთავრებული აქვს  
რომის უნივერსიტეტი, სადაც ღვთის-  
მეტყველების გარდა სამ წელიწადს  
სწავლობდა მარქსიზმ-ლენინიზმს. ამ  
საგანს მას ასწავლიდა გერმანიის ფე-  
დერაციული რესპუბლიკიდან მოწვე-  
ული, ადენაუერის „გონების ცენტრის“  
ერთ-ერთი წევრი, საკმაოდ ცნობილი  
პროფესორი გუნდლაჰი, ხოლო სემინა-  
რებზე შვეიცარიიდან ჩამოდიოდა ცნო-  
ბილი ნეოთომისტი პროფესორი ბო-  
ჰენსკი. ძნელი წარმოსადგენი არ არის,  
თუ რა მარქსიზმ-ლენინიზმს ასწავლი-  
დნენ მამა არუთინს ანტიკომუნისმის ეს  
დედაბოძები. არუთინ ბზტიკიანთან  
მარქსიზმ-ლენინიზმის შესახებ ჩვენ არ  
გვისაუბრია, ეს უსარგებლო იქნებოდა.  
ჩვენ პირველ რიგში გვინტერესებდა  
უნიკალური წიგნთსაცავის ნახვა, სადაც  
მხოლოდ ხელნაწერთა ფონდი ოთხი-  
ათას დასახელებას შეიცავს, ნაბეჭდ  
წიგნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.  
სან-ლაზარის მონასტერი ძველი ხელ-  
ნაწერების და იშვიათი წიგნების რაო-  
დენობით მხოლოდ ცნობილ სომხურ

მატენადარანს ჩამორჩება. არუთინმა 628 წლის ხელნაწერი გვიჩვენა (თარიღის შემოწმება უდროობის გამო ვერ მოხერხდა). აქვე ვნახე 901 წლის ბიბლია. აქვე ინახება უძველესი და იშვიათი ქართული ხელნაწერები. რამდენადაც მე ვიცი, აქ ქართულ ხელნაწერებზე წესიერად არავის უმუშავნია. ისინი აღწერილია ბერების მიერ, მაგრამ შესწავლილი და გამოცემული, რასაკვირველია, არ არის. ვასაგები მიზეზების გამო სომხურ ხელნაწერებს უკეთესი ბედი ეწიათ. ბევრი მათგანი შესანიშნავი მეცნიერული აპარატით არის გამოცემული. აქ ინახება არა მარტო ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე დაწერილი ხელნაწერები, არამედ ბერძნულიც, სპარსულიც და სხვ. აქ არის ხელნაწერები სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ერთი სიტყვით, სომეხთა მხითარიათა ანუ კონგრეგაციამ, რომელიც ფართო ავტონომიით სარგებლობს ვატიკანში, საუკუნეების მანძილზე აქაც და ვენაშიც ბევრი რამ გააკეთა ტექსტების მეცნიერული გამოცემისათვის. ის სცემდა სამეცნიერო ჟურნალ „ჰანდეს ამსორეას“, ლექსიკონებს და სხვას. სან-ლაზარის მონასტერს აქვს პატარა, მაგრამ შესანიშნავად აღჭურვილი ტიპოგრაფია ფერადი ბეჭდვის საამქროთი. ამჟამად ეს ტიპოგრაფია მეცნიერულ გამოცემებს კი არ უშვებს, არამედ ძირითადად რეკლამებს ბეჭდავს ტურისტულ და სავაჭრო ფირმებისათვის. მართალია, ძნელია რაიმე ზოგადი დასკვნის გამოტანა იქ 5—6 საათის ყოფნის შედეგად, მაგრამ ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება დავგრძნობთ, რომ მონასტერი დიდ სიძნელებებს განიცდის ძირითადად არა ფულის, არამედ იმის გამო, რომ ხალხი არა ჰყავთ. 35 ბერიდან 33 ხანში შესული ხუცეები არიან, ახალგაზრდა მხოლოდ 2, — ზემოხსენებული არუთინი და მეორე კი 25-27 წლის მამა ყორჟი. იყო კი დრო, როცა სან-ლაზარში და ვენაში ხელნაწერებზე მუშაობდა მხითარისტების შავ ანაფორებში გამოწყობილი, განსწავლული

ათობით ფილოლოგი. ის დრო, როცა ჩანს, წავიდა და აღარ დაბრუნდება ამას აღიარებენ თვით კათოლიკურ ეკლესიის მეთაურები. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო კათოლიკე სომეხები, არამედ მთლიანად კათოლიკური ეკლესია, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

სან-ლაზარის მონასტერში მისვლამდე ჩვენ ვიყავით მურატ რაფაელის კოლეჯში, სადაც იმავე მხითარისტების, ბერებისა და საერო მასწავლებლების ხელმძღვანელობით სამოცდაათი ახალგაზრდა ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხიდან (სამხრეთ ამერიკიდან ახლო აღმოსავლეთამდე) სრულ საშუალო განათლებას იღებს. ჩვენ ბევრ მოსწავლეს ვესაუბრეთ და არც ერთი მათგანი არ აპირებს თავი შეწიროს სასულიერო სამსახურს. მათ უმრავლესობას ინჟინრობა უნდა, ზოგი კი უმაღლესი ფილოლოგიური, ჰუმანიტარული განათლების მისაღებად ემზადება. ბერი ნიკოლოზი, კოლეჯის დირექტორი, ჩემთან საუბარში გამოტყდა, რომ მონასტერიც, კოლეჯიც და ვენის კონგრეგაციაც მატერიალურ სიძნელეს განიცდის. მდიდარი სომეხები, რომლებიც იმავე იტალიაში ან ამერიკაში ცხოვრობენ, მაინცდამაინც არ ზრუნავენ ამ სომხურ კათოლიკურ ცენტრებზე და, არც თუ იშვიათად, სწორედ წმინდა კონფესიონალური მოსაზრებებით. სომეხების დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი — გრიგორიანები არიან, მათი ცენტრი საბჭოთა სომხეთშია, ეჩმიადინში, და სრულიად სომეხთა კათალიკოსიც აქ იმყოფება.

მაგრამ საქმე მარტო ეს როდია, იგი უფრო ღრმა და რთულ პროცესებთანაა დაკავშირებული, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის სიღრმეში მიმდინარეობს. რომში წმიდა პეტრეს ტაძარში ძირითადი ცენტრალური ნაწილი შემოღობილი აღმოჩნდა. იქ მიმდინარეობდა კათოლიკური ეკლესიის მსოფლიო საეკლესიო კრება. ეს კრება, უქ-

ვლადიმერ მაჭავარიანი  
სასწაულები და მითები



ველია, გარკვეულ როლს შეასრულებს როგორც კათოლიკური, ისე სხვა რელიგიური მიმართულებების მოქმედებაში, რომლებიც მონოთეიზმის პოზიციებზე დგანან. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევამციროთ რეალური მნიშვნელობა იმ ძლიერი იდეოლოგიური დივერსიისა, რომელსაც ახლა კათოლიკური ეკლესია ამზადებს.

ბერმა ნიკოლოზმა, ვენეციის რაფაელელთა კოლეჯის დირექტორმა, რომელიც ფრიალ „განსწავლული“ კაცია და რამდენიმე ევროპული ენა იცის, მითხრა: „თეიზმი და ათეიზმი ათასი წლების მანძილზე თანაარსებობენ, არც მეცნიერება ახალი წარმოშობილი, მაგრამ ახლა, ამ საუკუნეში, შეიქმნა განსაკუთრებული ვარემოება. პირველად კაცობრიობის ისტორიაში არსებობენ უზარმაზარი და ძლიერი ათეისტური სახელმწიფოები. ასეთი სახელმწიფოები ევროპის გულშიც კი არსებობს, მაგალითად, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი. მეცნიერება უბრალო კი არა, ფანტასტიკურ წარმატებებს აღწევს. მეცნიერებამ შეაღწია როგორც მაკრო-სამყაროში, ისე მიკრო-სამყაროს წიაღში. საყოველთაო ურბანიზაცია თანამედროვე ცივილიზაციის ნიშანია.

ქალაქის მცხოვრები, ყოველი *salaria* (ეს ფრანგული სიტყვა ნიშნავს კაცს, რომელიც ხელფასს იღებს—ვ. მ.), არ შეიძლება იყოს და არც არის ეკლესიის საყრდენი. რელიგიური რწმენა სოფელმა შეინახა. ასე იყო საუკუნეების მანძილზე. ახლა ამასაც ბოლო ედება. მილიონობით ადამიანი ახალი ტექნიკური საშუალებებით იღებს ინფორმაციას: რადიო, კინო, ტელეხედვა, ბექტდური ორგანოები, რომლებსაც, ჩვენი პლანეტა რომ ავიღოთ, მილიარდანი ტირაჟი აქვთ. წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელება საუკუნის ნიშნად იქცევა. მაქსიმუმ ხუთი ათწლეული და პლანეტაზე აღარ იქნება წერა-კითხვის უცოდინარი. მთავარი კი

ის არის, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დედა-ენაზე ხდება ყოველივე ამისათვის ეკლესიების ბონებიდან და ისიც ძველი ან ვულგარულ ლათინურ ენაზე ქადაგებებით წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა. ამას ყველაზე კარგად მიხვდა ანჯელო ჯუზეპე რონკალი, კურთხევის შემდეგ პაპი იოანე XXIII წოდებული. მან დაიწყო ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძებნა. აქედანვე წარმოდგა მსოფლიო საეკლესიო კრების იდეა. ათეისტები უკვე შეეწყვინნ საუკუნის ახალ გარემოს. ჩვენ თეისტები უნდა გავერთიანდეთ და წინ აღვუდგეთ ათეისტების ძლიერ შემოტევას. სხვანაირად უფსკრულის პირას აღმოვჩნდებით“.

მე მგონია, რომ ამ ბერმა საკმაოდ ზუსტად განსაზღვრა მსოფლიოს საეკლესიო კრების მიზანი და ის ამოცანები, რომელსაც ის ისახავს.

კათოლიკურ ეკლესიას ამოდ სურს ფეხდაფეხ სდიოს XX საუკუნეს და XXI საუკუნეშიც გადაიხედოს. მას სურს აჩვენოს თავისი მობილურობა და აპრობაციის ხელოვნება, რომელიც რენესანსის ეპოქაში გამოიჩინა. ლიონის ეპისკოპოსი კარდინალი ჟერლიე დაწვრილებით ლაპარაკობდა იმ უმნიშვნელოვანესზე და იმ მთავარზე, რაც ძირს უთხრის კათოლიციზმს, და არა მარტო კათოლიციზმს, ის სასოწარკვეთილებით აღნიშნავდა განხეთქილებას მშრომელებსა და ეკლესიას შორის, მოუწოდებდა „ღარიბების ევანგელიზაციისაკენ“ „სამოციქულო მოღვაწეობას“ მშრომელთა შორის. იგივე თქვა ანტიოქიის პატრიარქმა მაქსიმე IV, როცა აღიარა, რომ „მსოფლიოს მრავალი რაიონის მშრომელები, განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპაში, თავს არიდებენ ეკლესიას“. თვით ვატიკანის ანგარიშით, რომში, კათოლიკური სარწმუნოების გულსა და ცენტრში, საკვირაო ღვთისმსახურებას და მესებს მოსახლეობის მხოლოდ 20 — 25% ესწრება.

ვატიკანის მოღვაწეებს ესმით, რომ ახლა ახალი დროება დადგა. ეპისკოპო-

სი გიუო იძულებული იყო აღნიშნა კრებაზე, რომ ახლანდელი საუკუნე — „ეს დემოკრატიის საუკუნეა, როდესაც ძალიან პოპულარულია თანასწორობის იდეა“. ვატიკანს უნდა შეცვალოს და განაახლოს არგუმენტები. პაპმა იოანე XXIII ანდერძი დატოვა, რომ ხალხის მასებზე გავლენის შესაწარმებლად „მთავარია შენი მოძღვრების ღირსებების ხაზგასმით აღნიშვნა და არა მოწინააღმდეგეების არგუმენტების შიშველი განქიქება“.

ვატიკანი ახლა ქმნის განსაკუთრებულ მისიონერულ ორდენს, რომელიც კინოს, რადიოს და ტელეხედვის საშუალებით წარმართავს რელიგიურ პროპაგანდას.

ვატიკანი უფრო შორსაც მიდის. მან დასვა საკითხი ყველა მონოთეისტის გაერთიანების შესახებ. ვატიკანის გრიგორიანულ უნივერსიტეტის პროფესორი ჰერმან შმიდტი XX მსოფლიოსაკლესიო კრების მუშაობასთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე აყენებდა იმ არგუმენტებს, რომლებიც თეორიულად აფუძნებდნენ ყველა ქრისტიანული ეკლესიის გაერთიანების იდეას. ის ეყრდნობოდა კულტისა და კულტურის ცნებისათვის არსებულ (კულტი—როგორც რელიგიური წესი—ვ. მ.). მსგავს ეტიმოლოგიურ საფუძველს. არსებობდნენ და არსებობენ დროისა და ადგილსამყოფელის მიხედვით განსხვავებული კულტურები და ეს მხოლოდ გამოხატულების ფორმაა და ოდნავადაც არ ასუსტებს კულტურის ღირსებასა და მნიშვნელობას. ზუსტად ასეა კულტიც. ქრისტეს სადიდებლად არსებული ლიტურგია, რომელსაც ყველგან ნახავთ, არ გამოირიცხავს მისი არსებობის სხვადასხვა ფორმებს. 3. შმიდტი კიდევ უფრო შორს მიდის: იმისათვის, რომ მისაწვდომი იყოს, — აღნიშნავს ის, — ქრისტეს სადიდებელი ლიტურგია სრულყოფილი უნდა ხდებოდეს, იცვლებოდეს და ეფარდებოდეს კონკრეტულ გარემოს.

ყოფილი კარდინალი მონტინი, ამჟამად პაპი პავლე VI, პირველად პაპობის

ისტორიაში, თავისი ნებით ტოვებდა ვატიკანს, ჯდება ჩვეულებრივ თვეებში ნავში, რომელიც სხვებისგან განსხვავდებოდა, რომ თეთრად არის შეღებილი, და მიფრინავს პალესტინასა და იორდანიაში. ბეთლემიდან მსოფლიოს 224 ლიდერისადმი გაგზავნილ მიმართვაში მშვიდობის შესახებ (დამახასიათებელია, რომ ეს მიმართვა გაგზავნა აგრეთვე ვალტერ ულბრიხტს, გდრ სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარეს, მთავრობის მეთაურს). ის პირდაპირ სვამს საკითხს ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანების შესახებ. „ჩვენი თავლის კარი ღიაა“—წერს პავლე VI და ასე ამთავრებს თავის მიმართვას: „ჩვენ ეკლესიისათვის უნდა უზრუნველყოთ გაგების ახალი ხერხები, კეთილი ნება და მოქმედების საშუალებანი“.

ეს სიახლენი ასე ადვილად როდი იკაფავენ გზას ვატიკანის წიაღსა და მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. ყველა ქრისტიანის (მართლმადიდებლების, პროტესტანტების, ანგლიკანების და ა. შ.), მით უმეტეს ყველა მონოთეისტის გაერთიანებამდე ჯერ ძალიან შორსაა, მაგრამ სიმბტომატური ისაა, რომ ამ საკითხებს, რომლებსაც თვისადაც შუა საუკუნეებში ადამიანებს ერეტიკოსობაში დებდნენ ბრალსა და წვაოდნენ, ამჟამად სვამს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი რელიგიური ორგანიზაციის მეთაური, კათოლიკური ეკლესიის მეთაური, რომელსაც აქვს ადამიანთა გაბრუნების გიგანტური, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება.

გასული წლის 21 ნოემბერს რომში მზიანი დღე იდგა. კვირა იყო. რომის ქუჩები ხალხით იყო სავსე. სახლებზე მსუბუქი ნიავი აფრიალებდა ახლადგარეცხილ სარეცხს. წმიდა პეტრეს მოედანი, რომელსაც გარს აკრავს ბერძინის 284 კოლონა და 88 ბოძი, რაც სივრცობრივი ხაზების შესანიშნავ პარმონიას ქმნის, 12 საათისათვის ხალხით გა-

ვლადიმერ მაჭავარიანი  
სასწაულები და მითები

ეგსო. ბრბოში მოჩანდა სხვადასხვა ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი პრელატები, ბრწყინვალე ლიმუზინებიდან გამოდიოდნენ წითელმანტიანი კარდინალები. არქიეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების ტანსაცმლისაგან მოედანს მთლად იისფერი ედო. თვალს ხედებოდა ბენედიქტელთა თეთრი მოსასხამები და შავი ანაფორები აღმოსავლეთის სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებისა, რომელნიც სხვადასხვა დროს მიემხრნენ კათოლიციზმს. საათმა თორმეტი დარეკა. პაპის პირადი რეზიდენციის ფანჯარაში გამოჩნდა პავლე VI. ეს იყო კენედის მოკვლის მესამე დღეს. პავლე VI დაჰგმო ეს მკვლელობა და თქვა, რომ ამქვეყნად ბოროტი ძალები არ წყვეტენ ბრძოლას კეთილთან. ბოროტების ძალთა გამოვლინება იყო სწორედ ამასწინანდელი მკვლელობა (პავლე VI კენედის სახელი არ უხსენებია). მან სიკეთის ძალთა გაერთიანებისაკენ მოუწოდა. პაპის სიტყვას მიკროფონები აძლიერებდნენ. შემდეგ, როგორც ამას წესი მოითხოვს, მან წარმოთქვა ლოცვა. „Ave Maria grazia plena“ გაისმოდა რეპროდუქტორებიდან. ათასიანი აუდიტორია იმეორებდა მის სიტყვებს. პეტრეს ტაძრიდან მიკროფონები მოედანს აფრქვევდნენ გუნდისა და ორღანის აკომპანიმენტის ხმას. ჩემ გვერდით იდგა ცნობილი საბჭოთა სპეციალისტი თბოტექნიკოსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ა. ვ. შევლიაგინი, დიდად ინტელიგენტი, ჰკვიანი და განათლებული კაცი: „ანდრეი ვლადიმეროვიჩ, — მიემართე მას, — ვერაფერს იტყვის კაცი, ძალიან იმპოზანტური სპექტაკლია. მთავარ როლს უსახელგანთქმულესი მსახიობი თამაშობს, მუსიკაც ბახის დაწერილია, დეკორაციები ჟან ლორენცო ბერნინის ეკუთვნის და რეჟისურასაც მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს“.

იტალიაში მარტო ვატიკანის ყოვლისშემძლეობის მითი როდი არსებობს. ამქვეყნად ცოტას როდი ლაპარაკობენ „დასავლეთ-გერმანულ ეკონომიურ სასწაულზე“. მათ ბანს აძლე-

ვენ იტალიელი მისტიფიკატორები. რომლებიც ამტკიცებენ, არც იტალიაა ჩამორჩენილი, იქაც მოხდა <sup>საქართველოში</sup> მითური სასწაული“.

მართლაც, ვისაც იტალია ამ საუკუნის ოციან წლებში უნახავს და ხელახლა სამოციან წლებში ჩაეხიდა იქ, არ შეიძლება არ შეემჩნია ის დიდი ეკონომიური ძვრები, რომელნიც იტალიაში მომხდარა. ამ პროცესს ძირითადად მეორე მსოფლიო ომისშემდგომ ხანაში ჰქონდა ადგილი. მილანოში მსხვილმა მონოპოლისტურმა გაერთიანებებმა „მონტეკტინი“<sup>1</sup>, „ედისონი“<sup>2</sup> და სხვებმა რკინის, ფოლადის, ბეტონისა და მინისაგან ააგეს გარეგნულად ძალიან შთაბეჭდავი ცათამბჯენები. ამ გიგანტურ შენობებში არც მზიარულობენ და არც წირვა-ლოცვაა, არამედ ათასობით კაცი მუშაობს მიწიერი ღმერთის—კაპიტალისტური მოგებისათვის.

იტალიის მრეწველობა თავისი ტემპებისა და განვითარების დონის მიხედვით, განსაკუთრებით კი ქვეყნის ჩრდილოეთში, ძალიან წინ წავიდა თუნდაც ფაშისტური დიქტატურის პერიოდთან შედარებით. აქ არავითარი სასწაული არ მომხდარა. ყველაფერი გადაწყვიტა, პირველ რიგში, იაფმა მუშახელმა, რომელიც განუწყვეტლივ მოედინებოდა აგრარული, ნახევრადფეოდალური სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ცენტრისაკენ. აქ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იტალია არ აწარმოებდა არც წვრილ თუ მსხვილ და არც კოლონიალურ ომებს, კისერზე არ აწვა აუტანელი სამხედრო ხარჯები, ფულს არ ხარჯავდა ატომის ან თერმობატომგულის იარაღზე. იტალიამ, ისევე როგორც სხვა ქვეყნებმა, საკმაოდ გამოიყენა ჩვენი საუკუნისა და ჩვენი დღეების მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები.

ამას გარდა ქვეყნის ეკონომიკაში სხვა რთული პროცესებიც მიმდინარეობდა, მაგრამ ყოველივე ამან არა მარტო არ დაასუსტა, არამედ გააძლიერა კიდევ კლასობრივი ბრძოლა, ანტაგო-



ნიზმი ყველა მშრომელსა და კაპიტალისტებს შორის. საქმეს არც ის შევლია, მუშათა კლასის და მომსახურეთა განსაზღვრული ფენები ახლა ზომ უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ოცდაათორმოცი წლის წინათ. მთავარი ის არის, რომ ნაციონალური სიმდიდრის უმუშალო მწარმოებლები სრულიად უმნიშვნელო წილს იღებენ იმასთან შედარებით, რასაც თვითონ ქმნიან. ხოლო მილიონერები და მულტიმილიონერები უდიდეს წილს ითვისებენ იმისას, რაც არსებითაც არც კი ეკუთვნით მათ. რეალური ხელფასი არსებითად ერთ ადგილზეა გაყინული, ხოლო მონოპოლისტების შემოსავალი კი წლიდან-წლამდე იზრდება.

იტალიამ ჯერაც ვერ მოსპო თავის მთავარი ნაციონალური უბედურება, მასობრივი ემიგრაცია. დღესაც, ყოველწლიურად იტალიიდან მიდის დაახლოებით ორი მილიონი კაცი. იაფი იტალიური მუშახელი მიედინება ავსტრალიაში, ახალზელანდიაში, ლათინურ ამერიკაში. მე აღარაფერს ვამბობ დასავლეთ ევროპაზე — შვეიცარიაზე, გფრ, ბელგიასა და საფრანგეთზე. იტალიელებს ისევე უყვართ თავიანთი მიწა, თავისი სამშობლო, როგორც სხვა ხალხებს და თუ მაინც ტოვებენ მას, ეს ხდება არა კეთილი ნებით, არამედ გაჭირვების გამო. იტალიელი ამხანაგები მეუბნებოდნენ, ემიგრაცია რომ არა, ჩვენი ქვეყანა ალბათ გაცილებით უფრო მდიდარი იქნებოდა და მოსახლეობაც 80 — 100 მილიონი გვეყოლებოდაო.

კლასობრივი ბრძოლა იტალიაში ერთი დღითაც არ წყდება. მაგალითად, მშენებლობის მუშათა სრულიად ეროვნული გაფიცვა დამთავრდა მაშინ, როცა ჩვენი თვითმფრინავი რომს უახლოვდებოდა. იტალიაში ყოფნის პირველ ოთხ დღეს ჩვენ არა გვექონდა ადგილობრივი ვალიუტა, რადგან სახელმწიფო და კერძო ბანკების მოსამსახურეები გაფიცულიყვნენ და ჩვენ ვერ გადავახურდავეთ თან ჩამოტანილი ფული.

იტალიის სოციალურ სტრუქტურაში

ე. წ. „ეკონომიურ სასწაულს“ არავიღობრი ცვლილება არ მოუხდენია. ამ გარდაცვლილი ადრიატო ოლივეტი <sup>კაპიტალიზმის</sup> სი მონოპოლისტების მთელი ეს ნეოკაპიტალისტური „ქველმოქმედება“ და მშრომელთა მორალურად დამამცირებელი პატრონალიზმი არსებითადაც და ფორმითაც მიზნად ისახავს მონოპოლების მიერ მოგებათა ნორმების გაზრდას. ოლივეტი ალბათ ჯერ კიდევ ძუძუს წოვდა, როცა ოფლისსადენი თანამედროვე „ცივილიზებული“ სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰენრი ფორდ უფროსმა შემოიღო. მაგრამ ძნელად თუ მოინახება საღად მოაზროვნე და ეკონომიურ და სოციოლოგიურ საკითხებში ელემენტალურად გარკვეული კაცი, რომელიც ამის საფუძველზე იტყვის, რომ დეტროიტის რაიონში კაპიტალიზმის არსი შეიცვალაო. ოლივეტების დინასტიას უყვარს ქველმოქმედებიაზობის თამაში. ეს თამაშობა უყვართ მოხუც როკფელერებს და მოროზოვსაც რუსეთში, მაგრამ საკმარისია ფეხი ვერ აუბა მეპატრონეს, რომ იგი მაშინვე შემოგიდრენს. იტალიაში ჩვენი ყოფნის დროს ლიტერატურულ წრებში ჯერაც არ დამცხრალიყო ის მღელვარება, რომელიც იტალიის მთავარი ლიტერატურული პრემიის „ვიარეჯოს“ მინიჭებამ გამოიწვია 1963 წლისათვის. კონკურსის ყიურის ერთმა ნაწილმა წინადადება წამოაყენა, მიენიჭოს ეს პრემია ცნობილ მწერალს გვიდო პიოვენეს ახალი რომანისათვის — „ფურები“. გ. პიოვენე პროგრესული კაცია, ჩვენი ქვეყნის მეგობარია. სწორედ აქ გადამოყარა ცოფები ოლივეტების დინასტიის გამგრძელებელმა არიგო ოლივეტიმ. ამ პრემიას მისი ფირმა აფინანსებს. არიგო ოლივეტი გ. პიოვენესათვის ამ პრემიის მინიჭების წინააღმდეგი წავიდა და გვიდო პიოვენემ ეს პრემია სხვათა შორის ამიტომაც ვერ მიიღო. „ვიარეჯოს“ კონკურსის ყიურის შემადგენლობაში შედიან ისეთი ცნო-

ვლადიმერ მაჭავარიანი  
სასწაულები და მითები

ბილი მწერლები და კრიტიკოსები, როგორცაა: ლეონიდა რაპაჩი, ჯაკომო დებენედეტი, ალბერტო მორავია, პიერ პაოლო პაზოლინი, ლიბერო ბიჯარეტი, მწერალთა ევროპის გაერთიანების თავმჯდომარე ჯუზეპე უნგარეტი და სხვები. დამახასიათებელია, რომ ყიურის საქმეებში არივო ოლივეტის ჩარევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ეს ყიური გადადგა. ასეთია ჩვევები ე. წ. „დემოკრატიულ“ ქვეყნებში, სადაც ვითომდა არსებობს მითიური „შემოქმედების თავისუფლება“.

სრული სიმართლეა, რომ რომში კორსოს ქუჩაზე ან მილანოში ვიქტორ ემანუილის პასაჟის ვიტრინებზე თქვენ იშვიათ რამეებს ნახავთ, მაგრამ იტალიელთა 99% ისე უვლის გვერდს ამ ვიტრინებს, რომ შიგ არც კი შეიხედავს. მე ისეთი შთაბეჭდილებაც კი შემექმნა, რომ რომისა და მილანოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ამ შესანიშნავი მაღაზიების უგულვებელყოფის თავისებური რეფლექსიც კი აქვს გამოშუშავებული. ისინი შედიან „უპიმის“ ან „სტანდას“ უნივერსიტეტში და დიდი ხნის აწონ-დაწონის შემდეგ ყიდულობენ ყველაზე უფრო აუცილებელს და იაფ საქონელს.

რასაკვირველია, იტალიაშიც, ისევე როგორც თითქმის ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ხდება მოსახლეობის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები, პირველ რიგში კი მუშათა კლასში (სოფლებიდან ხალხი გაურბის ლატიფუნდისტებსა და მსხვილ ფერმერებს, გარბის ქალაქში და აქ კი ხვდება იმ კოლოზიებს, რაც ჩვენ ვნახეთ, მაგ., კინოფილმ „როკო და მის ძმებში“, ამ ერთ-ერთ უკანასკნელ ნეორეალისტურ სურათში). მაგ-

რამ როგორია ეს ცვლილებები, ხდება თუ არა სოციალური ნიველირება ცვლილების გაქრობა, რომლის შესახებაც ასე ბევრს გაიძახიან ნეოკაპიტალიზმის აპოლოგეტები არა მარტო იტალიაში? აი რას წერს პროფ. ჯოვანი დემარია, რომელსაც მარქსიზმს ვერავენ დასდებს ბრალად: „ამჟამად იტალიაში „დამოკიდებულ“ მშრომელთა რიცხვი თითქმის ორჯერ აღემატება „დამოუკიდებელთა“ რიცხვს. მაშინ როცა სულ რაღაც ოცდაათი წლის წინ ეს ორი ჯგუფი რიცხობრივად ტოლი იყო... საქმიანობის ყველა სახეობაში მოხდა შესამჩნევი პროლეტარიზაცია, თუ ამ ტერმინში ვიგულისხმებთ ქირით მომუშავეთა რაოდენობის ზრდას“. ასეთია ქვეყნის სოციალური ცხოვრების რეალური სურათი და ამის შემჩნევა შეუძლია ყოველ ობიექტურ ადამიანს. იტალიის „ეკონომიური სასწაული“, თუ მის სოციალურ მხარეზე ვილაპარაკებთ, ეს არის მსხვილი მონოპოლისტების საამებლად და მშრომელთა მოსატყუებლად შექმნილი მითი. ჭეშმარიტად, მითები იქმნებოდა არა მარტო ჭაღარა წარსულში, ჩვენ დროშიც თხზავენ მათ.

\*

სასწაულებისა და მითების ამ ქვეყანას ჩვენ ოდნავ გულნატკენები ვტოვებდით. ბევრი რამ ვნახეთ, მაგრამ გვინდოდა უფრო მეტი გვეხილა, რაც შექმნა ამ უაღრესად ნიჭიერმა, შრომისმოყვარე ხალხმა, რომელსაც ღრმად სწამს თავისი გენიისა. ჩვენ ვემშვიდობებით ჩვენს ძვირფას მეგობრებს და ამხანაგებს — ნახვამდის, იტალია, A rivederci, Italia.

რომი — მილანო — თბილისი



## ნაჯალია ოკროპსკაია

### მორფილის ნაშრომები ქართული ფილოლოგიის ღარბში

ინგლისელი მეცნიერის უ. რ. მორფილის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ინგლისში ქართული კულტურის შესწავლის ისტორიასთან. მორფილი მიეკუთვნება გასული საუკუნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც ისწრაფოდნენ, რაც შეიძლებოდა მეტად გაეფართოებინათ თავიანთ თანამედროვეთა ლიტერატურული ცოდნა და მათს ინტერესთა სფეროში მოექციათ სხვა ქვეყნების მანამდე უცნობი ლიტერატურული ცხოვრება.

მორფილი არ იყო პირველი, ვინც გაცნო დასავლეთს საქართველო. მოგზაურთა ჩანაწერები, ევროპულ ენებზე საქართველოსა და კავკასიის აღწერები ძალზე ვრცელ ლიტერატურას შეადგენს. მაგრამ ეს აღწერანი მეტწილად საინტერესოა უფრო ეთნოგრაფიული ან ისტორიული, ვიდრე ლიტერატურული თვალსაზრისით. თავი რომ დავანებოთ ისეთ მეცნიერთ, როგორიც არიან კლაპროტი, ბროსე და ზოგიერთი სხვა, ჩვეულებრივ მოგზაურთა უმეტესობა აღწერდა საქართველოს ბუნებას, მთავარ ქალაქებს, მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებას, იღვრდა ცალკეულ ისტორიულ ცნობებს. ამასთან ეს ცნობები ხშირად სხვათა სიტყ-

ვას ემყარებოდა, ვინაიდან ძალზე ცოტა იყო ისეთი ავტორი, რომელსაც საკმაო ხანი ეცხოვრა საქართველოში, შესწავლა მისი ენა და ღრმად ჩაეხედნა მის ცხოვრებასა და კულტურაში.

კავკასიოლოგიის მხრივ ფრანგებმა ბევრად გაუსწრეს ინგლისელებს, და სწორედ ბროსეს ნაშრომებით გაეცვენ ინგლისელები პირველად ქართველოლოგიის საკითხებს.

ინგლისში ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც ხელი მოჰკიდა ქართული ენის შესწავლას, იყო პროფესორი მორფილი, ფართო ინტერესების მქონე ადამიანი და დიდი დიაპაზონის მეცნიერი. სპეციალობით ის სლავისტიკაში მუშაობდა და თავის ამ ძირითად საქმიანობას დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით ეკიდებოდა. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მორფილი ცნობილი იყო, როგორც პირველი ინგლისელი სლავისტი, ოქსფორდის უნივერსიტეტში პირველად გახსნილი სლავისტიკის ფაკულტეტის პირველი პროფესორი.

უილიამ რიჩარდ მორფილი (William Richard Morfill. 1834 — 1904) ავტორია მრავალი ნაშრომისა რუსეთის, პოლონეთის და სხვა სლავური ქვეყნე-



ბის ისტორიისა და ლიტერატურის დარგში. მის კალამს ეკუთვნის რუსული, პოლონური, ბულგარული, სერბიული და სხვა სლავური ენების გრამატიკები, ძველსლავური დამწერლობისა და უფრო გვიანდელ ლიტერატურულ ნაწარმოებთა მიმოხილვა.

მორფილი რამდენჯერმე იყო რუსეთში, გაეცნო მის ქალაქებს, ცხოვრებასა და ლიტერატურას. მან იცოდა რუსული ენა. უკვე 1887 წელს მეცნიერი კ. გროტი, თვითონაც რუსული ენის სპეციალისტი, წერდა, რომ რუსეთში ყოფნამ მორფილს შესაძლებლობა მისცა „ფრიად წესიერად შეესწავლა რუსული ენა, ე. ი. ესწავლა არა მხოლოდ რუსულად ლაპარაკი, არამედ რუსულად წერაც“<sup>1</sup>.

ერთ-ერთი ასეთი ჩამოსვლის დროს, 1888 წლის გაზაფხულზე, მორფილი საქართველოსაც ეწვია. „პარასკევს, 22 აპრილს, — წერდა ვაზეთი „კავკაზი“, — რკინიგზით ტფილისს ჩამოვიდა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. ბატონი მორფილი. პროფესორს განზრახული აქვს ტფილისს გარდა ეწვიოს ამიერკავკასიის ზოგ სხვა ქალაქსაც“<sup>2</sup>. საქართველოში მორფილმა მცირე ხანს დაჰყო, სულ 9 დღე, ვინაიდან ვაზეთი „ივერია“ გვამცნობს, რომ 1 მაისის დილას ის უკვე გაემართა სტამბოლს, იქიდან კი სამშობლოს გაემგზავრება“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> კ. გროტი, ლონდონის „Русский филологический вестник“, 1887 წ., ტ. XVII, № 1, გვ. 26. უნდა აღინიშნოს, რომ მორფილის მრავალრიცხოვანი წერილები კ. გროტისა და მისი მამის ი. გროტისადმი ძირითადად ინგლისურადაა ნაწერი; რუსულად დაწერილია მხოლოდ ზოგი წერილი, სადაც მორფილი მსჯელობს ინგლისის პოლიტიკის ზოგიერთ მხარეზე, მაგალითად, ინგლის-ბურების ომზე (1900 წლის 26. VII-ის წერილი). სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ფონდი 281, ნუსხა 2, № 331).

<sup>2</sup> „Кавказ“, 1888, 24. IV, № 110.

<sup>3</sup> „ივერია“, 1888, 3. V, № 91.

<sup>4</sup> „ივერია“, 1888, 8. IV, № 75.

<sup>5</sup> „ივერია“, 1888, 3. V, № 91.

<sup>6</sup> მოყვანილია დ. მ. ლენჯის სტატიიდან — „ქართველოლოგია ოქსფორდში“, „ოქსფორდ სლავონიკ ბიუპერს“, ტ. VI, 1955, გვ. 124.

თბილისში მორფილი ეწვია ქალაქის მუზეუმს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ვაზეთ „ივერიაში“ რედაქციას; ვარდა ამისა შინ ესტუმრა ილია ჭავჭავაძეს, სადაც გაეცნო მრავალ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს.

საქართველოში ჩამოსვლის დროისათვის მორფილი უკვე იცნობდა ქართულ ენას. ვაზეთმა „ივერია“, მის ჩამოსვლას რომ იუწყებოდა, მას „ქართული ენის მცოდნე და მკვლევარი“ უწოდა<sup>4</sup>. უფრო მოგვიანებით იმავე ვაზეთმა ამცნო მკითხველებს, რომ მორფილს უკვე მზადა აქვს სტატია ქართული ენის შესახებ; ეს ენა, მისი აზრით, არ შეიძლება მიეკუთვნოს მეცნიერებაში დღემდე ცნობილ ენათა არც ერთ ჯგუფს<sup>5</sup>. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ მორფილი საქართველოში ჩამოსვლამდე მუშაობდა ქართულ ენაში და გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა მის თავისებურებებზე. ძნელია განვსაზღვროთ, რამდენად დაეუფლა ის ენას; უთუოდ არ შეეძლო ქართულად ლაპარაკი და წერა. ქართველ მოღვაწეებთან გამოგზავნილი მისი ყველა წერილი რუსულადაა ნაწერი. ცნობებს საქართველოს შესახებ ის, უპირატესად, ღებულობს ცაგარლის, ხახანაშვილის, ჯანაშვილის, ვეიდენბაუმის რუსულად დაწერილი წიგნებიდან. სტატიას რუსთაველზე მორფილი წერს არტურ ლაისტის გერმანული თარგმანის გამოსვლის შემდეგ. მაგრამ თუ ის სავსებით ვერ დაეუფლა ენას, ყოველ შემთხვევაში საკმაოდ კარგად გაერკვა მის თავისებებებში საიმისოდ, რათა ემსჯელა ქართული ენის ბუნებასა და ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა თავისებურებაზე. ასე, მაგალითად, ოლივერ უორდრობი სწერდა ივანე მაჩაბელს: მორფილი, ერთადერთი კაცია ინგლისში, ვინც ქართულ ლიტერატურაში ჩახედულია, თქვენს თარგმანებს სანიმუშოდ მიიჩნევს<sup>6</sup>.

საქართველოში მოგზაურობამ დიდი გავლენა იქონია მორფილის მუშაობაზე ამ დარგში, გაამდიდრა იგი ახალი ცოდნითა და მასალებით. თბილისში მორ-



ფილმა შეიძინა მრავალი ქართული წიგნი, მრავალიც საჩუქრად მიიღო ავტორებისგან, მათ შორის სახელგანთქმული პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ყველა სახელმძღვანელო. მორფილს ჰქონდა საკმაოდ მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, რომელიც მან ოქსფორდის უნივერსიტეტს უანდერძა. ლენგის ცნობებით, აქაა რუსთაველის პოემის ორი სხვადასხვა გამოცემა, გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის თარგმნილი „მეფე ლირი“, XIX ს-ნის მთელ რიგ ავტორთა ნაწარმოებები, აგრეთვე ძველი ქართული წიგნები, მაგალითად, 1743 წელს მოსკოვს გამოცემული ქართული სახარება<sup>1</sup>.

თავის პირველსავე სტატიაში, რომლის სათაურია „საქართველოს ენა და ლიტერატურა“<sup>2</sup>, ის შეეცადა მოეცა ქართული ენის, მთავარი უძველესი ლიტერატურული ძეგლებისა და წამყვანი თანამედროვე მწერლების ზოგადი დახასიათება. რა თქმა უნდა, ეს ცნობები ძალზე მოკლეა და საკმაოდ სქემატური, მაგრამ ესაა პირველი ნაშრომი ინგლისურ ენაზე, პირველი ცდა ქართული ლიტერატურის უმთავრესი პერიოდების დახასიათებისა, მორფილის სტატიათა უმრავლესობა დაწერილია, როგორც ვრცელი რეცენზია საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული ახალი ნაშრომებისა. ახალი გამოკვლევების ან ქართულ ნაწარმოებთა ახალი თარგმანების განხილვისას მორფილი იძლევა საკუთარ შეფასებას, გამოთქვამს საკუთარ აზრს ამა თუ იმ ისტორიულ თუ ფილოლოგიურ საკითხზე. ამიტომაც ამგვარი რეცენზიები წარმოადგენს ავტორის დამოუკიდებელ, ორიგინალურ ნაშრომებს, რომლებშიც გაშუქებულია საქართველოს ისტორიული წარსულისა

და მის ლიტერატურულ ძეგლთა კულუნი საკითხები.

მორფილი ერთთავად გულისხმობს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ საქართველოს კულტურა სრულიად უცნობია ინგლისელთათვის. თავის სტატიებში ის ცდილობს შეავსოს ეს ხარვეზი და თავის თანამემამულეებს მიაწოდოს ზოგადი ცნობები საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ენის საკითხებზე.

საქართველოს ისტორიის შესახებ მორფილი წერს ზოგადად: ქრისტიანობის აღრე მიღება, ურთიერთობა ბერძნებთან, ხოლო უფრო მოგვიანებით — მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებთან, თამარ მეფის ხანა, როგორც ხანა ქვეყნის უმაგალითო აყვავებისა, რის შემდეგაც დადგა ჟამი სასტიკი შემოსევებისა და შინაური ომებისა, საქართველოს კავშირი რუსეთთან და, დასასრულ, ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა — აი საკითხები, რომლებსაც ეხება თავის სტატიებში მორფილი. ავტორი ძირითადად ზუსტ ცნობებსა და მეცნიერულად დადგენილ ფაქტებს აწვდის მკითხველს. საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესახებ ის იძლევა მხოლოდ ზოგად ცნობებს<sup>3</sup>, და მიუთითებს, ეს მხარე ჯერ ნაკლებ დამუშავებულიაო. ქართველ მეფეთა მატთან მას ძალზე უთავბოლო ეჩვენება. XI-XII საუკუნეები მისთვის უფრო ნათელია. ის წერს მეფე დავითსა და თამარზე და ხაზს უსვამს ამ ეპოქის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიისთვის. მომდევნო საუკუნეებზე ლაპარაკისას მორფილი ჩერდება საქართველოს შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე, გამუდმებულ შინაურ ომებზე, რომლებიც აუძლურებდნენ საქართველოს.

XVIII ს-ნის ამბებიდან ავტორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს

<sup>1</sup> მოყვანილია დ. მ. ლენგის სტატიაში — „ქართველოლოგია ოქსფორდში“, „ოქსფორდ სლავონიკ ჰეიბერს“, ტ. VI, 1955, გვ. 121.

<sup>2</sup> „აკადემი“, 1888, 21. VII, ტ. 34.

<sup>3</sup> „აკადემი“, 1888, 29. XII, ტ. 34, გვ. 413—

ნატალია ორლოვსკაია  
მორფილის ნაშრომები ქართული ფილოლოგიის დარგში

ალა-მაჰმად ხანის შემოსევის ტრაგიკული ისტორია. დიდი სიმპათიით ხატავს ის ერეკლე მეფეს, როგორც გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწესა და ბრწყინვალე მხედართმთავარს.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის საკითხს მორფილი ეხება სტატიაში, რომელშიც განიხილავს ალ. ცაგარლის ორ ნაშრომს: «Грамоты и другие исторические документы XVIII века относящиеся к Грузий да «Сношения России с Кавказом в XVII—XVIII веках»<sup>1</sup>. ცაგარლის მიერ თავმოყრილი მასალების განხილვისას მორფილი ჩერდება ცალკეული საელჩოების ისტორიაზე, ახასიათებს თურქეთთან ომის ზოგიერთ ეპიზოდს, მკაცრად აკრიტიკებს ტოტლებენის საქციელს საქართველოში და ა. შ.

მორფილი განსაკუთრებით დაინტერესდა ქართული სიძველეებით და ამიტომ საჭიროდ ცნო საგანგებო სტატიებით გაეცნო ინგლისელი მკითხველისთვის ცაგარლის ნაშრომები — «Памятники грузинской старины в Св. Земле и на Синае»<sup>2</sup> და «Сведения и памятники грузинской письменности»<sup>3</sup>.

მორფილმა შეაფასა ბალავარის შესახებ არსებული ქართული ხელნაწერის მნიშვნელობა და სტატიით გამოეხმაურა ალ. ხახანაშვილის ნაშრომს ამ საკითხზე.

ქართულ საერო ლიტერატურაში მორფილის ყურადღებას იპყრობს ქართული ძეგლები — „ვისრამიანი“, „როსტომიანი“; ის წერს ჩახრუხაძეზე, თეიმურაზ I-ზე, ვახტანგ VI-ზე, სულხან-საბა ორბელიანზე, ანტონ კათალიკოსზე და სხვ.; ამ ცნობებს ვხვდებით მის სხვა-

დასხვა ნაშრომში. ინგლისელ მკითხველს უფრო წვრილად აცნობს ქართულ საერო ლიტერატურას სტატიაში, რომელიც მიუძღვნა ალ. ხახანაშვილის წიგნს — „Очерки по истории грузинской словестности, III выпуск“<sup>4</sup>. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მორფილი ქართული ნაწარმოებების სახელწოდებათა ინგლისური თარგმანის გარდა იქვე იძლევა ქართულ სახელწოდებასაც და ამრიგად მკითხველებს აცნობს ორიგინალურ დასახელებას, მაგალითად, „The Wisdom of Fiction“ (Sibrdzné Sitzruisa), „The Gasland of Words“ (Sitgvies Kona).

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მორფილი შოთა რუსთაველის შემოქმედებას: მის შესახებ წერს სხვადასხვა ნაშრომში, საგანგებო სტატიას უძღვნის არტურ ლაისტისეული გერმანული თარგმანის გამოსვლას<sup>5</sup>. მორფილს მოჰყავს პოემის მოკლე შინაარსი, ლაპარაკობს მის აგებულებასა და ვერსიფიკაციაზე, შემორჩენილ ხელნაწერებზე და ნაბეჭდ გამოცემებზე, მოყოლებული XVIII ს-ნიდან და დამთავრებული უკანასკნელი გამოცემით.

მორფილი იცნობს ლაისტის სხვა ნაშრომებსაც ქართული ლიტერატურის დარგში. ის მალალ შეფასებას აძლევს ლაისტს, როგორც ქართული ლიტერატურის პოპულარიზატორს დასავლეთში, „რომელმაც გერმანულ ენაზე გადაიტანა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა მომნიხვლელი ლირიკული ლექსები“<sup>6</sup>.

თავის ნაშრომებში მორფილი არ იძლევა თანამედროვე ქართული პოეტების შემოქმედების ანალიზს. ის უფრო საქართველოს ისტორიისა და ქართულ სიძველეთა მიმართ იჩენს ყურადღებას. მის სტატიებში შეხვდებით გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, გიორგი ერისთავისა და სხვათა გვარებს და ცალკეულ შენიშვნებში შეხვდებით მისი სამართლიანი აზრით თანამედროვეობის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტია ილია ჭავჭავაძე და

<sup>1</sup> მორფილი, რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა, „აკადემი“, 1892, 4. VI, ტ. 41.

<sup>2</sup> „აკადემი“, 1895, 8. VII, ტ. 47.

<sup>3</sup> სამეფოს აზიური საზოგადოების ჟურნალი, ლონდონი, 1903, გვ. 593 — 594.

<sup>4</sup> იქვე, 1902, გვ. 442 — 444.

<sup>5</sup> მორფილი, საქართველოს ნაციონალური ეპიკური პოემა, „აკადემი“, 1891, 28. II, ტ. 39.

<sup>6</sup> იქვე, „აკადემი“, 1891, 28. II, ტ. 39, გვ. 205. ტ. 39, გვ. 205.



აკაკი წერეთელი. განსაკუთრებით გულ-  
თბილად იხსენიებს ილია ქავკავა-  
ძის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ  
მოღვაწეობას და ამბობს, რომ ესაა  
„ქეშმარიტი პატრიოტი, რომელმაც თა-  
ვისი ქვეყნის ლიტერატურაში მაღალ-  
საპატიო ადგილი დაიმკვიდრა“<sup>1</sup>. მორ-  
ფილი იცნობს ივანე მაჩაბლის შრომა-  
საც და ამბობს, რომ ის, როგორც შექ-  
სპირის ქართულად მთარგმნელი, ინგ-  
ლისელთაგან განსაკუთრებულ სიმპათი-  
ას იმსახურებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მორფილი არ  
იყო პირველი ინგლისელი, რომელიც  
დაინტერესდა ქართული ენის სტრუქ-  
ტურით. ქართული ენა იცოდა ინგლი-  
სელმა მეცნიერმა ს. ს. მალანმა, რო-  
მელმაც ინგლისურად თარგმნა რამ-  
დენიმე ნაშრომი საქართველოს შესა-  
ხებზე. 1885 წელს, ე. ი. მორფილის პირ-  
ველი სტატიის გამოქვეყნებამდე რამ-  
დენიმე წლით ადრე, სამეფოს აზიური  
საზოგადოების ჟურნალში დაიბეჭდა  
რ. ნ. კასტის სტატია კავკასიის ენების  
თაობაზე, სადაც მოცემულია ზოგი,  
თუმცა არცთუ ყოველთვის ზუსტი  
ცნობა ქართული ენის შესახებ<sup>2</sup>, აგ-  
რეთვე მოყვანილია სია ნაშრომებისა  
ქართველოლოგიის დარგში, მათ შორას  
კლაპროტისა და ბროსეს ნაშრომები  
და ჩუბინაშვილის ლექსიკონები.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ ყოველად  
ელემენტარული ცნობები, ნასესხები  
სხვა მკვლევართა ნაშრომებიდან. ინგ-  
ლისელ მეცნიერებს ჯერ არ მოეკიდ-  
ნათ ხელი ქართული ენის შესწავლისა-  
თვის და ამიტომ მორფილი სავესებით  
მართალი იყო, როცა მიუთითებდა ინგ-  
ლისელ ორიენტალისტებს ამ საინტე-  
რესო ენის სერიოზული გამოკვლევის  
აუცილებლობას.

მორფილის სტატიამ — „საქართვე-  
ლოს ენა და ლიტერატურა“<sup>3</sup> მკვლევარ-  
იქცია ყურადღება და მეცნიერულ  
მსჯელობის საგნად იქცა, მეტადრე ის  
ნაწილი, სადაც მორფილი ეხებოდა  
ქართული და ბასკური ენების საკითხს.  
იმავე ჟურნალის ფურცლებზე გამო-  
ქვეყნდა ორი სტატია<sup>4</sup>, რომელთაც  
მორფილმა თავის მხრივ პასუხი ვასცა,  
მადლობა მოახსენა მითითებებისთვის  
და დააზუსტა თავისი შეხედულებანი  
ამ საგანზე<sup>4</sup>.

80-იანი წლებიდან მოყოლებული  
მთელი მომდევნო წლების მანძილზე  
მორფილს არ შენელებია ქართული  
ფილოლოგიის ინტერესი. ის გაცხოვე-  
ლებულ ყურადღებას იჩენდა ყოველი-  
ვე ახლისადმი, რაც კი გაჩნდებოდა ამ  
დარგში; მეცნიერის ყურადღებას იქ-  
ცევდა სამეცნიერო, პოპულარული თუ  
ლიტერატურული ნაშრომები. ის აქვეყ-  
ნებდა სტატიებს ცაგარლის, ხახანა-  
შვილის, ჯანაშვილის, ვეიდენბაუმი-  
ს ახალი მეცნიერული გამოკვლევების  
შესახებ, ეხმაურებოდა არტურ ლაის-  
ტის, ოლივერ და მარჯორი უორდრო-  
პების თარგმანებსა და ნაშრომებს სა-  
ქართველოს შესახებ და ა. შ.

მორფილს ვერ ჩავთვლით ქართული  
ლიტერატურის სპეციალისტად, მკვლე-  
ვარად, და მის ნაშრომებს არცა აქვს  
ქართული ფილოლოგიის საკითხებზე  
ახლის თქმის პრეტენზია. მაგრამ იმ  
დროისათვის, როცა საქართველოს  
კულტურას ჯერ კიდევ ნაკლებ იცნობ-  
დნენ ინგლისში, მორფილის ნაშრომ-  
ები, დაწერილი ქეშმარიტი მეცნიერი  
ფილოლოგის გამჭრიახობითა და სი-  
ფართოვით, უდავოდ ძალზე დიდი მნი-  
შვნელობის მოვლენა იყო. კულტურუ-  
ლი, ლიტერატურული ურთიერთობის  
საფუძველი უნდა იყოს სხვა ქვეყნე-  
ბის ისტორიის, ცხოვრებისა და კულ-  
ტურის გაცნობა. მორფილი თავისი ნა-  
შრომებით ბევრ ახალ ცნობასა და მა-

ნატალია ორლოვსკაია

მორფილის ნაშრომები ქართული ფი-  
ლოლოგიის დარგში

<sup>1</sup> „აკადემი“, 1888, 29. XII, ტ. 34, გვ. 414.

<sup>2</sup> რ. ნ. კასტი, კავკასიის ენები, სამეფოს აზი-  
ური საზ-ბის ჟურნალი, 1885, ტ. 17.

<sup>3</sup> ვებსტერის („აკადემი“, 1888, 4. VII, ტ. 34, გვ. 74) და ტერიენ დე ლაუპერის („აკა-  
დემი“, 1888, 18. VIII, ტ. 34, გვ. 104) სტა-  
ტიები.

<sup>4</sup> „აკადემი“, 1888, 25. VIII, ტ. 34, გვ. 120.

სალას აწვდიდა ინგლისის საქართველოს შესახებ, შეჰყავდა ინგლისელი მკითხველი იმ ახლის სფეროში, რაც მუშავდებოდა და იბეჭდებოდა ქართული ლიტერატურისა და ფილოლოგიის საკითხებზე. ამით ის უფართოებდა ლიტერატურულ ცოდნას თავის თანამემამულეებს, აწვდიდა მრავალ ახალ და ძვირფას ცნობას და აღუძრავდა საქართველოს კულტურული წარსულის, ენისა და ლიტერატურის ინტერესს.

მორფილის ყოველ ნაშრომში გამოსჰვივის, თუ რა დიდი სიმათიით ეკიდება მათი ავტორი საქართველოს, მის ბუნებას, კულტურას, ხალხს; ის აღმოფოთებულია, რომ კავკასიაში მოგზაურთა უმრავლესობა უპირატესად აღწერს საქართველოს ბუნებას და მშვენიერ მთებს. თვითონ მორფილი უწინარეს ყოვლისა ყურადღებას მიაქცევს ქართულ ენას და ამ ენაზე შემორჩენილ ძეგლებს, საქართველოს კულტურასა და ხალხს.

მორფილს ურთიერთობა ჰქონდა მეორე დიდ მეცნიერ ქართველოლოგთან — მოსკოვის პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილთან. ამ უკანასკნელის არქივში ინახება მორფილის წერილები, დაწერილი 1898 — 1905 წლებში<sup>1</sup>. ამ წერილებში მორფილი მადლობას უწოდის ხახანაშვილს, რომელმაც გაუგზავნა მას თავისი ნაშრომები, გამოთქვამს თავის აზრს ამ ნაშრომებზე და აცნობებს, თვით მან რა და რა სტატია გამოაქვეყნა ინგლისურ ჟურნალებში.

უკანასკნელ წერილში, რომელიც დაწერილია 1905 წლის 24 ივლისს, ხახანაშვილის ინგლისში ყოფნისას, მორფილი ძალზე თავაზიანად თხოვს მას, საუზმედ მეწვიეთო. საფიქრებელია, რომ ეს პირადი შეხვედრა ოქსფორდში მართლაც მოხდა. ადვილი შესაძლებე-

ლია, რომ ეს არ იყო ორი მეცნიერის პირველი შეხვედრა, ვინაიდან მორფილს შეეძლო ხახანაშვილის მოგზაობა რუსეთში ჩამოსვლისას.

მორფილის წერილები დაწერილია რუსულად, სავსებით ნათელი და გასაგები ენით, თუმცა ზოგან მაინც გვხვდება შეცდომები სიტყვათა წყობაში, არქაიზმები, ან ხელოვნური, ინგლისური გამოთქმიდან სიტყვისიტყვით ნათარგმნი გამოთქმები. ხახანაშვილის ნაშრომებს მორფილი მაღალ შეფასებას აძლევს, რაც ჩანს როგორც მის კერძო წერილებში, ასევე ხახანაშვილის ნაშრომებზე დაწერილ რეცენზიებში, რომლებიც ინგლისურ ჟურნალებში დაიბეჭდა.

ისტორიკოს მოსე ჯანაშვილისადმი გამოგზავნილ რამდენიმე წერილში<sup>2</sup> ვპოულობთ ცნობებს მორფილის ურთიერთობის შესახებ საქართველოს ლიტერატურულ სამყაროსთან. წერილები დაწერილია 1898—1900 წლებში. ინგლისელი მეცნიერი მადლობას უძღვნის ჯანაშვილს გაგზავნილი ნაშრომებისთვის, რომელთაგან მას მრავალი მეტად ძვირფასი ცნობა ამოუკრებია. მორფილს განსაკუთრებულ ინტერესს აღუძრავს საქართველოს უძველესი ლიტერატურის საუნჯენი: „თქვენი უძველესი ლიტერატურა მეტად მდიდარია; თქვენ გყავთ არა მხოლოდ პოეტები, როგორცაა შოთა რუსთაველი, არამედ რომანისტებიც, როგორცაა მოსე ხონელი და სხვები. და გაქვთ აგრეთვე უძველესი საეკლესიო აპოკრიფული ძეგლები“ (1898 წლის 22. IX). „გვხდავ, რა მდიდარია თქვენი უძველესი საუნჯენი; მე უდიდესი ინტერესით წავიკითხე თქვენი საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი წიგნი. თქვენ ძალზე შეკრულად და ზუსტად იძლევი თვალსაჩინო ფაქტებს ამ ისტორიისა, რომელსაც ასე ნაკლებ იცნობენ დასავლეთში“ (1899 წლის 16. I).

თავის დაბეჭდილ ნაშრომებში მორფილი ქებით იხსენიებს ჯანაშვილის, როგორც ქართულ სიძველეთა თავმოყრელისა და მცველის მოღვაწეობას და

<sup>1</sup> აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, აღ. ხახანაშვილის პირადი ფონდი, № 135.

<sup>2</sup> საქ. ლიტერატურული მუზეუმი. უ. რ. მორფილის წერილები მ. ჯანაშვილს, №№ 21981, 21982, 21983.

უწოდებს მას „დაუცხრომელ ანტიკვარს, რომელმაც თავისი კალმით ბევრი სისარგებლო რამ მოიმოქმედა საქართველოსთვის“<sup>1</sup>.

მორფილის ზოგიერთი კერძო წერილი, მოწერილი ქართველ მოღვაწეებთან, გამოქვეყნებული იყო ქართულ პრესაში. „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ხახანაშვილისადმი გამოგზავნილი ერთი წერილი („ივერია“, 1898, 25. VIII, № 182), რომელშიც მორფილი წერდა ხახანაშვილის წიგნზე — „Очерки по истории грузинской словестности, III выпуск“. გამოქვეყნდა ჯანაშვილისადმი გამოგზავნილი ერთი წერილიც. „ივერიიდან“ ვიცით აგრეთვე, რომ მორფილმა, საქართველოში მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, წერილი გამოუგზავნა იაკობ გოგებაშვილს; ამ წერილში ის მადლობას უძღვნის სახელმძღვანელოებისათვის, რომლებიც მისი აზრით, უეჭველია დიდად შეუწყობენ ხელს ქართული ენის განვითარებას<sup>2</sup>.

ქართული ფილოლოგიის დარგში მორფილის ნაშრომთა განხილვისას უნდა შეეჩერდეთ იმაზეც, თუ როგორ ეკიდებოდა მორფილს მაშინდელი ქართული საზოგადოებრიობა და როგორ აფასებდა მის მოღვაწეობას.

სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს მორფილისადმი მიწერილი წერილები. მაგრამ ის ფაქტი, რომ ქართველი მეცნიერები მორფილს უგზავნიდნენ თავიანთ ნაშრომებს, თავისთავად საკმარისად მეტყველებს და კომენტარებს აღარ საჭიროებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ალ. ცავარელმა პეტერბურგის უნივერსიტეტისადმი წარდგენილ ანგარიშში საჭიროდ ჩათვალა მიეთითებინა მორფილის სტატიებზე თავისი ნაშრომების შესახებ: „ინგლისურ ჟურნალში

„The Academy“ 1889 წლის მაისის თვის № 890-ში დაბეჭდილი ინგლისურ-გადათარგმნილი წიგნისა (იგულისხმება „Памятник грузинской старины в св. Земле и на Синае — 6. т.) და სხვა ჩემი ნაშრომების დაწვრილებითი ანგარიში ცნობილი ინგლისელი მეცნიერის მორფილისა, რომელიც იცნობს ქართულ ენას და 1888 წელს იმოგზაურა საქართველოში“<sup>3</sup>.

ქართული პრესა დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს მორფილის ყოველ ნაშრომს საქართველოზე. მასალებს ინგლისელი მეცნიერის შესახებ ძირითადად აქვეყნებდა გაზეთი „ივერია“, საიდანაც შემდეგ ბეჭდავდნენ სხვა ქართული ორგანოები. „ივერია“ ბეჭდავდა მორფილის სტატიების სრულსა ან შემოკლებულ თარგმანს, რუწყებოდა, თუ რაზე მუშაობს ამჟამად მეცნიერი და ა. შ.; მორფილის მოღვაწეობით აშკარა დაინტერესება ჩანს იმ საგაზეთო შენიშვნებიდან, რომლებიც გვაუწყებს, რომ მორფილი ამზადებს სტატიას საქართველოს შესახებ („ივერია“, 1888, 5. VII), რომ მან უკვე დაამთავრა და გამოაქვეყნა ეს სტატია („ივერია“, 1888, 28. VII). ეს უკანასკნელი ცნობა იმდენად საინტერესო იყო საზოგადოებისთვის, რომ ჟურნალ „თეატრმა“ საჭიროდ ჩათვალა მთლიანად გადაებეჭდა სტატია თავისი მკითხველებისთვის („თეატრი“, 1888, № 26).

დასასრულ, „ივერიის“ უკვე 14 აგვისტოს ნომერში გამოჩნდა მორფილის სტატიის სრული თარგმანი. მთარგმნელი სტ. ჭრელაშვილი საგანგებოდ მიუთითებს შენიშვნაში, რომ მან სიტყვა-სიტყვით თარგმნა პროფ. უ. რ. მორფილის სტატია, რომელიც დაიბეჭდა ინგლისურ ჟურნალში „აკადემი“<sup>4</sup>. ეს შენიშვნა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ თარგმანი შესრულებულია ინგლისური ტექსტიდან, მოწმობს, რომ ჭრელაშვილმა იცოდა ინგლისურ-

<sup>1</sup> სამეფოს აზიური საზოგადოების ჟურნალი, ლონდონი, 1900, გვ. 565.

<sup>2</sup> „ივერია“, 1888, 3. VII, № 138.

<sup>3</sup> ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 733, ნუსხა 150, საქმე 414, 1889 — 1890., ფ. 77.

<sup>4</sup> „ივერია“, 1888, 14. VIII, № 171, გვ. 3.

ნატალია ორლოვსკაია  
მორფილის ნაშრომები ქართული ფილოლოგიის დარგში






რი ენა, თუმცა ეს ფაქტი არსად არაა მოხსენებული მის ბიოგრაფიაში. ხალხოსანი, ორჯერ ციმბირს გადანასახლები და გაზეთ „იმედის“ აქტიური თანამშრომელი, ჭრელაშვილი შემდგომში დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძის დასს და ნაყოფიერად მუშაობდა მის გაზეთ „ივერიაში“. სწორედ აქ ბეჭდავდა ჭრელაშვილი მორფილის სტატიების თავის თარგმანებს. პირველი სტატიის შემდეგ ჭრელაშვილმა თარგმნა მორფილის სტატიები ვეიდენბაუმის წიგნზე — „გზისმაჩვენებელი კავკასიაში“ და ცაგარლის წიგნზე — *Грузинские древности в Св. Земле и на Синае*<sup>1</sup>. პრესა შემდეგ წლებშიც აცნობდა მკითხველს მორფილის ნაშრომებს. ხან ნაწყვეტები ითარგმნებოდა, ხან შინაარსს გადმოსცემდა, ხან მხოლოდ მოკლე ცნობას იძლეოდა, მაგალითად, „კვალი“ იუწყებოდა, რომ ნიუ-იორკის ჟურნალში „ნეიშნ“ (№ 1757) დაიბეჭდა მორფილის სტატია ხახანაშვილის ქართული სიტყვიერების ისტორიაზე<sup>2</sup>.

მაგრამ რა მოცულობისაც არ უნდა ყოფილიყო შენიშვნები მორფილის ნაშრომების შესახებ და სადაც არ უნდა დაბეჭდილიყო, ყოველ მათგანში გამოსჭვიოდა დიდი დაინტერესება ინგლისელი მეცნიერის მოღვაწეობით.

ქართული პრესა ისწრაფვის მკითხველბინოს მკითხველს, თუ რა სახისაა რომი გამოაქვეყნა ქართული ფილოლოგიის ბედიღბლით დაინტერესებულმა მეცნიერმა. XIX ს-ნის ეპოქა, როდესაც სწრაფად ვითარდებოდა ლიტერატურული და მეცნიერული ცხოვრება, მოითხოვდა ხალხთა შორის კულტურული კავშირის გაძლიერებას. საქართველოში სწრაფად იზრდებოდა სხვა ქვეყნების კულტურით დაინტერესება. ამავ დროს ქართულ პრესაში საუკუნის მეორე ნახევარში უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა სხვადასხვა ცნობა მოგზაურებსა და მწერლებზე, რომლებიც წერდნენ საქართველოზე; იმ ქართულ ხელნაწერებზე, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ — რუსეთსა თუ უცხოეთშია; ქართული წიგნების პირველ უცხოურ გამოცემებზე და ა. შ. ამ ინტერესთა გამო მორფილის მოღვაწეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი მოღვაწეობა ხელს უწყობდა მოწინავე ქართული საზოგადოების მისწრაფებას იმისკენ, რომ ცნობები ქართული კულტურის შესახებ გასცდნოდა საქართველოს ფარგლებს. სწორედ ამ მხრივ უ. რ. მორფილის ნაშრომები სრული პატივისცემისა და ყურადღების ღირსია და მისმა სახელმა საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს ინგლის-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში.

<sup>1</sup> „ივერია“, 1889, №№ 129, 130.

<sup>2</sup> „კვალი“, 1889, № 12, გვ. 185.



## მოქმედების განვითარების დრო „ვეფხისტყაოსანში“

მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს მოქმედების განვითარების დრო.

„ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის განხილვისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, თუ როგორია ამა თუ იმ ეპიზოდში მოქმედების განვითარების ხანგრძლივობა და რა ურთიერთთანაფარდობა არსებობს დროის ხანგრძლივობის მხრივ ეპიზოდებს შორის.

თვითონ შოთა რუსთაველი თავის ეპოპეაში დროის ფაქტორს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ზუსტად მიგვითითებს, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ესა თუ ის ამბავი და რომელი ამბავი რომელს უსწრებს წინ.

„ვეფხისტყაოსნის“ მოქმედების განვითარების დროის განხილვისას ჩვენ შევეცდებით გადავჭრათ შემდეგი საკითხები:

1) რამდენი ხანი გავიდა თინათინის გამეფების დღიდან ავთანდილისა და თინათინის შეუღლებამდე?

2) რამდენმა დრომ გაიარა ნესტან-დარეჯანის გატაცების დღიდან ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში გამეფებამდე.

3) რამდენი დრო იყო გასული ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან მაშინ.

როდესაც ტარიელი ნახეს ნადირობის დროს როსტევანმა და ავთანდილმა.

4) რამდენ წელს მოიცავს მოქმედების განვითარების ხანგრძლივობა „ვეფხისტყაოსანში“?

5) წლის რომელ დროში სწარმოებდა ამა თუ იმ ეპიზოდის მოქმედების განვითარება?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ ამისათვის საკმაოდ მასალას იძლევა.

1) თინათინის არაბეთის ტახტზე გამეფების დღიდან ავთანდილისა და თინათინის შეუღლებამდე გავიდა 6 წელიწადზე ცოტა მეტი. ეს ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი წლის განმავლობაში უცხო მოყმეს ეძებდნენ როსტევანის მიერ გაგზავნილი კაცები: სამ წელს მოუხდა ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულის პოვნას, იქიდან არაბეთში მობრუნებას და ისევ ტარიელთან მეორედ მისვლას; ერთი წელი დაეხარჯა ავთანდილს, რათა ნესტან-დარეჯანი ეპოვნა და ტარიელთან უკან დაბრუნებულიყო; თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რამდენი ხანი დასჭირდათ ძმადნაფიცებს ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოსახსნელად

და არაბეთში დასაბრუნებლად, მაგრამ ერთი ცხადია, რომ არანაკლებ იმ დროისა, რამდენიც ავთანდილს დასჭირდა ტარიელის გამოქვამულიდან გულანშარომდე და გულანშაროდან ტარიელის გამოქვამულამდე მისვლა-მოსვლისათვის, ანუ ერთი წელიწადი.

ამრიგად, პირველი სიუჟეტური რკალი, რომელიც იწყება არაბეთში თინათინის ტახტზე დასმით და მთავრდება თინათინისა და ავთანდილის შეუღლებით, მოიცავს ექვს წელიწადს.

2) ნესტან-დარეჯანის ხვარაზმის მეფის შვილზე გათხოვების გადაწყვეტილების მიღებიდან ნესტანისა და ტარიელის ინდოეთში გამეფებამდე გასული დროის დადგენისას უნდა გვახსოვდეს, რომ ინდოეთში გათამაშებული ამბები და ტარიელის მიერ დაკარგული მიჯნურის ძიებასთან დაკავშირებული ეპიზოდები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ არაბეთში თინათინის გამეფების ამბავს, თუმცა ისინი „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის მიერ შემდეგ არის გადმოცემული.

ამიტომ ჯერ უნდა გაირკვეს, რამდენი დრო იყო გასული ნესტან-დარეჯანის გატაცების დღიდან ავთანდილისა და ტარიელის პირველად შეხვედრამდე. ამის შემდეგ ადვილი იქნება „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სიუჟეტური რკალის მოქმედების განვითარების გარკვევა, რადგან ავთანდილისა და ტარიელის პირველი შეხვედრის შემდეგ ნესტანისა და ტარიელის ქორწინებამდე გასული დრო ჩვენთვის უკვე ცნობილია.

ნესტან-დარეჯანის გატაცების შემდეგ ტარიელმა თორმეტი თვე ანუ ერთი წელიწადი თავისი დაკარგული სატროფოს ძებნაში ისე გაატარა, რომ ზღვიდან ნაპირზე არ გადმოსულა. წლის თავზე ხმელეთზე გადმოსული ტარიელი ფრიდონს შეხვდა, ხოლო ფრიდონმა თავის მხრივ აცნობა ტარიელის გამოქვამულიდან მასთან მისულ ავთანდილს, რომ მან ტარიელის შესახებ უკვე შვიდი წელიწადია არაფერი არ იცის: 1006/3. „ფრიდონ ტირს, მოთქვამს ხმა-მადლა გაყრილი წლისა შვიდისა“.

მაშასადამე, იმ მომენტისათვის, როდესაც ავთანდილი და ფრიდონი ერთმანეთს შეხვდნენ ერთმანეთს, ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან 8 წელიწადზე მეტი გასულა, უნდა ვივარაუდოთ ცხრა წლამდე, რადგან ტარიელი ფრიდონთან კარგა ხანი დარჩა, ვიდრე ფრიდონის მიერ ყოველ მხრივ გაგზავნილი მენავენი ამაოდ ცდილობდნენ ნესტან-დარეჯანის ამბის გაგებას.

თუ ამ ცხრა წელიწადს მივუმატებთ იმ ერთ წელიწადს, რომელიც ავთანდილს დასჭირდა ნესტან-დარეჯანის აღმოსაჩენად და ამ ამბის ტარიელისათვის შესატყობინებლად, და აგრეთვე ერთ წელიწადსა და სამ თვეს, რომელიც მოანდომეს ნესტანის გამოსხნას და მულაზანზარში დაბრუნებას, დევთა გამოქვამულში შევლას, არაბეთში მისვლას და იქიდან სამ თვეში ინდოეთში მობრუნებას, გამოვა, რომ ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან ინდოეთის ტახტზე ნესტანისა და ტარიელის გამეფებამდე 11 წელიწადია გასული.

ამრიგად, თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური რკალი, რომელიც პოზიტიურ ამბებს მოიცავს, გაშლილია ექვსი წლის მანძილზე.

ნესტან-დარეჯან-ტარიელის სიუჟეტური რკალი, რომელიც ეპოპეაში გაშლილი ამბების ნეგატიურ მხარეს წარმოადგენს, მოიცავს 11 წელიწადს.

ამასთან ერთად, ორივე სიუჟეტურ რკალის ამბები ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ურთიერთ მჭიდრო კავშირში მიმდინარეობენ. თუ აქამდე ეპოპეაში მოქმედების განვითარება ორპლანიანი იყო, ბოლო ორი წლის განმავლობაში ერთდროულად ხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნესტან-ტარიელის სიუჟეტური რკალის მოქმედების განვითარების დროის ხანგრძლივობის დადგენამ საშუალება მოგვცა „ვეფხისტყაოსანში“ აღმოგვეჩინა ერთი სტროფის სიყალბე, რომელიც აქამდეც მკვლევართა ეჭვს იწვევდა.

1610-ე სტროფში ვკითხულობთ: დაიკარგენით, წახვედით თქვენ, წელნი მეათენია“. როგორც ზემოთ დავადგინეთ,



ტარიელის ინდოეთიდან წასვლის შემდეგ მის დაბრუნებამდე გავიდა არა ცხრა წელი, როგორც ეს ინტერპოლიატორს ჰგონია, არამედ თერთმეტი.

რადგან ამ სტროფში დასახელებული დრო არ შეესაბამება იმ ფაქტურ დროს, რომელიც გასულია „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ამიტომ იგი წინააღმდეგობაშია ნაწარმოებთან და ისეთ ინტერპოლაციას წარმოადგენს, რომელშიც დაშვებულია საკმაოდ უხეში შეცდომა.

ინტერესს არ არის მოკლებული იმის დადგენა, თუ რამდენი დრო იყო გასული ნესტან-დარეჯანის გატაცების დღიდან ამ მომენტისათვის, როდესაც როსტევეანმა და ავთანდილმა ტარიელი ნახეს ნადირობის დროს.

ამის შესახებ თუმცა არაფერია ნათქვამი „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ იმის შემდეგ, რაც განვსაზღვრეთ ორივე სიუჟეტური რკალის მოქმედების განვითარების დროის ხანგრძლივობა, უცხო მოყმის არაბეთში მოხვედრის მიახლოებებითი თარიღის დადგენაც შესაძლებელი ხდება.

თუ ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან ინდოეთში ტარიელისა და ნესტანის დაბრუნებამდე 11 წელია გასული, ხოლო ავთანდილისა და ტარიელის პირველი შეხვედრიდან ნესტანისა და ტარიელის გამეფებამდე ექვსი წელი გავიდა, მაშინ გამოდის, რომ როსტევეანმა და ავთანდილმა ტარიელი ნახეს ნესტანის გატაცებიდან 5 წლის შემდეგ.

ისიც უდავოა, რომ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ტარიელმა მულღაზანზარი დატოვა და უკვე დევების გამოქვამულში სახლობდა. ეს იქიდან ჩანს, რომ ტარიელი უკვე ფრიდონისეულ ცხენზე იჯდა და თან არც მონები ახლდა და არც ასმათი.

დასადაგენია, თუ რამდენი დრო იყო გასული მულღაზანზარიდან ტარიელის წამოსვლის შემდეგ, როდესაც იგი როსტევეანმა და ავთანდილმა წყლის პირას მტირალი ნახეს?

როდესაც ტარიელის გამოქვამულიდან წამოსული ავთანდილი ფრიდონთან

მივიდა, ტარიელის პირველად ნახვიდან გასული იყო ოთხი წელიწადი და ოთხმოცი დღე. ფრიდონმა ავთანდილს ნუცხადა, რომ იმის შემდეგ, რაც ტარიელი მისგან წავიდა, შვიდი წელი იყო გასული. შვიდ წელს რომ ოთხი წელი და 80 დღე გამოვავლოთ, გამოდის, რომ როდესაც როსტევეანმა და ავთანდილმა წყლის პირას მტირალი მოყმე ნახეს, ფრიდონისაგან იგი არა უმეტეს 2 წლის და ორას ოთხმოცი დღის წასული იყო. ამას თუ მივუმატებთ იმ დროს, რომელიც ტარიელმა, ხოლო შემდეგ ფრიდონის მიერ ყოველ მხარეს გაგზავნილმა მენავეებმა მოანდომეს ნესტანის ძებნას, გამოვა, რომ, როდესაც ტარიელი არაბეთში ნახეს როსტევეანმა და ავთანდილმა, ნესტანის მოტაცებიდან დაახლოებით ხუთი წელი იყო გასული.

ქრონოლოგიურად „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ამბები შემდეგნაირად ვითარდებოდა:

ნესტან-დარეჯანის გატაცების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში ზღვაში „გალაგდა“ ტარიელი. 12 თვის ზღვა-ზღვა ცურვის შემდეგ იგი პირველად გადმოვიდა ნაპირზე, ფრიდონის სამეფოს დედაქალაქთან. ფრიდონთან ერთად ტარიელმა ერთ წლამდე დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში ფრიდონის მიერ ყოველმხარეს გაგზავნილი მენავენი ეძებდნენ ნესტან-დარეჯანის კვალს. როდესაც მენავენი ხელცარიელი დაბრუნდნენ, ტარიელმა დატოვა მულღაზანზარი და ველად გაიჭრა. ფრიდონთან დაშორების შემდეგ, არა უგვიანეს 2 წლისა და 280 დღისა, როსტევეანმა და ავთანდილმა წყლის პირას მტირალი მოყმე ნახეს.

ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ, ხოლო ფრიდონისა და ტარიელის დაშორებიდან არა უგვიანეს 2 წლისა და 280 დღისა. პირველად შემოიყვანა რუსთაველმა ტარიელი ეპოპეაში.

დიმიტრი ქუმისიშვილი  
მოქმედების განვითარების დრო  
„ვეფხისტყაოსანში“

ამას მოსდევს ამბავი როსტევეანის ჭმუნვისა. ერთი წელი როსტევეანის მონებმა ამაოდ ეძებეს ტარიელი. შემდეგ ავთანდილი სამი წლით მიდის ტარიელის საქებრად. სამი წლის განმავლობაში მან იპოვა ტარიელი, დაბრუნდა არაბეთში და მეორედ მივიდა ტარიელის გამოქვაბულში.

ერთი წელი მოანდომა ავთანდილმა ნესტან-დარეჯანის ამბის გაგებას და ტარიელის გამოქვაბულში უკან მისვლას.

ამის შემდეგ კიდევ ერთი წელი დასჭირდათ ავთანდილს, ფრიდონსა და ტარიელს, რათა ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხიდან გამოეხსნათ, დაბრუნებულიყვნენ მულღაზანზარში, ენახათ ისევ ტარიელის გამოქვაბულები.

ორი თვე მოუნდებოდნენ ისინი ტარიელის გამოქვაბულიდან არაბეთში მისვლას, ხოლო არაბეთიდან ინდოეთამდე, როგორც ცნობილია, სამ თვეში მივიდნენ. ერთ თვეს ტარიელი და ნესტან-დარეჯანი არაბეთში დარჩნენ.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედების განვითარების დრო თერთმეტ წელს აღემატება.

ასეთია იმ ამბების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, რომლებიც თერთმეტი წლის განმავლობაში გათამაშდა ნესტან-დარეჯანის გატაცების დღიდან ინდოეთში ნესტანისა და ტარიელის გამეფებამდე.

ახლა ვცადოთ დადგენა, თუ წლის რომელ დროში სწარმოებს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ესა თუ ის ეპიზოდი?

ამ პრობლემის გადაჭრა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ იშვიათად მოიპოვება პირდაპირი მითითებები იმის შესახებ, თუ წლის რომელ დროში ხდება ესა თუ ის მოქმედება, მეორე მხრივ, მკვლევარებს სხვადასხვანაირად ესმით ის ტაეპები, რომლებშიც წლის ამა თუ იმ დროზეა ლაპარაკი. პირდაპირი მითი-

თება იმის შესახებ, თუ წლის რომელ დროში სწარმოებს მოქმედება „ვეფხისტყაოსანში“, მხოლოდ იმ ეპიზოდებში გვაქვს, რომლებიც დაკავშირებულია ტარიელთან ავთანდილის მეორედ მისვლასა, და მის მიერ ნესტანის მოძებნის შემდეგ ქებაში დაბრუნებასთან, ამიტომ ამ პრობლემის გადაჭრა სწორედ ამ ეპიზოდების განხილვით დავწყობთ.

ავთანდილმა მეორედ დატოვა არაბეთის საზღვრები და ისევ შეხვდა ტარიელს. ნესტან-დარეჯანის საქებრად წასვლის წინ იგი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ტარიელს:

936. ამის მეტს არას გნუკავ: წელიწადსა ერთსა მსგეფსა<sup>1</sup>  
აქა ქებასჳ მომნახელიდ მე, ამბავთა ყოველგნით მკრეფსა:  
ამა უამხა ნიშნად მოცემ, დროსა ამას ვარდ-იფესა,  
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძაღლი ყეფსა.

(„ამის მეტს არაფერს არა გთხოვ: ერთი წლის შემდეგ ამ დღის სწორს შემხვდი მე; ყოველგნით ამბავთა შემკრეფელს; ეს დრო, როდესაც ვარდი ბევრია, ნიშანი იყოს ჩვენი შეხვედრისა. ვარდის ნახვა ისე გაგაკრთობდეს, გამოგაფხიზლებდეს, როგორც ძაღლის ყეფა აფხიზლებს ადამიანს“).

ასევე ესამის ეს სტროფი თეიმურაზ ბაგრატიონსაც. იგი თავის კომენტარებში წერს: „926/936.

4. ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითარცა ძაღლი ჰყეფსა—ძაღლი პატრონთანა მყოფი, ოდეს უცხოთა ვისმე მოსულსა იხილავს, ანუ თვალითა დანიხნავს და ანუ ფერხის ხმასა ზედა სცნობს, მისვლასა ვისსამე, ანუ სუნითა სცნობს და მაშინ პატრონი მისი იგარძნობს, რომ მოვიდა ვინმე უცხო მოყვარე, ანუ მტერი, ამის მსგავსადო ავთანდილ ეუბნება ტარიელს, ეს ვარდი იყოს შენი შემბატყობინებელი ჩემის მოსვლისაო...<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, თეიმურაზ ბაგრატიონი თვლის, რომ „ძაღლის ყეფა“ ამ სტროფში რუსთაველს შედარების მიზნით აქვს ნახმარი: ვარდის დანახვამ ტარიელი ისე უნდა

<sup>1</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, თბ. 1960 წ. გვ. 163.

გამოაფხიზლოს, როგორც ძაღლის ყეფამ. ასევე ესმით ეს ადგილი აკად. შალვა ნუცუბიძეს და სხვებსაც.

ჩვენ ამ სტროფის გარჩევაზე ასე დეტალურად იმბიტომ ვჩერდებით, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, თუ წლის რომელ დროში შეხვდნენ დევთა გამოქვაბულში ტარიელი და ავთანდილი მეორედ და მესამედ. ამ სტრიქონის გაგებაში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ასე მაგალითად, ვიკტორ ნოზაძე თავის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება“ ამ სტროფის მეოთხე სტრიქონს შემდეგნაირად განმარტავს:

„ამას ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდიფსა, ვარდთა ნახვა გავგაყრთობდეს, მართ ვითამცა ძაღლი ყეფსა (936)

მაშასადამე: ავთანდილის მობრუნების, ანუ შეხვედრის დროს იყო ვარდთა იეფობა, ანუ სიმრავლე, როდესაც ვარდნი ყველაზე ბევრნი არიან, და როცა ისმის ძაღლის ყეფა, ანუ ცაზე პირველად ვარსკვლავი სირიუსის გამოჩენა, რაც 23 ივლისს ხდება“<sup>1</sup>.

ამრიგად, ვ. ნოზაძის ვარაუდით ავთანდილმა ტარიელს ერთი წლის თავზე შეხვედრის ვადად 23 ივლისი დაუნიშნა. ეს აშკარა შეცდომა გამომდინარეობს ვიკტორ ნოზაძის მიერ 936-ე სტროფის მეოთხე სტრიქონის არასწორი ინტერპრეტაციიდან. მან, როგორც დავინახეთ, ჩვეულებრივი ძაღლის ყეფა, რომელზედაც რუსთაველი ლაპარაკობს, ქოფაკის თანავარსკვლავედში მყოფი მთავარი ვარსკვლავის, სირიუსის გამოჩენად მიიჩნია.

სინამდვილეში კი ამ სტროფის მიხედვით ავთანდილი ტარიელს მეორედ

<sup>1</sup> ვიკტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილი, 1957 წ. გვ. 111.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1926 წ. გვ. 116.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 192.

ერთი წლის შემდეგ, მაისის ბოლოს ან ივნისის შუა რიცხვებში უნდა შეხვედროდა, ამაზე ლაპარაკობს შემდეგი სტრიქონი „ამას ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა“, საიდანაც სჩანს, რომ ავთანდილი და ტარიელი მეორედ ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ იმ დროს, იმ თვეში, როდესაც ვარდის მთავარი ყვავილობაა. ვარდის მასიური ყვავილობა კი აზიის კონტინენტის ზომიერ სარტყელში და საქართველოშიც მაისის მეორე ნახევარსა და ივნისის პირველ ნახევარზე მოდის. ამიტომ ძველად საქართველოში მაისს „ვარდობისას“ უწოდებდნენ.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში სიტყვა „ვარდობისას“ შემდეგ განმარტებას იძლევა: „ვარდობისა მაისი

(8,9 ესთერ) (ივნისი) (ნ. მაია) (თთვესთანაც)“, ხოლო სიტყვა „მაისი“ განმარტებულია, როგორც „ვარდობისა“<sup>2</sup>.

ეტყობა, სიტყვა „ვარდობის“ საბასეულ განმარტებას ეყრდნობოდა პროფ. შალვა ნუცუბიძეც, როდესაც მან 936-ე სტროფის მესამე სტრიქონი „ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდიფსა“ რუსულად თარგმნა: „Знак нам — это время года, время роз и месяц май“. როგორც ვხედავთ, თუმცა რუსთაველს არა აქვს ნახმარი სიტყვა მაისი, მაგრამ მთარგმნელმა საჭიროდ ჩასთვალა გაეშიფრა „ვარდ-იეფობის დრო“ და მისი შესატყვისი მაისი ტექსტში შეეტანა.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ: 1) ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულიდან ნესტან-დარეჯანის საქმნად მაისის მეორე ნახევარში ან ივნისის დასაწყისში წავიდა. 2) ავთანდილმა ფიცი მისცა ტარიელს, რომ ერთი წლის თავზე იგი აუცილებლად დაბრუნდებოდა გამოქვაბულში ვარდის ყვავილობისას, ანუ მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში. 3)

დიმიტრი ქუმსიშვილი  
მოქმედების განვითარების დრო  
„ვეფხისტყაოსანში“



სირიუსის ცაზე გამოჩენა აქ არაფერ  
შუაშია. ძალის ყეფა, რომელზედაც  
ლაპარაკია ზემოთ განხილულ სტროფ-  
ში, არავითარ კავშირში არ არის დიდი  
ქოფაკის თანავარსკვლავედთან.

დროის შესახებ მითითება, „ვეფხის-  
ტყაოსანში“ მეორედ მაშინ გვაქვს, რო-  
დესაც ავთანდილი გულანშაროდან წა-  
მოსასვლელად ემზადება. 1312-ე  
სტროფში ვკითხულობთ:

ფატმანს უთხრა: გამისრულდა ეამად საქმე  
საწადელი,  
დიდი შენი ჭირ-ნახული ჩემგან არის  
გარღუბდელი,  
წავალ, დგომად აღარა მცალს, დრო მოსრულა  
შარშანდელი,  
ფიცხელ ქაჯეთს მოვიყვანო მათი მომსპობ-  
ამწყვედელი.

ჯერ განვიხილოთ, როგორ ესმით ეს  
სტროფი რუსთაველის მკვლევართ.

ვიქტორ ნოზაძე წერს: „წავალ, დგო-  
მად აღარა მცალს, დრო მოსრულა შარ-  
შანდელი (1312).“

ამით ავთანდილი ამბობს: წელიწადი  
მისრულდება, რაც ტარიელი დატოვებ-  
როდის დატოვა ავთანდილმა ტარიელი  
ერთი წლის ვადით? ავთანდილმა ტა-  
რიელი დატოვა ივლისის 23-ს. ეს ცხა-  
დია თავისთავად, რადგან ავთანდილი  
ტარიელს ეუბნება: წელიწადის ძსგეფს  
მოვალო, ანუ ერთი წლის შემდეგ, ამავე  
დღეს მოვბრუნდებიო, — და ამ ერთი  
წლის გასვლის ნიშანი იყო „ძალის“  
ყეფა, ესე იგი, ცაზე სირიუსის გამოჩე-  
ნა, რაც 23 ივლისს ხდება. აი, ამ 23 ივ-  
ლისის შესახებ ამბობს ავთანდილი —  
დრო მოსრულა შარშანდელიო. მაშასა-  
დამე: ავთანდილის ქვაბიდან წასვლის  
შემდეგ უკვე ერთი წელიწადი სრულ-  
დება“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ვ. ნოზაძის აზრით,  
როდესაც ავთანდილი ამბობს — „დრო  
მოსრულა შარშანდელი“, გულისხმობს  
იმ დროს, როდესაც იგი ტარიელს გან-  
შორდა, ანუ 23 ივლისს.

ასევე, არასწორადა აქვს გაგებული  
მას 1328-ე სტროფიც, სადაც აგრეთვე  
რუსთაველი იძლევა მითითებას <sup>სტროფის</sup>  
შესახებ, თუ წლის რომელ დროში <sup>შემოვიყვანო</sup>  
სწარმოებს მოქმედება. აი, ეს სტრო-  
ფიც:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად  
ამოსვლა მწევანისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის  
პაემანისა,  
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა  
სარატანისა;  
სულტჳნა რა ნახა ყვაილი მან, უნახავემან  
ხანისა.

ვ. ნოზაძე ამ ადგილს ასე განმარტავს:  
გამორკვეულად მგონია, რომ აქ ზო-  
დიაკო სარატანი არაა ნაგულისხმევი.  
მაშასადამე, მზემ გამოიცივალა ზოდიაკო  
ლომი (მზე ჯდება ლომზე 23 ივლისს  
და გადმოხტება 22 აგვისტოს), ანუ  
მზემ დატოვა ლომის ზოდიაკო 22 აგ-  
ვისტოს; შეჯდა მომდევნო ზოდიაკოზე,  
რომელსაც ჰქვია „ქალწული“. ეს შეს-  
ვლა მზისა ზოდიაკოში“ ქალწული ხდე-  
ბა 23 აგვისტოს და მისი აქ ყოფნა  
გრძელდება 21 სექტემბრამდე. აი, ეს  
ზოდიაკო ქალწული არის ვ-ტნის ზოდი-  
აკო საროს ტანი“<sup>2</sup>.

ვ. ნოზაძის ვარაუდით ავთანდილს ტა-  
რიელთან მისვლა შეეძლო მხოლოდ 21  
სექტემბრამდე.

1. ავთანდილი ტარიელის გამოქვა-  
ბულიდან ნესტან-დარეჯანის საძებრად  
წავიდა 23 ივლისს ცაზე სირიუსის გა-  
მოჩენის ეამს.

2. ერთი წლის შემდეგ ამავე დროს  
იგი ვითომ ფატმანისაგან შემობრუნდა,  
დატოვა გულანშარო და ტარიელის გა-  
მოქვაბულისკენ გაემართა.

3. ავთანდილი ტარიელის გამოქვა-  
ბულში, ნესტანის ამბის გაგების შემ-  
დეგ, მხოლოდ 21 სექტემბერს დაბ-  
რუნდა.

4. ვ. ნოზაძის აზრით, ავთანდილმა  
ტარიელისადმი მიცემულ სიტყვას ულა-  
ლატა და პაემანისათვის დანიშნულ  
დროს ორი თვით გადააცილა. აქ მხედ-  
ველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოე-  
ბაც, რომ ვ. ნოზაძემ საკმაოდ დაუსაბუ-

<sup>1</sup> ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ვარს-  
კვლავთმეტყველება, 1957 წ. გვ. 115.  
<sup>2</sup> ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ვარს-  
კვლავთმეტყველება, გვ. 114.

თებლად თვით ავთანდილის მიერ დანიშნული პაემანი ერთ თვეზე მეტით გადასწია 23 ივლისის აღიარებით.

დავიწყით სიტყვა „სარატანის“ მნიშვნელობის განსაზღვრით. ტრადიციულად ამ სიტყვის ძირითადად ორგვარი წაიკითხვა არსებობს: „საროს ტანი“ და „სარატანი“. შევეცდებით გავარკვიოთ, რომელი მათგანია უფრო მართებული.

ვახტანგ VI მიერ 1712 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტში იკითხება „საროს ტანი“, მაგრამ ამ სიტყვის განმარტებისას, თარგმანის ერთ-ერთ ეგზემპლარში გვაქვს „საროსტანი“ (II), ხოლო მეორე O ეგზემპლარში „საროტანი“. როგორც ეტყობა, „ბექდვის პროცესში შეუმჩნეველად დაშვებული შეცდომა და მომდევნო ეგზემპლარებში ჩაუსწორებიათ კიდევ. თუმცა თვითონ „ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა შეცდომითაა დაწერილი, მაგრამ მისი მნიშვნელობა ვახტანგ VI თავის თარგმანში სწორად ესმის და სწორადაც აქვს განმარტებული. ვახტანგისეულ თარგმანში ვკითხულობთ „საროსტანი“ კირჩხიბსა ჰქვიან (ჩტიც)“<sup>1</sup>.

მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგისეულ თარგმანში განმარტებული სიტყვა „საროტანი“, მაინც შეცდომას შეიცავს. იქ „საროტანის“ მაგივრად უნდა იყოს „სარატანი“. ეს შეცდომა პირველად აკად. ნ. მარმა შენიშნა და გაასწორა 1917 წელს გამოქვეყნებულ შრომაში.

მისსავე აზრს იზიარებს პროფ. ვ. ბერიძეც: „ცხადზე უცხადესია, — ამბობს იგი, — თავდაპირველად იქ, სადავო ადგილას, „სარატანი“ იქნებოდა და არასგზით „საროს ტანი“; ეს უკანასკნელი მერმინდელ „კეთილშენაძენად“ უნდა ჩაითვალოს. გადამწერს სიტყვის მნიშვნე-

<sup>1</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წელს, ტფ. 1937 წ. გვ. 381.

<sup>2</sup> ვუკ. ბერიძე, რუსთაველოლოგიური ეტიუდები, თბილ. 1961 წ., გვ. 51.

<sup>3</sup> ზ. ავალიშვილი, ვეფხისტყაოსანის საკითხები, პარიზი, 1931, გვ. 20.

<sup>4</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ. 1960, გვ. 246.

ნელობა არ სცოდნია და იგი დაახლოებით მისგვარადვე გახშიანებული სიტყვებით (საროს ტანისა) შეუცვლია.

ზ. ავალიშვილიც თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1304-ე სტროფში უნდა იკითხებოდეს **სარატანისა** და არა **საროს-ტანისა**:

„რუსთაველის ქმნილებაში (1304) ვკითხულობთ:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით  
ამოსულა მშვენიისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის  
პაემანისა,  
ეტლის ცვალება მზისაგან შეჯდომა  
სარატანისა...

აქ „ეტლის ცვალება მზისაგან“ იმას ნიშნავს, რომ მზე მარჩბივის ზოდიაკოს სტოვებს და კირჩხიბის (არაბულად — სარატანი) ვარსკვლავთკრებულში შედის, რაიცა 21 ივნისს ხდება, და ზაფხულიც ხომ მაშინ იწყება.<sup>3</sup>

ამრიგად, რუსთაველოლოგების მეტი ნაწილი იმ აზრისაა, რომ განხილულ სტროფში უნდა იყოს „სარატანისა“ ნაცვლად „საროს-ტანისა“.

„სარატანი“, როგორც დავინახეთ, შინაარსობლივად გამართლებულია.

იმის შემდეგ, რაც გამოვარკვიეთ, რომ 1328-ე სტროფში უნდა იყოს „სარატანისა“ და არა „საროს-ტანისა“, ვნახთ, თუ როგორ ესმით მკვლევარებს ამ სადავო სიტყვის მნიშვნელობა და მთლიანად ამ სტროფის მესამე სტრიქონი.

როგორც ზემოთ გამოიკვია, მიუხედავად არაზუსტი და სხვადასხვა დაწერისა, სადავო სიტყვა „სარატანი“ ვახტანგ VI და მის მომდევნო მკვლევართ ესმოდათ როგორც კირჩხიბი. ასე მაგალითად, თეიმურაზ ბაგრატიონი თავის კომენტარიებში წერდა:

„3. ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა რა დაახლოვდების გამოცვლითა მზისაგან ეტლისა, ანუ ბურჯთა ზაფხულისა და სხვათა დროთა (საროს) 166 V (ტანი კირჩხიბი არისო). ვახტანგ მეფის განმარტებაში არის“<sup>4</sup>.

დომიტრი ქუმისივილი

მოქმედების განვითარების დრო „ვეფხისტყაოსანში“





ქვეყნად მწვანის ამოსვლაც, — ერთ-  
მანეთისაგან დამოუკიდებლად.

როდესაც რუსთაველი ამას ლაპარაკობდა, იყო გაზაფხულის დასაწყისი. ამაზე მეტყველებს მომდევნო 1329-ე სტროფი, რომელსაც ქვემოთ გავარჩევთ.

მეორე სტრიქონი: მოახლოებული იყო ის დრო, როდესაც ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულს უნდა დაბრუნებოდა. აქაც რუსთაველი იძლევა განმარტებას, თუ რა დრო იყო ეს. ეს იყო ის დრო, როდესაც ვარდს გაშლა უნდა დაეწყო, ანუ, როგორც ზემოთ დავადგინეთ, მაისის შუა რიცხვებიდან ივნისის შუა რიცხვებამდე. ამასთან დაკავშირებით მართებული იქნებოდა მძიმის მაგივრად ტირე გვეხმარა სტრიქონის შუაში.

მესამე სტრიქონი: მოახლოებული იყო ის დრო, როდესაც მზე ერთ თანავარსკვლავედს, ეტლს, ანუ ზოდიაქოს სტოვებდა და მეორეში შედიოდა, კერძოდ საარატანის ანუ კირჩხიბის თანავარსკვლავედში. ამ სტრიქონით რუსთაველი ასტრონომიულად აზუსტებს იმ დროს, თუ ზაფხულის რომელი ნაწილის მოახლოებაზეა ლაპარაკი ამ სტროფის პირველ სტრიქონში და როდის უნდა მომხდარიყო ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა.

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, კირჩხიბის თანავარსკვლავედში, ანუ ზოდიაქოში მზე შედის 22 ივნისს.

„ზოდიაქო ესენი არიან სახელნი და ნიშანი სახეთა მათთანი და რომელთა თთვესა მიითუალავს მზე მათ... კირჩხიბი ივნისსა 22...“

მეოთხე სტრიქონი: „სულთქნა, რა ნახა ყვავილი მან უნახავმან ხანისა.“ თუ აქამდე ლაპარაკი იყო იმაზე, წლის რა დრო უნდა დამდგარიყო, რომელი დრო ახლოვდებოდა, — მეოთხე სტრიქონი გვამცნობს იმას, თუ რა მომენტშია ლაპარაკი ამის შესახებ. როდესაც რუსთაველი ამბობდა, მოახლოებული იყო ზაფხულიო, მაშინ გაზაფხულის ის დრო იყო, როდესაც თოვლისაგან მიწა გათავისუფლდა და პირველმა მინდვრის

ყვავილებმა ამოყვეს თავი. <sup>მიმდევრ</sup> სარტყელში ყვავილის გამოჩენილობით თებერვლის ბოლომდე დასაწყისში ხდება.

ამაზე ნათლად მეტყველებს მომდევნო 1329-ე სტროფი, რომელიც აკონკრეტებს წინა სტროფში გამოთქმულ აზრს: „ავრგვინდა ცა და ღრუბელნი ცრიდეს ბროლისა ცვართა“. ესე იგი, ავთანდილმა გაიგონა პირველი ქექაქუხილი და პირველი წვიმაც წამოვიდა.

936-ე სტროფის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ავთანდილს ერთი წელი უნდა ექებნა ნესტან-დარეჯანი და ზუსტად წლის თავზე უნდა დაბრუნებულიყო გამოქვაბულში. პაემანის დროდ ავთანდილმა ტარიელს დაუნიშნა წლის ის პერიოდი, როდესაც ვარდის მთავარი ყვავილობაა, და რადგან ვარდის მთავარი ყვავილობა მოდის მაისის მეორე ნახევარსა და ივნისის პირველ ნახევარზე, ამიტომ ცხადია, რომ ავთანდილი სწორედ ამ დროს წავიდა ნესტან-დარეჯანის საძებნელად.

მომდევნო 937-ე სტროფიდან ჩანს, რომ ქვაბში ავთანდილის დაგვიანებით დაბრუნება გამოირიცხული იყო:

937. ამა დროსა გადავცილდე, აქა ქვაბსაე  
არ მივიდე,  
ცან, ცოცხალი არ თურე ვარ, ულონიოდ  
მოგველი კიდე;  
ეს ამისად ნიშნად კმარის, შენ თუ ჩემთვის  
ცრემლსა ღვრიდე,  
მაშინ, გინდეს, იხარებდი, გინდეს,  
ქმუნვა გააღიდე.

აქედან ჩანს, რომ ავთანდილი თავის სიტყვას მხოლოდ ერთ შემთხვევაში გასტეხდა — თუ იგი ცოცხალი აღარ იქნებოდა, მარტო სიკვდილს შეეძლო მისი შეჩერება, სხვა რაიმე დაბრკოლება გადაჭრით გამორიცხულია. ამიტომ შეუძლებელია, თითქოს ავთანდილმა პაემანზე მოსვლა ორი თვით დაავიანა, როგორც ამას ვ. ნოზაძე

დიმიტრი ქუმსიშვილი  
მოქმედების განვითარების დრო  
„გეფხისტყაოსანში“

ფიქრობს. ავთანდილი არას გზით არ დააგვიანებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს მოცემული სიტყვის გატება იქნებოდა, რაც შეუთავსებელია ავთანდილის მთელ მორალურ სახესთან. გავიხსენოთ, როგორ სწუხდა ავთანდილი, როდესაც დათქმულ სამი წლის გასვლას ორი თვეა აკლდა. მაშინ თუმცა მან ტარიელის კვალს ჯერ კიდევ ვერ მიაგნო, მაგრამ უკან დაბრუნება გადასწყვიტა, რათა თინათინისათვის მიცემული პირობა არ გაეტეხა. ან კიდევ გავიხსენოთ, როგორ ზუსტად შეასრულა ტარიელისათვის მიცემული პირობა ავთანდილმა, როდესაც იგი ორ თვეში არაბეთში მივიდა და არაბეთიდან უკანვე გამოქვამულში დაბრუნდა.

რომ არ დააგვიანა ავთანდილმა პაემანზე და ზუსტად წლის თავზე მობრუნდა ტარიელთან, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ერთი სიტყვაც არ არის თქმული გულანშაროდან გამოქვამულში მის დაგვიანებით მისვლაზე.

ამის გარდა, ავთანდილს რომ დაეგვიანებინა, ტარიელი ცოცხალი აღარ დახვდებოდა. ტარიელი, როგორც ცნობილია, უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე იყო მისული. გავიხსენოთ მის მიერ ლომ-ვეფხვის დახოცვის ამბავი.

ამრიგად, ვიკ. ნოზაძის ვარაუდი, რომ ავთანდილი გულანშაროდან გამოქვამულში დაგვიანებით დაბრუნდა, არა უადრეს 21 სექტემბრისა, — ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

„ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს მითითება იმის შესახებ, თუ რა დრო მოანდომა ავთანდილმა გზის ზოგიერთი მონაკვეთის გავლას, რის გათვალისწინებაც ძვირფას მასალას წარმოადგენს ქეშმარიტების დასადგენად.

კერძოდ, ავთანდილმა მანძილი ტარიელის გამოქვამულიდან მულღაზანშარამდე ოთხმოც დღეში გაიარა, ხოლო მულღაზანშარიდან იმ ადგილამდე, სადაც მან ზღვის ნაპირას მეკობრეებისაგან დაშინებული ვაჭრები ნახა, — 100 დღეში, ესე იგი, იმ თორმეტი თვიდან, რომელიც მას ჰქონდა

განკუთვნილი ნესტან-დარეჯანის მოსაძებნად და ტარიელთან უკან დაბრუნებულად, ნახევარი უკვე დახსრულდა.

შემდგომ ამისა ავთანდილმა ვაჭრებთან ერთად გადასცურა ზღვა და რომელიც კუნძულზე მდებარე ნავსადგურ გულანშაროში გადმოვიდა, სადაც იგი ფატმანს შეხვდა.

მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ პირდაპირ არაა მითითებული, თუ რამდენი ხანი იმგზავრა ვაჭრებთან ერთად ავთანდილმა, მაგრამ ამის დადგენა მოსახერხებელი ხდება იმ სტროფის წყალობით, რომელშიაც ავთანდილი ეუბნება ფატმანს:

ფატმანს უთხრა: „ამირულდა  
ჟამად საქმე საწადელი,  
დიდი შენი ქირ-ნახული  
ჩემგან არის გარდუხდელი,  
წავალ, დგომად აღარა მცალს,  
დრო მოსრულა შარშანდელი.“

ზემოთ, როდესაც ამ სტროფს ვიხილავდით, დავადგინეთ, რომ რუსთველოლოგების მეტ ნაწილს ეს სტროფი ასე ესმის: თავის დროზე მივალწიე ჩემს მიზანს (გავიგე ნესტან-დარეჯანის ამბავი), ახლა კი მეტი დაყოვნება აღარ შემიძლია, უნდა წავიდე, რადგან ეს მიმდინარე წელიწადი სადაცაა გათავდება. გამონაკლისს წარმოადგენს ვ. ნოზაძის აზრი, რომელიც თვლის, რომ აქ ლაპარაკია არა წლის დამთავრებაზე, არამედ ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრის დროის დადგენაზე. მისი აზრით, გულანშაროდან ავთანდილის წამოსვლისას დათქმული წელიწადი უკვე გასული იყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველი მოსაზრება მართებულია. მაშასადამე, თუ ავთანდილი გულანშაროდან დეკემბრის ბოლო რიცხვებში წამოვიდა, გამოდის, რომ ავთანდილმა ხომალდით გულანშარომდე ერთი თვის განმავლობაში იმგზავრა.

ამრიგად, ავთანდილმა ვარდობისას ანუ დაახლოებით 15 მაისის შემდეგ დატოვა გამოქვამული, 6 თვეში მივიდა იმ ადგილამდე, სადაც ვაჭრებს შე-

ხვდა. 15 ნოემბერს გეშში ჩაჯდა და 20 დეკემბერს უკვე გულანშაროს მიაღწია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ გულანშაროში ავთანდილმა სულ რამდენიმე დღე დაჰყო, ერთი ორი დღეც ფრიდონთან შეყოვნდა, გამოდის, რომ გულანშარო მან დეკემბრის ბოლო რიცხვებში დატოვა.

საგულისხმოა კიდევ ერთი მომენტი. გულანშაროდან ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულში ფრიდონის ქალაქზე გავლით კი არ ბრუნდება, არამედ სხვა. უფრო მოკლე გზით. ეს ვასაგებიცაა.

ავთანდილი ერთ წელიწადში უნდა უკან მობრუნებულიყო. გულანშარომდე მოსვლას მან შვიდ თვეზე ცოტა მეტი მოანდომა, ხოლო უკან დასაბრუნებლად მის განკარგულებაში მხოლოდ ხუთი თვეა დარჩა. ამ დარჩენილი ხუთი თვიდან ერთ თვეზე მეტი (იანვარი) ავთანდილმა ზღვით იმგზავრა და თებერვლის პირველ რიცხვებში კონტინენტზე გადმოვიდა და ცხენით გაუდგა გზას ტარიელის გამოქვაბულისაკენ. „ვეფხისტყაოსანში“ პირდაპირი მითითება არა გვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენი ხანია გასული, ან რა მანძილი გაიარა ავთანდილმა ნაპირზე გადმოსვლის შემდეგ იმ მომენტამდე, როდესაც რუსთაველი იწყებს ლაპარაკს ზაფხულის მოახლოებაზე (სტრ. 1328), მაგრამ ერთი ცხადია, რომ ცხენით მან ზღვის ნაპირიდან ჩრდილოეთის მიმართულებით კარგა მანძილი გაიარა. ამაზე მეტყველებს 1327-ე სტროფი, სადაც ნათქვამია:

1327. გამოვლნა ზღვანი ავთანდილ მგზავრითა  
 რითმე ნავითა,  
 პირ-მხიარული აცორეებს მართ ოდენ  
 მართო თვე ითა;  
 მას შეჰყრა ტარიელისა უხარის მით  
 ამბავითა,  
 ხელ-განპყრობილი გულით არს  
 ღმერთისა საესავითა.

<sup>1</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 246.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი გვ. 320.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 141.

ამ სტროფში, უპირველესად ყოველისა, ყურადღებას იპყრობს სიტყვა „ავთანდილს“. თეიმურაზ ბაგრატიონი ამ სიტყვის შემდეგ განმარტებას იძლევა: „1323 (1333) მიაცორეებს — 1314-სა შინა ამ ლექსში განმარტა, გოგმანი, ანუ შეგლინება, მაგრამ გოგმანი უფრო ნელიადასა და მიცორეებს, უფრო ჩქარსა სლვასა ფერხით ფრინველისასა ნიშნავს. ცურვა წყლისა არის და ცორვა ხმელისა“<sup>1</sup>.

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, ცორვა ხმელეთზე ცხენით სიარულს, მგზავრობას ნიშნავს, თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, მიაცორეებს შეიძლება განიშარტოს, როგორც გოგმანი. ხოლო სულხან-საბას ლექსიკონით ცხენთა გოგმანით სიარულს თოხარიკობა<sup>2</sup> ჰქვია. იმავე საბას ლექსიკონში თოხარიკი არის ცხენი კარგი მოსიარულე<sup>3</sup>.

თუ ცორვა ხმელეთზე ცხენით სიარულია, მაშინ ამ სტროფის აზრი ასეთი იქნება: გამოიარა ავთანდილმა ნავით ზღვა, გადმოვიდა ნაპირზე და მართოდმართმ ცხენით განაგრძო გზა ტარიელის გამოქვაბულის მიმართულებით. შემდეგ რუსთაველი აღნიშნავს, რომ გაზაფხულიც დადგა, იმ მომენტისათვის, როდესაც რუსთაველი ლაპარაკობს თავისი გამირის ცხენით მოგზაურობაზე და ზაფხულის მოახლოებაზე.

იმის შემდეგ, რაც ზღვის ნაპირს განშორდა, იმის შემდეგ, რაც პირველი ჭექა-ქუხილი გაიგონა და პირველი წვიმაც წამოვიდა, ავთანდილმა კიდევ ბევრი იარა, ვიდრე ტარიელის გამოქვაბულს მიაღწევდა. მან იარა დაახლოებით თვენახევარი, პირველი აპრილიდან მაისის შუა რიცხვებამდე. „ტარიელისკენ იარნა მან გზანი საწყინარენი, უდაბურნი და უგზონი, უცხონი რამე არენი“.

ამავე სტროფის მეორე სტრიქონში კი მითითებულია იმაზე, თუ რა დროა გასული — აქ ვკითხულობთ: „ხალაც“

დიმიტრი ქუმისიშვილი  
 მოქმედების განვითარების დრო  
 „ვეფხისტყაოსანში“



ნახის, დახოცის ლომ-ვეფხნი მოშამბნარენი“.

თეიმურაზ ბაგრატიონი „მოშამბნარენის“ შემდეგ განმარტებას იძლევა: „1320/1330 მოშამბნარე — მაღალთა და ზრქელთა ბალახთა მინდვრისათა, გინა ველთა და მთათა, რომელ არს შამბა, მას შინა მკვდრობანი მხეცნი თუ ნადირნი“. <sup>1</sup> სულხან-საბაძე თავის ლექსიკონში ასე ხსნის ამ სიტყვას: „შამბი — მაღალი და მსხვილი ბალახი“. <sup>2</sup>

ამრიგად, როდესაც ავთანდილმა „ზღვანი გამოვლნა“ და ცხენით ტარიელის გამოქვაბულისკენ მიმართულება აიღო, ჯერ მან ახლად ამოსული ყვავილები ნახა. ეს ის დრო უნდა იყოს, როდესაც მიწა თოვლის საფარს იცილებს და ენძელები და იები თავს წამოპყობენ (1328)4. ამ მოვლენას ზომიერ სარტყელში ადგილი აქვს თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში. შემდეგ კიდევ იარა ავთანდილმა და პირველი ჭექა-ქუხილი გაისმა, პირველი წვიმა მოვიდა (1329). ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უკვე დადგა აპრილის პირველი რიცხვები. ჩვეულებრივ, პირველი ჭექა-ქუხილი ამ დროს იცის და ბოლოს, საწყინარ, უდაბურ, უგზო მიდამოებში როდესაც მოუხდა მგზავრობა, მის ირგვლივ უკვე შამბი იყო, ანუ მაღალი და მსხვილი ბალახი. ასეთი ბალახით დედამიწა შემოსილია მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში. აქ უკვე ავთანდილმა ტარიელის გამოქვაბულებიც დაინახა და ძმადნაფიცების შეხვედრისათვის განკუთვნილი დროც დადგა.

როგორც ვხედავთ, რუსთაველმა ოთხ სტროფში, მოკლე, მაგრამ ზუსტი შტროხების საშუალებით, გადმოგვცა ავთანდილის მოგზაურობის სურათი გულან-შაროდან ტარიელის გამოქვაბულამდე, გვიჩვენა ის ცვლილებები, რომელიც ბუნებაში ხდებოდა — დროის გასვლასთან დაკავშირებით.

<sup>1</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 246.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. გვ. 389.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ავთანდილი ტარიელს მეორედ შეხვდა გამოქვაბულში არა უადრეს მარტის 22-ს და არა უგვიანეს 22 ივნისისა ძველი სტილით.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გავიანგარიშოთ, თუ როდის შეხვდა ავთანდილი ტარიელს გამოქვაბულში პირველად, თუ ისინი მეორედ ივნისის პირველ ნახევარში შეხვდნენ, მაშინ პირველად ორი თვით ადრე აპრილის პირველ ნახევარში უნდა შეხვედრილიყვნენ, რადგან ავთანდილმა პირველ შეხვედრისთანავე პირობა მისცა ტარიელს, რომ იგი ორი თვის განმავლობაში მივიდოდა არაბეთში, ინახულებდა თინათინს და ისევ უკან გამობრუნდებოდა. როგორც ვიცით, ავთანდილმა თავისი სიტყვა პირნათლად შეასრულა და დროზე დაუბრუნდა ტარიელის გამოქვაბულს.

ახლა ადვილია იმის განსაზღვრა, თუ რომელ თვეში მოხდა როსტევეანის მიერ თინათინის მეფედ კურთხევა.

ავთანდილი ტარიელს მეორედ ქვაბში შეხვდა ზუსტად სამი წლის თავზე იმ დღიდან, რაც თინათინმა ავთანდილი უცხო მოყმის საძებნად გააგზავნა. მანამდე სრული ერთი წელიწადი ტარიელი როსტევეანის კაცებმა უშუდგოდ ეძებეს. ამრიგად, თინათინის ტახტზე დასმა, და მტირალი უცხო მოყმის ნახვა მოხდა ოთხი წლის წინ ივნისის პირველ ნახევარში.

თინათინის ტახტზე დასმის ცერემონიას და მეორე ღოღეს გამართულ ნადირობას რომ ზაფხულში ჰქონდა ადგილი და არა ზამთარსა, შემოდგომასა და გაზაფხულზე, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მაშინ საკმაო სიცხე იყო. ეს ნათლად ჩანს 83-ე სტროფის პირველი სტრიქონიდან: „იგი ორნივე საგრილად გადახდეს ძირსა ხეთასა“; ესე იგი, ნადირობის დროს ისე დასცხათ, რომ გასაგრილებლად ხეების ჩრდილს შეაფარეს თავი.

ასევე ადვილი დასადგენია, თუ როდის შეხვდა ავთანდილი ფრიდონს.

როდესაც ავთანდილმა ტარიელის

ქვაბები დატოვა და ნესტან-დარეჯანის მოსაძებნად წავიდა, როგორც ზემოთ გამოიხატა, ვარდობის თვე, ანუ მაისის ბოლო ან ივნისის დასაწყისი იყო. 80 დღეში მან მულღაზანზარს მი-აღწია, ესე იგი, დაახლოებით აგვისტოს 20 რიცხვში. შემდეგ 100 დღეში იგი მივიდა იმ ადგილამდე, სადაც ვაჭრები ნახა. მაშასადამე, ნოემბრის შუა რიცხვებში იგი ხომალდზე დაჯდა ვაჭრებთან ერთად და ზღვით განაგრძო გზა. ახალი წლის დადგომამდე, ანუ დეკემბრის შუა რიცხვებში იგი უკვე გულან-შაროში იყო.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულში მეორედ დაახლოებით მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში მოხვდა. აქედან ტარიელმა, ავთანდილმა და ასმათმა ცხენებით ფრიდონის სამეფო ქალაქ მულღაზანზარამდე იარეს. მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ არაფერია ნათქვამი, თუ რამდენი ხანი დაჰყვეს მათ გზაში, მაგრამ სავარაუდოა, რომ მათ მგზავრობას იმდენივე დრო მოანდომეს, რამდენიც ავთანდილმა, ანუ ისინიც აგვისტოს 20 რიცხვისათვის ფრიდონთან უნდა მისულიყვნენ.

მულღაზანზარიდან სამმა ძმადნაფიცმა ხომალდით იმ კუნძულამდე იმგზავრეს, რომელზედაც ქაჯეთის ციხე იყო. ამ მანძილის დაფარვას იალქნიანი ნავეებით იმ დროს სჭირდებოდა დაახლოებით ორი თვე: აქედან დასკვნა: სამი ძმადნაფიცი სამასი მეომრის თანხლებით კუნძულის სანაპიროზე დაახლოებით 20 ოქტომბერს გადმოსხდნენ. შემდეგ მათ ცხენებზე ამხედრებულებმა ერთი დღე-ღამის შეუსვენებელი სიარულის შემდეგ დილისათვის მიაღწიეს იმ არე-მარეს, სადაც ქაჯეთის ციხე იყო. აქ მათ საღამომდე შეიცადეს, ხოლო ღამე სწრაფად მიუახლოვდნენ ციხეს. გათენებისას კი დაიწყო ქაჯეთის დალაშქრა. ამრიგად, ზღვის სანაპიროდან ქაჯეთის ციხე დაახლოებით 150 კილომეტრის სავალზე იმყოფებოდა კუნძულის სიღრმეში.

ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ ტა-

რიელმა გადასწყვიტა ზღვათა მეფე-მეფე შეხედრა. ქაჯეთის ციხიდან ტარიელმა და მისმა რაზმმა გადაჰყვეთეს კუნძულზე და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გავიდნენ. ამ ოპერაციას, ეტყობა, 10 დღე დასჭირდა, რადგან გულან-შაროდან მათ შესახვედრად წამოსული ზღვათა მეფე 10 დღის შემდეგ შეხვდა ძმადნაფიცებს, რომლებსაც თან ჰყავდათ ქაჯეთის ციხიდან გამოხსნილი ნესტან-დარეჯანი. 7 დღის განმავლობაში გრძელდებოდა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი, რომელიც ზღვათა მეფემ გადაუხადა მათ.

ამრიგად, ამ კუნძულზე, რომელზედაც ერთი მხრივ იყო ქაჯთა სამეფო და მეორე მხრივ ზღვათა მეფის სატახტო ქალაქი, ძმადნაფიცებმა 20 დღემდე დაჰყვეს. შემდეგ ისინი ისევ ნავეში ჩასხდნენ, ზღვა გადაცურეს და მულღაზანზარის მახლობლად ფრიდონის სამეფოს რომელიღაც ნავსადგურში გადმოვიდნენ ნაპირზე. თუ მათ ზღვით უკან დაბრუნებაზეც ორი თვე დაჰკარგეს, გამოდის, რომ ისინი ფრიდონის სატახტო ქალაქში დაახლოებით იანვრის პირველ ნახევარში მივიდნენ: ფრიდონისას 8 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

მულღაზანზარიდან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ტარიელის გამოქვაბულზე გავლით არაბეთში ჩავიდნენ. ამ გზას ისინი დაახლოებით 5 თვეს მოანდომებდნენ. ოთხმოც დღეს ივლიდნენ მულღაზანზარიდან ტარიელის გამოქვაბულამდე, ხოლო ორ თვეს ტარიელის გამოქვაბულიდან არაბეთის სატახტო ქალაქამდე. ამრიგად, თინათინისა და ავთანდილის შეუღლება უნდა მომხდარიყო თინათინის გამეფებიდან ექვსი წლის შემდეგ, ივნისის პირველ ნახევარში.

ამრიგად, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური რკალი იწყება. ვითარდება და

დომიტრი ქუმსიშვილი  
მოქმედების განვითარების დრო  
„ვეფხისტყაოსანში“

მთავრდება ექვსი წლის განმავლობაში. ვფიქრობთ, რომ ამ სიუჟეტური რეალის გაშლა დროის სწორედ ასეთ მონაკვეთში არ არის შემთხვევითი და იგი სამეფო ტახტზე თამარის ასვლასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების გამოძახილს წარმოადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გიორგი III 1178 წელს თავის სიოცხლეშივე თამარი მეფედ დასვა, ხოლო, 1184 წელს მისი ხელშეორედ კურთხევა მოხდა, გამოდის, რომ პირველად გამეფების შემდეგ იმ დრომდე, როდესაც თამარი სრული სამეფო უფლებებით აღჭურვეს (მას, როგორც მამაკაცს, ხმალიც კი შემოარტყეს), ექვსი წელი გავიდა. ვფიქრობთ, რომ ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი ქრონოლოგიური დამთხვევა. მეფედ თამარის მეორედ აღიარების შემდეგ დიდებულებს რომ არ შეებღალათ მისი მეფური უფლებები და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ იგი გიორგი რუსისათვის არ მიეტხოვებინათ. მაშინ თერთმეტი წლით არ გაჭიანურდებოდა თამარის საბოლოო დამკვიდრება საქართველოს ტახტზე და ის, რაც მოხდა 1189 წელს. ანუ დავით სოსლანისა და თამარის შე-

უღლება, უფრო ადრე მოხდებოდა. არეულობა, რომელიც საქართველოში დატრიალდა, ის პირადი ტრაგედია თამარისა თერთმეტ წელს არ გაგრძელდებოდა, ისევე, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ინდოეთში, ფარსადანის უგუნური გადაწყვეტილების გამო. მანაც ხომ შებღალა ნესტანის უფლებები, რასაც ესოდენ ტრაგიკული შედეგი მოჰყვა.

ის, რომ თამარ მეფის შეუღლება დავით სოსლანთან მოხდა ტახტზე თამარის პირველად აყვანიდან 11 წლის შემდეგ და ნესტანისა და ტარიელის შეუღლებაც „ვეფხისტყაოსანში“ ხდება 11 წლის შემდეგ დღიდან ფარსადანის მიერ უცხოეთიდან სასიძოს მოყვანის გადაწყვეტილების მიღებისა, აგრეთვე არ უნდა ატარებდეს შემთხვევით ხასიათს და საქართველოს ისტორიული მოვლენების უდავო ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს.

როგორც ცნობილია, თამარი თავის თანამოსაყდრედ გიორგი მესამემ 1178 წლის ზაფხულში გამოაცხადა, ხოლო ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, თამარისა და დავით სოსლანის შეუღლება 1189 წელს მოხდა (თერთმეტი წლის თავზე).





არაბეთის  
გაერთიანებული  
რესპუბლიკა

თეატრალური ხელოვნების  
აზნავეზა

ახალი საოპერო თეატრი ქა-  
ირაში გაიხსნება 1965 წელს.  
უფრო ადრე გაიხსნება თოჯი-  
ნების ახალი თეატრი. თანა-  
მედროვე კულტურული სიახ-  
ლეა მცურავი თეატრი, რომ-  
ელსაც შეუძლია მდინარე ნი-  
ლოსს აპყვეს ნუზნამდე, აგ-  
რეთვე თეატრი ღია ცის ქვეშ  
და ტეატრ ვადი, სადაც ყო-  
ველი წლის ივლისში მოეწყობა  
თეატრალური და მუსიკა-  
ლური ფესტივალები.

ა უ მ

ოკანეპიშიმირისთვის  
პრემიის მიენიჭების გამო

ამას წინათ თეთრ სახლში  
პრეზიდენტმა ლინდონ ჯონ-  
სონმა პროფესორ რობერტ  
ოპენჰეიმერს, პრინსტონის  
უნივერსიტეტის თეორიული  
ფიზიკის კათედრის დეკანს  
გადასცა ატომის მკვლევარ-  
თათვის დაწესებული უმაღლესი  
ჯილდო — ენრიკო ფერ-  
მის სახელობის პრემია. ეს მე-  
ტად მნიშვნელოვანი პოლიტი-  
კური მოვლენაა: პროფესორი  
ოპენჰეიმერი მეორე მსოფლიო  
ომის დროს ხელმძღვანელობდა  
იმ ლაბორატორიას ლოს-

ანჯელოსში, სადაც შეიქმნა  
ატომური ბომბი, შემდეგ —  
ატომური ენერჯის კომიტე-  
ტის კვლევითს ჯგუფს ედგა  
სათავეში. ოპენჰეიმერმა თავ-  
გამოდებით გაილაშქრა ბომბის  
პრაქტიკული გამოყენების წი-  
ნააღმდეგ, უფრო გვიან ეწინა-  
აღმდეგებოდა ამ მასობრივი  
მოსპობის იარაღის წარმოება-  
სა და გამოყენებას. ამერიკელი  
„ცოფიანები“ „წყალბადის  
ბომბის მამის“ ედუარდ ტე-  
ლერის მეთაურობით და „ან-  
ტიამერიკული საქმიანობის  
კონგრესის კომიტეტის“ მეთა-  
ურის მაკარტის მხარდაჭერით  
თავს დაესხნენ ოპენჰეიმერს,  
დასწამეს მას სახელმწიფოს  
ღალატი, ატომური ბომბის სა-  
იდუმლოების გაცემა და სხვ.;  
ოპენჰეიმერი გადააყენეს ატო-  
მური კომისიის თავმჯდომარე-  
ობიდან და აუკრძალეს ატო-  
მის დარგში კვლევითი მუშა-  
ობა. მკვეთრი ცვლილება მოხ-  
და 1968 წლის მარტში, როცა  
პრეზიდენტმა კენედიმ გადა-  
წყვიტა ფერმის პრემია მიეცა  
ოპენჰეიმერისათვის, მაგრამ არ  
დასცალდა. პრეზიდენტმა  
ჯონსონმა განახორციელა მისი  
სურვილი, რითაც ხაზგასმით  
დაანახა ყველას, რომ აპირებს  
განაგრძოს განსვენებული პრე-  
ზიდენტის პოლიტიკა. „ცოფი-  
ანებმა“ თავიანთი პროტესტის  
იმით გამოხატეს, რომ კონგრე-  
სის ატომური კომისიის წევრ-  
მა სენატორმა ხიკენ ლუპერმა  
უარი განაცხადა დასწრებოდა  
პრემიის გადაცემის ზეიმს.

წინასწარმეტყველური  
ფილმი

ჰოლივუდში ამას წინათ დამ-  
თავრდა ფილმი, რომელმაც  
თითქოს იწინასწარმეტყველა  
პრეზიდენტ კენედის მოკვლა.  
ამ შემწარავ ამბავამდე კარგა  
ხნით ადრე ბერტ ლანკას-  
ტერმა — რეჟისორმა და კი-  
ნომსახიობმა — გადაიღო ფან-  
ტასტიკური ფილმი შეერთებუ-  
ლი შტატების პოლიტიკურ  
ცხოვრებაზე. ამ ფილმში აშშ-ს  
პრეზიდენტი ლაიმენი ვენაში  
საბჭოთა პრემიერმინისტრ ფი-  
მეროვთან ერთად ხელს აწერს  
ატომური განიარაღების ხელ-  
შეკრულებას. მაშინ თავს  
წამოჭყოფენ „ცოფიანები“  
პოლიტიკური და უმაღლესი  
წოდებით, რათა ხელი შე-  
უშალონ ამ ხელშეკრულების  
ცხოვრებაში გატარებას, თუნ-  
დაც საამისოდ დასჭირდეთ კა-  
ნონით არჩეული პრეზიდენტის  
ფიზიკური მოსპობა და ამგვარად  
მისი მოშორება თეთრი  
სახლიდან. ჰოლივუდის ისტო-  
რიაში პირველი შემთხვევაა,  
როცა ფილმი ასე იჭრება თანა-  
მედროვე საერთაშორისო და  
საშინაო პოლიტიკაში და ასე  
მართლად ასახავს ისტორიულ  
მოვლენებს. ეჭვი არ არის,  
ფილმს დიდი წარმატება ელის  
მთელს მსოფლიოში, რასაც  
ხელს შეუწყობს როდების გა-  
ნაწილებაც: აშშ-ს პრეზი-  
დენტს თამაშობს ფრედერიკ  
მარჩი, გენერალური შტაბის  
გენერალს — კირკ ლუგლასი,

შექმულთა მეთაურ პოლკოვნიკს — ბერტ ლანკასტერი, ხოლო ერთ-ერთ ქალს — ავა გარდნერი.

### ჯან-კარლო მინაბის სხალი ოპერა

კომპოზიტორმა ჯან-კარლო მენატიმ პარიზის ნაციონალური თეატრის დაკვეთით დაწერა ოპერა-ბუფი — „უკანასკნელი ველური“. ამ ოპერით მის განზრახული ჰქონდა მსაუბრელებისთვის ეჩვენებინა მსუბუქი მუსიკალური სატირა. ოპერის გმირია ამერიკელი მილიონერის ქალიშვილი კიტი, რომელიც სწავლობს ანთროპოლოგიას. ის ინდოელი მამარაჯის ვაჟის საცოლდა, მაგრამ ქორწინებას არ აპირებს, ვიდრე ჰიმალაიში არ იპოვნის უბადადებულ „თოვლის კაცს“. ინდოეთის ჯუნგლებში მას თავიანდად შეაჩენებენ მამარაჯას მსახურს, როგორც „უკანასკნელ ველურს“. კიტის მიჰყავს ის ნიუ-იორკში, მაგრამ „ველური“ ვერ უძლებს მოდერნისტულ მუსიკას და კიტისთან ერთად ვარბის ისევ ჯუნგლებში, სადაც მათ ჩაუტანენ აბაჯანას, მაცივარს და ტელევიზორს.

### ხალკონური რძე

ერთ-ერთ წარმოებაში შექმნა ხელოვნური რძე. რომელიც ძროხის რძეზე უფრო ტბილია, უფრო მდიდარია ცილებით და არც ვიტამინების შემადგენლობით ჩამორჩება. ეს რძე ძროხის რძეზე ორჯერ იფია.

### ბულგარეთი

#### მწერალთა კავშირის 50 წლისთავი

ამ 50 წლის უკან ახალგაზრდა ბულგარელ მწერალთა მცირე ჯგუფმა ჩამოაყალიბა პირველი ლიტერატურული გაერთიანება ბულგარეთში — ბულგარელ მწერალთა კავში-

რი. საპატიო წევრად მათ აირჩიეს ივანე ვაზოვი. ამას წინათ საიუბილეო საღამო გაიმართა სოფლის ოვ. ვაზოვის სახელობის თეატრში. მოხსენება გააკეთა კავშირის თავმჯდომარემ კამენ კალჩიევმა. ბულგარეთის ნაციონალურმა კრებამ მწერალთა კავშირი გიორგი დიმიტროვის ორდენით დააჯილდოვა.

### გერმანია

#### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

#### პირველი ბასტროლენი

დრეზდენის ფილარმონიის ორკესტრმა ჩაატარა ტურნე დასავლეთ გერმანიაში. გასტროლები დაიწყო ჰამბურგიდან. ორი გერმანიის შექმნის შემდეგ გდრ-ს მუსიკალურ კოლექტივს პირველად მიეცა შენაძინებლობა სწვეოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. ვასტროლებმა წარმატებით ჩაიარა.

#### ორიგინალური

#### ინსტრუმენტის ალფანსი

დრეზდენში მალე კვლავ აუღერდება ორიგინალური მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც ომის დროს გაანადგურეს. ინსტრუმენტი შედგება ძვირფასი ფაფურისაგან გაკეთებული 40 ზარისაგან.

#### სტანოგრაფიის ბიბლიოთეკა

დრეზდენში არის მსოფლიოში უძველესი (130 წლისა) და უდიდესი ბიბლიოთეკა, სადაც მოთავსებულია წიგნები სტენოგრაფიის დარგში. აქ ინახება 40.000 წიგნი, რომელთა ერთ მესამედს შეადგენს წიგნები უცხოურ ენაზე; მათ შორისაა სტენოგრაფიის უძველესი რუსული სახელმძღვანელო.

### მარქსის გეულდის იუბილე

პატარა ქალაქ ზანდჰაუზენში, მაგდებურგის ახლოს, ეშაადებიან კარლ მარქსის გეულდის, მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრის ეფნი მარქსის დაბადების 150 წლისთავისთვის.

#### გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

#### კინოცენზურა დასავლეთ გერმანიაში

კინოკლუბმა სასოვადოებრიობას უშრადლება მიაქცევინა ცენზურის მაკრატელზე: ამ ბოლო დროს „გაკრიტეს“ ისეთი ფილმები, როგორიცაა „გზა“, „რიჩარდ III“, „არხი“, „სამურაბი“, „ღამე“ და ა. შ. შეიძლება დავასახელოთ შემდეგი მაგალითებიც: „გავშროხან პოტომკინიდან“ ამოკრეს ყველა ის აღვილი, სადაც დახატულია ცარიზმის ბოროტე მოქმედებანი; „ალექსანდრე ნეველიდან“ ამოკრეს სურათის ერთი მესამედი, სადაც ნაჩვენებია „რაინდთა“ ყაჩაღური თავდასხმები. 11 წლის განმავლობაში არ ეღიბსა ეკრანი ფილმს — „რომი ღია ქალაქია“, ხოლო როცა 1961 წელს მიხინჯ გაუშვეს კინოთეატრებში, წინააღმდეგობის მონაწილენი სოციალისტებად გადააკეთეს და წამების სცენებიც ამოიღეს. „სუფთა ციდან“ ამოიღეს გმირის რეაბილიტაციის კადრები. იუგოსლავური ფილმებიდან „მეცხრე წრე“ ამოღებულია ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლის კადრები.

სრულებით არ გაუშვეს ეკრანზე „წყნარი დონი“, „დამიანის ბედი“, „დედა იოჰანა“ და სხვ.

#### რინბარდ შტრაუსის იუბილე

წელს გაზაფხულზე მიუნხენში გაიმართება დიდი ზეიმი რინბარდ შტრაუსის დაბადების 100 წლისთავის გამო. დაიდგება მისი 11 ოპერა და ერთი ბალეტი, მათ შორის „ელექტ-

რა“, „სალომეა“, „არაბელა“ და სხვ; შესრულებული იქნება შტრაუსის ზოგიერთი სიმფონია, ხოლო სახელგანთქმული სოლისტები შეასრულებენ კომპოზიტორის რომანსებსა და სიმღერებს, რომელთაც მთელი მსოფლიო მღერის.

## დანია

### დიდი წარმატება

დანიელი დრამატურგის ერნსტ ბრუნ ოლსენის მუსიკალური კომედიის—„ახალგაზრდობის კეპის“ წარმატება ვაცდა მისი სამშობლოს ფარგლებს. კოპენჰაგენში წარმოდგენას შემდეგ კომედია დაღვა დანიის პროვინციების ყველა თეატრში, ხოლო ამას წინათ წარმოდგენილი იქნა შვეიციაში, სტომბოლმის სცენაზე, სტოკჰოლმ-ტეატრში, გამოჩენილი შვედი მსახიობების მონაწილეობით. თავის მუსიკალურ კომედიაში ოლსენმა დახატა საჯაჯო მომღერლის ბილი ჯენის დიდების აღმავლობა და აღცემა; ბილი ჯენმა თავისი ცინიკური თავაშვებულობით და ფულისა და სახელის დევნით ბოლო მოუღო თავის ცოლს — ის გარდაიცვალა.

## ესპანეთი

### სოსე ბარკამინის სპეშე

ფაშისტური რეჟიკიის პარპაში პროგრესული ესპანელი ინტელიგენციის სულ უფრო და უფრო მეტ პროტესტს იწვევს. ამას წინათ ასტურიელი გაფიცულ მემშახტთა ცოლების დაპატიმრებისა და უმაგალითოდ დამამიერებელი მოპყრობის გამო ესპანელი ინტელიგენციის 102 წარმომადგენელმა გამოაქვეყნა პროტესტის წერილი ინფორმაციის მინისტრისადმი; ამ წერილს ხელს აწერდნენ მადრიდის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი აკადემიკოსი პედრო ენტრალგო, ძმები გოიტისოლები, პოეტები

რამონ დე გარსია და ხაიმე დე ბიედმა, გამოჩენილი კათოლიკე პოეტი ხოსე ბერგამინი და სხვ.

მინისტრმა თავის პასუხში, რომელშიც ხავსებით გაამართლა პოლიციის მოქმედება, მინართა ხოსე 102 ინტელიგენტს, არამედ არა ბერგამინს, რადგან, როგორც მინისტრი ამბობს, სინამდვილეში ბერგამინია ამ დია წერილის ავტორი; ბერგამინს ფალანგისტთა უამრავი მუქარის წერილი მოუვიდა, მაგრამ მოხუცი პოეტი არ შეშინდა და მინისტრს ახალი დია წერილით უპასუხა. მცირე ხნის მერე მუქარით აღსავსე წერილებთან ერთად ხოსე ბერგამინმა მიიღო სასამართლოს უწყებაც. მაშინ მან მიაშურა ურუგვაის საელჩოს მადრიდში და პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა. ფრანკისტთა ბატონობის პერიოდში მან მეორედ დატოვა სამშობლო და გაემგზავრა ურუგვაიში, სადაც დიდი აღტაცებით მიიღეს.

ინტელიგენციის 102 წარმომადგენელს მალე შეემატა 49 კაცი, შემდეგ კი გაჩნდა ახალი პროტესტი კულტურის 188 მოღვაწის ხელმოწერით.

## იაკონია

### სამართავორისო ტელეგრაფების საღაპრი

ტოკიოსგან 150 კმ დაშორებით ამუშავდა სატელევიზიო გადაცემა საღაგური, რომელიც ამერიკულ კოსმოსურ ტელეთანამგზავრ „ტელესტარანს“ ერთად მიიღებს და წყნარი ოკეანის გადაღმა გადასცემს ოლიმპიურ თამაშებს.

## ისრაელი

### IX საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე

ისრაელის უღაბნოში გათხრებისას იპოვნეს უძველესი ებრაული ტაძრის რელიქვიები,

რომლებიც მაკუფუნებენ IX საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. განსაკუთრებული ინტერესთა ორი საკუთრებელები, რომლებზეც შემორჩენილია მსხვერპლად შეწირული პირუტყვების სისხლის კვალი; ეს შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რა სახის რიტუალები იცოდნენ იმ დროის წინა აზიაში.

## ინგლისი

### შოსტაკოვიჩის ოპერის წარმატება

ლონდონის სამეფო ოპერის თეატრში დაიდგა დანიური შოსტაკოვიჩის „კატრინა იზმაილოვა“. მაყურებელმა აღტაცებით მიიღო ოპერა და ავტორს, რომელიც პრემიერას ესწრებოდა, ტაშის გრიალით შეხვდა, ხოლო კრიტიკის შეფასებით ოპერა, როგორც „შემოქმედებითი გენიის არაჩვეულებრივი ნაყოფი, დიდებული, ამაღლებული და მომსახველი ნაწარმოებია“.

### გოიას ბამოფინა და აპუსტინ იბაროლა

ლონდონის ხელოვნებათა აკადემიაში მოწყობილ გოიას გამოფენასთან დაკავშირებით ინგლისის პროგრესულმა მოღვაწეებმა, მათ შორის პარლამენტის ზოგიერთმა ლიბორორისტმა წევრმაც, აკადემიის შენობასთან გამართეს პიკეტი. ისინი არიგბდნენ ფურცლებს, რომლებშიც იუწყებოდნენ, რომ მოწყობილია თანამედროვე ესპანელი მხატვრის აგუსტინო იბაროლის იმ სურათების გამოფენა, რომლებიც მან ფრანკისტულ საპყრობილეში დახატა, ხოლო ინგლისში არალეგალური გზით შემოიტანეს. ამავე დროს მათ განაცხადეს, რომ პიკეტი გოიას წინააღმდეგ კი არაა მიმართული — გოიაც ისეთივე დემოკრატი იყო, როგორცაა იბაროლა, და ცოცხალი რომ ყოფილიყო, არ მოი-



წონებდა ესპანეთის დღევანდელი მმართველის ფრანკოს არც ერთ მოქმედებას.

### მონიპარეს რენუარის

ლონდონის ტუტ ბრატონის სურათების გალერეაში მონიპარეს რენუარის ნახატი; რომელზედაც გამოსახული იყო ბავშვის თავი. სურათი შეფასებულია 3.500 ვირვანქა სტერლინგად.

### იტალია

#### იყიდა იხტორიული ძეგლები

მალე აუქციონზე გაიყიდება ერთ-ერთი სახელგანთქმული სასახლე გრანდეს არხზე (ვე-

ნეციაში) — პალაცო ლაბია. მისმა ახლანდელმა პატრონმა, ჩილიელმა მილიონერმა კარლოს დე ბელსტეგამ, რომელიც პარიზში ცხოვრობს, გადაწყვიტა გაყიდოს სასახლე 300 მლნ ლირად, ხოლო მისი მოწყობილობა — 700 მლნ ლირად. სასახლეში არის აგრეთვე სხვადასხვა ეპოქის ცნობილი იტალიელი მხატვრების ნახატები და ძვირფასი ავეჯი.

#### გიგანტური რადიოტელესკოპი

არჩებრიში, ფლორენციის ახლოს, ამონტაჟებენ ახალ რა-

დიოტელესკოპს, რომელიც მოესახურება ადგილობრივმა რაფიზიკის სადგურებს. ამ რადიოტელესკოპის დიამეტრია 10 მეტრი.

#### სოკრატეს პორტრეტი

ერთ პატარა იტალიურ სახლში არქეოლოგებმა იპოვნეს სოკრატეს ფერწერული პორტრეტი. ეს სურათი, რომელიც მიეკუთვნება I საუკუნეს ჩვენი წელთაღრიცხვით, ბერძენ ფილოსოფოსთა პორტრეტების სერიიდანაა.



რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, კმ/მ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების: კრიტიკისა და პუბლიცისტიკის — 5-08-85, კოლეჯისა და პროზის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/V-64 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 513. უე 04316. ქალაქის ზომა 70x108. ტირაჟი 8 000.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5



სვანი გოგონები



ზანბი ქალიშვილი



ხის დამუშავება



გაშა-ფშაველა





## ვახტანგ ონიანი

ვახტანგ ონიანმა, როგორც მკაფიო ინდივიდუალობის მქონე შემოქმედმა, პირველად ახალგაზრდა მხატვართა 1959 წლის რესპუბლიკურ გამოფენაზე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ამ გამოფენაზე იგი წარმოდგენილი იყო სვანური ყოფის ამსახველი სურათების სერიითა და რამდენიმე სკულპტურული პორტრეტით.

თავიდანვე შეიმჩნეოდა, რომ ვახტანგ ონიანი ქანდაკებასა და ნახატში ერთნაირად ძლიერი იყო. საკუთარი შემოქმედების ამ ორ სხვადასხვა მხარეს იგი ახლაც თანაბარი გატაცებითა და სიყვარულით ემსახურება. თავის მეტად კოლორიტულ გრაფიკაში ვახტანგ ონიანს ჰარბად შეაქვს ქანდაკების ელემენტები; მისი ნახატი ხელშესახები პლასტიკითა და სიმკვეთრით გამოირჩევა.

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია ვახტანგ ონიანის რამდენიმე ნამუშევრის რეპროდუქცია. ამ ნამუშევრებიდან ყველაზე სრულყოფილი და მნიშვნელოვანია მეუღლის სკულპტურული პორტრეტი. ვ. ონიანს ქვაში ოსტატურად აუმეტყველებია უახლოესი ადამიანის სულიერი სილამაზე და სინაზე. ამ გამარჯვებას ავტორი ნაწარმოების დახვეწილ, კლასიკურ ფორმას უნდა უმაღლოდეს.

ვახტანგ ონიანის მხატვრობაში უთუოდ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ორიგინალურად შესრულებული და დიდი შინაგანი ძალით აღსავსე ვაჟის პორტრეტი. ეს ნამუშევარი მან გენიალური პოეტის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა.

მძაფრი დინამიზმით გამოირჩევა „ზის დაცურება“; გოლიათური აღნაგობის სამი სვანი ვაჟკაცის თანადროული მოძრაობა ნახატში საოცარ რიტმს ქმნის. მათ სახეებზე აღბეჭდილია ის სიმკაცრე და დაძაბულობა, რაც მეტივეს პროფესიასთან არის დაკავშირებული. ეს ნაწარმოები თავისი ფორმით უაღრესად ხალხურია და ქართულ ფრესკას ენათესავება.

უფრო ლირიული ხასიათისაა „სვანი გოგონები“. იგი ესკიზის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ავტორი კომპოზიციურ მთლიანობას აქაც აღწევს.

ვახტანგ ონიანი ახალგაზრდა ქართველი მხატვრების ერთ-ერთი ნიჭიერი, საინტერესო წარმომადგენელია და მომავალში მისგან ახალ, უფრო დიდ წარმატებებს უნდა მოველოდეთ.

**ემზარ კვეტაიშვილი.**

9360 60 333



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ՇԻՏԿԱՐԻ“

ԻՍԿԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԳԵՂԱՐԱՆ

„ԼԻՏԵՐԱՏՄՐ ԱԴԱ ՀԵԼՈՎՆԵԲԱ“

ԻՆԴԵՔՍ 76236